# გზა

N40 1/X-7/X ფასი 1 ლარი



მარინა ბერიძის მიერ „დალუკული" ჟიურის წევრი



„მე და ბადრი პატარკაციშვილი კარგი მეგობრები ვიყავით..."



ვისი მეგობარია თამთა ჭელიძე

„ლიზი რომ არა, ჯაბასთან არაფერი დამაკავშირებდა..."



სიდედრზე გაფორმებული ბინა და დროების ნაჩუქარი სიმდიდრე



„მირჩევნია, შვილებს ბევრი ფული კი არა, სახელი დავუტოვო..."



ნაზი შამანაური — ჟურნალისტი, რომელიც ფსიქიატრიულში მოკლეს



ბალაფშის მეზობელი ქართველი მსახიობი

ISSN 1987 - 5029

როგორ დავაინტერესოთ საყვარელი მამაკაცი

# ცხელი წიგნები სახლში მიტანით ფასნამატის გარეშე!

**გამომცემლობა „პალიტრა L“**
www.elva.ge ტელ.: 38-26-73; 38-26-74

**დარეკეთ, შეგვიკვეთეთ და ჩვენი კურიერები წიგნებს უმოკლეს ვადაში მოგართმევენ**

**ბესტსელერი**

„მე, პრეზიდენტი და მსოფლიო ჩემპიონი“

ფორმატი: 14X21 სმ.
გვ.რაოდ.: 320
ყდა: რბილი
ფასი: 10.00

მსუბუქი ფრაზები, ამბის გადმოცემის სიწრფელე... ამ წიგნში უამრავ ნაცნობ სახეს ნახავთ და რაც მთავარია, დაინახავთ — კარგად ან არც-თუ კარგად. მაგრამ აქ ყოველი სიტყვა ბოლმის გარეშეა ნათქვამი, ამიტომაც იკითხება ლაღად და თავისუფლად. მერე კი რჩება ფიქრი და განსჯა...




„მოკლე მოთხრობები“
ავტორი: ო' ჰენრი
ფორმატი: 14X20 სმ
გვ.რაოდ.: 363
ყდა: რბილი. ფასი: 5.99
ო' ჰენრი აშშ-ის ისტორიაში მოკლე მოთხრობის დიდოსტატის სახელითაა შესული. იგი წერდა ორიგინალური სიუჟეტის, იუმორისტულ და ამავე დროს, თანაგრძნობით სავსე მოთხრობებს.



„თეთრი თათმანი“
ავტორი: თომას მაინ რიდი
ფორმატი: 15X21 სმ.
გვ. რაოდ.: 460
ყდა: რბილი ფასი: 5.99
ცნობილი ინგლისელი მწერლის, თომას მაინ რიდის სათავგადასავლო ნაწარმოებში „თეთრი თათმანი“ მოთხრობილია XV საუკუნის ინგლისელი ხალხის ბრძოლა ტირანიის წინააღმდეგ, სიყვარულისა და გამარჯვების ამბები.




„მოგონებანი გალაკტიონზე“
ფორმატი: 14X20სმ.
გვ.რაოდ.: 440
ყდა: რბილი. ფასი: 5.99
ეძღვნება გასული საუკუნის უდიდესი პოეტის გარდაცვალების 50 წლისთავს. წიგნში გადმოცემულია ახლობელ ადამიანთა მოგონებები გალაკტიონზე. მკითხველი ბევრ საინტერესო დეტალს შეიტყობს პოეტის ცხოვრების შესახებ.



**სიახლე**

„ჩემი ბავშვობის ალბომი“
ფორმატი: 21X28 სმ.
გვ. რაოდ.: 48
ყდა: მაგარი ფასი: 11.99
თქვენი შვილის მეგობარი დაბადებიდან სკოლამდელ ასაკამდე. შეავსეთ ალბომი თქვენი პატარის ცხოვრების ამსახველი მნიშვნელოვანი დეტალებით — ფოტოებით, გამოთქმებით, ნახატებით...



**სიახლე**

„ცხოველები“
საყმაწვილო ენციკლოპედია

ფორმატი: 24X31სმ.
გვ.რაოდ.: 256
ყდა: მაგარი
ფასი: 32.99

ცხოველთა სამყარო მეტად მრავალფეროვანია და საინტერესო. ამ უზარმაზარ წიგნში ყველაფერია: ცხოველები, ფრინველები, მწერები, თევზები, მედუზები... სად ბინადრობს ცხოველის ესა თუ ის სახეობა? რით იკვებება, როგორ მრავლდება? ამ და სხვა კითხვებზე ამომწურავ პასუხს მიიღებთ. წიგნს ახლავს ფერადი ილუსტრაციები.




„ჭკუა“
ავტორი: ამირან ჭიჭინაძე
ფორმატი: 14X20 სმ.
გვ. რაოდ.: 320
ყდა: რბილი
ფასი: 5.99
საყმაწვილო სათავგადასავლო რომანი „ჭკუა“ პატარა ბიჭის საინტერესო და ფათერაკიან თავგადასავალზე მოგვითხრობს. წიგნი ერთნაირად დააინტერესებს ყველა თაობის მკითხველს.




„ჭკუა 2“
ავტორი: ამირან ჭიჭინაძე
ფორმატი: 14X20 სმ
გვ. რაოდ.: 326
ყდა: რბილი ფასი: 5.99
საყმაწვილო სათავგადასავლო მძაფრსიუჟეტიანი დეტექტივის „ჭკუას“ გაგრძელება აგებულია თანამედროვე საქართველოს რეალობაზე. წიგნი ერთნაირად საინტერესო და სახალისოა ყველა თაობის მკითხველისათვის.




„მსოფლიოს დიდი ატლასი“
ფორმატი: 27X34 სმ.
გვ. რაოდ.: 176
ყდა: მაგარი ფასი: 32.99
სრული სურათი დედამიწის შესახებ. ფერადი ილუსტრაციები და განმარტებითი ტექსტები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანასა და რეგიონზე. იმოგზაურე აღმოჩენათა სამყაროში!




**სიახლე**

„ჯადოსნური ფოკუსების დიდი წიგნი“
ფორმატი: 25X31 სმ
გვ.რაოდ.: 120
ყდა: მაგარი
ფასი: 21.99
ამ წიგნის საშუალებით ისწავლი 50-ზე მეტი ფოკუსის გაკეთებას. შეიტყობ ყველაზე გამოცდილი და ცნობილი ილუზიონისტების საიდუმლო ნომრების შესახებ.



**სიახლე**

„მხიარული ხმები“
ხმოვანი გასართობი წიგნი
ფორმატი: 26X26 სმ.
გვ. რაოდ.: 10
ყდა: მაგარი
ფასი: 19.99
კუ კაკუჩას დაბადების დღეს მეგობრები ყიჟილხივილით ულოცავენ. გადაშალე წიგნი და შეუერთდი მხიარულებას!




**სიახლე**




„კონკია“, „პრინცი ბაყაყი“
ეს უბრალო ზღაპრების წიგნი არ გეგონოთ — აქ ჯადოსნური ნახატები გადაფურცვლისას ელვისებურად იცვლება.
ფორმატი: 24X31 სმ.
გვ. რაოდ.: 29
ყდა: მაგარი
ფასი: 21.99

„პლასტილინის ჯუნგლები“
ფორმატი: 23X27 სმ.
გვ.რაოდ.: 12
ყდა: მაგარი
ფასი: 19.99
გააცოცხლე ცხოველები პლასტილინისა და საჭრელების დახმარებით! ასე ძერწვასაც ისწავლი!




**სიახლე**



ფარნიანი წიგნები!
ფორმ: 28X28 სმ.
გვ.რაოდ: 10.
ყდა: მაგარი.
ფასი: 19.99
იმოგზაურე ცხოველთა სამყაროში ხმელეთსა და ოკეანის ფსკერზე. ჯადოსნური პროჟექტორით აღმოაჩინე და გაეცანი გარეულ ცხოველებსა და ზღვის ბინადრებს.







„მხიარული მანქანები“
„ონავარი ცხენები“;
ფორმატი: 26X26 სმ.
გვ.რაოდ: 9
ყდა: მაგარი
ფასი: 11.99
წაიკითხე წიგნის გმირების სახალისო ამბები და გააცოცხლე ფერადი ნახატები პაზლების საშუალებით.




გარდა ჩამოთვლილი წიგნებისა, ჩვენ შეგვიძლია მოგაწოდოთ 2000-ზე მეტი დასახელების თქვენთვის სასურველი წიგნი

№40 (486)
1 - 7 ოქტომბერი. 2009 წ.
ფასი 1 ლარი


■ მინიატიურები 5
დეგრადაცია ანუ „ხომ გეუბნებოდით?!“
■ ქრელი მსოფლიო 6
■ ინფორმაცია 7
■ პოლიტიკა 8
■ დაიჯესტი 9
■ პერსონა 10
პატიმარი ქალებისგან განუწული სოზარ სუბარი...
■ დეკლარანტი 12
გიორგი ახვლედიანის მწირი ქონება
■ თარიღი 14
ერთი მიწის შვილების ტკივილი
■ კონტაქტები 17
სავიზიტო ბარათად ქცეული ნიამორის ყანწი
■ გემოვნება 19
რისთვის ვერ იცლის მომღერალი თამთა ჭელიძე
■ მეტამორფოზები 21
სურათების გადაღების მანია და სიმღერა პროფილში
■ ჟიური 23
მარინა ბერიძისგან „დაღუპული“ ჟიურის წევრი
■ ფესტივალი 25
Led Zeppelin-ის ჰიტები ცოცხალი შესრულებით
■ ადამიანი, რომელიც არასდროს დამავიწყდება 26
■ დებიუტი 28
■ ვარსკვლავები 30
■ ბედი კაცისა 33
ეული
■ თქვენთვის ქალბატონებო! 37
არც ერთს არ გვეყოფა ნებისყოფა
■ სიყვარულის ამბები 39
სკოტ ფიცჯერალდის შეშლილი ცხოვრება
■ კონსულტაცია 41
ძლიერი ქალი — „რკინის ლედი“ თუ ქანდაკება?


## ქვეყანა




# ერთი მიწის შვილების ტკივილი

„არძინბას მკვლელები წონასწორობიდან გამოიყვანა იმ ფაქტმა, რომ აფხაზი ქართველი კაცის გადასარჩენად საკუთარ სიცოცხლეს წირავდა და მისი მოკვლაც გადაწყვიტეს. საბედნიეროდ, ამ დროს ნათლიის ნათესავები გამოჩნდნენ“.

5

## სახე



# „მოვა დრო და მისი ამაგი დაფასდება...“



„ვის არ დაგვიშვია შეცდომა, მე თავიდან ბოლომდე შეცდომა არ ვარ?! მაგრამ შეცდომის გამო, ადამიანი არ უნდა მოვკლათ. ასე რომ, ამ ადამიანმა ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა“.

19

26698

137



# ცხოვრება



„— არა, მე სხვანაირად მიყვარხარ... ისე, როგორც მამაკაცს — ქალი. ჩემი ბრალი არაა, ასე რომ მოხდა. უმადური ვარ, მახინჯი უმადური! მე ჩემს სიყვარულს გავურბი და იძულებული ვარ, დაგტოვო.“

33



„ეკას მზითევში ბინა, მსხვილი საბანკო ანგარიში, ურეკის აგარაკი, მანქანა და დედმამა მოჰყვა, თემოს კი 1 გამოსაცვლელი პერანგი, მაგრამ მას მერე, რაც მამასავით ლამაზი ნიკოლოზი გაჩნდა, თემო ისე შეიყვარა ნიკომ, ხალხმა სიმამროვიჩი შეარქვა“.

85

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

- **საგანძური** 43
  შატილობა 20 წლის შემდეგ
- **ავტო** 45
- **საკითხავი ქალებისთვის** 46
- **გატაცება** 48
  თვითნასწავლი მუსიკოსის უნიკალური როიალი
- **ტაძარი** 50
  სასულიერო ნივთები
- **ანტიდეპრესანტი** 52
- **ჯანმრთელობა** 52
- **ტკივილი** 55
  ბალაფშის მეზობელი ქართველი მსახიობი
- **ემიგრანტი** 57
  შორეული ურალიდან გამოყოლილი „სენი“
- **ოსტატი** 59
  აჭარული ხაჭაპური — ნავში დამწყვდეული მზე!
- **მსხვერპლი** 60
- **ცხოვრების გზა** 62
  ნიკა ცხაკაია: „მდიდრები სიყვარულით ვართ“...
- **თინეიჯერული პონტები** 64
  უვარგისი ქმრები და ფულს დახამებული ქალები
- **რეალური** 68
  ეშმაკის მოციქული (გაგრძელება)
- **ქართული დეტექტივი** 70
  ძმები (გაგრძელება)
- **გულახდილი დღიური** 74
  მე — ფსიქოლოგი (დასაწყისი)
- **დოკუმენტური პროზა** 77
  შეხვედრები სტალინთან (გაგრძელება)
- **რომანი** 80
  აკრძალული ოცნებები (გაგრძელება)
- **ნამდვილი ამბავი** 84
  „ბეჭედდასმული“ სიყვარული
- **გზავნილები** 85
- **ყველა ერთისათვის** 90
- **მობილიზაცია** 92
- **გონიერი მკითხველი** 96
- **მოზაიკა** 97
- **ასპარეზი** 99
- **ერუდიტი** 100
- **გასართობი** 102
- **ასტროლოგია** 104
- **სკანვორდი** 105
- **საფირმო კროსვორდი** 106



საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.

მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
მთ. რედაქტორის მოადგილეები: ლალი ფაცია, ლიკა ქაჯაია
პასუხისმგებელი რედაქტორი: მარი ჯაფარიძე
მენეჯერი: მათე კბილაძე

დიზაინი: ნანა გიგოლაშვილი
კომპიუტერული უზრუნველყოფა: ირმა ლიპარტელიანი, ლუკა ჟორჟოლიანი


მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ. №49
ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza.fantazia@gmail.com


რეკლამა „გზაში“: 37-78-07; 38-78-70.


**სამყარო**

# შატილობა 20 წლის შემდეგ



მივიწყებული ტრადიცია აღდგა, 20 წლის შემდეგ ხევსურეთში სახალხო დღესასწაული — შატილობა ჩატარდა. ამ დღეს ხევსურები და მათი სტუმრები საუკუნოვან კოშკებში ისევ შეიკრიბნენ, ხევსურულ სამოსში გამოწყობილი გოგო-ბიჭები ბაგებზე გადმოდგნენ, მამაკაცებმა საფიხვნოში მოიყარეს თავი, იყო დოლი, მხიარულება და ცეკვა-თამაში. შატილი ცოცხალ მუზეუმს ჰგავდა.

43

**ადამიანი**

# „სიცოცხლე ბროლის ჭიქასავით ნაკუწ-ნაკუწ დამიმსხვრიეს“



ნაზი შამანაურს „კომუნიზმის გზის“ რედაქციის კარი არ შეუღია. მან დამოუკიდებელი ჟურნალისტური გამოძიება დაიწყო... იმჟამად კრიტიკა და თვითკრიტიკა „დროის მოთხოვნა“ იყო.

55

**ბიბლუსი**





— ეს შემთხვევით მოხდა, — თქვა გიორგიმ.

— შემთხვევით!.. — ბრაზით ჩაილაპარაკა პროკურორმა. — შემთხვევით ქალწულობას კარგავენ. თქვენ კი გამომძიებლები ხართ!.. ორივე იმის ღირსი ხართ, რომ კაბინეტიდან მიგაბრძანოთ, მაგრამ მაინც მოვისმენ თქვენს განმარტებას — როგორ ნახა „შემთხვევით“ ის ჩანაწერი შუბითიძემ?..

67

**ტაიმ-აუტი**

# „ახლაც დაძაბული ვარ...“



„ერუდიტი“ რამდენჯერმე წავიკითხე. ისე, გამოცდაზე გასვლა არ მიყვარს. ამ დროს საკუთარ თავს ისე ვერასდროს წარმოვაჩენ, როგორც მსურს და შემიძლია“.

97



# დეგრადაცია
## ანუ „ხომ გეუბნებოდით?!"

**შესავლის ნაცვლად** ქალბატონი ფლორა თქვენ არ გეცოდინებათ, ჩემი სახლის წინ რომ გაზეთების ჯიხურია, იქ მუშაობს და ორშაბათს „კვირის პალიტრის" და ხუთშაბათს „გზის" ახალ ნომრებს მინახავს ხოლმე. მან ჩემი „პროვოკატორობის", ეი. ქართულ პოლიტიკაში ასე თუ ისე გათვითცნობიერებულობის შესახებ არაფერი იცის (ისევე, როგორც ბევრმა ჩემმა ახლობელმა) და კვირაში ორჯერ „პოლიტგანათლების გაკვეთილებს" მიტარებს.

ამ ორშაბათსაც „მომახარა":

— ა, შეხედე, ალასანიას თბილისის მერობა ნანდომა! ა, გაჩეჩილაძე ჯერე არ ჩივა აფერს, მარა მგონია, მაგასაც ნანდომა... უწინ პრეზიდენტობა უნდოდენ, ახლა მერობაზე ჩამეიჩოჩეს, ბოლოს ქე დავლენ მთხლეზე და ჩვენ ქე შეგვრჩა ქუჩა-ქუჩა ყიალი ტყულე („ქუჩა-ქუჩა ყიალში" იმას გულისხმობს, რომ ორი წელია, ოპოზიციის არც ერთი მიტინგი არ „გაუმაზავს")!

ა, ბატონო, „ხალხური ენით" გადმოცემული სიმართლე ქართული პოლიტიკური ყოფის შესახებ! „მეცნიერული ენით რომ ვთქვათ", ამას ჰქვია „დეგრადაცია"! და არა მხოლოდ პოლიტიკაში ხდება ასე — ლოზუნგი „უკან, მომავლისაკენ!" ჩვენი ყოფის ყველა სფეროში სულ უფრო აქტუალური ხდება და ჰაერზე (ანუ როგორც ქ-ნი ფლორა იტყოდა — „ტყულე") რომ არ ვლაპარაკობ, შევეცდები, როგორც ყოველთვის, დავასაბუთო.

ისევ და ისევ ჩვენი „ბედკრული" (თუმცა, ბრჭყალები რა შუაშია?!) ფეხბურთით დავიწყებ (მაინც მიყვარს და რა ვქნა...): როდესაც ფედერაციის არჩევნებში გიორგი ნემსაძემ გაიმარჯვა და მერე თურმე, ნოდარ ახალკაცმა „გაიმარჯვა", რომელიმე თქვენგანი წარმოიდგენდა, რომ იმაზე უარესი არჩევნები შესაძლებელი იყო?! ვერა! ჰოდა, ინებეთ ერთი „კანდიდატი" — როგორც „დალოცვილ" ძველ დროს, — რომელიც ქართულს ძლივს ახერხებს და დიმა ობოლაძის სტუდიაში სტუმრობისას საქვეყნოდ აცხადებს, — ჟურნალისტებმა პირობა მომეცით, რომ ოთხი თვე ხმას არ ამოიღებთ, არ მანერვიულებთ და მერე ნახეთ, რა შედეგსაც გიჩვენებთო! მე, ჩემდა თავად, მხოლოდ იმის პირობას ვაძლევ, რომ ეგეთ პირობას არ მივცემ!

ახლა ცოტა „ზემოთ ავიწიოთ": სტრასბურგშიც „დაგვიკიდეს"! აი, თქვენ ხუთშაბათს კითხულობთ ამ „პროვოკაციას" და ყველაფერი უკვე იცით, მაგრამ მე ახლა, ოთხშაბათს, უკვე დარწმუნებული ვარ, რომ რუსეთს არც ხმის უფლება ჩამოართვეს და არც, მით უმეტეს — გარიცხეს ევროსაბჭოდან. ნატო ხომ საერთოდ აღარ გველაპარაკება და მერკელმა რომ ისევ გაიმარჯვა გერმანიის არჩევნებში, ხოლო ბერლუსკონი და პუტინი საზიარო კუნძულის ყიდვას აპირებენ ერთად საგრიალოდ, ესეც გეცოდინებათ ანუ — ჩვენი დასავლელი დამცველები ფა-ფუუუ... სამაგიეროდ, ახალი ქომაგი გამოგვიჩნდა: მსოფლიოს ნომერ პირველი ტერორისტი! დიახ, ბინ ლადენმა „ჩვეული პირდაპირობით" გამოგვიცხადა ჩვენ და ევროპელებს: აგე, თქვენი ამერიკაო! და რაც ყველაზე ცუდია, მგონი, მართალიცაა... ჰოდა, გუშინ ბუში და სხეფერი რომ გვიცავდნენ და ახლა ბინ ლადენი დაგვცინის, არ არის დეგრადაცია?

ჰო, ფლორაზე გამახსენდა: ფლორის და ფაუნის მინისტრი რომ არის, ყოფილი მომღერალი, იმას ვუსმინე რადიოში, ტოქშოუ მიჰყავს! რა ენაღვლება, ტყეებს ჩინელები „მიხედავენ"... ისე, მინისტრთა კაბინეტს რატომ ჰქვია „კაბინეტი" და არა „კაბინეტები"?! ეგენი ერთად უნდა დასვა და იქნებ, ერთმანეთის მაინც შერცხვეთ და რამე გააკეთონ... ■



**P.S.** როცა ბინ ლადენმა ამერიკელებზე გვითხრა ის, რაც გვითხრა, ერთი ძველი ანეკდოტი გამახსენდა:

„გაგანია ზასტოის" პერიოდია. ერთ-ერთ „დახურულ" პროვინციულ რესტორანში რაიონის პროკურორი ქეიფობს. ჭერზე სამშვენისად გალია კიდია, დიდი მოლაპარაკე თუთიყუშით. თანამეინახეები პროკურორის სადღეგრძელოს სვამენ და უცებ — თუთიყუშის ხმა:

— პროკურორი ჩათლახია!

სასწრაფოდ იხმეს ცოცხალმკვდარი ოფიციანტი. პროკურორმა უბრძანა:

— ეს თუთიყუში სუფრაზე მომართვი, ტაბაკად შემწვარი და 100 მანეთს მიიღებ.

წააცუნცულა სამზარეულოში და თუთიყუში ეუბნება:

— ჩემი მადლიც მოისხი და 100 მანეთიც აიღე: წიწილა მიუტანე. გაგლეჯილი მთვრალია, მაინც ვერ მიხვდება.

ოფიციანტმა გალია სამზარეულოში დატოვა, პროკურორს ტაბაკა მიართვა და იქვე დადგა — 100 მანეთს ელოდება.

— აქ რას დამიდექი?! — ეკითხება პროკურორი.

— აი... ბატონო... 100 მანეთს რომ დამპ...

— გეხუმრე, ბრიყვო, ამ გაძვალტყავებულ თუთიყუშში 100 მანეთს მოგცემდი?

და ამ დროს სამზარეულოდან თუთიყუშის ხმა ისმის:

— ხომ გეუბნებოდი, ჩათლახია-მეთქი!!!

P.P.S. ბინ ლადენი თუთიყუშს ნაღდად არ ჰგავს, მაგრამ ზოგიერთები სულ უფრო ემსგავსებიან მაიმუნებს...

*პროვოკატორი*

# მსოფლიოში ყველაზე მსუქანმა ბავშვმა 140 კილო დაიკლო

2007 წელს ყველა ტელეარხმა მაყურებელს უჩვენა შოკისმომგვრელი კადრები, რომლებზეც ჩიკაგოელი ჯესიკა ლეონარდი იყო აღბეჭდილი: გოგონა 7 წლის ასაკში 222 კილოს იწონიდა და მსოფლიოში ყველაზე მსუქან ბავშვად მიიჩნეოდა. ჯესიკა ჭარბი წონის გამო



ველარ დადიოდა და გადაადგილებას მხოლოდ ხოხვით ახერხებდა. ამასთანავე, ვერც საუბრობდა. სამაგიეროდ, საჭმელს გამუდმებით ითხოვდა. გოგონას დედა ყოველდღიურად, „ფასტფუდის“ საკვებს აძლევდა და 5 ლიტრ გაზიან სასმელს ასმევდა. ამის შედეგად, ჯესიკა დღეში 10 ათას კილოკალორიას იღებდა, — მაშინ, როცა ამ ასაკის ბავშვმა დღე-ღამეში 1800 კილოკალორია უნდა მიიღოს.

ამ სიუჟეტის გასვლის შემდეგ ათასობით აღშფოთებულმა მშობელმა, ჯესიკას დედის პასუხისგებაში მიცემა მოითხოვა. შემდგომ დედამ გადაწყვიტა, შვილისთვის მკაცრი დიეტა დაეწესებინა. დიეტისა და საუკეთესო სპეციალისტთა მიერ დანიშნული ვარჯიშების შედეგად,



ჯესიკა ლეონარდმა 140 კილოგრამი დაიკლო.

მიუხედავად ამ ცვლილებისა, 9 წლის გოგონა მაინც ჭარბწონიანია, ხოლო გახდომის შემდეგ დარჩენილი, „ჩამოძონძილი“ კანი მას მუდმივ დისკომფორტს უქმნის... ის ტელემაყურებლები, რომლებიც გოგონას მდგომარეობის გამო წუხდნენ, მაინც გახარებული არიან; მისი თანატოლი ბიჭები კი ამბობენ, რომ ჯესიკა გაცილებით სიმპათიური გახდა და მას უკვე სიყვარულსაც უხსნიან... ■

# საუკეთესო და „აუტსაიდერი“ საყვარლები

ყველაზე ცუდი მამაკაცი-საყვარლები გერმანელები არიან, რადგან ისინი სათანადო ყურადღებას არ უთმობენ პირად ჰიგიენას და ცუდი სუნი ასდით, — ასეთია ახალი ინტერნეტგამოკითხვის მონაწილეთა შეხედულება. რუსმა საყვარლებმა სამარცხვინო სიაში მეათე ადგილი დაიკავეს — ქალბატონებს ისინი გადაჭარბებული თმიანობის გამო არ მოსწონთ. გამოკითხ-



ვაში, რომელიც OnePoll.com-მა ჩაატარა, 15 ათასი ქალი მონაწილეობდა. სხვადასხვა სახელმწიფოს მოქალაქე, „გამოცდილ მოგზაურ“ ქალბატონებს სთხოვეს, შეეფასებინათ, თუ რამდენად კარგები არიან სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელი მამაკაცები საწოლში და აზრი არგუმენტებით გაემყარებინათ.

სიაში მეორე ადგილი ინგლისელებმა დაიკავეს, რადგან ისინი „თავიანთ გასაკეთებელ საქმეს ქალებს უტოვებენ“, — აღნიშნავს ბრიტანული გაზეთი „დეილი მეილი“; შვედი მამაკაცები თავიანთ მოვალეობას მეტისმეტად სწრაფად ასრულებენ, ჰოლანდიელები და ამერიკელები კი სექსის დროს ძალზე მბრძანებლურები და უხეშები არიან. როგორც მოსალოდნელი იყო, საუკეთესო საყვარლები სამხრეთის ქვეყნებში ცხოვრობენ. პირველი ადგილი ესპანეთს ხვდა წილად, მას ბრაზილია, იტალია და საფრანგეთი მოსდევს. „სამარცხვინო“ სიაში მოხვდნენ ასევე ბერძნები და თურქები. „ეს შედეგები ათასობით მამაკაცს აუხელს თვალს, მოგზაურ ქალბატონებს კი ახალი პარტნიორების პოტენციალის შეფასებაში დაეხმარება“, — აღნიშნა OnePoll.com-ის ერთ-ერთმა მესვეურმა. ■

## მხიარული ბოულინგი



მოამზადა თამთა დადეშელმა

# ქვეყანა

## არც მწვადი და არც შამფური?!

### გამოდის — რუსეთმა საქართველო „ომზე დააპატიჟა“ და ისიც „სუფრას მიუჯდა“...



**„ტალიავინის კომისიის“ დასკვნით, აგვისტოს ომი საქართველომ დაიწყო. ჩვენს ქვეყანაში კონფლიქტის გამომწვევი ფაქტების დამდგენმა, ევროკავშირის მისიამ არ გაიზიარა პრეზიდენტ სააკაშვილის განცხადებები იმის თაობაზე, რომ საომარი მოქმედებები, როკის გვირაბიდან რუსული ჯარის შემოყვანაზე იძულებით პასუხს წარმოადგენდა. მისია პასუხისმგებლობას არ არიდებს რუსულ მხარეს, მაგრამ დასკვნაში რუსეთი ოკუპანტ ქვეყნად და ომის დაწყებაში დამნაშავედ მოხსენიებული არ არის. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ კრემლი გამუდმებით აწყობდა პროვოკაციებს, რომელთა მიზანი სეპარატისტულ რეგიონებში ვითარების დაძაბვა იყო.**

კომისია რუსულ მხარეს აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის მოსახლეობისთვის რუსული პასპორტების დარიგებას, ასევე ძალის გადამეტებასა და ოსი ე.წ. „ოპოლჩენცების“ უკანონო ქმედებების მიმართ წაყრუებას სდებს ბრალად, რასაც შედეგად, ქართული სოფლების გადაწვა და ქართველების დევნა მოჰყვა.

რუსული მხარის შეფასებით, კომისიის დასკვნა ობიექტურია. „დამოუკიდებელმა საერთაშორისო კომისიამ სამხრეთ კავკასიაში კონფლიქტის გაჩაღებაზე პასუხისმგებლობა სააკაშვილის რეჟიმს დააკისრა. ვინ დაიწყო პირველმა ომი? ამ კითხვაზე ანგარიშში პასუხი ერთმნიშვნელოვანია“, — განაცხადა ევროკავშირში რუსეთის მუდმივმა წარმომადგენელმა ვლადიმირ ჩიჟოვმა. მან ისიც აღნიშნა, რომ კომისიის ხელმძღვანელი ჰაიდი ტალიავინი დასკვნას ე.წ. სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის მარიონეტული რეჟიმების ლიდერებს პირადად გადასცემს.

როგორც პოლიტიკური ექსპერტი კახა გოგოლაშვილი ამბობს, კომისიამ დასკვნა იმ ფაქტებსა და დოკუმენტებზე დაყრდნობით შეიმუშავა, რომლებიც საომარი მოქმედებების შემდეგ, ოფიციალურმა მოსკოვმა და თბილისმა წარმოადგინეს. კომისია ვერ უარყოფს იმ ფაქტს, რომ ომის დროს რუსეთმა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ დადგენილი ნორმები ქართულ მხარეზე ბევრად მეტჯერ დაარღვია და იმის აღიარებაც მოუწევს, რომ მოსკოვის ქმედება, საერთაშორისო სამართლისა და პოლიტიკური მიზანშეწონილობის თვალსაზრისით, არასწორია. ამ საკითხთან დაკავშირებით, სტატია უკვე გამოქვეყნდა გერმანულ „ზიუდოიჩე ცაიტუნგში“, სადაც წერია, რომ საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა 2008 წლის 8 აგვისტოს იერიში მიიტანა რუსულ არმიაზე, რომელიც სამხრეთ ოსეთში საერთაშორისო სამშვიდობო მანდატით იმყოფებოდა; მაგრამ ამ ყველაფერს წინ უძღოდა რუსების, სამხრეთ ოსეთისა და აფხაზების სეპარატისტთა ქმედებები. სტატიის ავტორი აღნიშნავს, რომ ჯერ კიდევ გაურკვეველია, განიხილავს თუ არა ტალიავინი კრიტიკულ დღეებში აშშ-ის და ევროკავშირის როლების საკითხს. დღემდე არავის განუმარტავს, რას აკეთებდა თავდასხმის ღამეს საქართველოში მყოფი, დაახლოებით 150 ამერიკელი სამხედრო ინსტრუქტორი და საერთოდ, იცოდნენ თუ არა მათ რაიმე ამ ოპერაციის შესახებ...

■



# ევროსაბჭოს მოთხოვნები და გაჯიქებული „დათვი“

**ევროსაბჭომ რუსეთს წლის ბოლომდე მისცა ვადა იმისთვის, რომ აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში მისი დამკვირვებლები შეუშვას, გახსნას ჰუმანიტარული დერეფანი და საქართველოს მოქალაქეებს კონფლიქტის ზონებში თავისუფალი გადაადგილების საშუალება მისცეს. ეს მოთხოვნები საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუციაში დაფიქსირდა, რომელიც სტრასბურგში გუშინ მიიღეს. ასამბლეაზე ევროპელმა დეპუტატებმა მოსკოვი იმის გამოც გააკრიტიკეს, რომ რუსეთის ხელისუფლება არღვევს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ევროკავშირის შუამავლობით მიღებულ შეთანხმებას, უარს ამბობს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ცალმხრივი აღიარების გაუქმებაზე და არსებულ რეჟიმებთან სამხედრო, იურიდიულ და დიპლომატიურ ურთიერთობებს ამყარებს. თუ რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს ევროკავშირის მიერ მიღებულ რეზოლუციას და რა ბერკეტებს აამოქმედებს ევროპა რუსეთის მხრიდან თამაშის წესების კიდევ ერთხელ დარღვევის შეთხვევაში, — ამასთან დაკავშირებით პოლიტიკურს ექსპერტს საერთაშორისო ურთიერთობების საკითხებში, კახა გოგოლაშვილს ვესაუბრეთ.**

## „მედვედევმა ევროსაბჭოს მოთხოვნების გარკვეული ნაწილი მაინც უნდა დააკმაყოფილოს“

— **ბატონო კახა, მიუხედავად იმისა, რომ ევროსაბჭომ ღიად დააფიქსირა რუსეთის მიერ განხორციელებული არაკანონიერი ქმედებები და ამისთვის მკაცრადაც გააკრიტიკა, რუსეთის დელეგაციის უფლებამოსილების გადახედვის შესახებ გადაწყვეტილებას მხარი არ დაუჭირა. როგორ ფიქრობთ — ამის მიზეზი რა არის?**

— ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ მოსკოვს კიდევ ერთხელ მისცეს დაშვებული შეცდომების გამოსწორების საშუალება. ჩემი აზრით, ეს რუსეთის ხელისუფლებისთვის ბოლო შანსია და თუ იანვრამდე რეზოლუციით გათვალისწინებულ მოთხოვნებს არ შეასრულებს, მერე რუს დეპუტატებს ხმის მიცემის უფლებას ნამდვილად, შეუწყვეტენ.

— **ამ მოთხოვნებს რუსეთის დელეგაციამ უკვე უწოდა პროვოკაციული და განუხორციელებული...**

— რუსეთის დელეგაციამ შეურაცხყოფა მიაყენა ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეას. თუ რუსეთი ასეთი უხეში მეთოდებით გააგრძელებს ევროსაბჭოს მოთხოვნების იგნორირებას, კარგ შედეგს ნამდვილად ვერ მიიღებს. ტყუილად ჰგონია, რომ რადგან დიდი ქვეყანაა და პოლიტიკური რესურსი აქვს, საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ დადგენილი წესების დარღვევაც შეუძლია. რუსების ასეთი ცინიკური დამოკიდებულება კიდევ უფრო გააღიზიანებს ევროპელ დეპუტატებს და შემდგომში მათ აუცილებლად შეუწყვეტენ ხმის უფლებას.

— **რუსეთი დღემდე, უპრობლემოდ არღვევდა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ დადგენილ წესებს; რატომ უნდა გვქონდეს იმის იმედი, რომ ახლა რაიმე შეიცვლება?**

— ამის იმედს ის ფაქტი მაძლევს, რომ ევროსაბჭოს დეპუტატების ტონი უკვე ძალიან მკაცრია, მოთხოვნები კი — კატეგორიული. გარდა ამისა, თუ ეს ორგანიზაცია კიდევ ერთხელ დაუთმობს რუსეთს, ავტორიტეტს დაკარგავს და საკუთარი თავის დისკრედიტაციას მოახდენს. არა მგონია, ევროსაბჭოს რომელიმე წევრ სახელმწიფოს ან დეპუტატს ეს უნდოდეს.

— **მათ საბოლოო გადაწყვეტილებაზე რამდენად იმოქმედებს ობამას მცდელობა — დაათბოს ურთიერთობები რუსეთთან?**

— სწორედ ობამას ადმინისტრაციის ინტერესების გათვალისწინებით მისცა ევროსაბჭომ რუსეთს კიდევ ერთი შანსი. ამის შემდეგ, კვლავაც დათმობაზე რომ წავიდეს, მხოლოდ ევროსაბჭოს დისკრედიტაციას კი არა, მსოფლიოში ახალი წესრიგის დამყარებასაც „გამოიწვევს“ და ამის შედეგად, დომინანტი რუსეთი გახდება. ეს უკვე აღარც ამერიკის ინტერესებში შედის.

— **თქვენი აზრით, რუსეთისთვის ევროსაბჭოში უფლებამოსილების შეჩერების შემთხვევაში, მოვლენები როგორ განვითარდება?**

— ადვილი შესაძლებელია, მოსკოვმა უკიდურესი გადაწყვეტილება მიიღოს და ევროსაბჭოდან საერთოდ გამოვიდეს. რუსებს ჰქონიათ, თუ ისინი ამ ორგანიზაციიდან გამოვლენ, ევროსაბჭო დაიშლება. ასე ნამდვილად არ მოხდება, მაგრამ პოლიტიკური კლიმატი შეიცვლება და „ცივი ომის“ ნიშნები გაჩნდება. არა მგონია, ასეთი სიტუაცია თვით რუსეთსაც აძლევდეს ხელს. ამიტომ შეიძლება, მედვედევმა ევროსაბჭოს მოთხოვნების გარკვეული ნაწილი მაინც დააკმაყოფილოს.

— **გარკვეულ მოთხოვნებში რა შეიძლება წარმოვიდგინოთ?**

— კონფლიქტის რეგიონებში ევროდამკვირვებლების, ეუთოსა და გაეროს შეშვება, ჰუმანიტარული დერეფნის გახსნა და დევნილებისთვის აფხაზეთსა და ცხინვალში გადაადგილების საშუალების მიცემა. ცნობილია, რომ რუსეთი მაქსიმალურად კეტავს საზღვარს სოხუმსა და ზუგდიდს შორის. რაც ჩამოვთვალე, ეს იქნება მინიმუმი იმისა, რისი გაკეთებაც რუსეთს მოუწევს. მაგრამ ევროკავშირის ზეწოლა ამით არ შემოიფარგლება და დროთა განმავლობაში მოსკოვს სხვა ნაბიჯების გადადგმასაც აიძულებენ.

— **მოსკოვი საზღვრებს იმისთვის კეტავს, რომ ქართველებსა და აფხაზებს პირდაპირი დიალოგის საშუალება არ მიეცეთ. ფიქრობთ, რომ კრემლი ქართველებისა და რუსების დაახლოებას დაუშვებს?**

— ამ ნაბიჯის გადადგმა რუსი პოლიტიკოსებისთვის ნამდვილად, მძიმე იქნება. მათ მკაფიოდ შემუშავებული გეგმა აქვთ, ყველაფერს გამიზნულად აკეთებენ და ნებისმიერი უკან დახევა ამ გეგმის სისრულეში მოყვანას საფრთხეს შეუქმნის. მაგრამ ახლა იძულებული გახდებიან, კომპრომისზე წავიდნენ.

— **თუ კომპრომისზე არ წავლენ და ახალი „ცივი ომი“ დაიწყო, ეს ჩვენ კონფლიქტების მოგვარების საშუალებას ხომ არ მოგვცემს?**

— თუ „ცივი ომი“ დაიწყო, მოკლე და საშუალოვადიან პერსპექტივაში ჩვენი შიდა კონფლიქტების მოგვარება კიდევ უფრო გაჭიანურდება, მაგრამ გრძელვადიან პერსპექტივაში ამან შეიძლება, მართლაც კარგი შედეგი გამოიღოს, იმიტომ, რომ ევროპასთან დაპირისპირების შემთხვევაში რუსეთი უეჭველად დამარცხდება. ამის შემდეგ, მედვედევი და პუტინი რუსეთშიც დაკარგავენ მხარდაჭერას, რადგან რუსი ხალხი „ორთავიანი არწივის“ უძლეველობის მითს აღარ ირწმუნებს.

■

# „რუსულის გაკვეთილები“ კავკასიაში

სანქტ-პეტერბურგის ევროპულ უნივერსიტეტთან არსებულ პრესკლუბში — „ზელიონაია ლამპა“ რეჟისორების — ოლგა კონსკაიასა და ანდრეი ნეკრასოვის დოკუმენტური ფილმის — „რუსულის გაკვეთილები“ ჩვენება შედგა. თუმცა მაყურებლის წინაშე მხოლოდ ანდრეი ნეკრასოვი წარდგა და მწუხარებით აღნიშნა, რომ ოლგა კონსკაია მათი ერთობლივი ნამუშევრის პრემიერამდე გარდაიცვალა... ავტორებმა თავიდანვე გადაწყვიტეს, რომ 2008 წლის აგვისტოს დასაწყისში კავკასიაში მომხდარი მოვლენების შესახებ ფილმის გადაღება კონფლიქტის ორივე მხარეს ეწარმოებინათ. ოლგა ჩრდილოეთ ოსეთის გავლით, ცხინვალში გაემგზავრა, ანდრეი კი — ევროპის გავლით თბილისში ჩამოვიდა. ამდენად, ფილმის პირველი ნაწილი მათ დაუსწრებელ გადაძახილს წარმოადგენს, რომელიც სამხრეთ ოსეთისა და ეგრეთ წოდებული, „საქართველოს უდავო ტერიტორიის“ საზღვარზე შეხვედრით სრულდება. ფილმის დასახელება ორ ეპიზოდში იხსნება: გორში, რუსული ბომბებით განადგურებული ერთ-ერთი სახლის ნანგრევებში ანდრეი ნეკრასოვი მეხუთეკლასელი ბიჭუნას (მისი ბედი უცნობია) რუსული ენის დავალების რვეულს ნახულობს. ოლგა კონსკაიამ კი ცხინვალის განაპირას მდებარე გაძარცულ წიგნის მაღაზიაში რუსული ენის სახელმძღვანელო აღმოაჩინა. დოკუმენტალისტები ორივე მხარეს დარჩენილ, მოვლენების უშუალო მოწმეებს, უბრალო მცხოვრებლებს, მშვიდობიან მოსახლეობას ესაუბრებიან და გზადაგზა, რუსული ტელეარხებით ნაჩვენები მოვლენების ქრონიკას საქართველოს ტელევიზიის ოპერატორების მიერ აღბეჭდილ დოკუმენტურ სურათს ადარებენ. ირკვევა, რომ ქართული მხარის მიერ ცხინვალის ღამით დაბომბვის ცნობილი სცენა, ქართველი ჯარისკაცების მიერ, სამხრეთ ოსეთის მთავარი ქალაქის დღისით პატრულირების არცთუ მარჯვე მონტაჟია. ნგრევის ის კადრები კი, რომლებიც, რუსული ვერსიის თანახმად, „ქართული ჯარის დანაშაულებს“ ადასტურებს, გორში, რუსული ბომბდამშენების ავიადარტყმების შემდეგაა გადაღებული.


კადრი ფილმიდან

„რუსი სამხედროების თავდასხმაგადატანილი ქართული ქალაქების მცხოვრებლებთან საუბარში ჩვენი ქვეყნის მისამართით სიძულვილის სიტყვები ერთხელაც კი არ მოგვისმენია. იყო მხოლოდ მწარე მოგონებები და ულრმესი წუხილი“, — ხაზს უსვამს ანდრეი ნეკრასოვი. ოლგა კონსკაია ცხინვალის ერთ-ერთ კაფეში სამ ოს გოგონასთან საუბარს იწერს. ისინი ჰყვებიან, რომ მათ ოჯახებში არავინ დაზარალებულა, დახოცილები და დაჭრილები არც მათ ნაცნობებს შორის არიან, მაგრამ მიუხადავად ამისა, სამხრეთ ოსეთის ქართული სოფლების მცხოვრებლების თავ-თავიანთ სახლებში დაბრუნებას მაინც არ ისურვებდნენ. „მათ აქ არავინ ელოდება“, — ამბობს ერთ-ერთი გოგონა; „ყველა ქართველი მძულს“, — დასძენს მეორე.

„ეს გოგონები უკვე მორალურად დასახიჩრებული ადამიანები არიან“, — კომენტარს უკეთებს ამ სცენას ანდრეი ნეკრასოვი და ამის მიზეზად, სამხრეთ ოსეთში გამეფებულ თავზარდამცემ სიღატაკესა და იმ ტოტალურ პროპაგანდას ასახელებს, ანკლავის ტერიტორიაზე გავრცელებული სამი-ოთხი ტელეარხის მეშვეობით რომ ხორციელდება. ფილმში არაერთხელ ხდება რუსეთის პრეზიდენტ დმიტრი მედვედევისა და პრემიერ-მინისტრ ვლადიმირ პუტინის გასული წლის აგვისტოს მოვლენებისადმი მიძღვნილი ტელემიმართვების ციტირება. ერთ-ერთ მათგანში ნათქვამია, რომ რუსეთი კავკასიაში ყოველთვის თამაშობდა და მომავალშიც ითამაშებს იმ მშვიდობისმყოფლის როლს, რომლის მთავარი მიზანიც სისხლიანი დრამის დაუშვებლობაა. „სამწუხაროდ, რუსეთმა, სულ მცირე, ერთხელ მაინც დაუშვა ასეთი დრამა“, — კომენტარს კადრს მიღმა ანდრეი ნეკრასოვი აკეთებს, რასაც შემდეგ 1993 წლის მოვლენების ქრონიკა მოსდევს, რომელთა შედეგადაც აფხაზეთში ქართული ეთნიკური უმრავლესობა ან განადგურეს, ანდა იმ ტერიტორიიდან განდევნეს, სადაც ის რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ცხოვრობდა.

ფილმის ამ ნაწილში არაერთი ადამიანის მწარე ბედზეცაა მოთხრობილი. მაგალითისთვის, აფხაზი ქალი — მანანა ჰყვება, რომ მამამისმა, რომელიც ქართველებსა და აფხაზებს არასდროს ასხვავებდა, აფხაზეთში მართლმადიდებლური ეკლესია ააშენა. როცა აფხაზეთში რუსი მოხალისეები, კაზაკები და სხვა ჩრდილოკავკასიური რესპუბლიკების ამბოხებულები შევიდნენ, ეკლესიაში მშვიდობიანმა მოსახლეობამ დამალვა დაიწყო... მანანას მამის ბედი ტრაგიკულია: წარმოშობის მიუხედავად, ის მრავალსაათიანი წამების შემდეგ მოკლეს. მსგავსი საშინელი ამბავი ფილმში მრავლადაა მოთხრობილი. მათი უმეტესობა დოკუმენტურ „აფხაზეთის შავ წიგნშია“ გამოქვეყნებული. ანდრეი ნეკრასოვმა განაცხადა, რომ პრესკლუბში — „ზელიონაია ლამპა“ წარმოდგენილი ვარიანტი ფილმის საბოლოო ვერსია არ არის. როცა სარედაქტორო სამუშაო დასრულდება, რეჟისორს მისი საერთაშორისო კინოფესტივალებსა და, შესაძლოა, ტელევიზიით ჩვენების იმედიც აქვს. რუსეთში კი ოლგა კონსკაიასა და ანდრეი ნეკრასოვის ფილმის მზა ვარიანტი ინტერნეტში დაიდება და, როგორც ანდრეიმ შენიშნა, „ყველაზე დემოკრატიული გზით“ ანუ უფასოდ, DVD-ზეც გავრცელდება. ■



# პატიმარი ქალებისგან გაწუწული სოზარ სუბარის „სვანური გაგება“

## „ადამიანის უფლებების დაცვის დროს ყოველთვის შეუვალი ვიყავი“



**„ხელისუფლება ჩემს მოსყიდვას ცდილობდა, რამდენჯერმე მარეგულირებელი კომისიის წევრობა და უზრუნველი ცხოვრებაც შემომთავაზეს, მაგრამ უარი ვთქვი“, — ამბობს ყოფილი სახალხო დამცველი, ახლა უკვე „ალიანსი საქართველოსთვის“ წევრი სოზარ სუბარი. ის მიიჩნევს, რომ ომბუდსმენის პოსტი მაქსიმალურად გამოიყენა ადამიანის უფლებების დასაცავად, ახლა კი დადგა დრო, საკუთარი ძალები პოლიტიკაშიც მოსინჯოს.**

*ხათუნა ბახტურიძე*

**— ბატონო სოზარ, არჩევანი მაინცდამაინც ალასანიას გუნდზე რატომ შეაჩერეთ?**

— მომწონს ის პროგრამა, რომელიც ამ გუნდს აქვს. დღეს არსებული რეალობიდან გამომდინარე, ქართველებისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია, რომ ჩამოყალიბდეს პოლიტიკური ძალა, რომელიც შეძლებს ხელისუფლების ხელში აღებას, არჩევნების ნებისმიერ დონეზე მოგებასა და ქვეყნის განვითარების გეზის შეცვლას — ავტორიტარიზმიდან დემოკრატიისკენ. ჩემი აზრით, ამის პოტენციალი ალასანიას გუნდს აქვს.

**— რამდენად სამართლიანად მიიჩნევთ ხელისუფლების შენიშვნას — პოლიტიკურ განცხადებებს აკეთებდაო?**

— საერთოდ არ ვიზიარებ. ძალიან ვბრაზდებოდი, როდესაც ხელისუფლების წარმომადგენლები ჟურნალისტებთან საუბრისას ამას ამბობდნენ. აბა, მითხარით, რომელი იყო პოლიტიკური?

**— პოლიტიკური განცხადებები იყო: „საქართველოში იდევნება ოპოზიცია“, „ჩვენს ქვეყანაში არ არის სიტყვის თავისუფლება“, „ხელისუფლება მკვლელებს მფარველობს“...**

— ეს პოლიტიკური განცხადებები კი არა, სიმართლეა. ჩვენმა ოფისმა წელიწადნახევარში 150 ცემის ფაქტი შეისწავლა. აქედან, დღემდე არც ერთი არ არის გამოძიებული. ვალერი გელაშვილი მხოლოდ იმიტომ სცემეს, რომ პრეზიდენტზე ერთი-ორი გადაკრული სიტყვა თქვა. შარშან, აგვისტოს ომის შემდეგ პოლიციელებმა შს სამინისტროს თანამშრომლები — ცინდელიანი და ქარდავა უკვალოდ გააქრეს, სპეცრაზმელი როინ შავაძე კი მოკლეს. მაშინვე ვთქვი, რომ ამ საქმეებს პროკურატურა, ხელისუფლების ინტერესებიდან გამომდინარე, არ გამოიძიებდა. ერთი წლის წინ ეს განცხადება შეიძლება, მართლაც, პოლიტიკურ განცხადებად მიგეჩნიათ, მაგრამ ახლა ხომ აღმოჩნდა, რომ სიმართლეს ვამბობდი?!

**— როდესაც სახალხო დამცველის პოსტზე ახალი დანიშნული იყავით, ოპოზიცია ხელისუფლების მიმართ ლოიალურ დამოკიდებულებაში გადანაშაულებდათ და რამდენჯერმე თქვენ საწინააღმდეგოდ საპროტესტო აქციაც კი გაიმართა. საინტერესოა, პოზიცია რატომ შეიცვალეთ?**

— იმ საპროტესტო აქციაზე ისეთ რამეს მოითხოვდნენ, რაც ჩემი კომპეტენციის ფარგლებში არ შედიოდა. ოპოზიციას სურდა, სამედიცინო კოლეჯის გაუქმების გამო დავპირისპირებოდი ხელისუფლებას. მაშინ მათ ჭკუაზე რომ გამევლო, მერე მმართველი ძალა მართლაც, ობიექტურად დამადანაშაულებდა პოლიტიკური განცხადებების გაკეთებაში. გარწმუნებთ, სახალხო დამცველის თანამდებობაზე დავინიშნე თუ არა, ადამიანის უფლებების დაცვის დროს ყოველთვის პრინციპული და შეუვალი ვიყავი.

**— სხვათა შორის, ერთი პერიოდი იმასაც ამბობდნენ, სუბარი მას შემდეგ დაუპირისპირდა ხელისუფლებას, რაც სვანი კრიმინალები შეავიწროესო...**

— აბა, თეა თუთბერიძე სხვას, უფრო გონივრულს რას იტყოდა?! რა მექნა — აფრასიძეები რომ ამოწყვიტეს, ამაზე ხმა არ ამომეღო?! გირგვლიანის წამებისა და მოკვლის ფაქტი არ გამეპროტესტებინა?! რობაქიძე სვანი იყო, მისი მკვლელობის გამო ერთი ამბავი რომ ავტეხე?! პირველად ხელისუფლებას სვანი კრიმინალების გამო კი არა, კეხვში მომხდარი ინციდენტის გამო დავუპირისპირდი.

**— კეხვში რა ინციდენტი მოხდა?**

— ჩემი არჩევიდან ზუსტად ერთ თვეში ანუ 2004 წლის ოქტომბერში კეხვში რუსეთიდან შემოსული 300 საქართველოს მოქალაქე დააკავეს და ქვეყნის ტერიტორიაზე არ უშვებდნენ. მაშინ შს მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი იყო, რომელთანაც სერიოზული ჩხუბი მომივიდა.

**— ამ ხალხს საქართველოში რატომ არ უშვებდნენ?**

— იმიტომ, რომ ცხინვალის გზის ჩაკეტვა უნდოდათ. შეიძლება, ეს პოლიტიკურად მართლაც, სწორი გადაწყვეტილება იყო, მაგრამ ამ ნაბიჯით საქართველოს მოქალაქეების უფლებებიც ილახებოდა. მოქალაქის დეპორტაციას კონსტიტუცია კრძალავს. მნიშვნელობა არა აქვს, ერთი დღით გააგდებ ადამიანს საკუთარი ქვეყნიდან თუ 2 საათით. ხალხს ეუბნებოდნენ — რუსეთში დაბრუნდით და საქართველოში ყაზბეგი-ლარსის გზით შემოდითო. არადა, უკან დაბრუნების უფლებას მათ რუსეთი არ აძლევდა. იმ საცოდავებმა 4 დღე-ღამე ავტობუსში გაატარეს. კეხვში რომ ჩავედი, ირაკლი ოქრუაშვილი იქ დამხვდა. პირდაპირ ვუთხარი, რომ კანონს არღვევდა და მოვთხოვე, ხალხი საკუთარ ქვეყანაში შემოეშვა. უკან არ დაიხია, ამიტომ მაგრად ვიჩხუბეთ. მერე სააკაშვილს დავურეკე და იქ არსებული სიტუაცია ავუხსენი. როგორც აღმოჩნდა, ისიც ოქრუაშვილის პოზიციას იზიარებდა. სხვა გზა რომ აღარ დამრჩა, მინისტრს ვუთხარი, — აქედან ფეხს არ მოვიცვლი-მეთქი! — და იმ ხალხთან მივედი; მათთან ერთად ვჭამდი და მათთან ერთად ვათევდი ღამეს ავტობუსში. იქ ყოფნის დროს უფრო და უფრო მკაცრ განცხადებებს ვაკეთებდი. ერთხელ ისიც კი ვთქვი: საწყალ ხალხს რომ დაეტაკნენ, იმას მიხედონ, ამ გზით ქვეყანაში კონტრაბანდით დატვირთული „ფურები“ რომ შემოდის-მეთქი. სხვათა შორის, ჩემი განცხადების შემდეგ „ფურების“ მოძრაობა შეწყდა. რა გამოვიდა? ე.ი. ხელისუფლება კონტრაბანდას მარტო იმ ტერიტორიაზე კი არ აკონტროლებდა, სადაც ქართული იურისდიქცია ვრცელდებოდა, არამედ როკის გვირაბის მიმდებარე ტერიტორიაც მის განკარგულებაში იყო. უსამართლობა იქნება, არ აღვნიშნო, რომ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის დროებითი კომისიის მაშინდელი ხელმძღვანელი — ვასილ მაღლაფერიძეც ჩემთან ერთად იცავდა საქართველოს მოქალაქეების უფლებებს. ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებმა მერე ხმებიც კი გაგვივრცელეს, სუბარი და მაღლაფერიძე იმ 300 კაცის ბედით იმიტომ შეწუხდნენ, რომ მათი ნათესავები იყვნენ და რუსეთიდან კონტრაბანდული საქონელი შემოჰქონდათო. თურმე, ნუ იტყვით და, ყველა ჩვენი ნათესავი ერთ დღეს დარაზმულა და რუსეთიდან წამოსვლა გადაუწყვეტია. ეს ხომ აბსურდია!

**— თქვენი აზრით, იმ პერიოდში პრეზიდენტი ოქრუაშვილს რატომ მფარველობდა?**

— იმიტომ, რომ საკუთარი მიზნების მისაღწევად იყენებდა. პრეზიდენტმა სასტუმრო „რედისონის“ პრეზენტაციაზე თქვა, რომ აფრასიძეები მისი ბრძანებით მოკლეს, რომ მისი სურვილი იყო, ბაჩო ახალაია შეუბრალებელი და სასტიკი ყოფილიყო. მე ეს ადრეც ძალიან კარგად ვიცოდი, ახლა კი

საზოგადოებამ თავად სააკაშვილისგან მოისმინა სიმართლე. ერთხელ სააკაშვილს თელიას მკვლელობაზე ველაპარაკე და ვუთხარი, რომ მისი სიკვდილი ხელისუფალთა მიმართ სერიოზულ ეჭვებს აღმიძრავდა (ბოლოს და ბოლოს, ის კაცი წინასწარ იძლეოდა ინტერვიუებს, სადაც ამბობდა, რომ სოდ-ი მოკვლას უპირებდა). მან პირდაპირ მომახალა: — მისი სიკვდილი საზოგადოებისთვის უკეთესიაო. რა გამოდის? ხელისუფლება კრიმინალური მეთოდებით უსწორდება როგორც პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს, ისე სხვა, მისთვის არასასურველ პირებს! ძალიან უცნაურად მეჩვენება უზნაძის ქუჩაზე მომხდარი ინციდენტი და ისიც მაინტერესებს, რატომ შეიწყალა ბატონმა სააკაშვილმა ქურდული მენტალობის მქონე რატი რეხვიაშვილი? თქვენ იცით, რომ ამ პიროვნების საქმე ჩვენთან იყო შემოტანილი? ოღონდ — არა როგორც შესაწყალებელი პირის. ჩვენ ცალკე ვადგენთ იმ ადამიანების სიას, ვინც შეწყალებაზე უარს ამბობს; რეხვიაშვილი კი ერთ-ერთი მათგანი იყო.

— **შეწყალებაზე უარს რატომ ამბობდა?**

— შეწყალებაზე უარს 2 კატეგორიის პატიმრები ამბობენ: ვინც პოლიტიკურ დევნილად მიიჩნევს თავს და ვინც ქურდული მენტალიტეტის მქონეა. ყველამ იცის, რომ რატი რეხვიაშვილი პოლიტიკური პატიმარი არ იყო. გამოდის, რომ ქურდულ სამყაროსთან დაუნდობლად მებრძოლმა პრეზიდენტმა სწორედ „ქურდული ცხოვრების“ მიმდევარი კაცი შეიწყალა და თანაც ისე, რომ მას ეს არც უთხოვია. სააკაშვილის გუნდის წარმომადგენლებმა კრიმინალური ავტორიტეტებიდან ვილაცები მართლაც „გაანეიტრალეს“, მაგრამ ახლა თავად მოგვევლინნენ კრიმინალებად და „ნეოქურდებად“.

— **როგორ მოხდა, რომ ხელისუფლებას, რომელიც პოლიტიკურ ოპონენტებს კრიმინალური მეთოდებით უსწორდება, თქვენ უვნებელი გადაურჩით?**

— რაღა უვნებელი?! დაგავიწყდათ, 7 ნოემბერს სპეცრაზმელებმა როგორ მცემეს?! მაინცდამაინც ჩემი ფიზიკური ლიკვიდაცია უნდა მოეხდინათ?! როდესაც ხალხის დარბევა დაიწყო, მე აქეთ-იქით დავრბოდი და ვცდილობდი, ცემა-ტყეპა შემეჩერებინა. თავიდან სპეცრაზმელები მართლა მიჯერებდნენ და როდესაც რომელიმე მომიტინგეს გადავეფარებოდი, უკან იხევდნენ. დღის მეორე ნახევარში, ბაჩო ახალაიას დაქვემდებარებაში მყოფი სპეცრაზმი გამოუშვეს, რომელმაც პირდაპირ ჩემზე მოიტანა იერიში. როდესაც ხელკეტები დამიშინეს, იქვე მდგომი კაცი აყვირდა: რას შვრებით, ეგ სახალხო დამცველიაო! ამის თქმა იყო და, ის საცოდავიც წიხლქვეშ გაიგდეს...

— **როდესაც ეს ადამიანები თქვენი მეგობრები და თანაგუნდელები იყვნენ, ასეთ კრიმინალურ მიდრეკილებებს ვერ ატყობდით?**

— ვერა. როდესაც ისინი ჩემი მეგობრები იყვნენ, ადამიანის უფლებებსაც იცავდნენ და კანონის უზენაესობასაც აღიარებდნენ. ალბათ იცით, რომ კოტე კუბლაშვილი ერთ-ერთი კარგად დაწერილი წიგნის — „ადამიანის ძირითადი უფლებების“ ავტორია, ზურაბ ადეიშვილმა კი ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი დაწერა, სადაც განსაკუთრებული აქცენტი ინფორმაციის თავისუფლებაზე გააკეთა. სამწუხაროდ, ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ორივე რადიკალურად შეიცვალა.



**სვანებს იუმორს გვიწუნებთ?.. როგორც ჩანს, თქვენ კარგ სვანებს არ იცნობთ**

— **როდესაც ბაჩო ახალაია თქვენი მოადგილე იყო, ადამიანის უფლებებს რამდენად იცავდა?**

— სხვათა შორის, ადამიანის უფლებებს ძალიან აქტიურად იცავდა. ამ კუთხით, საკმაოდ შეუვალი და პრინციპულიც კი იყო. თქვენ რომ ნახოთ მის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტები რობაქიძის მკვლელობის საქმესთან დაკავშირებით, დარწმუნდებით, რომ თავგამოდებული უფლებადამცველი იყო. სასჯელაღსრულების დეპარტამენტში გადასვლის შემდეგ ისიც წარმოუდგენლად შეიცვალა — მერე მისგან მიწევდა ადამიანების დაცვა.

— **როგორც ყოფილი თანამოაზრე, თქვენს თხოვნებს არ ითვალისწინებდა?**

— ერთხელ ბაჩო ჩემთან მოვიდა და მითხრა, რომ ქურდებისა და კრიმინალების წინააღმდეგ სერიოზული ბრძოლისთვის ემზადებოდა და ამ საქმეში მხარდაჭერა მთხოვა. სიმართლე გითხრათ, ჩემთვისაც მისაღები იყო ქურდული სამყაროს წელში გატეხა, „ობშიაკის“ მოშლა; ბაჩოსაც ვაფასებდი იმის გამო, რომ საქვეყნო საქმისთვის სასწორზე შეაგდო როგორც საკუთარი, ისე ოჯახის წევრების უსაფრთხოება და მხარდაჭერა აღვუთქვი. მაგრამ მერე ზღვარს გადავიდა. და იმაშიც დავრწმუნდი, რომ ზოგადად, ქურდების კი არა, კონკრეტული ადამიანების წინააღმდეგ იბრძოდა.

— **რას გულისხმობთ?**

— აღმოჩნდა, რომ ზოგიერთ „ავტორიტეტს“ ის პირადად მფარველობდა.

— **კონკრეტული პიროვნების დასახელება თუ შეგიძლიათ?**

— კი. მისი მფარველობის ქვეშ მყოფი ზუგდიდელი ქურდი, ბაჩო ფირცხელანი ციხის საავადმყოფოში მხოლოდ იმიტომ გადაიყვანეს, რომ თურმე, კოლიტის ნიშნები ჰქონდა. ამ კაცს ციხის საავადმყოფოში საკუთარი აპარტამენტი მოუწყვეს — ოთახში ტელევიზორი, მუსიკალური ცენტრი და მაცივარი დაუდგეს. მისი სამყოფლის სანახავად პირადად მივედი, მაცივარი გამოვაღე და ვნახე, რომ იქ ნამცხვრები, სხვადასხვა მარკის კონიაკები და მარწყვის ტორტიც იდო. ყველა სიკეთესთან ერთად, „შნირიც“ ემსახურებოდა. ეს ყველაფერი ჩემი მობილურით გადავიღე და დღემდე შენახული მაქვს.

— **გაქვთ თუ არა იმის იმედი, რომ ახალი ომბუდსმენიც პრინციპული და მიუკერძოებელი იქნება?**

— გიორგი იურისტია. გარდა ამისა, ევროსაბჭოს წამების საწინააღმდეგო ცენტრის წევრია, რაც მის მაღალ პროფესიონალიზმზე მეტყველებს, მაგრამ ამ საქმეში მხოლოდ გამოცდილება და პროფესიონალიზმი არ არის საკმარისი, მოწოდებით უნდა იყო უფლებადამცველი. როდესაც ქალთა ციხეში ამბოხი დაიწყო, მიუხედავად იმისა, რომ 39 გრადუსი სიცხე მქონდა, იქ მაინც მივედი. მაშინ ოპოზიციონერებმა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა პოლიტიკური განცხადებები გააკეთეს და სახლებში წავიდნენ, მე კი იმ ღამეს ციხის ეზოდან არ გამოვსულვარ. ერთ მომენტში პატიმარი ქალები ჩემზეც გაბრაზდნენ და წყალი მომასხეს.

— **რატომ გაგიბრაზდნენ?**

— ვეუბნებოდი, — არარეალური მოთხოვნები გაქვთ, კარს ნუ ამტვრევთ, თორემ წლებს მოგიმატებენ-მეთქი. — შენ რა პროკურორივით გველაპარაკებიო?! — და ეს სიცხიანი კაცი თავიდან ბოლომდე გამ-



წუწეს. მერე დირექტორის კაბინეტში შევედი, მაგრამ იქიდან ციხის ადმინისტრაციამ გამომაძევა. დილის 7 საათამდე ეზოში ვიყურყუტე. შემდეგ, როდესაც სპეცრაზმი მოვიდა, ჩემს მოადგილესთან, გიორგი ჩხეიძესთან ერთად მათ ვაკვირდებოდი, რომ უფლებამოსილებისთვის არ გადაემეტებინათ. ამის შემდეგ 2 კვირა ლოგინიდან ველარ ავდექი... მარტო მე კი არა, ჩემი თანამშრომლებიც ასე იქცეოდნენ. მაგალითად, სალომე ვარდიაშვილს, რომელიც რუსთავში ცხოვრობს, ზოგჯერ შუაღამისას ურეკავდნენ და დახმარებას სთხოვდნენ. ის მაშინვე დგებოდა და თბილისში ტაქსით მოდიოდა. ამ ყველაფრის პარალელურად, ჩვენ ხელისუფლების მხრიდან მუქარებსა და შანტაჟსაც ვუძლებდით.

— **პირადად თქვენც გემუქრებოდნენ?**

— კიდეც მემუქრებოდნენ და ქრთამსაც მთავაზობდნენ, მაგრამ არაფერი გამოსდიოდათ. მირჩევნია, ჩემს შვილებს კარგი სახელი დავუტოვო, ვიდრე ბევრი ფული და შერცხვენილი სახელი.

— **ამ საკითხთან დაკავშირებით, თქვენი მეუღლის პოზიცია როგორი იყო?**

— ბოლომდე მხარს მიჭერდა.

— **წარმოშობით ისიც სვანია?**

— არა, იმერელია, დედა კი გურული ჰყავს.

— **ერთმანეთის გაგება არ გიჭირთ?**

— რატომ უნდა გვიჭირდეს?

— **იმერლები და გურულები განსაკუთრებული იუმორით გამოირჩევიან...**

— მერე რა, სვანებს იუმორს გვიწუნებთ?.. როგორც ჩანს, თქვენ კარგ სვანებს არ იცნობთ.

— **სააკაშვილის გუნდის ერთ-ერთ წარმომადგენელს — კობა სუბელიანს როგორ სვანებში „ჩაწერთ“?**

— კარგ სვანებში.

— **ერთმანეთთან რაიმე ნათესაური კავშირი თუ გაქვთ?**

— „სვანური გაგებით“, ნათესავები ვართ, ისე — არა.

— **„სვანურ გაგებაში“ რას გულისხმობთ?**

— საერთო წარმოშობის ხალხი ვართ, მაგრამ ორი სხვადასხვა გვარის წარმომადგენლები.

— **ადრე თქვენც ხომ სუბელიანი იყავით?**

— გასული საუკუნის 30-იან წლებში გვარი გაერთიანდა და 2-3 კაცის გარდა, ყველა სუბელიანი გახდა; ახლა კი ყველა სუბარმა ისტორიული გვარის დაბრუნება გადაწყვიტა.

— **ბატონ კობასთან რამდენად ახლო ურთიერთობა გაქვთ?**

— ვერ ვიტყვი, რომ ერთმანეთს ყოველდღე ვნახულობთ და თანაც, აშკარაა, რომ სხვადასხვანაირი პოლიტიკური შეხედულება გვაქვს. ისე, მის ქორწილში ნამყოფი ვარ და ბიჭი რომ შეეძინა, ეს ამბავიც მივულოცე.

■

*დეკლარანტი*

# გიორგი ახვლედიანის მწირი ქონება და მდიდარი სამყარო

## „ჩემი სიმდიდრე „დროების“ ნაჩუქარი მოგზაურობებია“

**„ადამიანს იმდენი ფული უნდა ჰქონდეს, რამდენიც უფულობის პრობლემას მოუხსნის და ბევრი ფულისგან გამოწვეულ პრობლემას არ შეუქმნის“, — ამბობს პარლამენტარი გიორგი ახვლედიანი, რომლის 2009 წლის ქონებრივი დეკლარაცია საკმაოდ მწირია, მასში მხოლოდ ბანკის სასესხო ანგარიში (2.000 დოლარი), მისი და მეუღლის ხელფასი და ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობისათვის გადარიცხული 20.000-ლარიანი შეწირულობაა დაფიქსირებული.**

*თამთა დადეშელი*



***მინიდოსიე:***

***დაიბადა 1974 წლის 7 იანვარს, თბილისში.***

***ჰყავს მეუღლე და ერთი შვილი.***

***განათლება — ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სპეციალობა — თეოლოგია, კვალიფიკაცია — ღვთისმეტყველების პედაგოგი.***

***ამჟამინდელი თანამდებობა: საქართველოს მე-7 მოწვევის პარლამენტის წევრი, ფრაქცია „ქრისტიან-დემოკრატების“ თავმჯდომარე.***

— ჩემს ქონებრივ დეკლარაციას ვინც ნახავს, ეგონება, რომ ჩემზე ღარიბი ადამიანი დედამიწაზე არ დადის *(იცინის)*. ის საკმაოდ მწირია, რადგან ჩემს სახელზე არანაირი ღირებული ნივთი, შენობა, სახლი თუ ა.შ. არ არის გაფორმებული. სადაც დავიბადე და გავიზარდე — მთაწმინდაზე, ის სახლი დედაჩემის სახელზეა რეგისტრირებული. გარდა ამისა, დავიბადე თუ არა, ბაბუამ, რადგან მისთვის პირველი შვილიშვილი ვიყავი, ბორჯომში პატარა სახლი მიყიდა, მაგრამ ვინაიდან კომუნისტების დროს ერთდროულად 2 ადგილას ჩაწერა არ შეიძლებოდა, ის ბებიაზეა გაფორმებული. მოკლედ, ამ სახლსაც ვერ ჩავწერდი დეკლარაციაში.

— **ამჟამად სად ცხოვრობთ?**

— ამჟამად ჭავჭავაძის გამზირზე ვცხოვრობ, მეუღლესთან ერთად. ეს ბინა სიდედრზეა გაფორმებული, რაც დეკლარაციაშიც აღვნიშნე. სხვათა შორის, წელს უკვე ჩემი და ჩემი მეუღლის სახელფასო შემოსავალიც გამოვამზეურე. ის საერთო ჯამში, დაახლოებით, წელიწადში 40.000 ლარს შეადგენს. იმედია, მომავალში მაინც შევიძენ რაიმე ღირებულს.

— **რა მარკის ავტომობილი გყავთ?**

— ამერიკული წარმოების „მაზდა“, რომელიც 1996 წელსაა გამოშვებული და ჩემს სახელზეა გაფორმებული, მაგრამ ვინაიდან 5.000 დოლარზე მეტს ვერ „ქაჩავს“, დეკლარაციაში არ მიწერია. ავტომობილი 3 წლის წინ, სულ რაღაც 4.000 დოლარად, კრედიტით შევიძინეთ და ამ თანხას დღემდე ვფარავთ.

— **სამსახურში რა მანქანა გემსახურებათ?**

— პარლამენტს ჩემთვის „ფოლკსვაგენი“ აქვს გამოყოფილი.

— **რაიმე ანტიკვარული ნივთი თუ გაქვთ ოჯახში, რომელიც თქვენს წინაპრებს ეკუთვნოდა ან თავად შეიძინეთ?**

— სიმართლე გითხრათ, ანტიკვარული ნივთების მოყვარული არ ვარ,

უპირატესობას თანამედროვე სტილის ინტერიერსა და ექსტერიერს ვანიჭებ. თუმცა, ჩემს სიდედრს ძალიან უყვარს ჭურჭელი და მთელი ცხოვრება ვაზების კოლექციას აგროვებდა. მათი ღირებულების შესახებ არაფერი ვიცი, მაგრამ როგორც თავად ამბობს, თითოეული მათგანი კარგი ხარისხისაა და ამიტომაც, სულ ვფრთხილობ, რომ რომელიმე არ გამიტყდეს... პირადად მე, კოლექციონერობით ვერ დავიტრაბახებ, ამის დროც არ მაქვს.

**— არც ბავშვობაში გაგჩენიათ კოლექციონერობის სურვილი?**

— სხვათა შორის, ბავშვობაში მარკების კარგი კოლექცია მქონდა. ჩემი გატაცების შესახებ რომ იცოდნენ, ნათესავებიც ხშირად მჩუქნიდნენ, მაგრამ ვაღიარებ, ჩემს კოლექციაში ძალიან ძვირად ღირებული მარკები არ ყოფილა.

**— ეს კოლექცია ახლაც შენახული გაქვთ?**

— არა. როცა გავიზარდე, ერთ ჩემს უმცროს მეგობარს ვაჩუქე.

**— თუ საიდუმლო არ არის, რამდენია თქვენი დანაზოგი?**

— დანაზოგი არ მაქვს. კრედიტით ძალიან ბევრი რამ გამოვიტანე და მისი დაფარვა ჩემი „საწყალი“ ხელფასის ხარჯზე ხდება. ასე რომ, ყველანაირი გადასახადის დაფარვის შემდეგ ვხვდები, რომ მეორე თვემდე ეკონომიურად უნდა ვიცხოვროთ.

**— ავტომობილის გარდა, კრედიტით კიდევ, რა გაქვთ გამოტანილი?**

— მანქანის კრედიტს (თვეში 400 ლარს ვიხდი) 2010 წლის იანვრის ბოლოს დავფარავ. გარდა ამისა, გამოტანილი გვაქვს საოჯახო ტექნიკა, მაგალითად, გამათბობელი; ამას დაზღვევების გადასახადებიც ემატება, ოვერდრაფტის დავალიანების გადახდის ვალდებულებები და ა.შ. მადლობა უფალს, რომ ვალის გასტუმრების შესაძლებლობა მაინც მაქვს.

**— რამდენია ის მინიმალური თანხა, რომელიც თქვენს ოჯახს თვიდან თვემდე, საარსებოდ ჰყოფნის?**

— დაახლოებით, 1.500-დან 2.000 ლარამდე არის ის ოპტიმუმი, რომლითაც ვცდილობთ, თვიდან თვემდე თავი გავიტანოთ. თუმცა, რა თქმა უნდა, ეს არ არის ის თანხა, რომლითაც ადამიანს თავისუფალი არჩევანის გაკეთების საშუალება აქვს. იმედი მაქვს, ჩვენს ქვეყანაში დადგება ისეთი დრო, როცა მდიდარი ადამიანების არსებობით ვიამაყებთ და ქრისტიან-დემოკრატები ამაში დიდ წვლილს შევიტანთ. ჩვენ სწორედ წარმატებული, შეძლებული ადამიანების მომრავლებაზე ვართ ორიენტირებული... არასოდეს მიოცნებია ბევრ ფულზე და მილიარდებზე. ადამიანს იმდენი ფული უნდა ჰქონდეს, რამდენიც უფულობის პრობლემას მოუხსნის და ბევრი ფულისგან გამოწვეულ პრობლემას არ შეუქმნის.

**— თქვენი მეუღლე სად მუშაობს?**

— ერთი თვეა, რაც უმუშევარია. რაღაც შემოთავაზებები აქვს და იმედია, მალე შეუდგება საქმიანობას. ადრე ისიც ტელეკომპანია „იმედში“, მარკეტინგის მენეჯერად მუშაობდა და იმ ცნობილი, დიდი რეფორმების შემდეგ, რომელიც „იმედში“ ახალმა ხელმძღვანელობამ განახორციელა, მისი შტატიც გაუქმდა; მოგეხსენებათ, ყოველგვარი არგუმენტაციისა და მოტივის გარეშე სამსახურიდან 85 ადამიანი დაითხოვეს. მოკლედ, ამ ტელეკომპანიაშიც იგივე პოლიტიკაა გატარებული, რაც ზოგადად, ქვეყანაში.

*დატვირთული სამუშაო გრაფიკის მქონე პარლამენტარი სულიერი საზრდოს მიღებაზეც ზრუნავს და თავისუფალ დროს მეუღლესთან ერთად, სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებასაც ესწრება. თეატრში, კინოთეატრში, პრეზენტაციასა თუ მოდების ჩვენებაზე შეძლებისდაგვარად, ხშირად დადის.*

*ალბათ, ყველას ახსოვს „დროებისათვის“ გაკეთებული მისი სიუჟეტები, რომლებსაც ახლა პოლიტიკოსი სიამოვნებით იხსენებს.*

**— საზღვარგარეთ ხშირად მოგზაურობდით. ყველაზე მეტად რომელმა ქვეყანამ დაგამახსოვრათ თავი?**

— „იმედში“ მუშაობის დროს თვეში 2-3 ქვეყანაში მიწევდა წასვლა. ევროპის თითქმის ყველა ქვეყანაში ნამყოფი ვარ, გახლდით რამდენიმე ეგზოტიკურ ქვეყანაშიც — ბრაზილიაში, ავსტრალიაში. ეს ჩემი უდიდესი სიმდიდრეა, რომელიც „დროებამ“ მაჩუქა. განსაკუთრებით გამოვარჩევდი ისრაელს — იერუსალიმს, ცეცხლის გარდამოსვლის დღეს, როდესაც წილად მხვდა ბედნიერება, ეს უდიდესი სასწაული მენახა. იქ განცდილის გადმოცემა გამიჭირდება; ძალიან ლამაზად და საინტერესოდ მახსენდება ბრაზილია, განსაკუთრებით — რიოს კარნავალი. ჩემთვის დაუვიწყარია ავსტრალიაში გატარებული დროც. არა მარტო სიდნეიში ვიყავი, არამედ ქალაქ დარვინშიც მომიხდა ჩასვლა, სადაც კაკადუს პარკია. ავსტრალია გაოცებს თავისი ტყეებით, მსოფლიოში ყველაზე დიდი ნიანგებით, ობობებით, გველებით და ა.შ.

**— არ გეშინოდათ?**

— თუ ჭკვიანად მოიქცევი და გიდს დაუჯერებ, თუ რომელიმე ბუჩქში ფეხს არ გადაყოფ და ბილიკზე ივლი, მაშინ ნაკლები შანსია, რაიმე დაგემართოს. თუმცა, როცა მიდიხარ და ხედავ წარწერას: შენ გარშემო, 5 კილომეტრის რადიუსში, ნიანგები არიან და ფრთხილად იყავიო, რა თქმა უნდა, მთლად მშვიდადაც ვერ იქნები. ავსტრალია არა მარტო ცხოველების გამოა საინტერესო, არამედ აბორიგენი მოსახლეობის, მისი კულტურის თვალსაზრისითაა უნიკალური. როცა 6000 წლის წინ კედლებზე გაკეთებულ ნახატებს, გამოქვაბულებში „მოწყობილ“ გამოფენას — მსოფლიოში ყველაზე ძველი მხატვრობის ნიმუშებს უყურებ, დიდი შთამბეჭდილების ქვეშ ექცევი... მოკლედ, ძალიან ბევრი მოსაგონარი მაქვს ამ მხრივ და შემიძლია, დაუსრულებლად ვისაუბრო.

**— პროფესიით ღვთისმეტყველების პედაგოგი ხართ; საერთოდ, გიმუშავიათ ამ განხრით?**

— არა. 1992 წელს, როდესაც ფილოსოფია-სოციოლოგიის ფაკულტეტზე ჩავაბარე, ძალიან რთული პერიოდი გახლდათ. ბუნებით ჰუმანიტარი ვარ და ეს იყო ის ფაკულტეტი, რომელზეც მაქსიმალურად მივიღებდი ზოგად განათლებას ამ სფეროში, თანაც, ისეთი ძლიერი პედაგოგები და პროფესორები მყავდნენ, ეს ყველანაირად შესაძლებელი იყო, რა თქმა უნდა, თუ მოინდომებდი. შესაბამისად, განხრა — თეოლოგია ავირჩიე იმიტომ, რომ ყოველთვის მაინტერესებდა. მეოთხე კურსზე ვსწავლობდი, როდესაც პარალელურად, ტელევიზიაში, პირველ არხზე დავიწყე მუშაობა, სადაც 1994-დან 2003 წლამდე ვიყავი, შემდეგ — „ტელეიმედში“. ამიტომ, პროფესიით ვერ ვიმუშავე. თეოლოგიური ცოდნა და გამოცდილება, ჩემი მხრიდან, ნაწილობრივ, ჟურნალისტიკის სფეროში იყო რეალიზებული.

**— როგორ გგონიათ, ოდესმე კვლავ დაუბრუნდებით ჟურნალისტიკას?**

— იცით, ამ თემაზე ბევრი მიფიქრია. ყოველთვის ვამბობდი, რომ მე არ ვარ ჟურნალისტი და ამ სფეროში ვიმუშავებ მანამ, ვიდრე ეს პროცესი იმდენ ენერგიას მომცემს, რომ მეორე დღეს ყველაფერი ისევ სიამოვნებით ვაკეთო-მეთქი. სამწუხაროდ, ახლა, როდესაც ამ ხელისუფლების დამსახურებით, „დროების“ პერიოდი დასრულდა და შესაბამისად, ის არეალი, სადაც ჩვენ ვმუშაობდით და რაც შევქმენით, დაინგრა, მივხვდით, რომ იქ საქმის კეთება აღარ გამოდიოდა; თუ მუშაობას განვაგრძობდით, ხელისუფლების დაკვეთა უნდა შეგვესრულებინა, რაც ჩვენთვის მიუღებელი იყო. დღეს, როცა პოლიტიკაში წამოვედით, ჩემი ერთ-ერთი მიზანი ისიცაა, რომ ადრე თუ გვიან, საქართველოში ისევ ის რეალობა დაბრუნდეს... პირადად მე, ყველაფერს გავაკეთებ, რათა ქვეყანაში შეიქმნას ისეთი სიტუაცია, რომ არა მხოლოდ „იმედს“, არამედ ყველა ტელეკომპანიას ჰქონდეს სრული თავისუფლება. ■

# „კედლის გარეშე“, „აინციხარა“ და ერთი მიწის შვილების ტკივილი

## ომი, რომელიც 13 თვე და 13 დღე გაგრძელდა

**1978 წლის 1-ელ სექტემბერს, აფხაზეთში, სოფელ ბზიფის ქართულ სკოლაში მისულ მოსწავლეებს მერხებზე დახვდათ წარწერა: „სიკვდილი ქართველებს!“ სკოლის ეზოში კი კოცონზე „დედაენა“ იწვოდა. ბავშ-ვების უსაფრთხოების დაცვის მიზნითა და პროტესტის ნიშნად, სკოლამ ერთი თვით მუშაობა შეწყვიტა...**

ემა ტუხიაშვილი
ხათუნა ბახტურიძე

*ქართულ-აფხაზური შეიარაღებული კონფლიქტი 13 თვე და 13 დღე გაგრძელდა.*

*1993 წლის 27 სექტემბერს სოხუმი დაეცა. ქალაქის აღების შემდეგ, სეპარატისტთა მებრძოლებმა დარჩენილი მოსახლეობის ხოცვა მოაწყვეს. ადგილობრივი მთავრობის წევრები — ჟიული შარტავა, გურამ გაბისკირია და რაულ ეშბა, რომლებმაც ქალაქის დატოვებაზე უარი თქვეს, მთავრობის სახლის წინ დახვრიტეს. რამდენიმე დღეში სეპარატისტთა ძალებმა აფხაზეთის თითქმის მთელი ტერიტორია დაიკავეს. რეგიონში ეთნიკურ წმენდას გადარჩენილი 250 ათასზე მეტი ქართველი საკუთარ სამშობლოში ლტოლვილად იქცა...*

ოკუპირებულ ტერიტორიასთან სიახლოვის გამო სამეგრელოს ძალოვნები დღემდე საგანგებო რეჟიმში მუშაობენ. ენგურს გაღმა კი რუსი დამპყრობლები, ქართველებისა და აფხაზების კიდევ უფრო გასახლეჩად, „ბერლინის კედელს“ აშენებენ.

*სწორედ ამ კედლის დასანგრევად, სოხუმის დაცემის დღეს, ზუგდიდში უამრავმა ადამიანმა მოიყარა თავი. აქციასაც ასე ეწოდებოდა — „კედლის გარეშე“. ამ ტრაგიკულ თარიღს თითქოს ბუნებაც დასტიროდა — 27 სექტემბერს დასავლეთ საქართველოში გადაუღებლად წვიმდა. უამინდობის მიუხედავად, ქოლგებს შეფარებული ზუგდიდელები, თვალზე ცრემლმორეულები ათვალიერებდნენ ქუჩებში გამოფენილ ბანერებს, რომლებზეც გამოფენილი იყო რუსეთის მიერ 1783 წლიდან დღემდე განხორციელებული აგრესიის ამსახველი ფოტოები და დოკუმენტები. აქციის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა, შს სამინისტროს საარქივო სამმართველომ ზუგდიდელებს აფხაზეთის თემაზე გადაღებული დოკუმენტური ფილმი — „გინდიას საქმე“ უჩვენა და საჩუქრად, ჟურნალ „საარქივო მოამბის“ ის ნომერი დაარიგა, რომელშიც ქართულ, ინგლისურ და აფხაზურ ენებზე, დღემდე გასაიდუმლოებული დოკუმენტებია გამოქვეყნებული.*



კედლის დასანგრევად, სოხუმის დაცემის დღეს, ზუგდიდში უამრავმა ადამიანმა მოიყარა თავი

*აქციაზე „კედლის გარეშე“, ქართველების მხარდამხარ, აფხაზებიც იდგნენ. ბევრმა საკუთარი ვინაობის დასახელება არ ისურვა, რადგან საღამოს, ენგურის ხიდის გავლით ან სულაც შემოვლითი გზით, გალის რაიონში, რუსების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე უნდა დაბრუნებულიყო...*

რუსლანი, *28 წლის:*

— იმედი მაქვს, რომ გაისად ამ თარიღის აღსანიშნავად, სოხუმში შევიკრიბებით. ჩვენ და ქართველები ერთი სისხლი და ხორცი ვართ, აფხაზეთი კი — საქართველოს განუყოფელი ნაწილი. ხშირად ვურთიერთობ ჩემს ქართველ მეგობრებთან ინტერნეტით და ამ აქციის შესახებაც მათგან შევიტყვე. ქართულ-აფხაზური კონფლიქტი ჩვენი — ქართველებისა და აფხაზების ტკივილია და ჩვენვე უნდა მოვიშუშოთ. ახლა აფხაზეთში ბავშვებს რუსეთის დაკვეთით დაწერილ ისტორიას ასწავლიან, სადაც ყველა ისტორიული ფაქტი გაყალბებულია. მინდა, რადაც უნდა დამიჯდეს, ეს დოკუმენტური ფილმი — რომელსაც აფხაზური ტიტრებიც ადევს, და ჟურნალებიც, აფხაზეთში ჩავიტანო და გავავრცელო, რათა რუსების ტყუილს დოკუმენტურად დადასტურებული სიმართლე დავუპირისპირო. ჩემს თაობას აფხაზეთის ომი ფაქტობრივად, არ ახსოვს. მართალია, ორივე მხარეს გვყვანან დაღუპული ახლობლები, ნათესავები, მაგრამ ხომ უნდა გავაცნობიეროთ, თუ ვინ დგას ამ ყველაფრის უკან?! ცოტა ხნის წინ ჩემს ქართველ მეგობარს, მისი თხოვნით, მისი სოხუმური სახლის ფოტოები გავუგზავნე; მეორე დღეს უშიშროებაში დამიბარეს და დამკითხეს(!). რუსეთი ცდილობს, ქართულ-აფხაზური ურთიერთობები გააკონტროლოს, მაგრამ თუ მოვინდომებთ, ჩვენ შორის ჩამტვრეული ხიდის აღდგენას მაინც შევძლებთ.

ირენა აგუმბა, *არასამთავრობო ორგანიზაცია „აინციხარას“ წევრი:*

— სოხუმში დავიბადე. ომის შემდეგ, ოჯახთან ერთად, თბილისში ჩამოვედით და მას მერე იქ ვცხოვრობთ. შერეული ოჯახი მაქვს: დედა — ქართველია, მამა კი — აფხაზი იყო. მინდა, ჩემი შვილი ისე გავზარდო, რომ აფხაზი ერის სიყვარულიც შთავუნერგო და ქართველებისაც. მამაჩემის ყველა ნათესავი აფხაზეთში ცხოვრობს და ომის შემდეგ აღარავინ მინახავს. ახლა შევქმენით არასამთავრობო ორგანიზაცია — „ერთი მიწის შვილები“; ვფიქრობ, აფხაზეთში მცხოვრები ჩვენი მეგობრები, ნათესავები მოგვისმენენ, დაგვიჯერებენ — ჩვენ ხომ ერთი სული გვაქვს, ერთი ისტორია და ერთად უნდა ვიყოთ!.. ინტერნეტით ხშირად ვესაუბრები ჩემს იქაურ ნათესავებს, თანაკლასელებს. კონფლიქტი ჩვენ შორის არ არსებობს, მაგრამ მაინც ვცდილობთ, პოლიტიკაზე არ ვილაპარაკოთ.

ზაირა ჩაგინავა, *ზუგდიდის მკვიდრი:*

— ამ ომმა ჩვენს ზურგზე გადაიარა; ვნახეთ, როგორ გადმოდიოდნენ თოვლსა და ყინვაში დევნილები. მაშინ ჩემმა ოჯახმაც შეიფარა დევნილები. ენგურს აქეთაც და ენგურს იქითაც უამრავი ნათესავი მყავს. ბოლო დროს, მეტ-ნაკლებად აღვადგინეთ ერთმანეთთან ურთიერთობა. ზოგი ახერხებს და დროდადრო ჩვენთან სტუმრად ჩამოდის. შემდეგ ძალიან კი ვღელავთ იმაზე — როგორ დაბრუნდება სტუმარი სახლში, რუსების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე... გალში უფრო ადვილია გადასვლა; სოხუმში რომ ჩახვიდე,

აუცილებლად ვინმე, იქაური მასპინძელი უნდა დაგვხვდეს. დევნილებს აქაც უჭირთ და არც იქ, აფხაზეთში მცხოვრებთ აქვთ დალხინილი ცხოვრება. უმეტესობა მიწათმოქმედებითა და ვაჭრობით ირჩენს თავს. ჩვენთან დახმარებას მაინც იღებენ; მართალია, ცოტაა, მაგრამ სულ არაფერს ხომ სჯობია...

*დადიანების სასახლეში შეკრებილთა წინაშე გამოსვლისას, აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის თავმჯდომარემ* **გია ბარამიამ** *ენგურს გაღმა მყოფ აფხაზებს პირდაპირი ეთერით შეახსენა აფხაზეთისა და სამეგრელოს მთავრებს შორის 1815 წელს ამავე სასახლეში გაფორმებული ერთგულების ფიცი; დრო, როდესაც ჩვენი წინაპრები ქართული სახელმწიფოს ჩამოსაყალიბებლად ერთად იბრძოდნენ და სთხოვა, დაივიწყონ უთანხმოება, რომელიც აფხაზებსა და ქართველებს შორის რუსული სპეცსამსახურების მუშაობის შედეგად ჩამოვარდა. ჩემს კითხვაზე, — აქვს თუ არა იმედი, რომ მის მიმართვას აფხაზები ყურად იღებენ? — უპასუხა:*

— აფხაზმა ხალხმა რუსული პოლიტიკის შედეგი ერთხელ უკვე იწვნია — მუჰაჯირობის სახით — და მისი მოაზროვნე ნაწილი ხვდება, რომ მსგავსი პროცესი ახლაც დაწყებულია. მე მზად ვარ, პირადად ვიბრძოლო აფხაზი ეთნოსის გადასარჩენად. მართალია, სეპარატისტებს ამის გახსენება არ სურთ, მაგრამ ისტორიული სინამდვილე ის არის, რომ ქართველები და აფხაზები ერთმანეთს საკუთარი სიცოცხლის ფასად ვიცავდით და ამ ტრადიციისთვის არც რუსების მიერ ინიცირებული ძმათამკვლელი ომის დროს გვიღალატია. ჩემი ნათლია აფხაზი იყო და ის ჩემს ოჯახს ისევე თავგანწირულად იცავდა, როგორც მე — მისას. როდესაც სოხუმი დაეცა, ჩემმა მშობლებმა გამოქცევა ვერ მოასწრეს და მის ოჯახს შეაფარეს თავი. მართალია, საიმედო „საფარში" იყვნენ, მაგრამ ფანჯრიდან ხედავდნენ, თუ როგორ ძარცვავდნენ მათ სახლს აფხაზი მაროდიორები... ერთ საღამოს მამამ საკუთარი სახლიდან ნივთების ჩუმად გამოტანა გადაწყვიტა, მაგრამ გზაზე გადავიდა თუ არა, ბოევიკებს შეეჩეხა. იცნეს, ქართველი რომ იყო და დახვრეტა დაუპირეს. მამას ჩემი ნათლია გადაეფარა და ბოევიკებს უთხრა, რომ ვიდრე მეგობარს მოუკლავდნენ, მისი მოკვლა მოუხდებოდათ. არძინბას მკვლელები წონასწორობიდან გამოიყვანა იმ ფაქტმა, რომ აფხაზი ქართველი კაცის გადასარჩენად საკუთარ სიცოცხლეს წირავდა და მისი მოკვლაც გადაწყვიტეს. საბედნიეროდ, ამ დროს ნათლიის ნათესავები გამოჩნდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ისინიც მეომრები იყვნენ, მამაჩემის გამო საკუთარ თანამებრძოლებს დაუპირისპირდნენ... ძალიან ბევრი ასეთი ამბის გახსენება შემიძლია, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ჩვენ შორის ჯერ კიდევ არსებობს ნათესაური, ძმური კავშირი. დღესაც ყურში ჩამესმის სტუდენტობის პერიოდში გაგონილი, ცნობილი აფხაზი საზოგადო მოღვაწის, მიხეილ ბლაჟბას სიტყვები, რომლებიც მან სამეგრელოში, სოფელ რუხში „მეგობრობის სახლის" გახსნისას წარმოთქვა: „როდესაც საუბარია ხალხთა მეგობრობაზე და გულისხმობენ ქართველებისა და აფხაზების ურთიერთობას, მე მთელი არსით წინააღმდეგი ვარ, რადგან ქართველები და აფხაზები ძმები არიან და ძმებს შორის მეგობრობაზე საუბარი ზედმეტია"...

*სოხუმის დაცემის დღეს ქართველები და აფხაზები ერთნაირი ტკივილით იხსენებდნენ და ამბობდნენ, რომ კრემლმა თავისი ჩანაფიქრი იმ მოღალატე და უღირსი ადამიანების დახმარებით შეასრულა, რომლებიც მაშინ ორივე მხარეს მრავლად იყვნენ. გია ბარამიამ კიდევ ერთხელ დიდი გულისტკივილით გაიხსენა შევარდნაძის მიერ გადადგმული საბედისწერო ნაბიჯი:*

— სოხუმისთვის გადამწყვეტ ბრძოლას წინ უძღოდა შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტისა და კონფლიქტის ზონიდან სამხედრო ტექნიკის გაყვანის შესახებ, რომელიც მხარეებს შორის 27 ივლისს სოჭში დაიდო. როდესაც „შერიგების მემორანდუმი" გაფორმდა, გადაწყდა, რომ ყველა საჯარისო ფორმირება უნდა განიარაღებულიყო, მაგრამ რეალურად, მხოლოდ ქართული მხარის განიარაღების პროცესი კონტროლდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ჟიული შარტავა შევარდნაძეს დაჟინებით სთხოვდა, მასაც წამოეყენებინა რუსებსა და აფხაზ სეპარატისტებზე მსგავსი მონიტორინგის დაწესების მოთხოვნა, მან ეს არ გააკეთა. შემდეგ, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს ათივე დეპუტატმა შევარდნაძეს მაგიდაზე დაუდო ოთხმხრივი კომისიის ოქმი, სადაც ნათლად ჩანდა, რომ მხოლოდ ქართული შენაერთების განიარაღება ხდებოდა. ის ამ ფაქტსაც მშვიდად შეხვდა და სხვებსაც სიმშვიდისკენ მოუწოდა. ბოლოს შარტავამ ისლა სთხოვა, — რუსებს ასე ბრმად თუ ენდობით, ნება თქვენია, მაგრამ სექტემბერში სკოლებში სწავლას მაინც ნუ განაახლებთო. „პანიკას ნუ აჰყვებით", — ეს იყო მისი პასუხი. როგორც მოსალოდნელი იყო, 16 სექტემბერს რუსებმა და აფხაზმა სეპარატისტებმა სოხუმზე ფართომასშტაბიანი იერიში მიიტანეს — ზღვიდან, ჰაერიდან და სახმელეთო მისადგომებიდან. საქართველოს მთელი შეიარაღება კი ამ დროს უკვე ფოთში იყო... ახლა თავად გამოიტანეთ დასკვნა, შეცდომა იყო ეს თუ — ღალატი?!

ჩემი აზრით, ეს მუხანათური ღალატი იყო, რომელსაც რამდენიმე ათასი ქართველის სიცოცხლე შეეწირა...

*მართალია, ზუგდიდში არ ჩამოსულა, მაგრამ ჟურნალისტებთან საუბრისას, მუხანათურ ღალატზე ისაუბრა სოხუმის მერის ყოფილმა მოადგილემ, „ალიანსი საქართველოსთვის" წარმომადგენელმა* **გია ჩიქოვანმაც***:*

— ომი დაახლოებით 2 დღის დაწყებული იყო, როცა აფხაზეთიდან მხოლოდ არძინბა და რამდენიმე სხვა ადამიანი იყო გაქცეული. ყველა ცდილობდა, სისხლის ღვრა არ დაეშვა. ამ მიზნით, ჩემს კაბინეტში აფხაზეთის ინტელიგენცია შეიკრიბა. არ დამავიწყდება ერთ-ერთი მათგანის სიტყვები: ჩვენ ძმები ვართ და მიუხედავად გარკვეული უთანხმოებისა, სისხლი არ უნდა

**ომი დაახლოებით 2 დღის დაწყებული იყო, როცა აფხაზეთიდან მხოლოდ არძინბა და რამდენიმე სხვა ადამიანი იყო გაქცეული**



**შარტავამ ისლა სთხოვა, — რუსებს ასე ბრმად თუ ენდობით, ნება თქვენია, მაგრამ სექტემბერში სკოლებში სწავლას მაინც ნუ განაახლებთო**





**16 სექტემბერს რუსებმა და აფხაზმა სეპარატისტებმა სოხუმზე ფართომასშტაბიანი იერიში მიიტანეს — ზღვიდან**

დაიღვაროს, არძინბა კი აფხაზი ერის მტერია და მას ჩვენ თვითონ გავაქცევთ აფხაზეთიდან! მოდი, ახლა ერთად დავდგეთო... მიუხედავად ხალხის ამგვარი პოზიციისა, გარკვეული ძალები, როგორც ქართველები, ისე აფხაზები, სიტუაციის გამწვავებას ხელოვნურად ცდილობდნენ.

*ჩიქოვანი იმასაც ფიქრობს — შევარდნაძეს პოლიტიკური კონიუნქტურის მიხედვით რომ არ ემოქმედა და მხოლოდ საკუთარი სავარძლის შენარჩუნებისთვის არ ეზრუნა, აფხაზეთს არ დავკარგავდითო. შევარდნაძის ხელისუფლება მხოლოდ საკუთარ კეთილდღეობაზე რომ ზრუნავდა და ქვეყნის ბედი არ ანაღვლებდა, ამაზე ერთ-ერთი დევნილის მოგონებაც მოწმობს:*

— სოხუმის დაცემის შემდეგ აფხაზმა სეპარატისტებმა, რუსებმა და ჩრდილოკავკასიელებმა არნახული ხოცვა მოაწყვეს. აფხაზეთიდან უკანმოუხედავად გაიქცნენ შევარდნაძე და გამსახურდია, თავიანთი რაზმებით. სოხუმი მხოლოდ ადგილობრივი მთავრობის წევრებმა — ჟიული შარტავამ, გურამ გაბისკირიამ და რაულ ეშბამ არ დატოვეს. ამ ადამიანებმა ღირსეულად იცხოვრეს და ღირსეულად დაიღუპნენ. დახოცვას გადარჩენილმა ხალხმა თავს გაქცევით უშველეთ. ყველაზე საშინელი ის იყო, რომ ქალებით და ბავშვებით სავსე ავტოკოლონას ქართველმა ჯარისკაცებმა ტანკებით გაგვასწრეს. ერთ-ერთი მანქანიდან კიტოვანმა თავი გადმოყო და ქუდი დაუვარდა. ჩემს მეზობელს ის ქუდი დღემდე აქვს შენახული...

*აქციაზე, პოლიტიკოსები მოვლენებს პოლიტიკურ შეფასებებს აძლევდნენ, ისტორიკოსები — წყაროების მოშველიებით, ისტორიულ ჭრილში განიხილავდნენ ქართულ-აფხაზური კონფლიქტის გენეზისს...*

ვახტანგ გურული, *საქართველოს საპატრიარქოს ქართული უნივერსიტეტის პროფესორი:*

— დღეს ქართული საისტორიო მეცნიერება ძალზე რთული პრობლემის წინაშე დგას. ისტორია პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი გახდა. ცალკე აფხაზები აყალბებენ საქართველოს ისტორიას, ცალკე — ოსი სეპარატისტები, ცალკე — რუსები. ისეთი ნაშრომები გვხვდება, რომლის კრიტიკა, ფაქტობრივად, შეუძლებელია: თითოეული სიტყვა — სიყალბეა! როგორ უნდა ვუპასუხოთ ამ ცრუისტორიკოსებს? ერთადერთი გამოსავალია, გამოვაქვეყნოთ ის დოკუმენტები, რომლებიც არქივებშია დაცული და ნათელს ჰფენს რუსეთის ანტიქართულ პოლიტიკას. ჩემი აზრით, მონოგრაფიების წერაზე ჯერჯერობით ხელი უნდა ავიღოთ და გამოვაქვეყნოთ ის უამრავი დოკუმენტი, რომელიც არქივებშია დაცული, და ასე ვამხილოთ რუსეთის პოლიტიკა საქართველოს მიმართ. ერთ მაგალითს მოვიყვან, რომელიც სრულიად აშიშვლებს რუსეთის ანტიქართულ პოლიტიკას. არქივში დაცულია ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის, გერშელმანის საიდუმლო მოხსენება, რომელსაც ის კავკასიის კოლონიურ ადმინისტრაციას უგზავნის. „აფხაზეთის გარუსების საქმე კარგად მიდის, — წერს ის, — მაგრამ ხელს გვიშლის რაღაც მომენტები. ერთ-ერთია — თუ ქართველები არ გავასახლეთ აფხაზეთიდან, ისე აფხაზებს ვერ გავარუსებთ. თუ აფხაზები არ მოვწყვიტეთ ქართულ კულტურას, ქართულ ეკლესიას, ისე აფხაზებს ვერ გავარუსებთ"... შეიძლება ითქვას, რომ უკანასკნელი 3 საუკუნის მანძილზე რუსეთში ანტიქართული პოლიტიკა ყალიბდებოდა და ეტაპობრივად ხორციელდებოდა.



**აქციაზე „კედლის გარეშე", ქართველების მხარდამხარ, აფხაზებიც იდგნენ**

ქეთევან როსტიაშვილი, *თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი:*

— რუსეთი მსოფლიო ასპარეზზე სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას წარმართავს. რისთვის იბრძვის რუსეთი? აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორია, ერთად აღებული, დაახლოებით 14 ათას კვადრატულ კილომეტრს შეადგენს, რუსეთის სახელმწიფო კი მოგეხსენებათ, 17 მილიონ კვადრატულ კილომეტრზეა გადაჭიმული. წარმოიდგინეთ — ტერიტორიით მსოფლიო ლიდერი ამ 14 ათას კილომეტრს ეპოტინება! აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი რუსეთისთვის არ არის მნიშვნელოვანი, საქართველოა ამ ბრძოლის მიზანი და რეალურად, მიმდინარეობს ბრძოლა საქართველოსთვის: თუ რუსეთი საქართველოს ხელში ჩაიგდებს და გააკონტროლებს, ფაქტობრივად, კავკასიას გააკონტროლებს, მაგრამ თუ კავკასიას დაკარგავს, ფაქტობრივად, სამხრეთ რუსეთის ტერიტორიებსაც დაკარგავს, რადგან ეს ერთმანეთზე ისტორიულად გადაჯაჭვული ტერიტორიებია. ორი ტენდენციის შესახებ მინდა გითხრათ. ცნობილია — როგორც დასავლელი, ასევე რუსი მეცნიერებისთვის, — რომ XVI საუკუნიდან მოყოლებული, რუსეთი გამუდმებით ასობით კვადრატულ კილომეტრ ტერიტორიას იმატებდა. ამ პროცესმა პიკს მიაღწია მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, სტალინის მმართველობის დროს, როდესაც რუსეთი აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპას აკონტროლებდა, ხოლო დასავლეთ ევროპაზე უდიდესი გავლენა ჰქონდა, იქაური კომუნისტური პარტიების მეშვეობით. რუსეთს მსოფლიო ბატონობის ამბიციაც გაუჩნდა... დეზინტეგრაციისას, ამ მსოფლიო იმპერიამ ჯერ ცენტრალური ევროპა დაკარგა, როდესაც ბერლინის კედელი დაინგრა, შემდეგ — აღმოსავლეთ ევროპა, სოციალისტური ბანაკი — „ვარშავის ხელშეკრულების" მონაწილე ქვეყნები და ბოლოს, საბჭოთა რესპუბლიკები. ეს დეზინტეგრაცია ობიექტური ისტორიული პროცესია და სწორედ ამის ეშინია რუსეთს. ეშინია, რომ შესაძლოა, ამ პროცესმა მოსკოვამდეც კი მიაღწიოს და, როგორც ივანე მრისხანეს დროს გახლდათ მოსკოვი პატარა რეგიონული ცენტრი და პერიფერიული სახელმწიფო, შესაძლოა, ახლაც ასევე დაემართოს...

შოთა მალაშხია, *ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის დროებითი საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარე:*

— დღეს უკვე სხვა რეალობაა — დასავლეთი და მთელი მსოფლიო ჩვენთან ერთად აპირებს ამ პრობლემის მოგვარებას. XXI საუკუნეში ვცხოვრობთ და ახალი „მიუნხენის გარიგება", „ავსტრიის ანშლუსი", ახალი „რიბენტროპ-მოლოტოვის პაქტი" არ შედგება. იმ კედლით, რომლის აშენებაც რუსეთს უნდა, მან ფაქტობრივად, თვითიზოლაციის პროცესი დაიწყო. ეს არ არის კედელი, რომელიც საქართველოს ძირძველ ტერიტორიას ძირითადი ნაწილისგან ყოფს, — მათ უნდათ, თვით აფხაზები გახლიჩონ... აფხაზეთა ის ნაწილი, რომელიც საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე ცხოვრობს, თავის პოზიციას გამოხატავს. მათ იციან, რომ ერის თვითმყოფადობას რეალური საშიშროება ექმნება. ერთადერთი გზა, რომელიც აფხაზების, ოსებისა და საქართველოში მცხოვრები სხვა ერების თვითმყოფადობის შენარჩუნებას უზრუნველყოფს, ეს არის ძლიერი ქართული სახელმწიფო. მაგრამ მოსახლეობის სათანადო ინფორმირებაა საჭირო. ხალხმა უნდა იცოდეს, თუ რა ხდებოდა საუკუნეების წინ, კომუნისტების პერიოდში, როგორ ხდებოდა აფხაზების გამოყენება ქართული სახელმწიფოსა და საკუთარი ეთნოსის წინააღმდეგ. ჩვენ უნდა დავძლიოთ ეს პრობლემა, რათა რუსეთმა ვერ აგოს კიდევ ერთი „ბერლინის კედელი". XXI საუკუნეში ახალი ჰიტლერის დაბადებას არავინ დაუშვებს. ■

# ბათუმისა და იაპონიის „დაძმობილება“, „დაშინებული“ სტუმრები და სავიზიტო ბარათად ქცეული ნიამორის ყანწი

*ლიკა ქაჯაია*

**წლების წინ, ერთმა ინგლისელმა მწერალმა ასეთი ჩანაწერი გააკეთა: „იაპონიაში ჩასვლიდან 6 კვირის შემდეგ ვიგრძენი, რომ იაპონია გავიცანი, 6 თვის შემდეგ მივხვდი, რომ იაპონიის შესწავლას სწორედ ახლა ვიწყებდი, კიდევ 6 წლის შემდეგ კი აღმოვაჩინე, რომ იაპონია ჯერჯერობით არ გამიცნია“. მართლაც, ეს უცნაური და საინტერესო ქვეყანა და ერი ყოველთვის ახერხებს ჩვენს გაოცებას თავისი მიღწევებითა და შრომისმოყვარეობით. ბოლო დროს იაპონელ და ქართველ ხალხს შორის მეგობრული ურთიერთობა თვალში საცემი გახდა და ამას არა მარტო საქართველო-იაპონიის ურთიერთობათა ასოციაციამ, არამედ საქართველოში ამ ქვეყნის საელჩომაც შეუწყო ხელი, რომელიც თბილისში 2009 წლის იანვრამდე არ არსებობდა. იაპონიასა და საქართველოს მეგობრობაზე, იაპონელი ხალხის წეს-ჩვეულებებზე, მათ უცნაურ და ძალზე საინტერესო ცხოვრებაზე საქართველო-იაპონიის ურთიერთობათა ასოციაციის პრეზიდენტი კარლო ქველაძე მოგვითხრობს.**

— იაპონელები ძალზე საინტერესო ადამიანები არიან. ვიდრე გადაწყვეტილებას მიიღებენ, დიდხანს ფიქრობენ. თუ მათ რაღაც საქმეს შესთავაზებ, ჯერ ყველაფერს დეტალურად შეისწავლიან, განიხილავენ და პასუხს მხოლოდ ამის შემდეგ გაღირსებენ. უფრო მეტიც, გაცნობისას არაფრით ჩამოგართმევენ ხელს.

**— ეს ხომ ჩვენში ცუდ ტონად მიიჩნევა!..**

— ჩვენში — კი, მაგრამ იაპონიაში ყველაფერი სხვაგვარადაა. ჯერ კიდევ გამოუცდელს, მქონდა შემთხვევა: ერთ-ერთ იაპონელს ხელი გავუწოდე, მან კი მარჯვენა არ შემაგება და ამან ძალიან გამაკვირვა. მერე მივხვდი, ასე რატომაც მოიქცა — კარგად უნდა გაგიცნოს, რომ ამის ღირსად მიგიჩნიოს... ისინი ყველაფერში სილამაზეს ეძებენ და ხედავენ კიდეც. შეიძლება ითქვას, რომ იმას, რაც მსოფლიოს სხვა ხალხებისთვის შეუმჩნეველი რჩება, ისინი აუცილებლად დაინახავენ. სხვათა შორის, იაპონიაში არსებობს „ციცინათელების დაცვის საზოგადოება“. ისინი ამ მწერს იცავენ მხოლოდ იმიტომ, რომ მან ღამის იაპონია გაალამაზოს.

**— საქართველოში ყველაზე მეტად რა მოსწონთ?**

— მოსწონთ ჩვენი ისტორია, ფოლკლორი, ცეკვები...

**— ვიცი, რომ ბევრი იაპონელი სტუმარი გყოლიათ. მათ ალბათ, თბილისიც დაათვალიერებინეთ, არა?**

— რა თქმა უნდა და აღფრთოვანდნენ ჩვენი ეკლესიებით, გოგირდის აბანოთი, ძველი უბნებით და ა.შ. მერწმუნეთ, მათი გაკვირვება ძალიან ძნელია. ისევე, როგორც გერმანელები, ძალზე შრომისმოყვარენი არიან, მაგრამ მათგან ერთი რამით განსხვავდებიან: გერმანელმა მუშაობაც იცის და დასვენებაც, იაპონელს კი დასვენებისთვის დრო არ რჩება. მათ ფანატიკურად უყვართ თავიანთი საქმე და ცდილობენ, ყველაფერი ისე გააკეთონ, რომ იაპონიის სახელი არ შეილახოს. შეიძლება, არც დაიჯეროთ, მაგრამ აბსოლუტურად ყოველდღე, სამუშაოს დაწყების წინ ფიცს დებენ, რომ არ გამოუშვებენ წუნიან პროდუქციას, მერე კი ავტომატ-მანქანებს მიუბრუნდებიან და მადლობას უხდიან იმისთვის, რომ გუშინ გამართულად იმუშავა.

**— ამბობენ, იქ სკოლებს საკუთარი ჰიმნი აქვთო. ეს თუ შეესაბამება სიმართლეს?**

— არ არსებობს იაპონიაში ისეთი საბავშვო ბაღი ან სკოლა, რომელსაც თავისი ჰიმნი და ფორმა არ ჰქონდეს. როდესაც ორი სკოლა ერთმანეთს რაღაცაში ეჯიბრება, ისინი თავ-თავიანთ ჰიმნს ასრულებენ და ისევე, როგორც სახელმწიფო ჰიმნის შესრულებისას, ფეხზე წამოდგომით მიაგებენ პატივს. აქვე აღვნიშნავ იაპონელთა ერთ კარგ თვისებას — ისინი არასდროს შეგაწყვეტინებენ სიტყვას. როცა ლაპარაკობ, იაპონელი თავს გიქნევს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ გეთანხმება, არამედ ამით გაგრძნობინებს, რომ უბრალოდ, გისმენს.



**იაპონიის საელჩოს გახსნის დღე. ეთერ სვანიძე, კარლო ქველაძე, მასაიოში კამოჰარა, მედეა პირველი, ჯუნკო კამუჰარა**

**— ბატონო კარლო, იაპონელები როგორი მოქეიფეები არიან?**

— ახლა ერთ ამბავს გაგიმხელთ: შინ მაქვს ე.წ. ნიამორის ყანწი, რომელიც იაპონელებისთვის სავიზიტო ბარათად იქცა.

**— რას გულისხმობთ?**

— ჩემს იაპონელ სტუმრებს „ვაშინებ“ ხოლმე: ვინც ღვინოს ამ ყანწიდან არ დალევს, საქართველოში მეორედ ვერ ჩამოვა-მეთქი. ამის შიშით, ისინი ყანწს „ეჯიბრებიან“ — ბოლომდე ცლიან *(იცინის)*.

**— თქვენს ყანწში რამდენი ლიტრი ღვინო ეტევა?**

— ბევრი არაფერი, დაახლოებით, 2 ჭიქა ღვინო ეტევა, მაგრამ ხალხს მაინც აშინებს — დიდი ზომის ყანწია და ჰგონიათ, რომ მასში ბევრი ეტევა.

**— სტუმართმოყვარენი თუ არიან?**

— ჩვენნაირად თან გადაყოლა არ იციან, მაგრამ თუ პატივს სცემ, ამას არ დაგივიწყებენ. ერთ ამბავს მოგიყვებით, რომელიც მათ ბუნებაზე კარგად მეტყველებს: ერთხელ იაპონელმა ახლობლის ოჯახში, რთველზე დამპატიჟა. აბა, იაპონური რთვლის ნახვის შანსს ხელიდან როგორ გავუშვებდი?! მოკლედ, როცა ადგილზე მივედით, ჩემმა ნაცნობმა ჩანთა გამომიწოდა და მითხრა: ამაში 2 ბოთლი ქართული ღვინო დევს; ქართველი კაცი სტუმრად ხელცარიელი რომ არ მოსულიყავი, ღვინო მე ვიყიდე და ახლა ის მასპინძლებს თავად მიეციო *(იცინის)*.

**— იაპონური კერძების შესახებ რას მეტყვით?**

— მათი კერძების 99% ზღვის პროდუქტისგან მზადდება. ხორცს თითქმის არ მიირთმევენ. 1 კგ ხორცი დაახლოებით, 3.000 დოლარი ღირს და მას გრამობით ყიდულობენ. თანაც, ცხოველს დასაკლავად სპეციალურად მოწყობილ სასათბურე პირობებში ზრდიან.

**— რას გულისხმობთ?**

— ხორცი რბილი და ადვილად მოსანელებელი რომ იყოს, თურმე ხბო დაბადებიდანვე ისეთ ადგილას უნდა გყავდეს, სადაც სიბნელეა. თანაც, სადგომში ხმაური არ უნდა აღწევდეს.

**— ხმაური საქონლის ხორცთან რა კავშირშია?**

— თურმე ხმაური ცხოველს აღიზიანებს და შედეგად, მისი ხორციც მაგარი ხდება. თუ პირუტყვი მშვიდ გარემოში იზრდება, მისი ხორცი აუცილებლად რბილი იქნება. სხვათა შორის, ამ მიზნით ცხოველს ხშირად, ლუდსაც ასმევენ.

**— საქართველოში ყოფნისას იაპონელები ხორციან კერძებს არ მიირთმევენ?**

— კი, ჭამენ და მოსწონთ კიდეც, გემრიელიაო, — ამბობენ... სხვათა შორის, იაპონელები მინერალური წყლის სმასაც ერიდებიან — ზედმეტი მარილი რატომ უნდა მივიღოთო?..

**— იაპონელთა მოხერხებულობისა და მათი უცნაურობის შესახებ კიდევ რისი თქმა შეგიძლიათ?**

— მაგალითად, თევზი გემრიელი რომ იყოს, მდინარის ნაპირზე რაღაც განსაკუთრებული ჯიშის ხეებს რგავენ. თურმე ამ ხის ფესვები გამოყოფს ნივთიერებას, რომელიც წყალს მიაქვს, მერე მას თევზები მიირთმევენ და შედეგად, მათი ხორცი უფრო გემრიელი ხდება... ალბათ არ იცით, რომ იაპონური ხალიჩების უმრავლესობა პლასტმასის ბოთლებისგანაა დამზადებული. ისინი ცდილობენ, ყველაფერი გამოიყენონ, არაფერი გადაყარონ...



იაპონელი ბავშვების ნახატები



მოგეხსენებათ, ნახშირი ხისგან მზადდება. თურმე არსებობს ისეთი ჯიშის ხეებიც, რომლისგან დამზადებულ ნახშირსაც არაჩვეულებრივი არომატი აქვს. იაპონელები ასეთ ნახშირს 7 წლის შემდეგ იყენებენ — დროთა განმავლობაში ის უფრო სასიამოვნო სურნელს აფრქვევს და მისი კვამლით შებოლილი, შემწვარი ხორცი თუ ბოსტნეული უფრო არომატულია. სხვათა შორის, ასეთი ნახშირის კვამლს „იჭერენ“, აცივებენ და იღებენ მასას, რომელსაც წნეხში ატარებენ, შემდეგ ძაფს ამზადებენ და მისგან საუცხოო პერანგებს, ჰალსტუხებს, წინდებს ქსოვენ.



აჭარის ფილიალის ხელმძღვანელად დაინიშნა ექიმი ჯუმბერ უნგიაძე (მარჯვნივ)

**— რამდენიმე დღის წინ ბათუმში, საქართველო-იაპონიის ურთიერთობათა ასოციაციის აჭარის ფილიალი დაფუძნდა. პრეზენტაციას აჭარის უმაღლესი საბჭოსა და მთავრობის წევრების, საზოგადო მოღვაწეების გარდა, იაპონიის ელჩი საქართველოში — მასაიოში კამოჰარა, მეუღლითურთ და იაპონიის საელჩოს ატაშე კულტურის დარგში — მასუმი ტაკარაგავა დაესწრნენ...**

— დიახ, ჩვენ გადავწყვიტეთ, ასოციაციის მიერ ჩატარებული სამუშაოები და გეგმები გაგვეცნო მათთვის. აქვე მინდა აღვნიშნო ის ფაქტიც, რომ აჭარის ფილიალის ხელმძღვანელად დაინიშნა ექიმი ჯუმბერ უნგიაძე, რომელსაც იაპონიაში ვიზიტის დროს საინტერესო რამ შეემთხვა.

**— რას გულისხმობთ?**

— როდესაც ქართული დელეგაცია ოსაკიდან ტოკიოში მატარებლით მიემგზავრებოდა, ერთ-ერთი იაპონელი ქალბატონი ცუდად გახდა. ბატონმა ჯუმბერმა მას პირველადი დახმარება აღმოუჩინა და იაპონელების კეთილგანწყობაც დაიმსახურა. როცა სადგურს მიუახლოვდნენ, ჯუმბერმა შეამჩნია ბაქანზე მდგომი უამრავი ადამიანი, თაიგულებით ხელში. აღმოჩნდა, რომ ისინი სწორედ ექიმ უნგიაძეს ელოდნენ, რათა თანამემამულის სიცოცხლის გადარჩენისთვის მისთვის მადლობა ეთქვათ... შემდეგ, როცა იგი ქალაქში მიმავალ ავტობუსში გადაჯდა, მგზავრებს აუწყეს, რომ მათთან ერთად იმყოფებოდა ქართველი ექიმი, რომელმაც მათი თანამემამულე სიკვდილისგან იხსნა და მას კიდევ ერთხელ გადაუხადეს მადლობა... აჭარის ფილიალის დაარსებას დიდი გამოხმაურება მოჰყვა არა მარტო იაპონიიდან, არამედ საქართველოს ხელისუფლების მხრიდანაც. ჩვენი აზრით, ეს ფილიალი ხელს შეუწყობს ამ კუთხის მკვიდრთა და იაპონელთა დამეგობრებას, მათ შორის საქმიანი ურთიერთობების ჩამოყალიბებას. ასევე გეგმაში გვაქვს იაპონიის რომელიმე საპორტო ქალაქთან ბათუმის დაძმობილება.

**— თქვენს ასოციაციას ორი ქვეყნის დამეგობრების მიზნით ბევრი საქმე აქვს გაკეთებული...**

— ასოციაციას ნახევარსაუკუნოვანი ისტორია აქვს და მართლაც, ამ დროის მანძილზე არაერთი კარგი საქმე გაკეთდა. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნო, რომ ჩვენ გაწევრებული ვართ იაპონია-ევრაზიის საზოგადოებაში, რომელშიც გაერთიანებულია მრავალი ქვეყანა; ისინი ერთმანეთს მხარს უჭერენ განათლების, მეცნიერების, კულტურის, ტურიზმის, ბიზნესისა და სხვა დარგების განვითარების საქმეში... აქვე გეტყვით, რომ თავდაპირველად, ჩვენს ასოციაციას ოფისი ათონელის ქუჩაზე ჰქონდა. მოგვიანებით იქ ამერიკის საელჩო გახსნეს, ჩვენ კი შეგვპირდნენ, ფართობს გამოგიყოფთო, მაგრამ მოგვატყუეს. მერე 34-ე საჯარო სკოლამ და მისმა დამფუძნებელმა, კეთილშობილმა ქალბატონმა ეთერ სვანიძემ შეგვიკედლა. ეს სკოლა ჩვენს ასოციაციაშიც გაწევრდა და პირველად სწორედ იქ დაიწყო იაპონური ენის სწავლება. მოგეხსენებათ, როდესაც იაპონელი სკოლას ამთავრებს, მან 2000 იეროგლიფი უნდა იცოდეს. რა თქმა უნდა, ამდენი იეროგლიფის ცოდნა ქართველებს არ მოეთხოვებათ, რადგანაც იაპონურ დამწერლობაში

გაგრძელება იხ. გვ. 99



# სახე

## „ყველაზე მეტად ანტიგონეს თამაშზე ვოცნებობ“...



*მომღერალი და მსახიობი თამთა ჭელიძე ამჟამად მშობლების სახლში, შვილთან ერთად ცხოვრობს. თამთას საჩუქრებით ბავშვობიდან ანებივრებდნენ. სულ ახლახან კი მამამ მისი ოცნების ავტომანქანაც აჩუქა. თამთა ძალიან დარდობს, რომ მამის საჩუქარს მხოლოდ შორიდან უყურებს: მართვის მოწმობა ჯერ არ აუღია და მოწმობის ასაღები საგამოცდო ბილეთების სწავლასაც ვეღარ დააყენა საშველი.*

### რისთვის ვერ იცლის მომღერალი თამთა ჭელიძე

*მერი კობიაშვილი*

— ძნელია, საკუთარ თავზე თქვა, გემოვნებიანი ადამიანი ვარო, მაგრამ უგემოვნოც არ ვარ. თუმცა მგონია, რომ ამაზე სხვებმა უნდა ისაუბრონ.

**— სხვები რას ამბობენ შენს გემოვნებაზე?**

— ყველა მეუბნება, კარგი გემოვნება გაქვსო.

**— შენი გემოვნება წლებთან ერთად ძალიან შეიცვალა?**

— მოდას მივყვები. მომწონს ის, რაც ჯერ თბილისში არ არის შემოსული. ვთქვათ, ჯერ პარიზშია და უკვე მიიჩნევა, რომ მოდურია.

**— ეს ალბათ ძვირი სიამოვნებაა...**

— ნამდვილად, მაგრამ ამაში დედაჩემის მეგობარი მეხმარება. ის ევროპაში ცხოვრობს. როგორც კი მოდაში „ახალი სიტყვა“ შემოდის, მოდურ სამოსს მაშინვე მიგზავნის.

**— როცა საოჯახო ალბომს ათვალიერებ, შენი სამოსი, რომელიც ფოტოებში გაცვია, მოგწონს?**

— ძირითადად არ მომწონს. ხშირად მითქვამს, რამ მომაწონა ეს კაბა-მეთქი, მაგრამ მგონი, გამონაკლისი არ ვარ. ასეთი რამ ადამიანებს ხშირად მოსდით.

**— კაბაში უფრო კომფორტულად გრძნობ თავს თუ შარვალში?**

— ყველანაირი ტიპის სამოსი მიყვარს, მაგრამ უფრო კომფორტულად თავს კედებში, ჯინსსა და მაისურში გამოწყობილი როცა ვარ, მაშინ ვგრძნობ, თუმცა კლასიკური ჩაცმულობაც მიყვარს. გააჩნია, როგორ ხასიათზე ვარ.

**— მეგობრებს რა ნიშნით ირჩევ?**

— მეგობარი არასდროს ამირჩევია. ეს ყველაფერი ცხოვრებასთან ერთად მოდის. ბევრი ერთგული მეგობარი მყავს, რომელიც ბავშვობიდან მომყვება; თუმცა მეგობრები ამ ბოლო პერიოდშიც შემიძენია. ეს ყველაფერი გამართლებაა.

**— მეგობრისგან არასდროს არაფერი გწყენია?**

— რა თქმა უნდა, მწყენია, მაგრამ ამ ბოლო დროს მივხვდი, რომ ცხოვრებაში ლოიალური უნდა იყო და პატიება უნდა შეგეძლოს. ადრე სხვანაირად ვფიქრობდი, არავის არაფერს ვაპატიებდი. ახლა მინდა, პატიება ვისწავლო და ყურადღება ყველა წვრილმანზე არ გავამახვილო. ზედმეტად მომთხოვნი არ უნდა იყო, ადამიანს სიკეთისთვის სამაგიერო არ უნდა მოსთხოვო და პრობლემებიც აღარ გექნება.

**— ასე მარტო მეგობრებთან მიმართებაში ფიქრობ თუ მამაკაცთან დაკავშირებითაც იმავე აზრის ხარ?**

— მამაკაცებთან დაკავშირებითაც იმავეს ვფიქრობ... ის ზუსტად ჩემნაირი ხომ ვერ იქნება. ამიტომ, ყველაფერს ისე აკეთებს, როგორც შეუძლია.

**— ხშირად გითქვამს, რომ ყო-**

**ფილი მეუღლე შენი მეგობარია. ერთმანეთს უმიზეზოდ ხომ არ დაშორებიხართ?! თქვენ შორის წყენა ხომ იქნებოდა?! არ გიჭირთ მეგობრობა?**

— წლების მერე ურთიერთობები ლაგდება. გააჩნია, როგორი ადამიანი ხარ. ჩვენ — ორივენი შეგნებულები აღმოვჩნდით და ასე შვილის გულისთვის ვიქცევით. ლიზი რომ არ გვყავდეს, არაფერი დაგვაკავშირებდა ერთმანეთთან და ალბათ არც ვიმეგობრებდით. ყოველთვის მენდომება, რომ ჯაბა კარგად იყოს. მისი ცუდი არასდროს გამიხარდება და დარწმუნებული ვარ, იმავეს ფიქრობს ჩემზე თავადაც. ერთმანეთს ყველა საიდუმლოს არ ვუზიარებთ, მაგრამ ერთურთის ცხოვრებისეული სიახლეები ვიცით.

— **ცხოვრებაში ბევრჯერ გადადგი თამამი ნაბიჯი. სურათები „ფლეიბოისთვის“ გადაიღე, „ევროვიზიის“ შესარჩევ კონკურსშიც მიიღე მონაწილეობა. ამ შემთხვევაში, ჯაბას ჰკითხე რჩევა?**

— ახლო მეგობრობა არ გვაქვს. როცა ბავშვს ნახულობს, მაშინ ვასწრებთ ხოლმე ერთმანეთისთვის ახალი ამბების მოყოლას. ის მეუბნება, რომელ ახალ ფილმში აპირებენ მის გადაღებას და მეც ვუყვები, პროფესიულად როგორი დაკავებული ვარ. არასდროს ვკითხავ ჯაბას, რა უნდა გავაკეთო და რა — არა. ის ჩემი ყოფილი მეუღლეა.



4 თვეა, მანქანა მყავს და ვერ ვმართავ

— **ცოტა ხნის წინ სერიალ „ჩვენს ოფისში“ გამოჩნდი, მოგეწონა სერიალში თამაში?**

— ადრე სერიალ „ყავა და ლუდის“ ორ სერიაში ვითამაშე. სერიალში ჩემი დებიუტი იქ შედგა. „ჩვენს ოფისში“ ბევრი მეგობარი დამხვდა. ყველა მეხმარებოდა. ძალიან კარგი ჯგუფი გვყავს. ვერ ვიტყვი, რომ „შუა ქალაქში“ ყველაზე პოპულარული სერიალია. ყველას თავისი მაყურებელი ჰყავს. ზოგს „შუა ქალაქში“ მოსწონს, ზოგს — „ჩვენი ოფისი“.

— **ისე გამოვიდა, რომ ყოფილი მეუღლეები კონკურენტი ტელევიზიების სერიალებში მონაწილეობთ...**

— კი, მაგრამ ეს მოულოდნელად და დაუგეგმავად მოხდა. ვინმემ შეიძლება იფიქროს, რომ ჯიბრით მივედი „ჩვენს ოფისში“, მაგრამ ეს ასე არ არის. სერიალში სრულიად შემთხვევით მოვხვდი. ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ იქ ჩემი ადგილი იქნებოდა.



**ლიზი რომ არ გვყავდეს, არაფერი დაგვაკავშირებდა ერთმანეთთან**

— **„შუა ქალაქში“ ჯაბას პერსონაჟი — სანდრო მოგწონს?**

— კი, ძალიან.

— **ყველას უჩნდება კითხვა, ჰგავს თუ არა სანდრო ჯაბას? შენ რას იტყვი?**

— აბსოლუტურად არ ჰგავს. ვინც მას იცნობს, აუცილებლად დამეთანხმება — ჯაბა სანდროსგან სრულიად განსხვავებულია.

— **რომელიმე ცნობილ რეჟისორთან მუშაობაზე ალბათ გიოცნებია...**

— ძალიან მინდოდა, თენგიზ აბულაძესთან მუშაობა. ეს ოცნება ცხადია, აღარ ამისრულდება... უცხოელი რეჟისორებიდან კი ლუკ ბესონთან ვითამაშებდი სიამოვნებით.

— **გამიკვირდა, ამ რეჟისორებს შორის რობერტ სტურუა რომ არ დაასახელე.**

— იმიტომ, რომ კინო მიყვარს ძალიან. ფილმში თამაში კი ჩემთვის ჯერჯერობით აუხდენელ ოცნებად რჩება. კინო ჩემთვის ბავშვობიდანვე საოცარი სამყარო იყო. ის ყველაფერს მირჩევნია.

— **ალბათ რომელიმე როლზეც ოცნებობ..**

— საყვარელ ფილმებს რომ ვუყურებ, ჩემს თავს ზოგიერთი გმირის ადგილას წარმოვიდგენ ხოლმე. თეატრში ძალიან ბევრი როლი მხიბლავს, მაგრამ ყველაზე მეტად ანტიგონეს თამაშზე ვოცნებობ. შეიძლება, ვინმეს გაეცინოს კიდეც და გაუკვირდეს, ამის უფლებას რომ ვაძლევ საკუთარ თავს. სერიოზული როლი და სერიოზული პიესაა, მაგრამ მიოცნებია და ოცნება მგონი, არავისთვისაა აკრძალული (*იცინის*).

— **ფართო მაყურებელმა სიმღერით გაგიცნო. ამ ბოლო დროს კი აღარ გვანებივრებ ახალი კლიპებით. რატომ?**

— არ მინდა, სიმღერას თავი დავანებო, მაგრამ ასე გამოვიდა. სიმღერას ვეღარ დავუთმე დრო. კლიპის გადაღებას სერიოზული თანხა სჭირდება. ამიტომ აღარ ვაქტიურობ. შემიძლია, უხარისხო კლიპი გადავიღო და ასე ვთქვათ, იაფად გამოვიდე, მაგრამ არ მინდა ასე მოქცევა. საქართველოში შოუბიზნესი ისე არაა განვითარებული, რომ რასაც ჩადებ, ამოიღო. მაგრამ სიმღერასთან დაკავშირებით გეგმები მაქვს. აუცილებლად გადავიღებ კლიპს...

— **კონკურსში კიდევ ცდიდი ბედს?**

— არა. კონკურსში აღარ მივიღებ მონაწილეობას. „ევროვიზიაშიც“ ჩემი მეგობრის, მაია კაჭკაჭიშვილის დაჟინებული თხოვნით ვმონაწილეობდი. ზოგიერთი ადამიანი კონკურსებისთვის არის დაბადებული და აღწევს კიდეც მიზანს, მაგრამ მე მათ შორის ნამდვილად არ ვარ.

— **მხატვრული ლიტერატურის წასაკითხად დრო თუ გრჩება?**

— ნაკლებად. ბოლოს შარშან წავიკითხე „ფაუსტი“. წელს საერთოდ, ველარაფერი წავიკითხე. თუ რამეზე ვნერვიულობ, პარალელურ რეჟიმში ვერ ვახერხებ წაკითხვას. ბავშვობიდან ასე ვარ.

— **გასულ ზაფხულს სად ისვენებდი?**

— ფასანაურსა და ბათუმში. მართვის საგამოცდო ბილეთებს ვსწავლობდი და ისიც ვერ ვისწავლე კარგად. გამოცდაზე ჯერ არ გავსულვარ. ძალიან მიჭირს სწავლა და არ ვიცი, როგორ მოვიქცე. 4 თვეა, მანქანა მყავს და ვერ ვმართავ.

— **რა მანქანაზე გააკეთე არჩევანი?**

— „მიცუბიშის“ პატარა, ორკარიანი ჯიპი მყავს. ძალიან საყვარელი მანქანაა, მაგრამ შორიდან ვუყურებ. ეზოში დგას.

— **მანქანა საკუთარი სახსრებით იყიდე?**

— არა. მამამ მაჩუქა. ძალიან კარგი მამიკო მყავს. საჩუქრებში ძალიან მიმართლებს. ბავშვობიდან ბევრ რამეს მჩუქნიდნენ. ისე, მეც ძალიან მიყვარს სხვებისთვის საჩუქრების მიძღვნა.

— **ცოტა ხნის წინ სვირინგიც გაგიკეთებია. არჩევანი ჭიამაიაზე რატომ შეაჩერე?**

— ჭიამაია ჩემი საყვარელი მწერია. ზაფხულში მაჯაზე პატარა ჭიამაია დავიხატე, მაგრამ ვერ მოვუარე და ფერები ცოტა გაუფერმკრთალდა. ხშირად არ უნდა დამებანა, მე კი ხელებს დღეში უამრავჯერ ვიბან. მოგვიანებით, კიდევ ერთხელ გავიკეთებ.

— **მტკივნეული არ იქნება ერთსა და იმავე ადგილზე სვირინგის გაკეთება?**

— არა მგონია. მშობიარობაზე მტკივნეული არაფერია. ტკივილის ათვლის წერტილად მშობიარობა მიმაჩნია. ამიტომ, თუკი მას გავუძელი, სხვა ტკივილსაც მოვითმენ. ■

# სურათების გადაღების მანია, მოულოდნელი სიყვარული და სიმღერა პროფილში...

**„სურათების გადაღება ძალიან მიყვარს, უმრავლესობას ვერ ვბეჭდავ და კომპიუტერში ვინახავ. ბევრი ფოტო მაქვს, მათი დათვალიერება რომ დავიწყო, ალბათ სამი დღე მოვუნდები. ცოტა ხნის წინ 6 თვით რომში გახლდით. იქ დღეში 100 სურათს მაინც ვიღებდი. ბოლოს ყველას მოვაბეზრე თავი. სურათების გადასაღებად აღარ დამყვებოდნენ და საკუთარ თავს თვითონ ვუღებდი“, — მითხრა მომღერალმა ეკა გაბიტაშვილმა, რომელიც, სხვათა შორის, ცოტა ხნის წინ გათხოვდა.**

*მარეხ ჭონიშვილი*



— როგორც დედა მეუბნება, მშვიდი და მსუქანი ბავშვი ვყოფილვარ. არავის ვაწუხებდი. მეც მახსოვს, თოჯინებით თამაში მიყვარდა. 3 წლის ასაკში ბაღში შემიყვანეს და იქ აღმოაჩინეს, რომ მუსიკალური ნიჭით ვიყავი დაჯილდოებული.

## მალე მოსკოვში ვაპირებ საცხოვრებლად გადასვლას და იქ შევუდგები ჩემი პროფესიით საქმიანობას.

ამიტომ დედამ პიონერთა სასახლეში, ციცინო ციცქიშვილთან მიმიყვანა.

— **პრანჭია იყავი?**

— სკოლა ისე დავამთავრე, გრძელი კაბა (სკოლის ფორმა) არ გამიხდია, მაგრამ სკოლიდან დაბრუნების შემდეგ იმ კაბას ვიხდიდი და მასწავლებელთან კოხტად ჩაცმული მივდიოდი. საერთოდ, თანატოლებში ჩაცმის სტილით ყოველთვის გამოვირჩეოდი.

— **მაკიაჟის გამოყენება რა ასაკიდან დაიწყე?**

— 17 წლის ვიყავი, ტელეფესტივალი „მანა“ რომ ჩატარდა. ამ ფესტივალისთვის სერიოზული მაკიაჟი გავიკეთე და უნდა გითხრათ, რომ იმ მაკიაჟში თავს უხერხულად ვგრძნობდი. ახლაც იშვიათად ვიკეთებ მაკიაჟს — მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წვეულებაზე მივდივარ ან კონცერტი მაქვს.

— **თმა როდის შეიღებე?**

— თმაზე ექსპერიმენტების ჩატარებას არ ვერიდები. ყოფილა შემთხვევა, სალონში წავსულვარ და გრძელი თმა მოკლედ შემიჭრია. რაც შეეხება თმის შეღებვას, შარშან შევიღებე, მანამდე ბუნებრივი ფერის თმა მქონდა.

— **ყურები რა ასაკში გაიხვრიტე?**

— ძალიან გვიან გავიხვრიტე, რადგანაც ძალიან მეშინოდა. ისიც მეგობარმა დამაძალა, თორემ კიდევ ვერ გავბედავდი.

— **ეკა, ამ სურათზე დედასთან ერთად ხარ.**

— დიახ, და ეს სურათი ძალიან მიყვარს. დედისა და მამის მეგობრები სულ იმაზე კამათობენ, ვის უფრო ვგავარ. ნაწილი ამბობს, რომ მამას ვგავარ, ნაწილის აზრია, რომ — დედას. ვფიქრობ, ალნაგობით მაინც მამას ვგავარ, რადგან ის მაღალი და გამხდარია. ნაკვთები კი დედის მაქვს...

— **ქალბატონ ნანი ბრეგვაძესთან ერთად ეს სურათი სად გაქვს გადაღებული?**

— საოპერო სპექტაკლ „ქეთო და კოტეში“ მივიღე მონაწილეობა. წარმოდგენის დასრულების შემდეგ ქალბატონი ნანი კულისებში შემოვიდა და წარმატებული გამოსვლა მომილოცა. მე კი ვთხოვე, ჩემთან ერთად, სურათი გადაეღო. ძალიან კარგი წლები იყო... ასევე კარგად მახსენდება და ჩემს ცხოვრებაში საუკეთესო პერიოდად მივიჩნევ იმ დროს, როცა მიუზიკლ „ჩხიკვთა ქორწილში“ ვმონაწილეობდი. ქეთევანის როლი მქონდა, ჩემი პარტნიორი კი ზაზა იაქაშვილი იყო. ბედნიერი ვარ, რომ ისეთ პროფესიონალებთან ერთად მომიწია მუშაობამ, როგორებიც არიან: ალექსანდრე ბასილაია, თემურ წიკლაური, ნუგზარ კვაშალი და სხვა „ივერიელები“.

— **როგორ მოხვდი „ჩხიკვთა ქორწილში“?**

— ალექსანდრე ბასილაიასთან მოსასმენად მარინა ბერიძემ მიმიყვანა. როცა ვიმღერე, ბატონ ალექსანდრეს მოვეწონე და ქეთევანის როლზე დამამტკიცა. მახსოვს, პრემიერის დღეს ძალიან ვღელავდი. მეორე დღეს კი მაკიაჟმა სახეზე ალერგია მომცა და თვალები დამისივდა. ასეთ მდგომარეობაში მომიხდა სცენაზე გასვლა. ზაზამ მითხრა, — რომ ვიმღერებთ, ჩემკენ არ გამოიხედო, თორემ გამეცინება და შენი ბრალი იქნებაო. მოკლედ, მთელი კონცერტი პროფილში ვიმღერე (*იცინის*).

**როგორც დედა მეუბნება, მშვიდი და მსუქანი ბავშვი ვყოფილვარ**





**თანატოლებში ჩაცმის სტილით ყოველთვის გამოვირჩეოდი**


მიუზიკლ „ჩხიკვთა ქორწილში“ ვმონაწილეობდი


მალე მოსკოვში ვაპირებ საცხოვრებლად გადასვლას


წარმოდგენის დასრულების შემდეგ ქალბატონი ნანი კულისებში შემოვიდა


ჩემი გულის მოგება ძნელია

**— ეკა, ვიცი, რომ გათხოვდი. როგორ და სად გაიცანი შენი მეუღლე?**

— ჩემი მეუღლე უკვე 14 წელია, მოსკოვში ცხოვრობს. დედის სანახავად საქართველოში, წელიწადში ერთხელ ჩამოდის. ერთ-ერთი ჩამოსვლისას, კონსერვატორიაში რაღაც საქმეზე თავის მეგობარს მოჰყვა. როგორც თვითონ მითხრა: შემთხვევით დარბაზში იმ მომენტში შემოუხედავს, როცა უკვე დარბაზიდან აპლოდისმენტების თანხლებით გავდიოდი. 2 დღის მერე კი კონსერვატორიაში დიდი თაიგული გამომიგზავნა. მერე, მისი ინიციატივით, ერთმანეთი პირადად გავიცანით.


დიდი სიყვარულიც მეწვია...

**— იოლად მოინადირა შენი გული?**

— საერთოდ, ჩემი გულის მოგება ძნელია. თან იმ პერიოდში, იტალიაში წასვლას ვაპირებდი და ვინმესთან სერიოზულ ურთიერთობაზე არც ვფიქრობდი. მაგრამ სწორედ მაშინ მეწვია ის დიდი სიყვარული, რომელსაც მთელი ცხოვრება ველოდი. ჩემმა მეუღლემ, პირველივე შეხვედრისას, ჩემზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა, დამაინტერესა და თავიც შემაყვარა. შეყვარებულები რომ ვიყავით, სიურპრიზებით მანებივრებდა. სახლში ყოველთვის ვარდის თაიგული მხვდებოდა ან საჩუქრებს მეგობრის ხელით მიგზავნიდა.

**— ჯვარი თუ დაიწერეთ?**

— ჯვარი სამების საკათედრო ტაძარში დავიწერეთ. ძალიან ლამაზი და ამაღელვებელი ცერემონია იყო. შემდეგ ქორწილი გვქონდა. სულ ახალგაზრდები ვიყავით და კარგად მოვულხინეთ. თიკა ფაცაციამ და ჯგუფმა „სეთმა“, რაც კი ოდესმე სიმღერა გვიმღერია, იმ საღამოს ყველა ვიმღერეთ და რესტორნის მუსიკოსები დავასვენეთ (*იცინის*). ძალიან მხიარული ქორწილი მქონდა.

**— ქორწილში მეუღლე თუ ამღერე?**

— (*იცინის*) ჩემი მეუღლე არ მღერის, თუმცა სმენა აქვს. ისე, მიხარია, რომ არ მღერის, რადგანაც ორი მომღერალი ერთ ჭერქვეშ ცოტა ძნელია, არა?

**— იმ ფაქტს, რომ სურათების გადაღება გიყვარს, შენი მეუღლე როგორ უყურებს?**

— ჯერჯერობით პრეტენზია არ გა-


მხიარული ქორწილი მქონდა

მოუთქვამს და სურათებს სიამოვნებით მიღებს.

**— ოდესმე სურათი თუ დაგიხევია?**

— სურათების დახევა არ მიყვარს. ამისთვის მაქვს ერთი ადგილი და იმ სურათს, რომელიც არ მომწონს, საგულდაგულოდ ვმალავ.

**— ეკა, შენს შემოქმედებით ცხოვრებაში რა სიახლეა?**

— ჯერჯერობით შემოქმედებით ცხოვრებაში პაუზა მაქვს. მალე მოსკოვში ვაპირებ საცხოვრებლად გადასვლას და იქ შევუდგები ჩემი პროფესიით საქმიანობას. თან უკვე რაღაც შემოთავაზებებიც მაქვს.

**— წარმატებებს გისურვებ.** ■




ლამაზი და ამაღელვებელი ცერემონია იყო



ყველაზე მასობრივი ტელეპროექტი — „ჯეოსტარი 2009“ სულ მალე სტარტს აიღებს. როგორც ამბობენ, ჟიურიმ მთელი აგვისტოს მანძილზე, საქართველოს რეგიონებსა და დედაქალაქში დამღლელი კასტინგების შედეგად, ძირითადი შემადგენლობა გამოავლინა, რომელშიც საკმაოდ ძლიერი კონკურსანტები შევიდნენ. ჯერჯერობით კი ეთერში წლევანდელი კასტინგების ამსახველი ვიდეომასალა გადის, რომელიც საკმაოდ სახალისოა და მაყურებელს იმის წარმოდგენს უქმნის, თუ რა სიტუაციაში და როგორ ხდებოდა კონკურსანტების შერჩევა... მე კი ახლა ჟიურის ერთ-ერთი წევრის — ლანა ქუთათელაძის ინტერვიუს გთავაზობთ.

# მარინა ბერიძისგან „დაღუპული“ ჟიურის ერთი წევრი და ქუთაისელი ბიჭი, რომელმაც ლანა ქუთათელაძე მოწუსხა

ლალი ფაცია

**— ლანა, რაც გაგიცანი, სულ შოუბიზნესში ტრიალებ, არადა, ვიცი, რომ პროფესიით ფილოლოგი ხარ...**

— პროფესიით ფილოლოგი და კინომცოდნე გახლავართ... პირველად, შემთხვევით მოვხვდი რადიო „აუდიენციაში“. მოგეხსენებათ, რუსულენოვანი რადიო იყო და მე, როგორც რუსული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტი, ამ ნიშნით გამომარჩიეს და წამყვანად მიმიღეს. სწორედ იმ პერიოდიდან დაიწყო კიდეც ჩემი სერიოზული შეხება მუსიკასთან. მუშაობა მიწევდა ბერიკასთან, ბიბისთან; ერთად მიგვყავდა არაერთი გადაცემა. მათგან ბევრი რამ ვისწავლე. საერთოდ, „აუდიენციაში“ განვლილი წლები ჩემთვის კარგი სკოლა აღმოჩნდა. მაგრამ მუსიკის სიყვარული, პრინციპში, მაინც ოჯახიდან მომყვება: დედა პიანისტი მყავს და ჩვენთან მუდმივად ისმოდა მუსიკა... „აუდიენციიდან“ რადიო „ფორტუნაში“ გადავინაცვლე, რომელიც მაშინ ის იყო, გაიხსნა, სადაც პროგრამების ხელმძღვანელად დამნიშნეს. მერე „ფორტუნაში“ გადაწყდა, რომ რადიოს ბაზაზე, „XX საუკუნის ქართული სიმღერის ფესტივალი“ ჩატარებულიყო, რის საფუძველზეც უნდა გამოვლენილიყო საუკუნის კომპოზიტორი, მომღერალი... ფესტივალი საპასუხისმგებლო იყო, რადგანაც მთელ საუკუნეს ვეხებოდით. სწორედ მაშინ შევხვდი კიდეც ჩემი ცხოვრების მთავარ პერსონაჟს, რომელმაც აქტიურად ჩამაბა შოუბიზნესში. ეს ადამიანი მარინა ბერიძე გახლავთ; ის იმ ფესტივალის მზადებისას, როგორც მუსიკოსი, „ფორტუნამ“ კონსულტანტად მოიწვია. მოკლედ, მარინას გაცნობის შემდეგ „დავიღუპე“...


ჭოლა ჟიურის კოლორიტი წევრია

**— რატომ?**

— დღემდე მისი საშაყირო თემაა ის, რომ მაშინ საშინლად არ მიყვარდა პოპმუსიკა. ალტერნატიულისა და როკმუსიკისკენ ვიხრებოდი. ისე, პოპმუსიკაზე მაინცდამაინც არც ახლა ვგიჟდები. მარინა კი სულ იმას ამბობს, — ლანა ძალით მოვამწყვდიე ქართულ შოუბიზნესშიო. მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ მასთან ურთიერთობით, ჩემს ცხოვრებაში მართლაც ძალზე საინტერესო ამბები დაიწყო... ეტყობა, ჩვენ შორის რაღაც ისეთი კონტაქტი დამყარდა, რომ კომფორტულად ვიგრძენით ერთად მუშაობის პროცესში თავი და საუკეთესო თანამშრომლები გავხდით. მას მერე მარინა ნებისმიერ ღონისძიებაში მეც მრთავდა. სულ მის გვერდით ვიყავი.

**— ისე, გადაცემა „ტელესინევიდეოდანაც“ მახსოვხარ...**

— კი, საქართველოს ტელევიზიის პირველ არხზე არსებობდა ასეთი გადაცემა და მერაბ ფიფიასთან ერთად, მისი წამყვანი გახლდით. ამ გადაცემის ავტორი და ხელმძღვანელი კი ლერი სახაროვი გახლდათ, რომელთან ურთიერთობითაც ასევე დიდი სკოლა გავიარე. არა მარტო მისგან, მისი ოჯახისგანაც მუსიკაში, კინოში, ლიტერატურაში იმხელა ინფორმაცია და ცოდნა წამოვიღე, რომ დღემდე ვიყენებ. როდესაც სატელევიზიო ეტაპი, აღნიშნული გადაცემით, ჩემს ცხოვრებაში დასრულდა, სულ მქონდა სურვილი, ტელევიზიაში კვლავაც დავბრუნებულიყავი, მაგრამ სანაცვლოდ შოუბიზნესში მოვხვდი. ამ სფეროში ჩემი ყოფნა მრავალი წელი გაგრძელდა. იყო გაუთავებელი კონცერტები, ფესტივალები, კომპანია „არტ-იმედი“, მუშაობა კულტურის საქალაქო სამსახურში... მე და მარინამ ბევრი სამსახური მოვიარეთ. უკვე მესამე წელია, რაც „რუსთავი 2“-ის მუსიკალურ რედაქციაში აღმასრულებელი პროდიუსერი გახლავართ. ამ არხზე კი ყველაფერი „ანაბანათი“ დაიწყო...

**— „ანა-ბანა“ კარგი პროექტია, მაგრამ ყველაზე მასობრივი მაინც „ჯეოსტარია“ და დავიწყოთ საუბარი ამ პროექტზე...**

— „ჯეოსტარი“ ყველაზე გრანდიოზული სატელევიზიო მუსიკალური პროექტია. ასეთი სახალხო პროექტი მეორე არ მეგულება. მასში საქართველოში მცხოვრები ლამის თითოეული ადამიანი მონაწილეობს. მე უკვე მეორე წელია, რაც პროექტში აქტიურად ჩავერთე. „ჯეოსტარის“ რეპერტუარი, მუსიკალური იმიჯი, მიმდინარეობა, ფაქტობრივად, აი, აქ, ამ ოთახში წყდება, სადაც ახლა ვიმყოფებით. წელს, აგვისტოში მთელი საქართველო

(სამეგრელო, გურია, იმერეთი, აჭარა, კახეთი, ქართლი) შემოვიარეთ და ბუნებრივია, კასტინგი გვქონდა თბილისშიც.

— **ლანა, ქართველების ნიჭიერებას საზღვარი არა აქვს; მუსიკალურებიც ვართ, მაგრამ ყველაზე ნიჭიერი კონკურსანტი „ჯეოსტარის“ ჟიურიმ წელს რომელ კუთხეში აღმოაჩინა?**

— ძნელია თქმა. მაგალითად, შეიძლება, იმერეთში ჩახვიდე, ზოგადად ძალიან კარგი ფონი იყოს, მაგრამ იქიდან ვარსკვლავი ვერ წამოიყვანო; პირიქითაც ხდება... მაგრამ უეცრად შესაძლოა, გამოვიდეს ბავშვი, რომელმაც იმწუთას მოგნუსხოს, გადაგრიოს. იფიქრებ, რანაირად გაიზარდა ასეთი გემოვნებიანიო?!

— **მაინც რას ეძებთ კონკურსანტებში?**

— ინდივიდუალიზმს. ზოგჯერ შემოდის ადამიანი, აქვს სმენა, ხმა, მღერის კიდეც, მაგრამ არ მოგვწონს. ძნელია, მას აუხსნა მიზეზი, თუ რატომ არ მოგვწონს. არადა, პასუხი მარტივია. საქართველოში, როგორც თქვი, ბევრი მღერის, მაგრამ ეს არ არის საკმარისი იმისთვის, რომ სცენაზე დადგეს. ყველაფერთან ერთად, ინდივიდუალურიც უნდა იყოს. სულ პატარა ელემენტიც კი გამოარჩევს მას დანარჩენისგან. ჩვენც ყოველთვის იმ „პატარას“ ვეძებთ; მერე კი უკვე ჩვენი ფუნქცია და საქმეა, რომ ის



კონკურსანტებში ინდივიდუალიზმს ვეძებთ

„პატარა“ დიდად ვაქციოთ, რაც უკვე მასისთვის იქნება მისაღები და საინტერესო.

— **„ჯეოსტარის“ ჟიური სამი ადამიანით (ლევან წულაძე, მარინა ბერიძე და შენ) არის დაკომპლექტებული. საინტერესოა, ჟიურის წევრებს შორის, რაიმე შეუთანხმებლობა და აზრთა სხვადასხვაობა ხომ არ წარმოიშვება ხოლმე?**

— არის ასეთი შემთხვევაც, მაგრამ ძალზე იშვიათად...

— **მერე როგორ განიმუხტება ხოლმე სიტუაცია?**

— იმის მიხედვით, იმ წუთისთვის ვის მეტი არგუმენტი აღმოაჩნდება და დაასაბუთებს, რატომ — კი, ან რატომ — არა. ჩვენ შორის ძალიან ჯანსაღი კამათი იმართება, განსაკუთრებით, ჩემსა და მარინას შორის. ხშირად გვიჩხუბია კიდეც, მაგრამ ერთმანეთის მოსაზრებას ყოველთვის ვითვალისწინებთ, პატივს ვცემთ და უმეტეს შემთხვევაში, ჩვენი აზრი ერთმანეთს ემთხვევა.

— **როდესაც კასტინგების დამონტაჟებული მასალა ვნახე, შთაბეჭდილება შემექმნა, რომ რეგიონებში ჩატარებული შესარჩევი ტურები ძალზე სახალისო იყო. განსაკუთრებით ბევრს შენ იცინი... მაინც როგორი მონაცემების ადამიანები მოდიან კასტინგებზე?**

— ყველანაირი მონაცემისა თუ შესაძლებლობის. მაყურებელს კი რჩება შთაბეჭდილება, რომ ჟიურის წევრები იქ ვერთობით. გულახდილად შემიძლია გითხრათ, რომ ყველაფერი გართობისგან ძალიან შორს არის. რა თქმა უნდა, ის, რაც ახლა ეთერში გადის, არის სატელევიზიო ხერხები, რომ მაყურებელს უჩვენო, რაც მას სიცილს მოჰგვრის და კარგ განწყობილებას შეუქმნის. დამონტაჟებული მასალა რომ ვნახე, ვიჩხუბე კიდეც: როგორ, სიცილის მეტი იქ არაფერი გამიკეთებია-მეთქი?! მაგრამ ეს ბუნებრივია, მაყურებელს კასტინგის ის ეპიზოდები სულაც არ დააინტერესებს, სადაც ჩვენ სერიოზულ რჩევებსა და შენიშვნებს ვიძლევით და იქვე ვეხმარებით კიდეც კონკურსანტებს. ეს მასალა დიდი დოზით რომ გავიდეს ეთერში, ერთფეროვანი და უინტერესო იქნება. ამიტომ, ამ „ფილმებში“ ძირითადად, ისეთ ეპიზოდებს უჩვენებენ, როცა ყველანი ძალიან მხიარულ ტალღაზე ვართ. მაყურებელს მინდა ვუთხრა, მათ შორის კონკურსანტებსაც, რომ ეს არ არის დაცინვა.

— **დღეში ბევრი კონკურსანტის მოსმენა გიწევდათ?**

— კი. 12-ზე რომ ვიწყებდით, საღამოს 10 საათზე ვასრულებდით. წარმოიდგინეთ, რომ სადღაც 200-300 გამომსვლელი მაინც იყო. თბილისში კი მონაწილეების უწყვეტი ნაკადია ხოლმე.

— **რამდენ სტროფსა თუ ტაქტზე აჩერებთ?**

— ეს განსაზღვრული არ არის. შეიძლება, ერთ სიტყვაზეც გავაჩეროთ ვიღაც და გავუშვათ.

— **როგორი რეაქცია აქვთ მათ ამ დროს? ბრაზდებიან?**

— რა თქმა უნდა, ბრაზდებიან. არის შემთხვევები, როცა გვეჩხუბებიან. როცა ჩვენ ვერ გვიბედავენ, გარეთ გადიან და იქ იწყებენ აღშფოთების გამოხატვას. მათი აღშფოთება კონფლიქტში არასოდეს გადასულა, რადგანაც ჟიურის ერთ-ერთი წევრი — ქალბატონი მარინა ისეთი მკაცრია, რომ შეკამათებას ძნელად თუ უბედავენ. და თუ მაინც უბედავს ვინმე, მარინა ლაკონიური პასუხით ისტუმრებს მას. საერთოდ კი ვცდილობთ, კონკურსანტების მიმართ კეთილგანწყობილები ვიყოთ.

— **ისე, ზოგს მაინც საიდან მოაქვს ის უგემოვნო სიმღერები? არ შეიძლება, რომ შესარჩევი ტურისთვის რაღაც რეპერტუარი დაუწესოთ?**

— სწორედ ეს გვაძლევს იმის საშუალებას, რომ გავიგოთ ადამიანის გემოვნების, შესაძლებლობის შესახებ ყველაფერი. ყველას ერთი და იგივე სიმღერა რომ ჰქონდეს შესასრულებელი, შერჩევა გაჭირდება. მე მათი რეპერტუარი არ მიკვირს. მთელ მსოფლიოში ასეა; თან ამხელა მასას შეუძლებელია, ჰქონდეს დახვეწილი მუსიკალური გემოვნება.

— **ესე იგი, ამ „ფილმების“ ჩვენება ფართო მაყურებლისთვის მიზანშეწონილად მიგაჩნიათ...**

— კი, რათა მაყურებელი საქმის კურსში იყოს და რეალური არჩევანის გაკეთების საშუალება ჰქონდეს. სასურველია, მაყურებელმა ნახოს, საიდან და როგორ შევარჩიეთ ძირითადი შემადგენლობა...

— **მინდა, ვისაუბროთ ჟიურის ერთ-ერთ კოლორიტულ წევრზე, ბატონ ლევან წულაძეზე. როგორ უძლებს ასეთ დატვირთულ რეჟიმს?**

— ლევანის იუმორის შესახებ ყველას მოეხსენება და ადვილია წარმოდგენა, თუ რა კომენტარს გააკეთებს ის გამომსვლელსა და გამომსვლელს შორის. აი, სასაცილო ეს არის. სამწუხაროდ, ამას მაყურებელი ვერ ნახულობს. სამაგიეროდ, ჭოლა ჩვენ კარგად გვამხიარულებს. რაც შეეხება მის გამძლეობას, არაჩვეულებრივად უძლებს დატვირთვას, არასდროს წუწუნებს; ერთადერთი პრობლემა აქვს, მუდმივად სიგარეტის მოწევის სურვილი აქვს, მაგრამ არც ამით გვაწუხებს და ყველაფერს მედგრად უძლებს.

— **ამ კასტინგებზე ყველაზე უცნაური, ექსცენტრიკული მაინც ვინ იყო?..**

— ასეთი იმდენია, რომ ყველა ერთმანეთში მერევა. მე გამოვყოფ და გავიხსენებ მხოლოდ ერთ კონკურსანტს, რომელიც დადებითი კუთხით დამამახსოვრდა და ჩემზე საოცარი შთაბეჭდილება მოახდინა. ქუთაისში, კასტინგზე გამოვიდა ბიჭი, რომელიც „ჯეოსტარი 2009“-ის ძირითად შემადგენლობაშიც მოხვდა. არ მინდა, წინასწარ რამე ვთქვა, მის გვარსაც არ დავასახელებ, რადგანაც მაყურებელს ყველაფერი წინ აქვს. უბრალოდ ვიტყვი, რომ ამ ყმაწვილის გამოსვლისას საოცარი ემოცია მქონდა, ის მართლაც რომ ინდივიდუალობით გამოირჩევა. ამდენი წელია, კონკურსის კასტინგს ვესწრები და ნერვიულობის ისეთი ფორმა და ხარისხი, რაც მას ჰქონდა, არ მინახავს. დიდი იმედი მაქვს, რომ ეს ბიჭი ისეთივე შთაბეჭდილებას მოახდენს მაყურებელზე, როგორიც ჩემზე მოახდინა.

— **მხიარულმა, შრომატევადმა, დამღლელმა და საინტერესო ტურნე-კასტინგმა „ჯეოსტარი 2009“-ის ძირითადი შემადგენლობა გამოავლინა. როდის დაიწყება თვით პროექტი?**

— 12 ოქტომბერს. ძალიან გვიხარია, რომ წელს უმეტესობა რეგიონებიდან არის წარმოდგენილი. თბილისელები უმ-

ცირესობაში არიან. მაყურებელს დიდი სანახაობა ელის. ძლიერი შემადგენლობა შეიკრიბა.

— **ქალბატონ მარინაზე რომ არაფერი ვთქვით?!.**

— ის ხომ ნამდვილად ბავშვების რისხვაა!..

— **რატომ ეშინიათ მისი?**

— არ ვიცი. ხომ იცი, ერთხელ იმიჯი რომ შეექმნება ადამიანს, მერე ველარ ანგრევს მას. მენდეთ, ჩემზე უკეთ მას არავინ იცნობს. მარინა ძალიან ობიექტური და პირდაპირი ადამიანია. არადა, არ უყვართ, როცა პირში სიმართლეს ეუბნებიან. ის სულაც არ არის მკაცრი. უნდა ნახოთ მისი ბავშვივით აღტაცებული სახე, როდესაც ვიღაც კარგად მღერის, ეს ცალკე შოუა ხოლმე. მარინა უბრალოდ, მაშინ ბრაზდება, როცა ადამიანი მეოთხედ მოდის კასტინგზე და მას ვერ ვაგებინებთ, რომ იგი აღარ უნდა მოვიდეს. როდესაც ადამიანს ესმის, რასაც ეუბნები, მისადმი ჩვენც დადებითად განვეწყობით ხილმე; მაგრამ როცა კონკურსანტი შემოდის აგრესიულად და პირველივე წუთიდან „ბრძოლას გვიწყებს“, მაშინ ქალბატონი მარინაც ველარ თოკავს ემოციებს და შეიძლება, ცოტა უხეში ფორმითაც მიმართოს.

— **მოკლედ, ერთგული მეგობრები ხართ...**

— დიახ. თუ მას უყვარხარ, არასოდეს მოგცემს საშუალებას, დაისვენო, მოდუნდე ან რამე საინტერესო საქმეზე უარი თქვა. ეს გამორიცხულია — მარინა მუდმივი გენერატორია. თუ არ უყვარხარ (რაც უმიზეზოდ არ ხდება), მაშინ კი ცოტა „საშიში“ ადამიანია (*იცინის*).

— **რა შეიძლება მოიმოქმედოს?**

— არაფერი, არაფერი (*იცინის*)... როგორც ვთქვი, ხელოვნურად შექმნილი იმიჯია მისი მრისხანება...

— **ვინ შეუქმნა ეს იმიჯი?**

— ალბათ თვითონ, საკუთარი პირდაპირობით. ადამიანები კი ამას მრისხანებაში უთვლიან...

— **კმაყოფილი ხარ განვლილი ცხოვრებით?**

— ძალიან და მიმაჩნია, რომ ყველაფერი ჯერ კიდევ წინ მაქვს. ნამდვილად არ ვაპირებ გაჩერებას. ჰოროსკოპით ტყუპი ვარ. ეს იმას ნიშნავს, რომ არ მიყვარს ერთი და იმავე რაღაცის კეთება, მიყვარს სიახლე; ალბათ ღმერთიც მწყალობს და ჩემს ცხოვრებაშიც სულ რაღაც ახალი ხდება. ტელევიზია კი მიმაჩნია, რომ ის ადგილია, სადაც მე უნდა ვმუშაობდე: აქ 24 საათის განმავლობაში რაღაც ხდება... მუდმივი მღელვარებაა, ღამის თენება, რაც ძალიან მომწონს.

— **ოჯახი როგორ ეგუება ამას?**

— მეუღლესთან გაყრილი ვარ. მყავს 5 წლის ბიჭი, რომლის აღზრდაში დედა მეხმარება. ძალიან დამოუკიდებელი ბავშვია. არ უყვარს ტელევიზორი; მუსიკაში კლასიკური მუსიკისა და ჰაუსის გარდა არც ერთ ჟანრს არ სწყალობს... პრინციპში, მის ასაკში მეც ასეთი ვიყავი (*იცინის*)... ■



# განახლებული Blues Factory და Led Zeppelin-ის ჰიტები ცოცხალი შესრულებით

**ეროვნულ მუსიკალურ ცენტრში ფესტივალის — Tribute to Led Zeppelin — ჩატარება იგეგმება, სადაც ქართული მუსიკალური ჯგუფები Led Zeppelin-ის ცნობილ ჰიტებს ცოცხლად შეასრულებენ. სამომავლოდ, ქართველი მუსიკოსები სხვა ცნობილი ჯგუფების კომპოზიციებსაც შემოგვთავაზებენ, პარალელურად — საკუთარ შემოქმედებასაც გაგვაცნობენ და როგორც ფესტივალის ორგანიზატორი — ლევან ბეიტრიშვილი ვარაუდობს, შესაძლოა, „Tribute-საღამოები“ ქართული როკჯგუფების სოლო კონცერტებითაც კი შეიცვალოს... Tribute to Led Zeppelin-ის ჩატარებამდე, ფესტივალის მონაწილე ერთ-ერთი ჯგუფის — Blues Factory — რეპეტიციას დავესწარი. ორ „უხუცეს“ როკერს — „მძიმე ჯვარის“ ერთ-ერთ სულისჩამდგმელ მამუკა ჩიხლაძესა და The Generales (რომელიც წლების წინ, საქართველოში დიდი პოპულარობით სარგებლობდა) ყოფილ გიტარისტ ალეკო წულუკიძეს ტოლს არც ახალგაზრდა შემსრულებლები — ანა-მარია წამალაშვილი (ვოკალისტი), გიორგი ლომიძე (დრამერი) და დავით აჭარაძე (ბასგიტარისტი) უდებდნენ.**

*ეთო ყორღანაშვილი*

**ალეკო წულუკიძე:**

— მახსოვს, წლების წინ The Generales წევრმა ხუთმა პატარა ბიჭმა ფილარმონიის საკონცერტო დარბაზი გავავსეთ. აბსოლუტურად ყველა ბილეთი გაყიდული იყო. ის კონცერტი ვიდეოკამერით გადავიღეთ. მოგვიანებით, ჯგუფის 4 წევრს ინფარქტი თუ არ დაგვემართებოდა, არ გვეგონა.


ლეგენდარული
Led Zeppelin

— **მეხუთე წევრმა რაღაც საშინელება ჩაიდინა?**

— იმის ნაცვლად, რომ ვიდეომასალა ერთი კასეტიდან მეორეზე გადაეწერა, მან შეცდომით, ყველაფერი წაშალა (*იცინის*)... The Generales-თან მაია დათუნაშვილს 2 სიმღერა ჰქონდა ჩაწერილი. სამწუხაროდ, ვერც ისინი ვიპოვეთ. ამას წინათ, მე და მაია ერთმანეთს მარინა სალუქვაძის დაბადების დღეს შევხვდით. ჩვენი სიმღერა გავახსენე და მაიამ „ერთი ერთზე“ მიმღერა...

— **ცნობილი ჯგუფი — „მძიმე ჯვარი“ დაიშალა?**

**მამუკა ჩიხლაძე:**

— არ დაშლილა, უბრალოდ, „გაჩერებულია“. სხვათა შორის, „მძიმე ჯვარის“ ყველა წევრს ახლა თავისი ჯგუფი ჰყავს.


ასეთი ნიჭიერი და მონდომებული
ადამიანები ჯერ არ მინახავს!

— **მათ შორის, თქვენც: როგორ შეიქმნა Blues Factory?**

— მინდოდა, ელექტროაკუსტიკური ჯგუფი შემექმნა — ბლუზი დამეკრა. ამის მცდელობა ადრეც მქონდა — მაშინ 1 გოგო და 2 ბიჭი ვიყავით. 2-3 კონცერტზეც გამოვედით, მაგრამ შემდეგ, ოჯახური მდგომარეობისა და ჯგუფის წევრების მოუცლელობის გამო, იძულებული გავხდით, გავჩერებულიყავით. ალეკოსთან 20-წლიანი მეგობრობა მაკავშირებს და სწორედ მას შევთავაზე, მხარში ამომდგომოდა და Blues Factory-ს აღორძინებაზე ერთად გვეზრუნა.

— **ამ ჯგუფის განახლება სპეციალურად საფესტივალო საღამოსთვის მოხდა?**

**ალეკო:**

— არა, ამას სექტემბრიდან ისედაც ვგეგმავდით. მადლობა ფესტივალის ორგანიზატორს, რომ ანა-მარია, დავითი და გიო გაგვაცნო. ასეთი ნიჭიერი და მონდომებული ადამიანები ჯერ არ მინახავს! პირველივე რეპეტიციაზე ერთმანეთს მშვენივრად გავუგეთ. ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს ყველაზე ცოტა, 2 წლის განმავლობაში მაინც ვთანამშრომლობდით. რაც ყველაზე მთავარია, ბლუზის სიყვარული გვაერთიანებს!

— **ახალგაზრდა და „უხუცესი“ მუსიკოსები მუშაობისას არ კამათობთ?**

**გიორგი ლომიძე,** დრამერი:

— „უხუცესები“ კი არ გვეკამათებიან, არამედ ცდილობენ, საკუთარი შესაძლებლობის მაქსიმალურად გამოვლენაში შეგვიწყონ ხელი.

**ალეკო:**

— „ქავერისა“ თუ საკუთარი სიმღერის შექმნისას, ერთმანეთის იდეებს ყოველთვის ვეცნობით და ვითვალისწინებთ. ჩვენს ჯგუფში „დესპოტიზმი“ და „ერთპიროვნული მმართველობა“ არ სუფევს (*იცინის*)!

— **ფესტივალზე წარსადგენი სიმღერები თავად შეარჩიეთ?**

**მამუკა:**

— ორგანიზატორმა შემოგვთავაზა, ჩვენც გავეცანით და შევარჩიეთ. Led Zeppelin-ის სამ სიმღერას შევასრულებთ. კვირაში სამჯერ „ვრეპეტიციობთ“, რაც სავსებით საკმარისია.

— **როგორც ვიცი, ცნობილი ჰიტების გარდა, საღამოზე საკუთარი კომპოზიციაც უნდა შეასრულოთ.**

**ანა-მარია წამალაშვილი:**

— ეს გახლავთ სიმღერა Wake up the world ანუ „გავაღვიძოთ მსოფლიო“. ტექსტის ავტორი მე გახლავართ. ის ჯერ კიდევ მაშინ დავწერე, როცა მეუღლესთან ერთად, სხვა ჯგუფში ვმოღვაწეობდი. ამ ფესტივალზე „როკში“ ჩემი დებიუტი შედგება.


„მძიმე ჯვარის“ ყველა წევრს
ახლა თავისი ჯგუფი ჰყავს

**ლევან ბეიტრიშვილი:**

— Tribute to Led Zeppelin-ის საღამოში დაახლოებით 10 ჯგუფი მონაწილეობს. ეს კონცერტი იქნება Led Zeppelin-ისთვის მადლობის გადახდა, რადგან მისმა წევრებმა თავიანთი საქმე კარგად გააკეთეს. სამომავლოდ კიდევ ბევრი საინტერესო კონცერტის გამართვას ვგეგმავთ... ქართველ შემსრულებელს ცნობილ ჰიტებთან ერთად, საკუთარი კომპოზიციების წარდგენის საშუალებაც აქვთ.

— **მომავალში ფესტივალი რა სიხშირით გაიმართება ხოლმე?**

— ვეცდებით, თვე-ნახევარში ერთხელ მაინც ჩავატაროთ. დროთა განმავლობაში, ფესტივალის ფორმატი შეიცვლება და შესაძლოა, ქართული როკჯგუფების სოლო კონცერტებიც შემოგთავაზოთ. ■

# „მოვა დრო და მისი ამაგი დაფასდება...“

**ყველა ჩვენგანის ცხოვრებაში არსებობს ისეთი ადამიანი, რომელიც „დროს უძლებს“ და არ გვავიწყდება. ამის მიზეზი მასთან განსაკუთრებული შეხვედრა, დამოკიდებულება ან მისი პიროვნული შტრიხებია. ჟურნალისტმა შალვა რამიშვილმა, ვიდრე რომელიმე ასეთ ადამიანს გაიხსენებდა, ჯერ საკუთარი დედისა და მეუღლის დამსახურებებზე ილაპარაკა...**



*ნათია ჟიჟიძე*

— პირველ რიგში, ჩემთვის დაუვიწყარი ადამიანი დედაჩემია. ის შთაბეჭდილებების მომხდენი ქალია; ნებისა და სიმტკიცის განსახიერებაა. მისი დამსახურებაა, რომ სკოლაში კარგად ვსწავლობდი. საკმაოდ მოუსვენარი და ზარმაცი ბავშვი ვიყავი, მაგრამ დედაჩემის მიმართ შიშის გრძნობა მქონდა და ამის გამო, კარგად ვსწავლობდი. დედის მიმართ დღემდე უდიდესი პატივისცემა







მაქვს. როგორი დაუჯერებელიც უნდა იყოს, მთელი ამ 4 წლის განმავლობაში, ის ციხეში ჩემს სანახავად არ მოსულა. ამ ფაქტს ასე ხსნის, რომ ჩემი იქ დანახვა არ შეეძლო. მას ისეთ ადგილებში ყოფნა არ უყვარს, სადაც „თამაშის წარმმართველი“ თვითონ არ არის. ამიტომაც არ მნახა. აი, ასეთი ადამიანია დედა და მე ის ყოველთვის ასეთად დამამახსოვრდება. გარდა ამისა, ცხოვრებაში ყველაზე წარუშლელი შთაბეჭდილება ჩემმა მეუღლემ, თეამ დატოვა. ის ჩემზე მაგარია! ლომის წილი იმაში, რომ ამდენ ხანს ციხეში გავძელი, მას მიუძღვის. ჩემთან ყოველ კვირას მოდიოდა. ოჯახის მთელი სიმძიმე მის მხრებზე გადავიდა და უჩემობას არაჩვეულებრივად გაართვა თავი. თეა გმირია! ჩემი ციხის მეგობრები, რომლებიც იქ წლებია, სხედან და კარგად იციან, როგორია ქალის მდგომარეობა, როცა ქმარი ციხეში ჰყავს, მეუბნებოდნენ, — შენს ცოლს ძეგლი უნდა დაუდგა, რადგან სხვა ცოლები ასე არ იქცევიანო. ამ ამაგს თეას ალბათ ვერასოდეს გადავუხდი. უბრალოდ, სიცოცხლის ბოლომდე მისდამი უდიდესი სიყვარულითა და პატივისცემის გრძნობით ვიცხოვრებ. თეა ის ადამიანია, რომელიც ყოველდღე უდიდეს შთაბეჭდილებას ახდენს ჩემზე. ვფიქრობ, ცხოვრებაში ჩემი ყველაზე დიდი გამართლება ის იყო, რომ თეას შევხვდი.

**— ოჯახის წევრების გარდა კიდევ ვინ მოახდინა შენზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება?**

— არასოდეს დამავიწყდება ბადრი პატარკაციშვილი, რომელიც ჩემი მეგობარი გახლდათ. ის ზურაბ ჟვანიამ გამაცნო. მან უთხრა ბადრის, — ეს მნიშვნელოვანი კაცია და კარგია, მას იცნობდეო. ერთმანეთი მაშინვე მოგვეწონა. მე შოუბიზნესზე ჩემი იდეა გავუზიარე, მან თავისი მითხრა. მერე კი შევთანხმდით, რომ შევხვდებოდით და ამ საკითხზე ვისაუბრებდით. მეგობრობაც აგვეწყო. მანაც გამაცნო თავისი ოჯახი, მეც გავაცანი და ა.შ. ბადრი დიდი ადამიანი იყო. ამბობდა, საქართველოში რომ ჩამოვდივარ, ცუდად ვგრძნობ თავს, რადგან აქ პატარა მასშტაბებიაო. ორიგინალური აზროვნებითა და კარგი ჩაცმულობით გამოირჩეოდა. მასთან თავს კარგად ვგრძნობდი. არ იყო მეწვრილმანე, ფართოდ აზროვნებდა. ის ქართველებმა მოკლეს! ქართველების მეშჩანურმა გამოხდომებმა მოკლა. მას გვერდით არავინ დაუდგა და კაცი დაღუპეს. თვითონაც ბევრ შეცდომას უშვებდა, რადგან გვერდით არასწორად შერჩეული ხალხი ჰყავდა. ვის არ დაგვიშვია შეცდომა, მე თავიდან ბოლომდე შეცდომა არ ვარ?! მაგრამ შეცდომის გამო, ადამიანი არ უნდა მოვკლათ. ასე რომ, ამ ადამიანმა ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. მოვა დრო და მას საქართველოსთვის გაწეული ამაგი დაუფასდება — ტელეკომპანია „იმედსა“ და მთაწმინდის პარკს ვგულისხმობ... მას ყველაფერი წაარ-



თვეს და საჯიჯგნად სვავებს გადაუყარეს. მკვდარ კაცს ქონება ჩამოართვეს! ეს არაკაცური საქციელია.

— **როცა დაგაპატიმრეს, ბადრის ამაზე რა რეაქცია ჰქონდა?**

— საშინელი. მითხრა: — ჭკვიანი მეგონე და სულელი ყოფილხარო. თუმცაღა მოგვიანებით, თვითონაც მსგავს ხაფანგში გაება...

— **კიდევ არის ისეთი ადამიანი, რომელიც მუდმივად გემახსოვრება?**

— კი. ასეთი კაცია ზურაბ ჟვანია! ის უდიდესი პიროვნება იყო. ძალიან კარგი იუმორის გრძნობა ჰქონდა. რაც მთავარია, ჩემს ხუმრობებს იტანდა... როდის გავიცანი, აღარც კი მახსოვს.



მგონი, ის „მწვანეებიდან“ მახსოვს... ზურაბს გამბედაობა აკლდა. მასზე სისულელეებს ამბობდნენ, არაქართული წარმომავლობა აქვსო. მგონი, ამის გამო თვითონაც რაღაც კომპლექსი ჰქონდა. არადა, რა სისულელეა! თხემით ტერფამდე ქართველი იყო... გარდა ამისა, ჩემს ცხოვრებაში ძალზე მნიშვნელოვანია უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე. ყველაზე მორწმუნე ადამიანი არ ვარ, მაგრამ ის დანამდვილებით ვიცი, რომ პატრიარქს მისტიკური ძალა აქვს. ამას სიტყვებით ვერც გადმოგცემთ. რამდენჯერმე მქონდა მასთან შეხვედრის ბედნიერება და ვერ აღვწერ, მაშინ რას ვგრძნობდი. სხვათა შორის, უწმინდესი საპატიმროშიც მობრძანდა პატიმრების მოსანახულებლად და იქაც ვნახე. ციხიდან გამოსვლის შემდეგაც მთელი ოჯახით მიმიღო. მივხვდი, რომ ის არაამქვეყნიური პიროვნებაა. როცა ადამიანს რაღაც პრობლემა აქვს, საკმარისია, მასთან მივიდეს, ემთხვიოს და დამშვიდებული წამოვა — რადგან ზუსტად ეცოდინება, რომ ის პრობლემა მოგვარდება. ■



# დადებითი და უარყოფითი ემოციები პოდიუმზე

## ანუ დიზაინერ ლაკო ბუკიას დებიუტი

*ელენე ბასილიძე*

**გასულ კვირას კლუბ „ნაით ოფისში“ ახალგაზრდა დიზაინერის — ლაკო ბუკიას ჩვენება გაიმართა. მიუხედავად იმისა, რომ ახალბედა დიზაინერს საქართველოში კარგად არ იცნობენ, თბილისში მის პირველ დეფილეს კარგი რეზონანსი ჰქონდა.**



*ლაკო უკვე 4 წელია, რაც ინგლისში, „ლონდონის მოდის კოლეჯში“ სწავლობს. რამდენიმე ხნის წინ უკრაინაში გამართულ დიზაინერთა კონკურსზე მის მიერ წარმოდგენილმა კოლექციამ მოწონება დაიმსახურა და ერთ-ერთი პრიზიორიც გახდა. საქართველოში პირველად, გორში გამართულ „მშვიდობის დღეებთან“ დაკავშირებულ ღონისძიებაზე გამოჩნდა, თბილისში კი შემოდგომა-ზამთრის კოლექცია —* **emotions** *წარმოადგინა, რომელიც ერთგვარად კეთილისა და ბოროტის, თეთრისა და შავის, დადებითი და უარყოფითი ემოციების შერწყმა იყო პოდიუმზე. ჩვენება 45 წუთის დაგვიანებით დაიწყო, პოდიუმზე ცნობილ მოდელებს: კრისტი ყიფშიძეს, თიკა ფაცაციას, თიკო ნატროშვილს გვერდს შედარებით ახალბედა მოდელები უმშვენებდნენ. კოლექცია შავ-თეთრ ფერებში იყო გადაწყვეტილი, ამას მოდელების მკაცრი მაკიაჟი ერთვოდა. სამოსი მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა.*



*თითოეული კოსტიუმი ავანგარდული იყო: ელვაშესაკრავის (რომელიც თითქმის ყველა კაბას ჰქონდა) მანიპულირებით, ამა თუ იმ კოსტიუმს სრულიად განსხვავებული სტილის სამოსად აქცევდი. ასე გადაიქცა ტანზე მომდგარი კომბინეზონი ჯიბეჩაჩულ საყელოიან კოსტიუმად, ხოლო ვიწრო კაბა — ფრიალა ქვედაბოლოდ. ჩვენების დასასრულს, დარბაზში მყოფ ცნობილ ადამიანებსაც გავესაუბრეთ.*

**ნინი ბადურაშვილი:**

— ძალიან მაგარი ჩვენება იყო. ნამდვილად არ ველოდი მსგავს სილამაზეს! ლაკოს ბავშვობიდან ვიცნობ, ჩვენ ერთ სკოლაში ვსწავლობდით, მაგრამ არ ვიცოდი, თუ დიზაინერობას მიჰყო ხელი. მოსაწვევი რომ მივიღე, ძალიან გამიკვირდა და სიმართლე გითხრათ, ძალიან დავინტერესდი. ასე რომ, ლაკოს ჩვენებამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა! ორიგინალური იყო, მას თავისებური ხედვა აქვს, საქართველოში მსგავსი ჩვენება ჯერ არ მინახავს.

— **კოსტიუმებიც საკმაოდ ავანგარდული იყო...**

— კი, გეთანხმები, მაგრამ ისეთია, რომ მისი ჩაცმა თავისუფლად შეიძლება. ისეთი ავანგარდული კოსტიუმები მინახავს, მხოლოდ ჩვენებისთვის რომ ქმნიან. დღეს წარმოდგენილ ნებისმიერ კოსტიუმს სიამოვნებით ჩავიცვამდი... რაც მთავარია, თითოეული კოსტიუმი გემოვნებით გამოირჩევა.

**ბასა ფოცხიშვილი:**

— ლაკოს კოლექცია ამ ჩვენებამდე გაცილებით ადრე მქონდა ნანახი და სიმართლე გითხრათ, მსგავს დე-







ფილეს ველოდი კიდეც. კოლექცია ძალიან მომეწონა და იმედი მაქვს, ლაკო უფრო და უფრო უკეთეს კოლექციებს შემოგვთავაზებს. კვლავაც იქნება ნოვატორული და ამავდროულად პროფესიონალურიც, რადგან არ შემიძლია, არ აღვნიშნო, რომ არაჩვეულებრივი კონსტრუქციის მოდელები ჰქონდა წარმოდგენილი.

— **თავად თუ შეიძენდით მისი კოლექციიდან რომელიმე მოდელს?**

— სიამოვნებით!

**ქრისტი ყიფშიძე:**

— ძალიან მომეწონა! ნიჭიერი ადამიანია და ყოველივე საუკეთესოს ვუსურვებ!

— **როგორია ლაკოსთან მუშაობის პროცესი?**

— კარგი! სულაც არ დავღლილვარ, ამწუთას ენერგიით ვარ სავსე.

**თიკა ფაცაცია:**

— ჩვენებამ ჩემზე არაჩვეულებრივი შთაბეჭდილება მოახდინა. ძალიან უცხო და ორიგინალური კოსტიუმები ჰქონდა წარმოდგენილი. მასთან ადვილია ურთიერთობა, საყვარელი გოგონაა და ყველას ძალიან მოგვეწონა. მიუხედავად იმისა, რომ დღეს მისი პირველი ჩვენება იყო და დამწყები დიზაინერია, ვფიქრობ, ის მომავალი პერსპექტიული მოდელიერია საქართველოში. შეიძლება, მისი კოლექციიდან რამდენიმე მოდელი შევიძინო.

— **დღევანდელი დღის შთაბეჭდილებები გამიზიარე...**

**ლაკო ბუკია:**

— ჯერ კიდევ ეიფორიაში ვარ (*იცინის*)! მგონი, ჩვენება ყველას მოეწონა და ძალიან მიხარია! ვფიქრობ, შედგა ჩემი დებიუტი! თუ ჩემი ჩვენება და ნამუშევრები მოეწონათ, მომავალში ქართული მოდის ბიზნესში თავის დამკვიდრება აღარ გამიჭირდება.

— **კოლექციაზე რამდენს ხანს მუშაობდი?**

— 2 თვის განმავლობაში ვმუშაობდი. მას საქართველოში ვაკეთებდი და ცოტა დიდხანს მოვუნდი... დადებითი და უარყოფითი ემოციების გადმოსაცემად კოლექცია პირობითად 2 ნაწილად იყო გაყოფილი. ელვაშესაკრავების დახმარებით, სამოსის მაგარი ფორმები რბილ ფორმებში გადადიოდა და ვფიქრობ, რომ ჩანაფიქრი განვახორციელე.

— **ლაკო, შენს ლონდონურ შთაბეჭდილებებზეც მიამბე რამე... შენი პედაგოგები ყველაზე დიდ ყურადღებას რას აქცევენ?**

— იდეებს... ნოვატორი უნდა იყო, მუდმივად ახალს ითხოვენ.

— **რას მეტყვი შენს სამომავლო გეგმებზე?**

— მაღაზიის გახსნა მინდა (*იღიმება*). ვაპირებ, ყოველ წელს მოვაწყო ჩვენებები. უახლოეს მომავალში ლონდონში უნივერსიტეტი მაქვს დასამთავრებელი და საქველმოქმედო აქცია ჩასატარებელი, სადაც ჩემი ერთ-ერთი კაბა აუქციონზე უნდა გავიდეს.

— **შენი სამომავლო იდეები საქართველოს უკავშირდება?**

— არა მარტო საქართველოს, მთელ მსოფლიოს (*იღიმება*)! ■







# ტომ ფორდი: „მოდა ილუზორულია, კინო — მარადიული"

**ტომ ფორდი რეჟისორის როლში მოგვევლინა და პირველი ფილმი ვენეციის 66-ე კინოფესტივალზე წარმოადგინა.**



## „მოდა წამიერია“

— მოდის დიზაინი — მშვენიერი რამაა, მაგრამ პრობლემა ისაა, რომ მოდა წამიერია. საკუთარ სამყაროს ქმნი, საკუთარ სტილს შეიმუშავებ, საკუთარ დიზაინერულ ნივთებს მოიგონებ. შემდეგ კი საკუთარი თვალით ხედავ, ეს ნივთები როგორ კვდებიან. მოდა ხომ ილუზორულია!

## „მარადიულის შექმნა მომინდა“

— ამ სანახაობამ საოცრად დამღალა და რაღაც უფრო მუდმივის, შეიძლება ითქვას — მარადიულის შექმნა მომინდა. ჩემი პირველი ფილმი „მარტოსული მამაკაცი“ სწორედ ამიტომ გადავიღე. ჩემთვის კინო ძალზე პირადული ხელოვნებაა. იგი ემოციების გამოხატვის საშუალებაა. აი, ასეთი ვარ — უცნაურობანი მახასიათებს.

## „რომანტიკოსი და ინტროვერტი გახლავართ“

— ჩემთვის მოდაც თვითგამოხატვის საშუალებაა, მაგრამ დიზაინი უფრო კომერციული სფეროა. ტანსაცმელი და პარფიუმერია ხომ გასაყიდადაა გამიზნული!.. კინოს კი გასაყიდად არ ვიღებდი, სხვისთვის კი არა, ჩემთვის უფრო ვქმნიდი. ასე რომ, მადლიერი ვარ მათი, ვინც ვენეციაში ჩემი ფილმის წარდგენა მოინდომეს. ამ ჩვენების შემდეგ თავს აღიარებულ რეჟისორად მივიჩნევ.

მოდის დიზაინერის კარიერას არ მივატოვებ! დიდი იმედი მაქვს, რომ მომავალში ამ ორ სფეროს ერთმანეთს შევუთავსებ. სერიოზულად ვარ შემართული და „მარტოსული მამაკაცი“ მხოლოდ პირველია იმ მრავალრიცხოვან ფილმს შორის, რომლის გადაღებასაც მომავალში ვაპირებ.



## „ის წიგნი 80-იან წლებში წავიკითხე“

— კრისტოფერ იშერვუდის წიგნი — „მარტოსული მამაკაცი“ 80-იანი წლების დასაწყისში წავიკითხე. რომანის მიხედვით, ფილმის გადაღების სურვილი მაშინვე გამიჩნდა, მაგრამ იმ წლებში წარმოდგენაც კი არ მქონდა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გადამეღო კინო, მით უმეტეს — ასეთი კინო! იშერვუდი თავადაც ჰომოსექსუალისტი იყო. ამის შესახებ ხმამაღლა ლაპარაკობდა და სექსუალურ უმცირესობათა უფლებების აღიარებისთვის იბრძოდა. 33 წლის განმავლობაში მასზე ბევრად უმცროს მხატვართან ჰქონდა ურთიერთობა.

## „დიდხანს ვფიქრობდი, ფილმი რის შესახებ უნდა ყოფილიყო“

— ყოველთვის ვიცოდი, რომ მოდის შესახებ ფილმის გადაღება ჩემთვის საინტერესო იქნებოდა, მაგრამ ისიც კარგად მესმოდა, რომ ფილმი საინტერესო უნდა ყოფილიყო და მოდის სამყაროსგან ძალზე შორს მყოფი ადამიანებიც უნდა მიეზიდა. საკუთარ თავს ვეკითხებოდი, ამისთვის როგორ მიმელწია? გულახდილად ვაღიარებ — ასეთი პასუხისმგებლობის აღებას ვუფრთხოდი კიდეც! რადგან ძალზე კარგად უნდა იცოდე, კონკრეტულად რისი თქმა გსურს მაყურებლისთვის. და აი, როდესაც ბოლოს და ბოლოს, ჩემს გონებაში უეცრად გაიელვა: „ფილმის შექმნის დრო მოვიდა!“ — დიდხანს ვფიქრობდი, თუ რის შესახებ უნდა ყოფილიყო იგი. მაშინ კიდევ ერთხელ გადავიკითხე „მარტოსული მამაკაცი“ და ეს ნაწარმოები ახლებურად დავინახე.

## „სიკვდილის არ მეშინია“

— სიკვდილის მართლაც, არ მეშინია, მაგრამ ვაცნობიერებ, რომ ჩვენს განკარგულებაში მცირე დროა. ამ მხრივ — ძალზე შეზღუდულნი ვართ, ამდენად, თითოეული წამი უნდა გამოვიყენოთ. ამიტომაც დღეს „მარტოსული მამაკაცი“ აქტუალურია, როგორც არასდროს!

## „კრიზისი ყველას ცხოვრებაშია“

— კრიზისი თითოეული ადამიანის ცხოვრებაში სხვადასხვა დროს ჩნდება. ოდესღაც კრიზისი ჩემს ცხოვრებაშიც იყო. სწორედ მაშინ დავფიქრდი სიცოცხლისა და სიკვდილის არსზე და მივხვდი, რომ ჩემი პირველი ფილმი სწორედ ამის შესახებ უნდა ყოფილიყო — სწორედ ასე შევძლებდი მაყურებლამდე იმის მიტანას, რაც ჩემთვის ახლობელი და გასაგები იყო.

## „მამაკაცთან ცხოვრების გამოცდილება თავადაც მაქვს“

— უკვე 23 წელია, რაც ერთად ვართ. სხვადასხვა ფსიქოლოგიური ტრავმა ჩემს ცხოვრებასაც ახლდა. ხალხი ჰომოსექსუალისტებს კვლავ ნეგატიურად უყურებს და ამის გამო მრავალი პრობლემა ჩნდება. მაგრამ ჩემი ფილმის ძირითადი ხაზი „გეი-ამბავი“ როდია — მასში სქესს მნიშვნელობა არ ენიჭება. ფილმი შესაძლოა, ქალსა და მამაკაცზეც ყოფილიყო, იგი უნივერსალურია. სწორედ ასევე მოიქცეოდა ცოლის მოყვარული მამაკაცი, მეუღლე რომ დაეკარგა.

## „ფილმი სიყვარულსა და მარტოობას ეხება“...

— სიუჟეტში ზოგიერთი ცვლილება შევიტანე. იშერვუდის წიგნი შესანიშნავი პროზაა, მაგრამ აღმოჩენათა და შემეცნებათა უმრავლესობა მთავარი გმირის — პროფესორ ჯორჯ ორუელის თავში ჩნდება. ისეთი სცენარი უნდა გამეკეთებინა, რომ ფილმში მისი აზრების ვიზუალური გადმოცემა ყოფილიყო შესაძლებელი... და აი, დგება დღე, როდესაც მთავარ გმირს ჰგონია, რომ ეს მისი სიცოცხლის უკანასკნელი დღეა. მის გონებაში უამრავი მოგონება და მოვლენა უსწრაფესად გაიელვებს და ის ხვდება, თუ რა არის ცხოვრება. ორუელი ცხოვრებისეულ გაკვეთილებს სწვდება და იმას აკეთებს, რის გაკეთებასაც ბევრი ჩვენგანი ვერასდროს შეძლებს. გმირს ამქვეყნად არსებობა აღარ აინტერესებს და კვდება. ჩვენი ვარაუდით, „მარტოსული მამაკაცი“ ნაწარმოებზე უფრო პოეტური უნდა ყოფილიყო. რომანში მრისხანების სიჭარბეა, მაგრამ ჩემს ნამუშევარში ის ტკივილად და პოეზიად გარდაიქმნა. ■

## მიკი რურკმა დიმა ბილანს საცოლე წაართვა



ამერიკელი მსახიობი მიკი რურკი პაპარაცებმა იმ დროს გამოიჭირეს, როდესაც იგი რუს მოდელ ლენა კულეცკაიასთან ერთად ლონდონის ღამის კლუბში შედიოდა. მიკიმ მოდელი GQ Men of the Year Awards-ის დაჯილდოების ცერემონიაზეც კი მიიყვანა. კულეცკაია ირწმუნება, რომ რურკი მისი ნოუ-იორკელი მეზობელია და მათ ერთმანეთთან მხოლოდ მეგობრობა აკავშირებთ.

ასეა თუ ისე, კულეცკაიას საქმროს, „ევროვიზია 2008“-ის გამარჯვებულ დიმა ბილანს ასეთი „მეგობრობა“ იმდენად არ მოსწონს, რომ მან ნიშნობაც კი ჩაშალა... თავად ჰოლივუდის ვარსკვლავი რუს მოდელთან ურთიერთობის შესახებ აი, რას ამბობს: „ლენა გამაოგნებელი მზეთუნახავია. საიდუმლოდ უნდა გაგიმხილოთ, რომ მის გამო კეიტ მოსთან დანიშნული პაემანიც კი გადავდე“. ■



## ტორი ამოსი შობას ფანებთან ერთად იზეიმებს

ტორი ამოსი საკუთარ თაყვანისმცემლებს საშობაო საჩუქარს უმზადებს. 10 ნოემბერს მომღერალი კომპოზიციათა თემატურ — „ზამთრის“ კრებულს გამოსცემს, რომელსაც Midwinter Graces ეწოდება. მასში ტრადიციული საშობაო სიმღერების ვარიაციები და ამოსის რამდენიმე ორიგინალური საავტორო ტრეკი შევა. მასალა კორნუელში მდებარე, ტორი ამოსის სტუდიაში, ნაწილობრივ კი ლოს-ანჯელესსა და ნიუ-იორკში ჩაიწერა. შემსრულებელს დისკზე მუშაობისას მისი ძველი კოლეგები — დრამერი მეტ ჩემბერლენი, ბასისტი ჯონ ევანსი და გიტარისტი მაკ ალადინი ეხმარებოდნენ.

ალბომი Midwinter Graces წელს ტორი ამოსის მეორე რელიზი იქნება. მაისში მომღერალმა ახალი სრულფორმატიანი ალბომი Abnormally Attracted to Sin გამოუშვა, რომელმაც ამერიკის ჰიტაღლუმზე მეცხრე ადგილი დაიკავა და 100-ათასიანი ტირაჟით გაიყიდა. ■

## ამელ ბერაბა Sugababes-ს ტოვებს

ბრიტანული პოპტრიო — Sugababes — დანაკარგს დანაკარგზე განიცდის. ამჯერად ის ვოკალისტმა ამელ ბერაბამ დატოვა. 25 წლის მომღერლის წასვლა ჯგუფის წევრებისთვის მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას სულაც არ ჰგავდა. პრესაში ჯერ კიდევ სექტემბრის დასაწყისში გავრცელდა ხმები იმის შესახებ, რომ ამელი ჯგუფს ვოკალისტ კეიშა ბუჩანანთან მომხდარი სკანდალის გამო ტოვებდა. „კეიშასგან დაშინებული ამელი თავს ძალზე უბედურად გრძნობდა. მას ჯგუფი ძალიან უყვარს და მის დატოვებას არ აპირებდა, მაგრამ იგი კეიშას მხრიდან მუდმივ შევიწროებასა განიცდის და ეს უკვე მრავალი თვეა, გრძელდება“, — ამბობს ამელის ერთ-ერთი მეგობარი.

Sugababes-ის წარმომადგენლებს ჯგუფის შემადგენლობაში ცვლილებების შესახებ ოფიციალური განცხადება ჯერ არ გაუკეთებიათ, მაგრამ უკვე ცნობილია, რომ ამელის ადგილს მომღერალი ჯეიდ ევანი დაიკავებს, რომელიც წელს „ევროვიზიის“ კონკურსზე დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელი იყო.



უნდა ითქვას, რომ Sugababes-ის წევრებს შორის ჩხუბი და სკანდალი ჩვეული ამბავია: ამელი, რომელმაც 2005 წელს ორიგინალური შემადგენლობის წევრი, მატია ბუენა შეცვალა, უკვე მეხუთე ვოკალისტია, რომელიც ჯგუფს ამ მიზეზით ტოვებს. ამასობაში ჯგუფის ახალი ალბომის — Sweet 7 — რელიზის თარიღიც მოახლოვდა, რომელშიც სხვა სიმღერებთან ერთად, ამელი ბერაბასა და რეპერ ტინჩი სტრაიდერის ერთობლივი ახალი სინგლი Get Sexy არის შესული. ■

## მიზეზი, რომლის გამოც ელტონ ჯონს უკრაინელი ბავშვის მიშვილებაზე უარი უთხრეს

როგორც უკვე ვიუწყებოდით, ელტონ ჯონმა და მისმა პარტნიორმა დევიდ ფენიშმა საქველმოქმედო პროგრამის ფარგლებში, უკრაინაში შიდსით დაღუპულთა შვილების თავშესაფარი მოინახულეს და 14 თვის ბიჭუნას შვილად აყვანა გადაწყვიტეს. უკრაინის საოჯახო საქმეთა, ახალგაზრდობისა და სპორტის მინისტრის, იური პავლენკოს განცხადების თანახმად, ელტონ ჯონი ბავშვის შვილად აყვანას ვერ შეძლებს, რადგან იგი მეტისმეტად ასაკოვანი და თანაც, არატრადიციული ორიენტაციისაა. მინისტრი აცხადებს, რომ უკრაინის კანონმდებლობის თანახმად, ბავშვის მომავალი მშობლები დაქორწინებული უნდა იყვნენ, უკრაინა კი ჰომოსექსუალური წყვილის ქორწინებას არ ცნობს. გარდა ამისა, მშობლებსა და შვილობილს შორის ასაკობრივი სხვაობა 45 წელს არ უნდა აღემატებოდეს. ■

## კიანუ რივზი ციხეში აღმოჩნდა



ტრილოგიის — „მატრიცა" ვარსკვლავმა ბუფალოსა და ნიუიორკში ორი სასჯელაღსრულებითი დაწესებულება მოინახულა. ხელისუფლებამ მსახიობს იმ ციხეებში ექსკურსიაზე წასვლის უფლება მისცა, სადაც ახალი ფილმის გადაღებები უნდა დაიწყოს, რომელშიც რივზი ბრალდებულის როლს შეასრულებს. 45 წლის მსახიობს ამ დაწესებულებების მონახულების ნებართვის მიღება საკმაოდ გაუჭირდა, რადგან ამჟამად იქ გამოძიება მიმდინარეობს: ორივე დაწესებულება ფიგურირებს იუსტიციის სამინისტროს სასამართლო პროცესში, სადაც საოლქო პოლიციის სამმართველოს ადამიანის უფლებათა დალღვევაში ადანაშაულებენ. ■

## მომღერალ ბეიონსს სასამართლოში უჩივიან



მოზარდთა ტანსაცმლის მწარმოებელმა კომპანიამ Abercrombie and Fitch Co ამერიკელ მომღერალ ბეიონს ნოულზის გეგმებთან დაკავშირებით სასამართლოში სარჩელი შეიტანა. ბეიონსი სუნამოს გამოშვებას აპირებს, რომელსაც Sasha Fierce ეწოდება, კომპანია კი ირწმუნება, რომ ეს სახელწოდება მისი სავაჭრო მარკის უფლებათა დარღვევა იქნება. კომპანია მომღერალს არაკეთილსინდისიერ კონკურენციასა და შეცდომაში შემყვანი სავაჭრო ნიშნის გამოყენებაშიც ადანაშაულებს. კომპანიის წარმომადგენლები ირწმუნებიან, რომ მისი ერთ-ერთი ფილიალი Fierce-ს სავაჭრო მარკაზე უფლებებს 2002 წლიდან ფლობს. ფილიალი ამ დასახელების მამაკაცის სუნამოს უშვებს, რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობს. კომპანია დაბეჯითებით მოითხოვს, რომ სასამართლომ ბეიონსს მსგავსი დასახელების სუნამოს გამოშვება აუკრძალოს. ■




## მშვენიერი მეგან ფოქსი ჟურნალ Rolling Stone-ის გარეკანზე

პოპულარული მსახიობი Rolling Stone-ის ოქტომბრის ნომრის გარეკანზე მოხვდა. ამ თვეში მსოფლიოს კინოეკრანებზე მისი მონაწილეობით გადაღებული ფილმი — „ჯენიფერის სხეული" გამოვა. ტაბლოიდებმა მსახიობის სხეულის ყველა ღირსება განიხილეს და დაასკვნეს, რომ მეგანი ჯერ კიდევ ძალზე „მწვანეა", მაგრამ არც ის გამორჩათ, რომ ჟურნალისთვის მიცემული ინტერვიუ უინტერესო და მოსაწყენი იყო! ■

## ლინდსეი ლოხანი სასტუმროდან გამოაძევეს

ლოხანმა და მისმა ყოფილმა მეგობარმა, სამანტა რონსონმა მანჰეტენზე მდებარე სასტუმრო Boweru Hotel-ში ისე იჩხუბეს, რომ ვარსკვლავის დასაშოშმინებლად, პოლიციის გამოძახება გახდა საჭირო! როგორც ამბობენ, ლინდსეიმ რონსონის ნომრის კარს ლანგარი ესროლა, რომლითაც ოფიციანტები სტუმრებისთვის კერძებსა და სასმელებს დაატარებენ, მაგრამ მიზანს ააცილა და ლანგარი სხვა კარს მოხვდა. ამ ინციდენტის შემდეგ მსახიობი სასტუმროდან გააძევეს, რადგან მომსახურე პერსონალისთვის, მასზე საჩივრით სასტუმროს სხვა კლიენტებსაც მრავალჯერ მიუმართავთ. ■



რუბრიკა მოამზადა ნატო მანჯავიძემ

**ამ ზაფხულს, ბათუმში ყოფნის დროს რამდენიმე დღის განმავლობაში ზედიზედ, პლაჟზე ასე, 45 წლის მამაკაცს ვხედავდი. ზღვის ნაპირზე მოლბერტი ჰქონდა დადგმული და ხატავდა. ძალიან ლამაზი პირისახე ჰქონდა, ქერა, გრძელი, ხვეული თმა და რომ არა მოზრდილი კუზი, ალბათ მის იდეალურ გარეგნობას ხინჯს ვერ უპოვიდით. ჩემი ყურადღება თავდაპირველად სწორედ მისმა კუზმა მიიქცია. შემდეგ — ნახატმა. მამაკაცი ზღვას ხშირად გახედავდა და ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს ზღვას ხატავდა, სინამდვილეში ტილოზე უცნაურ ფიგურებს გამოსახავდა... მესამე დღეს ვერ მოვითმინე და მასთან ახლოს, მის ზურგს უკან დავდექი, რომ ტილოზე გამოსახული ფიგურები დამენახა. ჩემი მიახლოება იგრძნო და მოიხედა. შიშისგან ლამის ენა ჩამივარდა. სხვადასხვა ფერის თვალებით ისე მიყურებდა, ადგილზე გამაქვავა.**



*მარი ჯაფარიძე*

# ეუდი

## კუზიანი მხატვრის სიყვარული და გაქცევა

— **თქვენ... თქვენ... სხვადასხვა ფერის თვალები გაქვთ?** — *როგორც იქნა, ხმა ამოვიღე.*

— თვალების გარდა ვერაფერი შენიშნე უცნაური? — *„შენობით“ მომმართა.*

— **კი, ფიგურები, რომლებსაც ხატავთ. არადა, ზღვას გაჰყურებთ,** — *სიმხნევე მოვიკრიბე, რადგან მის ხმაში ბოროტება ვერ ვიგრძენი.*

— კუზი?

— **კუზი უცნაურობა არ გახლავთ, მსგავსი პრობლემა ალბათ ბევრს აწუხებს,** — *თითქოს თავს ვიმართლებდი.*

*უცნაურად ჩაიცინა.*

— ბათუმელი ხართ?

*თავი ისე დაიქნია, რომ ერთდროულად „ჰოსაც“ ნიშნავდა და „არასაც“.*

— **ხატვით ერთობით თუ ეს საქმიანობა თქვენი შემოსავლის წყაროა?** — *არ ვეშვებოდი.*

— რატომ მიწყალებ გულს?

— **მგონია, რომ საინტერესო ადამიანი ხართ და მინდოდა თქვენზე პატარა ჩანახატი გამეკეთებინა, თუ ამის წინააღმდეგი არ ხართ და თქვენი ცხოვრების შესახებ რაიმეს მომიყვებით.**

— ჟურნალისტი ხარ, როგორც ვხვდები.

— **დიახ,** — *ისე ვთქვი, რომ აშკარად შემეტყო, მეშინოდა, არ დამეფრთხო.*

— ერთი სათნო ქალის კოორდინატებს გეტყვი, მას დაუკავშირდი და ყველაფერს გეტყვის. მე კი თავი დამანებე. იმ ქალზე დაწერე, ჩემი ამბავი ვის აინტერესებს?

— **მე მაინტერესებს.**

— შენ რომ გაინტერესებს ეგ ბევრს არაფერს ნიშნავს. გინდა თუ არა ნანას კოორდინატები?

*სხვა გზა არ მქონდა. უკვე ისე ვიყავი დაინტერესებული ამ უცნაური ადამიანით, რომ მის წინადადებას დავთანხმდი.*

*მაშინვე დავუკავშირდი ქალბატონ ნანას და შეხვედრა ვთხოვე. ცოტა ხანში ბათუმურ კაფეში შევხვდი. ხმის მიხედვით ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ახალგაზრდა ქალი უნდა მოსულიყო. ცოტა ხანში ჩემს მაგიდას 65-ს გადაცილებული, სანდომიანი სახის ქალბატონი მოუახლოვდა.*

*...4 საათის განმავლობაში გაუჩერებლივ ლაპარაკობდა, მე კი გაოცებული, გაოგნებული და თვალცრემლიანი ვუსმენდი.*

*ყველაფერი კი ასე დაიწყო:*

მას უფრო გოგონა ეთქმოდა, ვიდრე — ქალი. პატარა ხელები, ციცქნა ტერფები და ბავშვური გამომეტყველება ჰქონდა. სახეზე კი შიში და ტკივილი ეხატა. მალე დედა უნდა გამხდარიყო... უკვე მესამე დღეა, სამშობიარო პალატაშია, საშინელი ტკივილებით იტანჯება, მაგრამ მისი ტირილისა და წუწუნის ხმა არავის გაუგონია.

იქვე, მის გვერდით მოფუსფუსე

მეანი ამშვიდებდა:

— ცოტაც მოითმინე, პატარავ და დღეს აუცილებლად გააჩენ.

პასუხად კი დუმილს იღებდა. შუაღამისას ტკივილი გაუსაძლისი გახდა და გოგონამ ამოიკვნესა. მერე ხმადაბლა დაიყვირა კიდეც. მის ხმაში სიცოცხლის წყურვილი და შიში იგრძნობოდა. ძლივს მოასწრეს მისი სამშობიარო ბლოკში შეყვანა და მაგიდაზე დაწვენა. რამდენიმე წუთში ბიჭი გააჩინა. ექიმმა, რომელმაც ბავშვი ხელში აიყვანა, ღრმად ამოიოხრა. ბიჭუნა კუზიანი იყო. მხოლოდ კუზიანი კი არა, ბავშვს მთელ ზურგზე თევზის ფარფლის მაგვარი გამონაზარდი ჩაუდიოდა. თვალებიც სხვადასხვა ფერის ჰქონდა — შავი და მწვანე.

პატარა დედა იღიმებოდა არაფერს კითხულობდა. ტკივილი დასრულდა, შიშმა გაიარა, ყველაფერი დამთავრდა! მას ბავშვის შესახებ არაფერი უთხრეს, პალატაში ისე გადაიყვანეს. ექიმებმა გადაწყვიტეს, დილამდე მოეცადათ. შემდეგ ჯერ გოგონას ნათესავებს ეტყოდნენ, ისინი კი — დედას. დილით სანიტარმა გოგონა მკვდარი იპოვა. რატომ, როგორ და რა მიზეზით, ვერ გაარკვიეს. დაიძინა და აღარ გაიღვიძა. ასე მარტივად და უბრალოდ —

გული გაუჩერდა...

## 18 წლის შემდეგ

ამ წლების განმავლობაში დედამიწაზე მილიარდი წვიმის წვეთი ჩამოვარდა... ადამიანებიც შეიცვალნენ... ცხოვრება ისევ ისე აბრუნებდა ყველაფერს და ბედიც ისევე დაუნდობელი იყო, როგორც წლების წინ.

ნანა შინ დაღლილი ბრუნდებოდა და ფეხებს ძლივს მიათრევდა. ამინდი კი დაღლილობის შეგრძნებას უმძაფრებდა. შემოდგომა ძალზე გაიწელა... ნახევრად წვიმა, ნახევრად თოვლი, ნახევრად ღრუბელი, ნახევრად მზე... მხოლოდ ტალახი იყო „მთლიანი“ და „სტაბილური“.

შინ მიმავალი ქალი იმაზე ფიქრობდა, როდის მივიდოდა სახლში, იბანავებდა, წამლების სუნს მოიშორებდა, ყავას მოიდუღებდა, სიგარეტით ხელში დივანზე დაჯდებოდა და სიმშვიდით დატკბებოდა. სადარბაზოსთან ახალგაზრდების მხიარულმა კომპანიამ გვერდით ჩაუარა. სიცილითა და ხმამაღალი ლაპარაკით მიდიოდნენ.

— ქალბატონო, ხომ არ შეგაშინეთ? — ჰკითხა ერთმა.

ყველამ გაიცინა და გზა განაგრძეს. ქალი კი მილურსმულივით გაჩერდა. გონს მოსული ახალგაზრდებს გამოედევნა და მაღაზიის შესასვლელთან წამოეწია.

— ერთი წუთით მოიცადეთ, — ძლივს მოითქვა სული ქალმა.

ყველა შემობრუნდა და გაოცებით დაუწყეს ყურება.

— რა გინდა? — უხეშად ჰკითხა ერთმა.

— აკა, ნახე რა ქალია?! — მხარი გაჰკრა მეორემ, — ასეთ ქალებს ასე არ ექცევიან.

ის, რომელსაც აკა დაუძახეს, ქალს მიუახლოვდა, ხელკავი გამოსდო და ყურში ჩასჩურჩულა: — რა გნებავთ ქალბატონო ან ვინ გნებავთ? — რაღაცნაირად, ნერვიულად გაიცინა.

ქალმა მკლავი გაითავისუფლა და თვალებში ჩახედა.

— შენ ხარ, აკა?

ბიჭი გაფითრდა და უხეშად უთხრა:

— მე ვარ, მაგრამ რა გინდათ?

— რაღაც უნდა გითხრა, — შვებით ამოისუნთქა ქალმა, — გთხოვ, უარს ნუ მეტყვი.

— აკა, ხედავ? გთხოვენ, — ხმამაღლა გაიცინეს ბიჭებმა — დათანხმდი, ბიჭო, ასეთ წინადადებას ყოველდღე კი არ მიიღებ, — ხმამაღლა გაჰყვიროდნენ ბიჭები და სახეებს მანჭავდნენ.

— გეყოფათ, — კბილებში გამოსცრა აკამ და მაშინვე ყველა გაჩუმდა, — შინ წადით, ქალბატონო, გვიანია უკვე, ხიფათს არ გადაეყაროთ, — ქალს ჯერ მიუბრუნდა, შემდეგ ზურგი აქცია...

ქურთუკის ქვეშ კუზი იკვეთებოდა.

— აკა, მინდა დედაშენის შესახებ დაგელაპარაკო, — მტკიცე ხმით თქვა ქალმა.

სიჩუმე ჩამოვარდა.

ბიჭს მის ნათქვამზე რეაქცია არ ჰქონდა. ქალისკენ ისევ ზურგით იდგა.

— ნახვამდის, ქალბატონო.

— აკა, — ქალის ხმაში მუდარა გაისმა, — ამის შემდეგ ყოველ კვირადღეს, აი იქ, შადრევანთან დაგელოდები, — ხელი გაიშვირა ქალმა, — თორმეტიდან პირველ საათამდე. გთხოვ...

ბიჭი შემობრუნდა, სახე მიუახლოვა და თითქმის დამარცვლით უთხრა:

— მე ხომ დაგემშვიდობეთ, ქალბატონო! ეს საკითხი ამოწურულია.

შემდეგ ხელები მხრებში ჩასჭიდა და თავისი სხვადასხვა ფერის თვალებით თვალებში ჩახედა.

— მოვალ. ზუსტად არ ვიცი როდის, მაგრამ აუცილებლად მოვალ, — ჩურჩულით უთხრა შემდეგ და ხელი გაუშვა.

— კარგი, გვეყო სისულელეები, წავედით, თორემ მაღაზია დაიკეტება და უპუროდ დავრჩებით, — ხმამაღლა უთხრა ბიჭებს.

შინ მისულმა ქალმა უზომო დაღლა იგრძნო. სულიერად დაიღალა და ეს დაღლილობა ფიზიკურ დაღლილობას არც კი შეედრებოდა. ქალი ემოციებისგან დაცლილიყო...

რამ უბიძგა ამ ნაბიჯისკენ? მოგონებებმა თუ სიბრალულმა? ამის ახსნა არ შეეძლო. შხაპი მიიღო, ყავა მოადუღა, სიგარეტს მოუკიდა, დივანზე მიწვა და მოგონებები აეშალა.

*— სამედიცინო ტექნიკუმი ახალი დამთავრებული მქონდა. სამსახური თბილისის ერთ-ერთ სამშობიარო სახლში ვიშოვე, ახალშობილთა ექთნად. პირველსავე ღამის მორიგეობაზე ბავშვთა განყოფილებაში ახალშობილი შემოიყვანეს. რომ შევხედე, ძალიან შემეშინდა. ისიც კი არ ვიცოდი, როგორ ამეყვანა ხელში პატარა, რომ მისთვის ტკივილი არ მიმეყენებინა. ასაკოვანმა სანიტარმა ქალმა მასწავლა, როგორ ჩამეწვინა ლოგინში ჩვილი ისე, რომ მოხერხებულად ყოფილიყო და არ ეტირა. ის თითქმის არც ტიროდა. ძალიან მეცოდებოდა და ღამის განმავლობაში რამდენჯერმე მხარი შევუნაცვლე, რომ არაფერი სტკენოდა. როდესაც ბავშვი დღის შუქზე გავხსენი და საფენების გამოცვლას ვცდილობდი, მისი კუზიფარფლი კარგად შევათვალიერე და გული შემეკუმშა. ყველაზე დიდი გაოგნება ბავშვის სხვადასხვა ფერის თვალებმა გამოიწვია. თითქოს მთელი სამყაროს სევდა ჩატეულიყო ამ თვალებში. შემდეგ ისიც შევიტყე, რომ იმ ღამით ბავშვის დედა მომკვდარიყო. გარდაცვლილს დავხედე. პატარა, გალეული გოგონა იყო. ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს ეძინა. ეს პირველი სიკვდილი იყო, რომელიც სამსახურში ვნახე. როდესაც სარეგისტრაციო ჟურნალში გოგონას მონაცემები მოძებნეს, რათა ახლობლებისთვის მისი სიკვდილი შეეტყობინებინათ, ვერაფერი იპოვეს, გარდა სახელისა და გვარისა. არც მისამართი, არც ტელეფონის ნომერი დაფიქსირებული არ გახლდათ. შემდეგ გაირკვა, რომ ის „სასწრაფოს“ ქუჩაში უპოვია და სამშობიაროში მოუყვანია. იმ 3 დღის განმავლობაში, რაც მან სამშობიაროში გაატარა, არავის მოუკითხავს და მისით არავინ დაინტერესებულა. გოგონა საავადმყოფომ დაასაფლავა, ბავშვი კი სამშობიაროში იმ იმედით დატოვეს, რომ ვინმე მოაკითხავდა, მაგრამ ამაოდ. ბავშვის შეყვარება იოლია. პატარა იშ-*

*ვიათად ტიროდა, კარგად ჭამდა და ეძინა. რომ არა მისი კუზი-ფარფლი, იდეალური ბავშვი იქნებოდა. ბავშვს ძალზე შევეჩვიე. დაბადების მოწმობის ასაღებად მმაჩის ბიუროში მთავარმა ექიმმა მე გამიშვა. დიდი სურვილი მქონდა, ბავშვი მეშვილა, მაგრამ მაშინ ახალი გათხოვილი ვიყავი და ჩემმა ქმარმა ულტიმატუმი წამიყენა — ან მე, ან ის კუზიანიო. არჩევანი ჩემი ქმრის სასარგებლოდ გავაკეთე, რაც მომავალში ძალიან ვინანე.*

დროთა განმავლობაში ბავშვიც ცნობდა ნანას და მის ძახილზე — აკა, აკუნა, — რეაქციაც ჰქონდა. გავიდა დრო და წესისა და კანონის დაცვით, 6 თვის აკა ბავშვთა სახლში გადაიყვანეს. თავიდან ყველა იხსენებდა, შემდეგ კი მიივიწყეს. რას იზამ, ცხოვრება ასეთია...

რამდენიმე წლის შემდეგ ნანას ოჯახი სწორედ იმის გამო დაინგრა, რომ ქმარი ბავშვის გაჩენის უფლებას არ აძლევდა...

*— იმ საღამოს, როცა აკას შევხვდი, ძალზე ბევრი ვიფიქრე. თხლად ეცვა, არც მისი მეგობრები მომეწონენ. კვირამდე დარჩენილი დღეები მოუსვენრად გავატარე. თითქოს ორ განზომილებაში ვცხოვრობდი. გონებით — შადრევანთან ვიყავი, სხეულით კი ხუთშაბათში, პარასკევში და შაბათში... კვირას აკა არ მოვიდა. არც შემდეგი 5 კვირის განმავლობაში გამოჩენილა. უკვე იმედი გადამეწურა, მაგრამ მაინც ჯიუტად განვაგრძობდი დათქმულ ადგილზე მისვლას. მორიგი იმედგაცრუების შემდეგ, სამსახურში მისულმა იმ სანიტარს ვუხმე, რომელმაც ახალშობილ აკასთან ურთიერთობა მასწავლა. ბავშვი გავახსენე. მაშინვე გაიხსენა. ისიც კი ახსოვდა, სახელი მე რომ დავარქვი. ჩემი და აკას შეხვედრის შესახებ დაწვრილებით მოვუყევი. გაოცებული მისმენდა. როდესაც ვუთხარი, უკვე 5 კვირაა, აკას სანახავად დავდიოდი, თვალებზე ცრემლი მოაწვა. რატომ ცდილობ მის ნახვასო? — მკითხა. მაშინ დავფიქრდი, მართლაც, რატომ ვცდილობდი? მივხვდი, რომ მისი დახმარება მინდოდა. მაგრამ იმაზე არ მიფიქრია, მას უნდოდა თუ არა, რომ დავხმარებოდი. მეექვსე კვირას ისევ ისე ვიდექი შადრევანთან. ქარი ქროდა და საშინელი სიცივე იყო, მაგრამ ჯიუტად ვიდექი და ველოდი, ერთიანად გაყინული.*

*— შეგცივდათ? — ვიღაცამ მკითხა.*

*გული სიხარულით ამიჩქროლდა. ჩემ წინ აკა იდგა და გაყინული თვალებით მიყურებდა.*



*— ჰო, გავიყინე, წამოდი, ჩემთან წავიდეთ, იქ ვილაპარაკოთ, გავთბებით და ყავასაც დავლევთ, — გონს მოსვლა არ ვაცადე, ხელკავი გამოვდე და თან გავიყოლე. უხმოდ დაჰყვა ჩემს სურვილს.*

*სამზარეულოში შევიყვანე და დივანზე ლამის ძალით დავსვი.*

— მე ნანა მქვია, იმ სამშობიაროში ვმუშაობდი, სადაც შენ დაიბადე, 18 წლის წინ. მაშინ გაგიცანით შენც და დედაშენიც. ის 3 დღის განმავლობაში მშობიარობდა, ხმასაც არ იღებდა და ასევე უხმოდ და ჩუმად გარდაიცვალა. დაიძინა და აღარ გაიღვიძა. ალბათ დაიღალა. მე შემიძლია, მისი საფლავი გაჩვენო. სახელი მე დაგარქვი, 6 თვის განმავლობაში გივლიდი, უზომოდ შეგიყვარე და დავმეგობრდით, სანამ ჩვენთან იყავი. შემდეგ ბავშვთა სახლში გადაგიყვანეს...

ამის შემდეგ, თითქოს აღსარებას აბარებსო, ნანა თავისი ცხოვრების ყველა დეტალს მოჰყვა. რაც მეტს ლაპარაკობდა, მით მეტი სიბრაზე ესახებოდა სახეზე აკას.

— მორჩა, მე წავედი, მელოდებიან, — ფეხზე წამოდგა ბიჭი, — მაგრამ მაინც ვერ გავიგე, ჩემგან რა გინდათ?

— არაფერი... თუმცა, როგორ არაფერი, მინდა, დაგეხმარო, მინდა, აქ იცხოვრო. მინდა, ეს სახლი შენიც იყოს.

— თქვენ გგონიათ, რომ ეს მეც მინდა?

— არა, არ მგონია, მაგრამ რა გიშლის ხელს, რომ მოინდომო?

— შეგეცოდე? ჰო, შეგეცოდე! საწყალი, საცოდავი მახინჯი! არც სახლი მაქვს, არც ოჯახი, არც ტანსაცმელი! სამაგიეროდ, მე ის მაქვს, რაც სხვებს არ აქვთ — კუზი, რომლითაც ჩემმა დედიკომ დამაჯილდოვა. მე მაქვს სხვადასხვა ფერის თვალები, რომლებსაც ყველა ხედავს და ამჩნევს! შენ რა, გგონია, ვერ მივხვდი, როგორ გეცოდები? როგორ ათვალიერებ ჩემს ტანსაცმელს? მახინჯი ვარ, გესმის, მა-ხინ-ჯი! ასეთი დავიბადე და ასე მოვკვდები! ხომ გინახავს, ქუჩაში დათვს რომ ჩამოატარებენ ხოლმე? ხალხმა რომ ისეიროს? ჰოდა, ეს დათვი მე ვარ!

აკა შეტრიალდა და წასვლა დააპირა. გასვლისას ტაბურეტს წამოედო და გადააყირავა. მობრუნდა, სკამი თავის ადგილზე დადგა და ნანას შეხედა. ქალს თვალები ცრემლით ჰქონდა სავსე. ვიდრე ბიჭი ლაპარაკობდა, ნანა თავს ტირილის უფლებას არ აძლევდა. როგორც კი ბიჭმა წასვლა დააპირა, ცრემლები თავისით ჩამოუგორდა ლოყებზე. აკა შეჩერდა. ვერ წარმოედგინა, რომ ასე, უხმოდ ტირილი შეიძლებოდა.

— ნუ ტირით, მართალია, სულელი და მახინჯი ვარ, მაგრამ გული მაქვს, — მის ხმაში სიბრალული იგრძნობოდა. ნანას გული ამოუჯდა და ქვითინი დაიწყო.

— დამშვიდდით, არ მივდივარ, აი, აქ ვარ, — ბიჭმა მის მუხლებთან ჩაიჩოქა და მუხლებზე თავი დაადო.

კარგა ხანმა გაიარა ასე. ნანა დამშვიდდა. აკა გამოემშვიდობა და შეჰპირდა, რომ აუცილებლად ინახულებდა, ხანდახან მაინც.

მეორე დილით კარზე დააკაკუნეს.

ნანა სტუმარს არ ელოდა და უხალისოდ გააღო კარი.

შემცივნულ აკას ხელში ჩემოდანი ეჭირა და თბილად იღიმოდა.

ჩემოდანი წიგნებით იყო სავსე. ნანამ ბიჭს ოთახი მოუწყო, წიგნებისთვის თაროებიც მოუტანა. თან ალაგებდა, თან ბიჭს ესაუბრებოდა.

— ამდენი წიგნი რად გინდა?

— მე მომავალი მხატვარი ვარ, ახლა კი სამხატვრო სასწავლებელში ვსწავლობ. ამ გაზაფხულზე ვამთავრებ. გინდა, დაგხატო?

— ახლა?

— ჰო, ახლა.

ნანა იქვე, ჯერ ისევ იატაკზე დადგმულ წიგნის თაროზე ჩამოჯდა, აკამ ხატვა დაიწყო. სურათი



რომ დაასრულა, უკვე ბნელდებოდა. ნანა გაოცდა. აკას ის ზღვის პირას მჯდარი, ჩამავალი ზღვის ფონზე დაეხატა.

— ყოველთვის ვოცნებობდი, რომ ზღვისპირა ქალაქში მეცხოვრა, — დამნაშავესავით ჩაიბურტყუნა ბიჭმა...

ნანამ მადლობის ნიშნად ლოყაზე აკოცა.

*— ასე დაიწყო ჩვენი, 2 უცნობი ადამიანის ერთობლივი ცხოვრება. თუმცა, გვეგონა, რომ ჩვენზე ახლობელი ადამიანები არც არსებობდნენ დედამიწის ზურგზე. ერთად ცხოვრებას ვსწავლობდით, ერთმანეთს ვეგუებოდით...*

აკა ყოველ საღამოს ხატავდა, ნანა კი ამ დროს სიგარეტითა და ყავის ფინჯნით ხელში თვალყურს ადევნებდა.

მალე ნანამ ბიჭს ოცნება აუსრულა, თბილისში ბინა გაყიდა და საცხოვრებლად ბათუმში გადავიდნენ...

ამასობაში 2 წელი გავიდა. ისინი ერთმანეთს შეეჩვივნენ და არც არავინ უნდოდათ ერთმანეთის მეტი. ერთ საღამოს ბიჭმა ნანა დივანზე დასვა, თვითონ მის წინ ჩაიმუხლა და თავდახრილმა უთხრა:

— ნანა, ჩვენ ძალიან ცოტა დრო გვაქვს.

— რისთვის?

— გამოსამშვიდობებლად...

— სად მიდიხარ, აკა? — თვალები აუწყლიანდა ნანას.

ის კარგა ხანია, გრძნობდა, რომ ბიჭი გაურბოდა, გარეთ ბევრ დროს ატარებდა და გულჩათხრობილიც გახდა. თითქოს რაღაც ცუდს უგრძნობდა გული.

— მივდივარ... სულ მივდივარ. ამაღამ დავტოვებ აქაურობას. გავრბივარ შენგან და გავურბივარ საკუთარ თავს... მე შენ მიყვარხარ, ნანა...

**პრინციპში, ვფიქრობ, თავად ამბავი ისეთი შთამბეჭდავია, რომ ამ უმნიშვნელო კითხვებზე გაცემულ პასუხებს ალბათ არაფრის შეცვლა არ შეუძლია.**

— მეც მიყვარხარ, ჩემო ბიჭო.

— არა, მე სხვანაირად მიყვარხარ... ისე, როგორც მამაკაცს — ქალი. ჩემი ბრალი არაა, ასე რომ მოხდა. უმადური ვარ, მახინჯი უმადური! მე ჩემს სიყვარულს გავურბი და იძულებული ვარ, დაგტოვო.

— სად მიდიხარ? — გაოგნებულმა ნანამ მხოლოდ ეს მოახერხა. აღარც ცრემლი სდიოდა თვალებიდან.

— ბათუმში რომ მხატვარი კაცი გავიცანი, ის დამეხმარა, თავის ფრანგ მეგობარს დაუკავშირდა და სთხოვა, ჩემს პროფესიონალად ჩამოყალიბებაში მიეღო მონაწილეობა. ჩემი სურათები გაუგზავნა, მას ძალიან მოეწონა და გადაწყვიტა, მივეწვიე თავის სახელოსნოში. შენ კი უნდა გათხოვდე, ახალგაზრდა ქალი ხარ... აუცილებლად უნდა გათხოვდე, რადგან მეცოდინება, რომ სხვისი ცოლი ხარ და უკან აღარ დავბრუნდები... მე ხომ მახინჯი ვარ! მახინჯი სხეულით და შესაძლოა, სულითაც!

ბიჭმა ტანისამოსის ჩაბარგება დაიწყო. ნანა ცრემლიანი თვალებით უყურებდა და ხელს არ უშლიდა. რამდენიმე საათის შემდეგ აკა წავიდა. წასვლისას კი ქალს ტუჩებში აკოცა...

*— მისი წასვლის შემდეგ მალე გავთხოვდი ბათუმელ მამაკაცზე. აკასგან არაფერი ისმოდა... ისიც კი არ ვიცოდი, ცოცხალი იყო თუ მკვდარი. 4 წლის შემდეგ, ჩემს დაბადების დღეს ამანათი მივიღე საფრანგეთიდან. ხელის ცახცახით გავხსენი და კარგა ხანს დავყურებდი აკასგან გამოგზავნილ სურათს. ზღვის ნაპირზე ლამაზი ქალი იდგა, ჩამავალ მზეს ტანით ფარავდა, ცალი ხელი გაწვდილი ჰქონდა, მეორე კი საკუთარ წელზე ჰქონდა შემოხვეული და სივრცეს გაჰყურებდა. ნახატს თან ბარათი ახლდა, რომელზეც სულ რამდენიმე სიტყვა ეწერა: „აი, ამ დღეს შემიყვარდი“.*

ნანამ ლაპარაკი დაასრულა. უამრავი კითხვა გამიჩნდა — „ახლა სად ცხოვრობს აკა, აქ თუ საფრანგეთში და სტუმრად ჩამოდის ხოლმე?“ „როგორი მხატვარი დადგა მისგან?“, „რამდენი წლის შემდეგ შეხვდით ერთმანეთს?“ „რა ხდება ახლა?“ ეს ყველაფერი ძალიან მაინტერესებდა, მაგრამ ვიფიქრე, რომ ზედმეტი იყო და ალბათ სწორად მოვიქეცი, რომ არ ვკითხე. ქალის მკაცრად მოკუმული ტუჩებიც იმის მანიშნებელი იყო, რომ ამის მეტს არაფერს მეტყოდა.

■

# არც ერთს არ გვეყო ნებისყოფა, საერთო ძალებით დაგვემარცხებინა საშინელი სენი

მარინა ბაბუნაშვილი

**მსგავსი პრობლემა და ტკივილი ბევრს რომ არ აწუხებდეს, ალბათ გამიჭირდებოდა კვლავ ამ თემაზე ლაპარაკი, მაგრამ როცა ლალი რედაქციაში მესტუმრა და მიამბო თავის ტკივილიან წარსულზე, გადავწყვიტე, ისევ შევხებოდი ნარკომანიას და მასთან დაკავშირებულ პრობლემებს („ყველას თავისი მძიმე ჯვარი აქვს სატარებელი“, „კვირის პალიტრა“, 2007 წლის 7 მაისი)**



## ამბავი პირველი
## „თავი დამანებეთ, მიყვარს და მივყვები“

ლალიმ მშობლებისა და ძმის დახმარებით ერთი სახლის პირველი სართული იჯარით აიღო და „მინი სუპერმარკეტი“ გახსნა. თავდაპირველად, დღე და ღამეს ასწორებდა, თავად იყო დირექტორიც და ბუღალტერიც, მას ან სუპერმარკეტში ნახავდით, ან საბითუმო საწყობში. მერე ერთგული ადამიანები დანიშნა თანაშემწეებად და ცოტათი ამოისუნთქა. შაბათ-კვირას თავს უფლებას აძლევდა მეგობრების წრეში გაეტარებინა დრო. ერთ-ერთ ასეთ თავყრილობაზე უჩა გაიცნო, რომელიც პანკისიდან გახლდათ.

ლალის ჩანაწერებიდან: „ვის არ მოვწონდი, ვინ არ მეპრანჭებოდა! უჩა კი, რომელიც არც ნასწავლია და არც თბილისში აქვს ბინა, რალაცნაირად მიზიდავს. აი, დღეს მესამედ შევხვდი და აღარ ვიცი, სად დავემალო მის მზერას...“ საოცარი ძალით მიზიდავს და მოსვენებას მაკარგვინებს... სულაც არ ჰგავს სოფელში დაბადებულ-გაზრდილს. რასაც გრძნობს, იმას ამბობს კიდეც. თენგოს ეცინება როცა ჩვენ გვისმენს. გუშინ ჩუმად ვკითხე, — ეს შენი ძმაკაცი ცოტას ხომ არ უბერავს-მეთქი. ახარხარდა, დაბადებიდან ეგეთია, მაგრამ ფაქტია, შენ უფრო გააგიჟეო“.

ერთი თვეც არ იყო გასული, უჩამ ცოლობა სთხოვა. დაიბნა გოგო. დედა ყოველდღე მეჩიჩინებოდა ეგ ბიჭი სოფლელია, შენ ცოლად იმიტომ უნდიხარ, რომ თბილისში ბინა ჰქონდესო, ამიტომაც უჩას ვერც თანხმობა უთხრა, ვერც უარი.

ლალის ჩანაწერებიდან: „იქნებ, მართლაც იმისთვის ვუნდივარ, რომ ფული არ მაკლია? ეს რომ ვაგრძნობინე, ფერი ეცვალა და გაღიზიანებულმა მითხრა, — უჩა და ფულიო? გულწრფელად მიყვარხარ, შენს თავს ვერავის დავუთმობო. სულაც არ მინდა თბილისი, არც შენი ბიზნესი მაინტერესებს, წავიდეთ და ჩემს სოფელში ვიცხოვროთო. ამის მერე სოფელში გაემგზავრა, თან დამიბარა, მალე ჩამოვალ და პასუხი დამახვედრეო“.

ჩამოვიდა უჩა, მაგრამ უარყოფითი პასუხი დაახვედრა ლალიმ. რამდენიმე დღის შემდეგ კი, სახლიდან გამოსულ ქალს უჩა დახვდა, სამსახურამდე მანქანით მისვლა შესთავაზა და მერე, გზიდან მოიტაცა. ატყდა ერთი ამბავი. ლალის მამამ პოლიცია დაადევნა „თავხედ სოფლელს“, გზა გადაუკეტეს ახმეტასთან სამართალდამცველებმა. უჩა მანქანიდან გადმოვიდა, ლალიც გადმოიყვანა და ხმამაღლა შესძახა ყველას — თუ მომკლავთ, თორემ ჩემი ნებით არ დაგანებებთ ამ ქალსო. ლალიმაც განაცხადა — თავი დამანებეთ, მიყვარს და ჩემი ნებით მივყვებიო.



მიუხედავად დიდი სიყვარულისა, უჩამ ნებისყოფას ვერ სძლია. ვერც ლალის, მერე ვერც საკუთარი შვილის სიყვარულმა მიჩვეულზე უარი ვერ ათქმევინა. ლალიმ გვიან გაიგო, რომ მისი ქმარი ნარკომანი იყო და წამლის მოხმარებისთვის, სანამ ცოლს შეირთავდა, ერთი წელი ციხეშიც იჯდა. რას არ ეცადა, როგორ არ მიუდგა უჩას, რომ როგორმე დაევიწყებინა ავადსახსენებელი წამალი. კაცი „გამოსწორებას“ ჰპირდებოდა, მაგრამ...

ერთხელაც, როცა ლალი შინ გაცილებით ადრე მივიდა, უჩა და მისი

ორი მეგობარი „საქმეში“ გართული დახვდა. ის დღე იყო და, ლალიმ წერტილი დაუსვა მათ ურთიერთობას და უჩა აღარ შეირიგა. ბავშვთან ურთიერთობაც კი აუკრძალა.

**ამბავი მეორე**

## „ვაითუ, შველა შემეძლო და ვერ დავეხმარე?!“

უჩა სოფელში დაბრუნდა. ლალისთან დაშორება ძალიან გაუჭირდა. დედასთან არაერთხელ წამოსცდა, ბავშვის გარეშე ვერ ვძლებ, მაგრამ ლალი მასზე მეტად მენატრებაო. იმის ნაცვლად, რომ თავი ხელში აეყვანა და როგორმე დაემარცხებინა საშინელი სენი, კიდევ მეტად ჩაეფლო მორევში. ფული არ ჰქონდა, მაგრამ მაინც ახერხებდა წამლის შოვნას.

2002 წელს, როცა პანკისში იარაღისა და ნარკოტიკების ამოსაღებად სპეცოპერაცია ჩატარდა, უჩას წამალი აღმოუჩინეს და დააპატიმრეს. მამამისს საქონელი ჰყავდა, გაყიდა, გროზნოში მყოფმა ძმამაც ფული გამოუგზავნა და შეძლეს 4 წლის მერე ციხიდან გამოეყვანათ. იქიდან მთლად წყალწაღებული დაბრუნდა სახლში. აღარაფერი აინტერესებდა. სვამდა ან ნაცნობი ბიჭის დახმარებით კვლავ ნარკოტიკით ბრუვდებოდა და ასე გაჰყავდა თავისი წუთისოფელი. ლალიმ იცოდა რა მდგომარეობაშიც იყო მისი ქმარყოფილი, მაგრამ მისგან გულნატკენ, უჩას ხსენებაც აღარ უნდოდა.

ერთხელაც მამამთილმა დაურეკა და უთხრა: — უჩა გარდაიცვალაო.

ლალი: უჩას გარდაცვალებიდან 4 წელი გავიდა და ახლაც რომ მაგონდება მამამისის მაშინდელი ხმა, ცუდად ვხდები. ისე ვიყავი უჩასგან გულნატკენი, მეგონა, სიყვარულიც გამქრალიყო, მაგრამ მერე მივხვდი, რომ ყოველთვის უსაზღვროდ მიყვარდა. ახლა სულ იმ სინანულში ვარ, იქნებ ჯერ კიდევ შეიძლებოდა მისი შველა, მე კი არ მოვინდომე და ხელი ვკარი?! სიკვდილამდე ვერ ვაპატიებ საკუთარ თავს, რომ გარდაცვალებამდე ორი თვით ადრე დამირეკა და მითხრა: ლალი, ძალიან ცუდად ვარ, ერთი ნატვრა მაქვს მხოლოდ, შენი და მარის ნახვა მინდა, საფლავში ნუ ჩამატან ამ დარდს, თბილისში ჩამოსვლა არ შემიძლია და იქნებ შენ ჩამოხვიდე და ბავშვიც წამოიყვანოო. საშინლად გავუბრაზდი და ბოლოს ისიც ვუთხარი, აქ დარეკვა აღარ გაბედო-მეთქი. უჩა ცოცხალი აღარაა და ეს ფიქრი მაგიჟებს. დღე არ გავა, არ გავიხსენო. მართალია, უჩა სისტემატურად იკეთებდა წამალს, ხან აშკარად, ხან მალულად და მის გამო ბევრსაც მატყუებდა, მაგრამ ცუდად არასოდეს მომქცევია. ვიცი, ძალიან ვუყვარდი, მეც მიყვარდა, მაგრამ არც ერთს არ გვეყო ნებისყოფა საერთო ძალებით დაგვემარცხებინა საშინელი სენი. ვნანობ, რომ ყველაზე მძიმე წუთებში მის გვერდით არ ვიყავი.

■

*მკითხველის წერილები*

# ერთი ლამაზი და უღალატო სიყვარულის ამბავი

„ქობულეთის ერთ-ერთ დიდ სოფელში ვცხოვრობ. ბიძის ოჯახიც ჩვენ გვერდითაა, ასე რომ, და-ძმის გარდა, ბიძაშვილებიც მყავს და ყველა ერთად ვიზრდებოდით. ზურა, ჩემი უფროსი ბიძაშვილი და მე ტოლები ვიყავით, ამიტომ ერთმანეთის საიდუმლოებები კარგად ვიცოდით. ერთხელ გამიმჟღავნა, შეყვარებული ვარ და ცოტა ხანში გამაცნო კიდეც თავისი გულის სწორი. ხათუნა ძალიან ლამაზი, სათნო გოგო აღმოჩნდა. უცებ დავუახლოვდი. ის ჯერ კიდევ 16 წლის იყო, ზურა — 20-ის. შეყვარებულები დროის გასვლას მოუთმენლად ელოდებოდნენ. ხათუნა სკოლას რომ დაამთავრებდა, მერე აპირებდა გათხოვებას. 1991 წლიდან ყველაფერი აირ-დაირია. ზურა თავის ძმაკაცებთან ერთად ჯერ თბილისში იყო, მერე ჩვენთან გამოუმშვიდობებლად აფხაზეთის ომში წავიდა. გვიან გავიგე, რომ წასვლის წინ მხოლოდ ხათუნა უნახავს... სამი თვე არც იყო გასული, რომ ზურა და მისი ორი მეგობარი ჩამოასვენეს. ძალიან მძიმედ გადავიტანეთ მისი სიკვდილი. ზურას ორმოცზე ხათუნა გამომიტყდა, რომ მისგან ბავშვს ელოდებოდა.



უზომოდ გამიხარდა. გაჩნდა იმედი და პატარა სხივი, რომ ზურას სიცოცხლე მის შვილში გაგრძელდებოდა. ხათუნას მშობლებმა ეს რომ გაიგეს, ერთი ამბავი ატეხეს. ბიძაჩემმა ხელი მოკიდა და თავისთან წაიყვანა გოგო. გაჩნდა ბიჭი. ხათუნამ მამამთილის სახელი, თენგო დაარქვა. იგი ახლა 17 წლისაა, სანაქებო ქართველი ვაჟკაცი იზრდება და ყველას ძალიან გვეამაყება. რამდენჯერმე ვუთხარით ხათუნას, — ახალგაზრდა ქალი ხარ, მოძებნე ადამიანი, რომელიც გვერდში დაგიდგება და გაყევი ცოლადმეთქი, მაგრამ ამაზე ცივი უარი გვითხრა: ვინც მიყვარდა, მისგან შვილი გავაჩინე და მთელი სიცოცხლე მისი ერთგული მინდა ვიყოო. აღარ გათხოვილა და დღემდე ბიძაჩემის ოჯახში ცხოვრობს.

ვინ თქვა, რომ დიდი, წრფელი და უღალატო სიყვარული არ არსებობსო? მე გეუბნებით, რომ არსებობს და ამის მაგალითი ჩემ თვალწინ ხდება.

თქვენი მკითხველი ქეთევან დიასამიძე“

■

ჟურნალისტს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელ: 899.27.25.61
ან ელფოსტით babunamarina@yahoo.com

# სკოტ ფიცჯერალდის შეშლილი ცხოვრება და შეშლილი სიყვარული

**მათი ცხოვრება მაღალ წრეებში აზრთა სხვადასხვაობას იწვევდა და განსჯის თემა გახლდათ. საზოგადოების ინტერესს სკოტ ფიცჯერალდის მიერ სასტუმრო „რიცში“ შესმული სასმელი და მისი ცოლის, ზელდას მიერ, ხელსაწმენდზე დახატული იორდასალამიც იწვევდა. „...300 იორდასალამი დახატა და მიმტანს ხელსახოცები კიდევ მოსთხოვა“; „რატომ მაინცდამაინც იორდასალამი?“ „მგონი, ის უბრალოდ, შეშლილია“...**



ფიცჯერალდის პირველი რომანის, „სამოთხის აქეთ“ — გამოქვეყნების შემდეგ პრესა წყვილს თვალს არ აშორებდა. ყველა გაზეთის „მაღალი საზოგადოების ქრონიკა“ მათი ოჯახის ქრონიკად გადაიქცა. „წუხელ მისტერ ფიცჯერალდმა მეუღლესთან ერთად მანჰეტენში უჩვეულო ექსკურსია მოაწყო. ბროდვეის კუთხეში ტაქსი გააჩერა და ცოლ-ქმარი უკანა სავარძელზე მოთავსდა. თუმცა, მეხუთე ავენიუზე გასვლის შემდეგ იფიქრეს, რომ მოუხერხებლად მგზავრობდნენ. მძღოლს მანქანა გააჩერებინეს და მდგომარეობა შეიცვალეს: მისტერ ფიცჯერალდი მანქანის სახურავზე აძვრა, მისის ფიცჯერალდი — კაპოტზე და მძღოლს გზის გაგრძელება უბრძანეს“...

„ამ დღეებში ნიუ-იორკის საზოგადოება ფიცჯერალდების ოჯახის გაქრობამ შეაშფოთა. შაბათს საღამოს, თავისი სახლიდან გამოსვლის შემდეგ ისინი მანჰეტენზე უნდა ჩასულიყვნენ, მაგრამ იქ არც კვირას დილით, არც ორშაბათს საღამოს და არც სამშაბათს შუადღისას არ გამოჩენილან. ისინი მხოლოდ ოთხშაბათს, ნიუ-ჯერსიში, იაფფასიან სასტუმროში აღმოაჩინეს. ძლივს გაიხსენეს, ამ 4 დღის განმავლობაში სად იყვნენ, რამდენი დალიეს და როგორ აღმოჩნდნენ ნიუ-ჯერსიში“.

„სკოტმა გაიხადა სპექტაკლ „სკანდალებზე!..“

„ზელდამ შადრევნის ქვეშ იბანავა“...

„ზელდა რესტორანში კიბიდან გადმოეშვა“...

საქმე ის გახლავთ, რომ ეს ყველაფერი სიმართლე იყო. სკოტი მართლაც ბევრს სვამდა, ზელდას კი ძალიან უყვარდა იორდასალამები.

ეს ყვავილები მონტგომერიში, მისი მშობლების სახლის ეზოში იზრდებოდა. ზელდა სწორედ იქ დაიბადა 1900 წელს. მასზე ფეხმძიმობის დროს, დედამისი რომანს კითხულობდა, რომლის მთავარი გმირიც ბოშა ქალი — ზელდა გახლდათ. ახალდაბადებულ ბავშვს სახელი სწორედ ასე შეურჩიეს. მამა, ენტონი, მართალია, მშვიდი, მაგრამ გავლენიანი ადამიანი იყო. ხუმრობა ხომ არ არის, ალაბამის შტატის მოსამართლეობა!

9 წლის ასაკში ზელდა ბალეტით დაინტერესდა და საკმაო წარმატებასაც მიაღწია. ცეკვის გარდა ცურვით, მოდითა და ბიჭებით იყო გატაცებული. ოჯახური ტრადიცია ავალდებულებდა, თავშეკავებული, მორიდებული, დამჯერი და წყნარი გოგონა ყოფილიყო, სინამდვილეში, დამოუკიდებელი, თავნება ადამიანი იყო და საკუთარი თავის გარდა, არავისზე ფიქრობდა და თუ დასჭირდებოდა, ყველანაირ წესს, ტრადიციასა და მორალურ პრინციპს მიაფურთხებდა და იმას გააკეთებდა, რაც სურდა.

ზელდამ კოლეჯი დაამთავრა და გამოსაშვები კურსის გოგონებს შორის ყველაზე ლამაზად აღიარეს. ერთი თვის შემდეგ, კლუბში ახალგაზრდა მამაკაცი გაიცნო, რომელიც მკვეთრად განსხვავდებოდა იმ ახალგაზრდებისგან, ვინც მისი ყურადღების მიპყრობას ცდილობდა და იმ ბიჭებისგანაც, ვინც მსუნაგი თვალებით ათვალიერებდა ხოლმე. სამხედრო ფორმაში გამოწყობილი მამაკაცი არაჩვეულებრივად ლამაზი იყო. ზელდას, როგორც 67-ე პოლკის უმცროსი ლეიტენანტი, სკოტ ფიცჯერალდი წარუდგა.

შემდეგ ისინი საუბრობდნენ პოეზიაზე, სიყვარულსა და ცხოვრებაზე... გოგონა 18 წლის იყო, ახალგაზრდა ლეიტენანტი — 22-ის. მათ მთელი ზაფხული ერთად გაატარეს. მოგვიანებით, სკოტმა გოგონას გაუმხილა, რომ მწერალია და სამხედრო სამსახურში იმიტომ წავიდა, რომ პრინსტონში სწავლის გაგრძელება არ სურდა.

მას შეთხზვის უბადლო უნარი ჰქონდა. თავისი პირველი დეტექტიური ნაწარმოები ჯერ კიდევ სკოლაში დაწერა და კედლის გაზეთში დაბეჭდა, რითაც მცირე ხნით ვარსკვლავიც კი გახდა. როდესაც მიხვდა, რომ დიპლომის ასაღებად, სახელმძღვანელოებზე თავი უნდა დაეკლა, მოიწყინა და უიმედობა დაეუფლა. გადაწყვიტა, რომ ყველაფერს პირველი მსოფლიო ომის ბრძოლის ველზე სიკვდილი სჯობდა და ამერიკულ ჯარში მოხალისედ წავიდა.

სკოტი დარწმუნებული იყო, რომ დაუყოვნებლივ გაუშვებდნენ ფრონტზე, იქ კი მყისიერად მოკლავდნენ. იმისათვის, რომ დედამიწაზე თავისი კვალი დაეტოვებინა, თავისი რომანის, „რომანტიკული ეგოისტის“ ხელნაწერი ერთ-ერთ გამომცემლობას გაუგზავნა. ხელნაწერი მალე დაუბრუნეს (თუმცა, დამაიმედებელი ბარათიც მოაყოლეს, რომელშიც ურჩევდნენ, ხელნაწერი არ გადაეგდო, რადგან მას მხოლოდ გადაკეთება სჭირდებოდა), ხოლო ავტორი ფრონტის ნაცვლად სასწავლო ბანაკში — „შერიდანში“ გაგზავნეს, რომელიც ზელდა სეიერის ქალაქში იყო განთავსებული.

გაცნობიდან რამდენიმე თვის შემდეგ, ზელდა სკოტს სიყვარულში გამოუტყდა. მაგრამ ნიშნობამდე ჯერ კიდევ ბევრი დრო იყო. მათ ურთიერთობაში მოსამართლე მამა ჩაერია, რომელსაც შეატყობინეს, რომ ლამაზ ლეიტენანტს სმა უყვარდა. ასევე აღშფოთდა ზელდას დედა, რომელმაც, გაიგო თუ არა, რომ ყმაწვილი მწერალი იყო, მაშინვე გაიფიქრა: „მწერალი? რა უნდა ჭამოს ჩემმა შვილმა?“ მშობლების გავლენით, ზელდამ სკოტს შეუთვალა: „მიუხედავად იმისა, რომ ძლიერ მიყვარხარ, შესაძლოა, ფრონტზე გაგიშვან და მოგკლან. რა უნდა ვქნა მერე?“

სწორედ ამ დროს, პირველი მსოფლიო ომი დამთავრდა, რის გამოც, დიდი ხნის ყოყმანის შემდეგ, ზელდას მშობლებმა ნიშნობაზე თანხმობა განაცხადეს იმ პირობით, რომ ქორწილი მანამდე არ შედგებოდა, ვიდრე სკოტი ნორმალურ სამსახურს არ იშოვიდა.

## სიყვარულის ამბავი

უგონოდ შეყვარებული ყმაწვილი ნიუ-იორკში გაემგზავრა და ქალაქის რკინიგზის სარეკლამო სააგენტოში დაიწყო მუშაობა. მას ომამდელი სტილის კოსტიუმი ეცვა და თავს არიდებდა იმ ახალგაზრდებთან ურთიერთობას, ვინც ბოლო მოდაზე იცვამდა. საველე ჭოგრიტი „დაალომბარდა“, რესტორანში ივახშმა და ბოლო ცენტები მიმტანს ფეხის ქირად მისცა. ქირაობდა იაფფასიან ოთახს, წერდა მხიარულ მოთხრობებს და პირველი ჰონორარით — 30 დოლარით წითელი ფერის მარაო შეიძინა, რომელიც წერილთან ერთად, საჩუქრად ზელდას გაუგზავნა. „წარმატებისა და ამბიციის გზაზე შევდექი და იმედი მაქვს, მალე ამ გზას ჩემთან ერთად შენც გაუყვები“. 1919 წლის მარტში ზელდას ოქროს ბეჭედი გაუგზავნა. მთავარი ის არაა, რამდენჯერ ვახშმის გარეშე დარჩა სკოტი, რათა ფული დაეზოგა. მთავარი ისაა, რომ ზელდამ საჩუქარი მიიღო, რაც იმას ნიშნავდა, რომ ქალს კვლავინდებურად უყვარდა.

თუმცა, როდესაც სკოტს სასიყვარულო ბარათებს სწერდა, თან მონტჰომერის ყველა მამაკაცს ეკეკლუცებოდა. სხვაგვარად ცხოვრება მას არ შეეძლო. ერთხელ ერთ-ერთმა გოლფის მოთამაშემ ისე გაიტაცა, რომ მასთან ერთად ატლანტაში, ტურნირზეც კი გაემგზავრა. დამშვიდობებისას, კავალერმა ყველაზე ძვირფასი ნივთი — მისი კოლეჯის ემბლემიანი ქინძისთავი უძღვნა. შინ დაბრუნებულმა ზელდამ ქინძისთავი პატრონს წერილთან ერთად დაუბრუნა: „ამ საჩუქრის მიღება არ შემიძლია“. მაგრამ, დაბნეულობისა თუ ჩვევის გამო, კონვერტზე სკოტის მისამართი მიუთითა.

ძნელია იმის წარმოდგენა, თუ რა განიცადა სკოტმა ამ უცნაური გზავნილის მიღების შემდეგ. მეორე დღესვე მონტგომერიში ჩავიდა და მოითხოვა, ზელდა ცოლად გაჰყოლოდა. ქალმა უარით გამოისტუმრა — „სჯობს, თავი მოიკლა, ვიდრე ორივე მშივრები დავიხოცოთ“. სკოტი გულგატეხილი დაბრუნდა ნიუ-იორკში. ჯიბეში ზელდას მიერ დაბრუნებული ოქროს ბეჭედი ედო, რაც იმას ნიშნავდა, რომ ნიშნობა ჩაიშალა და საყვარელი გოგონა დაკარგა. სკოტმა სამსახური მიატოვა, ნიუ-იორკიდან შინ გაემგზავრა და ხელი რომანის გადაკეთებას მიჰყო.

1920 წლის ბოლოს ფიცჯერალდს ბედნიერება ეწვია. მისი რომანი, რომელსაც ახლა „სამოთხის აქეთ“ ერქვა, დაიბეჭდა. წიგნის გამოსვლის მეორე დღეს ფრენსის სკოტ ფიცჯერალდმა მხოლოდ პოპულარულმა კი არა, მდიდარმაც გაიღვიძა. ერთი კვირის შემდეგ კი ზელდაზეც დაქორწინდა. ალაბამის მოსამართლეს აღარ გაუპროტესტებია მათი შეუღლება, მაგრამ შვილის ქორწილს არ დაესწრო, რაც ცოლ-ქმარს დიდად არ უნაღვლია.

სკოტი შესანიშნავად იცვამდა, ელეგანტურ შლაპებს ატარებდა, რაც მაშინდელი მწერლებისთვის ფუფუნებად მიიჩნეოდა. ისინი გვიან იღვიძებდნენ, ზეთისხილიანი სენდვიჩით საუზმობდნენ, სალამოობით რესტორანში ვახშმობდნენ და ერთი რესტორნიდან მეორეში მიდიოდნენ. ზელდა მშვენივრად ცეკვავდა ჩარლსტონს და ამის დემონსტრირება უყვარდა კიდეც. ცოლ-ქმარი არანორმალური, გიჟური ცხოვრებით ცხოვრობდა და არც გართობას იკლებდა. სწორედ მაშინ გაისეირნეს ტაქსით გიჟურად, რადგან ასე მოუნდათ, სწორედ მაშინ იბანავა შადრევნის ქვეშ ზელდამ, იმიტომ, რომ დასცხა, სწორედ მაშინ გაიხადა სკოტმა სპექტაკლზე... რატომ? ვინ იცის?

ქორწინებას ისინი მოსაწყენ ცოლქმრად არ გაუხდია. ზელდა ძველებურად აბამდა ფლირტს ყველასთან, სკოტი კი ძველებურად ეჭვიანობდა. სადაც კი გამოჩნდებოდნენ, ჰაერი სიცოცხლის, სურვილის, სექსის სურნელით იჟღინთებოდა და ყველა გრძნობდა, რომ ეს არ იყო თამაში. ეს ყველაფერი ბუნებრივი და ძალდაუტანებელი გახლდათ და არა — მოწყენილობისგან მოგონილი თავშესაქცევი.

სკოტი უკვე ძალიან ცოტას წერდა, რადგან წერა მხოლოდ ფხიზელს შეეძლო. ფხიზელ მდგომარეობაში კი ძალზე იშვიათად იყო.

წყვილი ფრანგულ რივიერაზე გაემგზავრა, იქიდან კი პარიზში, მაგრამ მოგზაურობისას სამწუხარო ფაქტი მოხდა, რომლის შესახებაც ისინი არავისთან ლაპარაკობდნენ: ზელდას ფრანგი, ულამაზესი მამაკაცი, მფრინავი ედუარდ ჟოზანი შეუყვარდა. როდესაც ჟოზანი მისი ცხოვრებიდან გაქრა, ზელდამ თავის მოკვლა სცადა.

ეს მხოლოდ დასაწყისი იყო. რაღაც უცნაურობა მის ქცევაში სხვა დროსაც შეინიშნებოდა, მაგრამ მათი უცნაური ცხოვრების ფონზე ეს ჩვეულებრივად აღიქმებოდა. ბოლოს და ბოლოს, სკოტი მიხვდა, რომ ზელდას ფსიქიკასთან დაკავშირებული პრობლემები ჰქონდა. ამის შესახებ ჰემინგუეი დიდი ხნის წინ ეუბნებოდა, მაგრამ სკოტი ყურსაც არ იბერტყავდა.

მალე ზელდას ფსიქიკურ მდგომარეობაზე მთელი პარიზი ალაპარაკდა. ეს მას შემდეგ მოხდა, როდესაც ზელდა რესტორნის კიბიდან გადმოეშვა. ცოლ-ქმარი ვახშმობდა. სკოტმა მოშორებით ცნობილი მოცეკვავე, აისედორა დუნკანი შენიშნა. „ძვირფასო, მინდა, ამ მშვენიერ ქალს მივესალმო“, — უთხრა სკოტმა ცოლს. ზელდამ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია, მაგრამ სკოტი წამოდგა თუ არა, ისიც წამოხტა და კიბისკენ გაქანდა. შუა კიბემდე მისული თავით ძირს გადაეშვა. ყველა ფიქრობდა, ქალი მოკვდებოდა, მაგრამ მხოლოდ დაჟეჟილობით გადარჩა.

ცოტა მოგვიანებით, ჰოლივუდში, ზელდამ იეჭვა, რომ მისი ქმარი 18 წლის მსახიობით იყო გატაცებული. მან ეს ძალზე განიცადა და სკოტი აიძულა, კონტრაქტი დაერღვია და შინ დაბრუნებულიყო. მატარებელში მთელი ხმით უყვიროდა, ფანჯრიდან კი სკოტის ნაჩუქარი, ბრილიანტის თვლებით შემკული საათი მოისროლა.

შემდეგ ზელდამ იფიქრა, რომ სკოტს ის მოსწყინდა და გადაწყვიტა, ისევ ცეკვა დაეწყო. საამისოდ ჯერ დიეტა უნდა დაეცვა. ჭამა შეწყვიტა. შემდეგ, უეცრად ქმარს გამოუცხადა, რომ მეგობრებს მათი მოკვლა სურდათ. კიდევ უთხრა, რომ სიარული, ხელების განძრევა და წარბების აწევაც კი აღარ უნდოდა. მხოლოდ ერთ ადგილზე ჯდომა, ხმების მოსმენა სურდა. რომელი ხმების? იმ ხმების, რომლებიც მას განძრევასა და წარბების აწევას უშლიდა.



1930 წლის აპრილში ზელდა შიზოფრენიის დიაგნოზით ფსიქიატრიულ კლინიკაში მოათავსეს. მისი დაავადებების ჩამონათვალი საკმაოდ გრძელი იყო — დევნის მანია, ეგზემა, კატატონია, მანიაკურ-დეპრესიული ფსიქოზი...

ზელდამ მსოფლიოს საუკეთესო კლინიკები მოიარა. სკოტი მასთან ერთად მოგზაურობდა, კლინიკის მახლობლად სასტუმროს ნომერს ქირაობდა და მის გამოჯანმრთელებას უცდიდა. ამასთან, ისევ წერდა, რამეთუ ეს ზელდას მკურნალობის ხარჯების დასაფარავად სჭირდებოდა...

მაგრამ მას მაინც თავდავიწყებით უყვარდა თავისი ზელდა — შეშლილი, სახეწაშლილი და გონდაკარგული ცოლი. მას ის მაშინაც უყვარდა, როცა სხვა ქალებს ხვდებოდა. სხვა ქალები კი მის ცხოვრებაში ბლომად იყვნენ, რადგან ის ჯერ კიდევ ახალგაზრდა, 40 წლის, მიმზიდველი მამაკაცი იყო. ერთ-ერთმა საყვარელმა, რომელიც ტეხასის შტატის ყველაზე მდიდარი ქალი იყო, ოჯახის შექმნა შესთავაზა, რაზეც სკოტმა უპასუხა: „მადლობას მოგახსენებთ შემოთავაზებული წინადადებისთვის, მაგრამ არ შემიძლია, სხვა ცხოვრებით ვიცხოვრო. მე ერთადერთი ძაფი ვარ, რომელიც ზელდას რეალობასთან აკავშირებს. ეს ძაფი რომ გაწყდეს, ის წყვდიადში აღმოჩნდება“.

სკოტი მატერიალური პრობლემების წინაშე აღმოჩნდა, ფულს სესხულობდა, რომ ზელდას მკურნალობის ხარჯი გაეღო. მისი გამოჯანმრთელების იმედს არ კარგავდა. სკოტი 1940 წელს, საყვარლის სახლში, უკანასკნელი, დაუმთავრებელი რომანის — „უკანასკნელი მაგნატის“ ხელნაწერზე დამხობილი, გულის შეტევით გარდაიცვალა.

ზელდამ ამის შემდეგ კიდევ 8 წელი იცოცხლა.

1948 წელს მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუმჯობესდა და რამდენიმე დღით მშობლებს ესტუმრა. გამგზავრების წინ, როდესაც ოჯახის წევრებთან ერთად სუფრასთან იჯდა, უეცრად თქვა: „დედა, შეგვიძლია, არ ვიჩქაროთ, მატარებელი მაინც დააგვიანებს“. „საიდან იცი?“ — დაინტერესდა დედა. „როგორ თუ საიდან, სკოტმა მითხრა. დედა, ვერ ხედავ სკოტს? ის ხომ შენგან მარცხნივ ზის“.

სადგურზე მისულმა ზელდამ კი დედას ნაღვლიანად უთხრა: „არ ინერვიულო, დედა, სიკვდილის არ მეშინია. სკოტმა მითხრა, რომ ეს საშიში არ არის“...

რამდენიმე დღის შემდეგ, ფსიქიატრიულ კლინიკაში, სადაც ზელდა მკურნალობდა, ხანძარმა 9 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. მათ შორის იყო ზელდა ფიცჯერალდიც. ■

# ძლიერი ქალი — „რკინის ლედი“ თუ ქანდაკება?

**როგორია ძლიერი ქალი? იქნებ, სწორედ ის იდუმალებით მოცული არსებაა, ვინც ღამღამობით დარაჯად მუშაობს? ან იქნებ, ის, ვინც ფიტნესკლუბში დადის და მძიმე გირებით ვარჯიშობს? არა, ეს ის ქალია, რომელსაც 3 მამაკაცის სამუშაოს შესრულება შეუძლია!**



*გრაფი თარხანი*

„ძლიერი ქალი“ ადამიანი კი არა, სინდრომია. რაღა თქმა უნდა, ძლიერი ქალისთვის ცხოვრება გაცილებით იოლია. კრახით დამთავრებული სიყვარულის შემდეგ, ვენებს არ გადაიხსნის და არც სხვის დასანახავად იტირებს, თუნდაც გულში „ხმამაღლა“ ქვითინებდეს; სიხარულსაც და სევდასაც ამაყად და თავდაჭერილად ხვდება; კრიტიკულ სიტუაციაში არ იბნევა და რთული სიტუაციიდან გამოსავალს ყოველთვის პოულობს.

იყოს ძლიერი, ალბათ, თითოეული ქალის ოცნებაა, მაგრამ ეს ყველას როდი ძალუძს. ადამიანის სიძლიერე, მის ნერვულ სისტემაზეა დამოკიდებული. არსებობენ ადამიანები, რომლებიც უჩვეულო სიტუაციაში უცებ ფითრდებიან, პირი უშრებათ და მუხლი ეკვეთებათ.

ჩვენ ძლიერად ისეთ ადამიანს მივიჩნევთ, ვინც იოლად არ ატირდება, მაგრამ ეს ნებისყოფის კი არა, ნერვული სისტემის დამსახურებაა. მართალია, ზოგიერთს ძალზე სუსტი ნერვები აქვს, მაგრამ ამ „ნაკლის“ გამოსწორება შესაძლებელია. ოღონდ, საკითხავია, საჭიროა თუ არა ამის გაკეთება? ვისაც მდგრადი ნერვული სისტემა აქვს, თავის ჯანმრთელობას უნდა მიხედოს. ის, რომ ვიღაც „ტიტანიკის“ დასასრულს არ ტირის, უბედურება სულაც არაა, მაგრამ როცა საყვარელ ადამიანთან განშორებისას გული გახეთქაზე გაქვს, ტირილი ნამდვილად საჭიროა. თუნდაც იმისთვის, რომ არ გაგიჟდე. ყველა სტრესი ორგანიზმში კვალს ტოვებს და გამოსავლენად მისთვის ხელსაყრელ დროს ელის. გარკვეული რაოდენობის სტრესის დაგროვებამ, შესაძლოა, აგრესია გამოიწვიოს და გამორიცხული არაა, რომ სრულიად უდანაშაულო ადამიანს დაატყდეს თავს.

ძლიერი ქალები ხშირად ავადმყოფობენ, რადგან როგორც გინდა ეცადო ემოციების დამალვა, ფაქტი ერთია — ეს ემოციები მაინც არსებობს და ორგანიზმში თავის კვალს ტოვებს. ასევე, ცნობილია, რომ ძლიერი ქალები ადრე ბერდებიან, რადგან გამოუხატავი ემოცია სხეულს „ანგრევს“. შესაძლოა, აღფრთოვანებული ხარ იმ „რკინის ლედით“, რომელიც შენი შეფია და მოხიბლული, მისი ცივი გონებითა და უზადო ლოგიკით, მაგრამ დაფიქრებულხარ, როგორ ცხოვრობს ის სამსახურის გარეთ? ჰყავს თუ არა ოჯახი და თუ ჰყავს, როგორ ეგუება ქმარი მის ბუნებას? როგორ „რკინისადაც“ უნდა გამოიყურებოდეს ქალი, ის შინაგანად მაინც ჩვეულებრივი ქალია. შინაგანად ისიც ღელავს და მძაფრ ემოციებსაც განიცდის, რაც მის სახეზე სევდიან მიმიკასაც აღბეჭდავს. სულაც არაა აუცილებელი, რომ ძლიერი ქალი გარეგნულად მამაკაცს ჰგავდეს. შესაძლოა, ის ძალზე ნაზი და ჰაეროვანი იყოს, ზედმიწევნით მოვლილი და უფრო მიმზიდველი, ვიდრე ნებისმიერი

პრანჭია.

ძლიერ ქალს შესაძლოა, სხვადასხვაგვარი თანამდებობა ეკავოს. შესაძლოა, ზოგი დიდ ბიზნესს უძღვებოდეს, ზოგი — იატაკს ხეხავდეს. სიძლიერე დიდ მიღწევებს სულაც არ ნიშნავს. უბრალოდ, ძლიერები სირთულეებს უფრო იოლად დაძლევენ ხოლმე.

ძლიერი ქალი დაკარგული ნივთის გამო თავს არ მოიკლავს, როგორი ძვირფასიც უნდა იყოს იგი. მათი უმეტესობა, ნივთს მხოლოდ ნივთად მიიჩნევს და ამბობს: „ნივთი არსებობს ჩემთვის და არა მე — ნივთისთვის“. ეს სწორი მიდგომაა და კარგი იქნება, თუკი ყველა ქალი ასე იფიქრებს.

თუ მოიწადინებს, ძლიერი ქალი ნებისმიერი მამაკაცის მოხიბვლას შეძლებს. ასევე იოლად მოახერხებს ბედნიერი მეუღლის როლის მორგებას, თუნდაც დარწმუნებული იყოს, რომ ქმარი ღალატობს. თუმცა, ეს მხოლოდ გარეგნული გულგრილობა იქნება — რეალურად რა ხდება მის გულში, ამის შესახებ ვერავინ ვერაფერს შეიტყობს.

ძლიერი ქალები კარგი მსახიობები არიან. ამიტომ, მიზნის მისაღწევად, ნებისმიერ „პიესაში“ შეუძლიათ თამაში. ასევე, შეუძლიათ არა მარტო ცოლის, არამედ ქმრის ტვირთის ტარებაც. შეუძლიათ, ერთდროულად რამდენიმე ადგილზე მუშაობა, საოჯახო საქმის კეთება, შვილების აღზრდა და ამ ყველაფერს ისინი ერთნაირი წარმატებით ასრულებენ.

და მაინც, რა აიძულებს ჩვეულებრივ ქალს, ძლიერ ქალად ჩამოყალიბებას? ალბათ გარემო, კონკურენცია, სისასტიკე, რეალური უფლისწულის არარსებობა და ლიდერობის სურვილი. ამ ყველაფერს კი საერთო საფუძველი აქვს. როდესაც ქალი გადაწყვეტს, რომ მამაკაცის გარეშეც შეუძლია ცხოვრება, მაშინ მამაკაცი დუნდება, დივანზე წამოწვება და ფეხბურთს უყურებს. ევოლუციამ მამაკაცი მჯდომარე ცხოვრებას მიაჩვია, ქალი კი — „მორბენალს“. ახლა ქალი იძულებულია, ძლიერი იყოს, რათა ჩვეული რიტმიდან არ ამოვარდეს. იქნებ, ეს ძლიერი ქალი სულაც არაა წინააღმდეგი, რომ თავი მამაკაცის ძლიერ მხარზე დადოს და ჩათვლიმოს, მაგრამ თავს ამის უფლებას ვერ აძლევს, რადგან სულ გადარბენაზეა. წინააღმდეგ შემთხვევაში, რაღაც გამოეპარება და ველარ გააკონტროლებს. გამოდის, რომ ის სულ მოძრაობაშია და დასვენების დრო არ აქვს. სულაც არ არის ცუდი, იყო ძლიერი ქალი, მაგრამ არც ისაა ურიგო, რომ სუსტი არსების როლი მოირგო და თავი ნამდვილ ქალად იგრძნო. ძლიერი ქალებიც ისეთივე სუსტები არიან, როგორიც დანარჩენები. უბრალოდ, მათ საკუთარი სევდისა და სისუსტის დამალვა შეუძლიათ, მაგრამ ვის აძლევს ეს ხელს? იყო სუსტი ან ძლიერი, ისეთივე „გატაცებაა“, როგორიც — იყო ქერა ან შავგვრემანი. თმის ფერის შეცვლა შესაძლებელია, მაგრამ მოგანიჭებს კი ეს ბედნიერებას? იყო ძლიერი ქალი, ნიშნავს, გარეშე თვალისთვის დამალო ემოციები და მარტომ დაალბო ბალიში ცრემლებით. ხანდახან ახლობელ ადამიანს გული უნდა გადაუშალო, რომ შვება იგრძნო. არა უშავს, თუ იფიქრებენ, რომ „რკინის ლედი“ არ ხარ. სამაგიეროდ, შენში ცოცხალ არსებას დაინახავენ და არა — ქანდაკებას. ცხოვრება ხომ მხოლოდ გულგრილი გათვლებისგან არ შედგება; მასში მუდამ უნდა იყოს იმპულსური მოქმედებისა და სპონტანური ემოციებისთვის ადგილი. ■

# ნამდვილი ქალის 15 პოსტულატი

1. ნამდვილმა ქალმა იცის, როგორ გაუმართლა, ქალად რომ დაიბადა.

2. რაც უფრო მეტი საყვარელი საქმე აქვს ქალს, მით მეტია შანსი, რომ სხვის საქმეში ცხვირის ჩასაყოფად ვერ მოიცლის.

3. ნამდვილმა ქალმა მამაკაცს უფლება არ უნდა მისცეს, პრობლემების გამო, მის მხარზე იტიროს. მამაკაცმა თავისი პრობლემები თავად უნდა მოაგვაროს.

4. თუ ქალს სურს, შემთხვევით შეხვედრის დროს კარგად გამოიყურებოდეს, უნდა ისწავლოს, როგორ მოახერხოს, ყოველთვის კარგად გამოიყურებოდეს. მაშინაც კი, როდესაც ნაგავს ყრის.

5. ფულს მსუბუქად უნდა შეხედოს. თუ მას ფული აქვს, უნდა იცოდეს, როგორ დახარჯოს. თუ არ აქვს, ამის გამო დეპრესიაში არ უნდა ჩავარდეს.

6. ქალმა საკუთარი თავის ფასი უნდა იცოდეს, მაგრამ ხმამაღლა არ უნდა თქვას.

7. არ უნდა იჩქაროს დაწუნებული კავალრის გაგდება. რაც მეტი მამაკაცი ტრიალებს ქალის გარშემო, მით უფრო მიმზიდველია სხვა მამაკაცებისთვის. ადრე თუ გვიან, ამ ქსელში ის გაებმება, ვინც საჭიროა.

8. თუ ქალს კითხვაზე კონკრეტული პასუხის გაცემა არ სურს, მრავალმნიშვნელოვნად უნდა გაიღიმოს. საერთოდ, ღიმილი შესანიშნავი განსაიარაღებელი საშუალებაა.

9. ცრემლი ქალის ყველაზე საშიში იარაღია, მაგრამ რაც შეიძლება იშვიათად უნდა გამოიყენოს ის. მუდმივად მტირალი ქალი თანაგრძნობას კი არა, გაღიზიანებას იწვევს.



10. შესაძლოა, ქალი მრავალმხრივ განვითარებული და ნაკითხი იყოს, მაგრამ თუ საუბრის წარმართვა არ შეუძლია, საინტერესო მოსაუბრე ვერასოდეს იქნება.

11. კარიერის დასაწყისში ქალმა თავისი ყველა ღირსება არ უნდა წარმოაჩინოს. ამით გაცილებით მეტს მოიგებს.

12. ნამდვილმა ქალმა თავდაპირველად, მამაკაცი მისთვის ფულისა და დროის ხარჯვას უნდა შეაჩვიოს. მთავარია, იცოდეს, რომ მამაკაცები გაცილებით მეტად აფასებენ იმას, რასაც გასცემენ, ვიდრე იმას, რასაც იღებენ.

13. თუ ქალი ბევრ მამაკაცს მოსწონს, მასზე ბევრს იჭორავებენ. ნამდვილმა ქალმა არ უნდა მოუსმინოს სხვის აზრს და ამაყად, თავაწეულმა უნდა იაროს. სჯობს, პრანჭია იყოს, ვიდრე — ჭორიკანა.

14. ტონუსის შესანარჩუნებლად, ქალმა ცხოვრებაში რაღაც უნდა შეცვალოს: ხელთათმანები, სამსახური, ქმრები. თუ ქმარში და სამსახურში გაუმართლებს, ხშირად უნდა იცვალოს ხელთათმანები.

15. ვიდრე ქალი თავს ქალად გრძნობს, ყველაფრის თავიდან დაწყება გვიან არასდროს არის. ■



# სამყარო

## შატილობა 20 წლის შემდეგ და სოფელი, სადაც მხოლოდ ერთი ადამიანი ცხოვრობს



**მივიწყებული ტრადიცია აღდგა, 20 წლის შემდეგ ხევსურეთში სახალხო დღესასწაული — შატილობა ჩატარდა. ამ დღეს ხევსურები და მათი სტუმრები საუკუნოვან კოშკებში ისევ შეიკრიბნენ, ხევსურულ სამოსში გამოწყობილი გოგო-ბიჭები ბაგებზე გადმოდგნენ, მამაკაცებმა საფიხვნოში მოიყარეს თავი, იყო დოლი, მხიარულება და ცეკვა-თამაში. შატილი ცოცხალ მუზეუმს ჰგავდა. დუშეთის მუნიციპალიტეტის ორგანიზებით მოწყობილი დღესასწაულის რეჟისორი ლელა ჭინჭარაული გახლდათ. რა ხდება დღეს შატილში? როგორ ცხოვრობენ ადამიანები ცივილიზაციისგან შორს, ზღვის დონიდან 1400 მეტრ სიმაღლეზე? — ამის შესახებ ლელა თავად მოგვითხრობს.**

*თამუნა კვინიკაძე*

— ეს დღესასწაული ყოველთვის შემოდგომის მიწურულს, ოქტომბრის ბოლოს იმართებოდა და შემდეგ გზაც იკეტებოდა. წელს, როცა დუშეთის მუნიციპალიტეტიდან შატილობის ჩატარების ინიციატივა წამოვიდა, ვეცადე წარმომედგინა, თუ როგორ აღნიშნავდნენ ამ დღეს ათეულობით წლის წინ. ჯერ კლიპის გადაღებისთვის მოვემზადეთ და გოგო-ბიჭებს ხევსურული სამოსი ჩავაცვით. ისინი კოშკებში დადიოდნენ, ლხინობდნენ, წყალს თუნგით ეზიდებოდნენ, იხარშებოდა ლუდი, ხინკალი, ბანებზე გადმომდგარი გოგონები მღეროდნენ, მამაკაცები კი საფიხვნოში იკრიბებოდნენ. ამ კადრების გადაღებისას მოშორებით ვიდექი და შორიდან დავინახე, თუ როგორი იყო წლების წინ ეს სოფელი.



ლელა ჭინჭარაული

— **დღეს შატილში რა ხდება?**

— დღეს შატილი სამყაროს მოწყვეტილია. ზამთარში იქ მხოლოდ 5 ოჯახი, ძირითადად, ხანდაზმულები რჩებიან. ნოემბრიდან გზა რომ ჩაიკეტება, აპრილამდე აღარ გაიხსნება. 6 წლის წინ, როცა იქ „ეუთოს" მისია იდგა, ვერტმფრენი ხშირად ჯდებოდა და სკოლაშიც მეტი ბავშვი დადიოდა. ახლა ხევსურეთიდან მასობრივი გამოდინება ხდება. მახსოვს, მილმახევში, სოფელ მუცოში გელა დაიაურის დიდი ოჯახი ცხოვრობდა; ქერჩო დაიაურის 12 შვილი კოშკებს რომ შეეფინებოდა, მათ დანახვას არაფერი სჯობდა. ისინი ისხდნენ და სივრცეს გაჰყურებდნენ. პატარა ბერებს მაგონებენ-მეთქი, — ვამბობდი. დღეს ამ სოფელში ადამიანის ჭაჭანება არ არის. ძნელია, ვინმეს იქ ცხოვრება მოსთხოვო, მაგრამ როცა ხალხმრავალი იყო, შატილს არაფერი უჭირდა.

— **მაშინ სოფელში რამდენი ოჯახი ცხოვრობდა?**

— ზუსტად არ ვიცი, მაგრამ მაშინ მიტოვებული კოშკი არ არსებობდა, ყველგან ოჯახი ცხოვრობდა. შატილიენები იმდენი იყვნენ, გუდანში გადადიოდნენ და იქ სახლდებოდნენ. ახლა საცხოვრებლად არანაირი პირობა არ არის. ერთი სატელეფონო ანძა მაინც იდგეს — იქ მყოფი პაპა ცოცხალია თუ არა, რომ გაიგო, ესეც შეღავათი იქნება. ამ სოფელში სასაზღვრო ზოლია და მესაზღვრეებად ხევსურები დგანან — მებრძოლი სულის ადამიანები რომ არ იყვნენ, მერწმუნეთ, იქ დღეს ერთი ადამიანიც აღარ იქნებოდა.

— **ალბათ, კოშკებიც შესაკეთებელია...**

— რა თქმა უნდა, დანგრეულ კოშკებსაც შეხვდებით. იქ ერთი დაუწერელი კანონია, რომლის თანახმადაც, შატილის კოშკები ჭინჭარაულების გვარს ეკუთვნის. საუკუნეების მანძილზე ამ კოშკებში სხვა გვარს არ უცხოვრია. ყველამ იცის, მისი მამა-პაპის კოშკი რომელია და იქ, თუნდაც ბიძაშვილს, არა აქვს უფლება, უკითხავად რაიმე გააკეთოს. სახელმწიფომ შატილიენების პირობების გაუმჯობესებაზე უნდა იზრუნოს და კოშკებს თავად მიხედავენ. არც ერთი ხევსური საკუთარ კოშკს არ დათმობს. შატლში, 2-3 კოშკში სასტუმროც არის მოწყობილი. ძველებური ავეჯი და



არსებობს ბილიკები, სადაც ქალმა საერთოდ არ უნდა გაიაროს

მაყალი დგას. შვეიცარიასა და გერმანიაშიც არის თავისებური კოშკები. მათ სრულიად ძველი ინვენტარი აქვთ და როცა იქ შედიხარ, წარმოიდგენ, როგორ ცხოვრობდნენ წლების წინ. ახლა, როცა შატილში კოშკებში შევდივარ, იქ ძველი სურნელი ისევ იგრძნობა და სხვა აურაა, ისეთი შეგრძნება გეუფლება, რომელიც ენით უთქმელია. ხევსურეთში ყველაზე დიდი ათენგენობის დღესასწაულია და ხევსურების გაქრისტიანებას უკავშირდება. საბერძნეთიდან შემოსულ წმინდანს, ათენაგენას 12 ხევსური მოწაფე ჰყოლია. მათ გააქრისტიანეს ფხოვი (მაშინ ასე იწოდებოდა). ათენგენობა მოძრავი დღესასწაულია, თარიღს აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულის მიხედვით ითვლიან და ხევსურეთში, ფშავში, თუშეთში — ყველგან ზეიმობენ. ხდება საკლავის დაკვლა და ხატისთვის შეწირვა. გარდა ამისა, წლების წინ ხევსურებისგან ხშირად გაიგონებდით, — ჩემი შვილი ხატს მივაბარეო. ეს იმას ნიშნავდა, რომ იგი წმინდა გიორგის ყმა ხდებოდა.

**— და რა მოვალეობა ეკისრებოდა?**

— ხევსურები ბრძოლაში წასვლის წინ ამბობდნენ: წმინდა გიორგი გვეძახისო. სამშობლოსთვის თავგანწირვა სარწმუნოებისთვის თავდადების დონეზე იყო აყვანილი.

**— როგორც ვხვდები, ხატს მხოლოდ ვაჟებს აბარებდნენ...**

— დიახ, დღემდეა ხევსურეთში მამაკაცის კულტი. არსებობს ბილიკები, სადაც ქალმა საერთოდ არ უნდა გაიაროს. თავის დროზე ხევსურეთი ძნელად მოსაქცევი მხარე ყოფილა. ერთმა ბერმა მითხრა: თამარ მეფეს ხევსურეთში სასწაულმოქმედი, მირონმდინარე ხატები გაუგზავნია, რათა ადგილობრივებს ქრისტესი ერწმუნათ... ხატებს ნიშებში ასვენებენ, ეს დაყუდებული მადლიაო... როცა გუდანის ჯვართან გავივლი, ისეთი რიდი და კრძალვა მაქვს, ხატს თვალსაც ვერ ვუსწორებ. საფიხვნო ხატის ტერიტორიასთან ახლოს მდებარე ადგილია, სადაც მამაკაცები იკრიბებიან და საჭირბოროტო საკითხებზე ბჭობენ. ქალი მათ საუბარს ვერ დაესწრება.

**— წელს შატილობაზე დოლიც ჩატარდა, არა?**

— ხევსურეთში დოლი უბრალო შეჯიბრება არასდროს ყოფილა. ტრადიციულად, გარდაცვლილი კაი ყმის სახელობის დოლი ეწყობოდა, მას „სულის ცხენს“ ეძახდნენ. გამარჯვებულისთვის ჯილდო ოჯახს გამოჰქონდა. ამ დღეს პირიქითა და პირაქეთა ხევსურები უბელო ცხენებით ჯირითობდნენ, ქაჩუს მთიდან ეშვებოდნენ. წელს დოლი მილმახევიდან მოვაწყვეთ. ხევსურები ერთმანეთს ისევ უუნაგირო ცხენებით გაეჯიბრნენ, გამარჯვებულმა სასმელი და ჭედილა მიიღო. საღამოს კონცერტიც მოვაწყვეთ, რომელშიც ჯგუფი „ეგარი“, ნიაზ დიასამიძე და ეთერ თათარაიძე მონაწილეობდნენ; მათ შემდეგ სცენაზე ადგილობრივებიც ავიდნენ. ამ დღეს შატილი ცოცხალ მუზეუმს ჰგავდა.

**— იმედია, ეს ტრადიცია მომავალშიც გაგრძელდება. ცოტა რამ თქვენ შესახებაც მიამბეთ.**

— პროფესიით დრამის რეჟისორი ვარ. თბილისში დავიბადე და გავიზარდე. მყავს მეუღლე და 3 შვილი. ჩემი მეუღლეც ხევსურია. მთის სიყვარული ჩემში ძალიან ძლიერია, სულ ხევსურეთისკენ მივილტვი. არადროს მომნდომებია პარიზში, ლონდონში ან რომელიმე სხვა დიდ ქალაქში მეცხოვრა, ხევსურეთში ცხოვრებაზე კი მართლა მიფიქრია. ალბათ, სიცოცხლის ბოლო პერიოდს მთაში გავატარებ. ბოლო კლასებში მინდა, ჩემი შვილები იქ ვაცხოვრო. მთაში წაკითხული ვაჟა-ფშაველა გონებაში სხვაგვარად შედის და აქ, მანქანების ქროლაში წაკითხული თუნდაც, გენიალური ნაწარმოები — სხვაგვარად.

**— ხევსურეთში ზაფხულობით მაინც თუ ჩადიხართ?**

— შეძლებისდაგვარად. ჩემი მეუღლე სოფელ გლოდან არის. ეს სოფელი შატილთან შედარებით, ცივილიზაციას კიდევ უფრო მოწყვეტილია — არც გზა, არც შუქი. 17 კილომეტრი ფეხით უნდა იარო. სოფლამდე მანქანა ვერ მიდის. ჩემი მაზლი — გოგი გიგაური იქ ცხოვრობს და ტელეფონით რომ დაგვიკავშირდეს, ცხენით კავკასიონის ერთ-ერთ მწვერვალზე ადის, იქ ერთი ადგილი იცის, სადაც ტელეფონს მიღება აქვს და გვირეკავს ხოლმე. სულ მისი ზარის მოლოდინში ვართ.

**— გლოში რამდენი ოჯახი ცხოვრობს?**

— ეს არის სოფელი, რომელშიც მხოლოდ ერთი ადამიანი — ჩემი მაზლი ცხოვრობს.

**— რას ამბობთ, მარტო როგორ ძლებს?**

— თქვენ გიკვირთ, თორემ მისთვის ეს ჩვეულებრივი ამბავია, თავს ძალიან კარგად გრძნობს. ეს სოფელი მეც მიყვარს. იქ ისეთი შეგრძნება გეუფლება, თითქოს ცაში ცხოვრობ და ღმერთთან იმდენად ახლოს ხარ, რომ მას შენი ჩურჩულიც კი ესმის. გლოდან თბილისში რომ ჩამოვედი, ასე მეგონა, მიწას დავენარცხე.

**— ბატონი გოგი დაოჯახებული არ არის?**

— არა და სხვათა შორის, 36 წლისაა.

**— ეი. განდეგილივით ცხოვრობს, საინტერესო რესპონდენტი იქნება.**

— არა მგონია, ინტერვიუზე დაგთანხმდეთ (*იცინის*). ჟურნალისტებთან ურთიერთობა არ ხიბლავს. ბევრს კითხულობს და სულ გვთხოვს, წიგნები, სიგარეტი გავუგზავნოთ. ის ბევრ საკითხს უფრო ჯანსაღად უდგება, ვიდრე ცივილიზაციაში გაზრდილი ადამიანი.

**— ფიქრისთვის ჩვენზე მეტი დრო აქვს...**

— ადამიანებსაც კარგად შიფრავს. ბევრ რამეზე ჩვენ უფრო ვართ დახამებულები, ვიდრე ის. მან იცის, რომ მამა-პაპის ნასახლარზე ცხოვრობს და იქ თავს ძალიან კარგად გრძნობს. დღეს ხომ ყველა ადამიანი სოციალური პირობების გაუმჯობესებაზე ზრუნავს: სოფლიდან რაიონში გადადიან საცხოვრებლად, რაიონებიდან — თბილისში, თბილისიდან — საზღვარგარეთ... ერთი არ მინახავს, მამაპაპისეულ ადგილს მიჰბრუნებოდეს. მოდით, ამაზე ყველამ ერთად ვიფიქროთ...

*პოეტი* **რატი ამაღლობელი** *შატილობას ჭინჭარაულების სტუმარი იყო.*

— ხევსურეთში 3 დღე გავატარე. როცა ხევსურთან სტუმრად ხარ, ეს ცალკე ფილოსოფიაა. „სტუმარ-მასპინძელი“ მხოლოდ ვაჟა-ფშაველას ფანტაზიის ნაყოფი არ არის, ეს მათი ცხოვრების წესია. ჩემი აზრით, იქ ადამიანი მხოლოდ ბევრ ხალხთან ერთად, მასობრივი თავშეყრის დღეს არ უნდა წავიდეს. უმჯობესი იქნება, თუ იმ სასწაულს, რომელსაც ხევსურეთი ჰქვია, ჩუმად, სიმშვიდეში შეიგრძნობ. შატილი საქართველოს კარიბჭეა და თითოეული ჩვენგანის ზრუნვის საგანი უნდა გახდეს. მე ვნახე სოფლები, რომლებშიც უკვე აღარავინ ცხოვრობს. მითხრეს, ადგილობრივ სკოლაში 9 ბავშვი სწავლობსო. რამდენიმე ციხე-კოშკი სასწრაფოდ, რესტავრაციას საჭიროებს. ხევსურეთს უცხოელი ტურისტის თვალით კი არ უნდა შევხედოთ, არამედ ის ჩვენი ტკივილი უნდა იყოს.

**— შატილში პირველად იყავი?**

— არა, სამჯერ ვარ ნამყოფი. იქ სოფლებში ცხენებით დავდივართ. ულამაზესი ადგილებია, საჯიხვეებიც მაქვს ნანახი.

**— იქ ალბათ, ლექსებსაც წერ...**

— არა, ხევსურეთში შთაბეჭდილების ქვეშ ვარ, ვივსები და შემოქმედებითი პროცესი თბილისში დაბრუნების შემდეგ იწყება... ■



ხევსურეთში მამაკაცის კულტი დღემდეა

# „შევროლეს“ რეტრო-სუპერავტო



მომავალი თაობის სუპერავტო Chevrolet Corvette რეტროს სტილში აიწყობა. მისი დიზაინის ერთ-ერთ საკვანძო ელემენტად ორმაგი უკანა მინა იქცევა. ზუსტად ასეთივე მინა ჰქონდა 1963 წელს გამოშვებულ კუპეს — Sting Ray — მაგრამ უკანა მინიდან ცუდი ხილვადობის გამო, 1964 წლიდან ამ ავტომობილზე ეს დიზაინერული გადაწყვეტა აღარ ფიგურირებდა. Chevrolet Corvette უკანაამძრავიან სისტემას შეინარჩუნებს და ისეთი მსუბუქი მასალისგან დამზადებული ძარა ექნება, როგორიცაა: კარბონი, ალუმინი და მაგნიუმი. სუპერავტოს ახალი ძრავა სავარაუდოდ, რობოტიზებული სიჩქარის გადაცემათა კოლოფით იმუშავებს. ამჟამინდელი თაობის Chevrolet Corvette 2005 წლიდან გამოდის და კლიენტებს 6,2 და 7,0 ლ მოცულობის, შესაბამისად, 430 და 638 ცხ.ძ. სიმძლავრის მქონე 8-ცილინდრიანი მოტორით აღჭურვილ მანქანას სთავაზობს. ტრანსმისიის გამაში კი 6-საფეხურიანი „ავტომატი“ ან „მექანიკაა“. უახლოესი ორი წლის განმავლობაში კომპანია ბაზარზე Chevrolet-ს კიდევ 10 ახალი მოდელის გაყვანას აპირებს. ■

# „ჰამერი“ ადგილმდებარეობას შეიცვლის



ჩინური კომპანიის — Tengzhong — მიერ კონცერნ GM-სგან Hummer-ის შეძენის შემდეგ, ავტომწარმოებლის შტაბბინას დეტროიტიდან მიჩიგანში გადაიტანენ. ახალ ადგილზე გადასვლა „ჰამერს“ 9,5 მილიონი დოლარი დაუჯდება, მაგრამ ადგილობრივი ხელისუფლება უკვე თანახმაა, მას საგადასახადო შეღავათი გაუწიოს. სავარაუდოდ, თავად ოფისში დაახლოებით, 100 ადამიანი იქნება დაკავებული — დიზაინერები, ინჟინრები, მარკეტოლოგები და სხვა თანამშრომლები. მომავალში პერსონალის რაოდენობა შეიძლება, 400 კაცამდე გაიზარდოს... ამჟამად, მხარეები ხელშეკრულების დეტალებს განიხილავენ და მალე მას ოფიციალურადაც გააფორმებენ. ზოგიერთი მონაცემით, ყველა ფორმალობა 2009 წლის ბოლომდე უნდა მოგვარდეს. ახალი მფლობელი „ჰამერის“ წარმოების ჩინეთში გადატანას არ აპირებს და აცხადებს, რომ მანქანები კვლავაც, ამერიკულ ქარხნებში აიწყობა, მათ შორის GM-ის კუთვნილ ბაზებზე. ■

# „ფორდმა“ აქცენტი ინდოეთზე გააკეთა



კომპანია „ფორდმა“ ინდოეთის ბაზრისთვის განკუთვნილი მოდელის — Ford Figo — ანონსირება გააკეთა, რომელიც წინა თაობის ხუთკარიან „ფიესტას“ წარმოადგენს. ამ მანქანას იმ ქარხანაშიააწყობენ, რომელიც ჩინეთში მდებარეობს, ხოლო პირველი ავტომობილები „ფორდის“ ინდოელ დილერთა სალონებში მომავალი წლის მარტიდან გამოჩნდება. კონცერნ „ფორდის“ პრეზიდენტისა და აღმასრულებელი დირექტორის, ალან მიულალის თქმით, ამჟამად ჩინური ბაზარი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მზარდია. ექსპერტთა შეფასებით, 2015 წელს იქ 3 მილიონ ავტომობილზე მეტი გაიყიდება — ეს ორჯერ უფრო მეტია, ვიდრე 2008 წელს გაყიდული მანქანების რაოდენობა. „თუ ინდოეთში ბევრი ავტომობილის გასაღება გსურთ, კომპაქტური მოდელები დაგჭირდებათ“, — განაცხადა მიულალიმ. ინდური „ფიესტა-ფიგოს“ ტექნიკური მაჩვენებლების შესახებ ჯერჯერობით, არაფერია ცნობილი. ზოგიერთი მონაცემით, ამ მოდელს 1,2-ლიტრიანი კომპაქტური ძრავა ექნება. ქარხანას „ფორდმა“ 500 მილიონ დოლარზე მეტი თანხა უკვე გადაურიცხა. ■

# „პორშე“ ელექტროსპორტულ მანქანებს გამოუშვებს




კომპანია „პორშე“ უახლოესი 5-10 წლის განმავლობაში, ელექტროამძრავიანი სერიული სპორტული ავტომობილის გამოშვებას შეძლებს. ამის შესახებ კომპანიის ახალმა ხელმძღვანელმა, მიხაელ მაჰტმა განაცხადა, რომელმაც ამ პოსტზე ვენდელინ ვიდეკინგი შეცვალა. მაჰტის თქმით, მას შემდეგ, რაც მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი დასრულდება, „პორშე“ წელიწადში 150 ათასი მანქანის გაყიდვას მოახერხებს, მაგრამ „ასეთი მაჩვენებლების მიღწევას იმ მოდელებით ვერ შევძლებთ, რომლებიც ამჟამად გვაქვს. მოკლედ, ახალი მოდელების შექმნაზე მოგვიწევს ფიქრი“, — ამბობს მაჰტი.

რაც შეეხება ვენდელინ ვიდეკინგს, მისი გადადგომის მიზეზად მარკის მფლობელებთან, — პიჰისა და პორშეს ოჯახებთან — შეუთანხმებლობა იქცა, რაც კონცერნ Volkswagen-თან ალიანსის შექმნაში გამოიხატებოდა, რომელიც ამჟამად, 50%-ით სწორედ „პორშეს“ ეკუთვნის. VW-ს აქციათა შესაძენად „პორშემ“ დაახლოებით, 10 მილიარდი ევრო გამოყო, მაგრამ მსოფლიო კრიზისმა მას ჩანაფიქრის სრულად განხორციელების საშუალება არ მისცა. ■

რუბრიკა მოამზადა ალექსი რეხვიაშვილმა

# როგორ დავაინტერესოთ სასურველი მამაკაცი?

## ვერძი (21.03 – 20.04)

ცეცხლის სტიქიის ნიშანია. მამაკაც ვერძს მოსწონს, როდესაც მისით აღფრთოვანებას გამოხატავენ, იზიდავს ძლიერი შეგრძნებები. ასეთი მამაკაცი თქვენი ძლიერი ხასიათით უნდა დაიმორჩილოთ. მის განსაცვიფრებლად, თავი საუკეთესო კუთხით უნდა წარმოაჩინოთ ან მიმართოთ მეთოდს — „ჭირვეულის მორჯულება“. ვინაიდან მამაკაც ვერძს სირთულეები იზიდავს, თავი უკარებად მოაჩვენეთ. რაც უფრო ძნელად ხელმისაწვდომი იქნებით მისთვის, მით მეტი ინტერესით დაიწყებს ბრძოლას თქვენს მოსაპოვებლად. ოღონდ ზედმეტად მიუწვდომელი ნუ გახდებით!

## კურო (21.04 – 20.05)

„მართალი“ მამაკაცების კატეგორიაა. არასდროს გაწყენინებთ უმიზეზოდ. გარდა ამისა, სტუმართმოყვარე, თბილი და მოსიყვარულეა. მისი ყურადღების მიპყრობა მისსავე ინტერესების გაზიარებითაა შესაძლებელი. კუროს უყვარს მხატვრობა, ფერწერა და მუსიკა. დაუკარით მისთვის რაიმე, დახატეთ მისი პორტრეტი და მიუძღვენით: ის აღფრთოვანდება თქვენით. უყვარს სიყვარულის მორევში თავდავიწყებით გადაშვება.



## ტყუპი (21.05 – 21.06)

ადვილად იძენს მეგობრებს და ასევე ადვილად შორდება მათ. მერყევი ხასიათის ტყუპის დასაინტრიგებლად, ყოველთვის სათანადო სიმაღლეზე უნდა იდგეთ, და ყოველი შეხვედრისას ახლებურად წარმოაჩინოთ თავი. ის იოლად ეჩვევა იმას, რაც უკვე აქვს და ასევე მალე ჰბეზრდება. ამიტომ მოწყენილობის გასაფანტავად ახლის ძიებას იწყებს... ერთი სიტყვით, გამომგონებელი უნდა იყოთ, რათა თქვენ გარდა სხვა ვერაფერზე ასწრებდეს ფიქრს.

## კირჩხიბი (22.06 – 22.07)

ძალზე მგრძნობიარე მამაკაცია. ასე რომ, ერთხელ მაინც თუ აწყენინებთ, შესაძლებელია, სამუდამოდ დაკარგოთ. კირჩხიბს უყვარს ყურადღების ცენტრში ყოფნა და სიამოვნებით იღებს კომპლიმენტებს. ასე რომ, გაითვალისწინეთ ეს და ხშირად შეაქეთ. დამერწმუნეთ, თქვენი მცდელობა ფუჭად არ ჩაივლის. კირჩხიბისთვის ძალზე მნიშვნელოვანია, რომ თქვენ მის ინტერესებს იზიარებდეთ.

## ლომი (23.07– 23.08)

მეფური, არისტოკრატიული თვისებების მატარებელი, მამაცი და დიდსულოვანია. მისთვის უბრალოდ აუცილებელია პირველობა. ამიტომ მის გვერდით თქვენც „პირველ ქალბატონად“ უნდა წარმოიდგინოთ თავი. ის მეტისმეტად თავდაჯერებულია. თუკი თქვენ — „ტიტულოვანი ქალბატონი“, ამავდროულად სათნოებასაც შეინარჩუნებთ, მის სიყვარულს აუცილებლად დაიმსახურებთ. ლომს მოსწონს თავდაჯერებული და ამავდროულად, მეგობრული ქალები.

## ქალწული (24.08 – 23.09)

ძალზე მორიდებული, ამავე დროს, ზედმიწევნით მიზანდასახულია. ოღონდ მიზანს ყოველთვის დიდი შრომის შედეგად აღწევს. მოსწონს მასავით მორიდებული, კეთილშობილი ქალბატონები. წვრილმანზეც კი ყურადღების გამახვილება სჩვევია, ვერ იტანს უწესრიგობას. განსაკუთრებული ყურადღებით მოეკიდეთ მასთან პირველ პაემანს — თქვენ უზადოდ უნდა გამოიყურებოდეთ.

## სასწორი (24.09 – 23.10)

თვით ელეგანტურობაა. ის იმდენად მომხიბვლელია, რომ ძნელია, გაუძლო მის შარმს. რბილი ხასიათი აქვს. მისი ქალის იდეალი ასეთია: ჰარმონიული, სამართლიანი და ძლიერი. ასევე იზიდავს ჭკვიანი და ერუდირებული ქალები. დაანახვეთ მას თქვენი ინტელექტი და სასწორის პინა თქვენს მხარეს გადმოიხრება.

## მორიელი (24.10 – 22.11)

იდუმალი, ტემპერამენტიანი ნატურაა. ის მამაცი და კეთილშობილია, იშვიათად მიდის კომპრომისზე. მისი გულის მოგება არცთუ ისეთი იოლია... სულ მცირე ზეწოლა და თავდაცვას იწყებს, მასთან ბრძოლაში ჩაბმას კი არ გირჩევთ. უკეთესია, დაუცველის შთაბეჭდილება დატოვოთ, რადგან ის მზრუნველი მამაკაცია და ამ შემთხვევაში, დამცველად მოგევლინებათ.

## მშვილდოსანი (23.11 – 21.12)

თვით გრძნობისა და ფიქრის, სიყვარულისა და სილამაზის ჰარმონიაა; მასთან ურთიერთობა იოლია. ის ოპტიმისტი და მიმნდობია. მიუხედავად იმისა, რომ ხშირად არასერიოზული ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებს, გულში ნამდვილ სიყვარულსა და ოჯახურ სიმყუდროვეზე ოცნებობს; რომანტიკოსია, უყვარს მოგზაურობა. მოსწონს სათნო და მომხიბვლელი ქალები.

## თხის რქა (22.12 – 20.01)

შრომისმოყვარე ნატურაა. წინასწარ აქვს გათვლილი ყველა წვრილმანი, ამიტომ თითქმის არასოდეს ეხვევა ხლაფორთში. ამასთანავე, ეს „ტყვიაგაუმტარი“ მამაკაცი ცოტა სენტიმენტალურიცაა, ამიტომაც აქცენტი თბილ ურთიერთობებსა და დიდსულოვნებაზე უნდა გააკეთოთ. იყავით მასთან გულწრფელი და ის სულსა და გულს არ დაიშურებს თქვენთვის.

## მერწყული (21.01 – 19.02)

მეოცნებე, ამავე დროს, სხარტად მოაზროვნე მამაკაცია. ის უბრალოდ ოცნებობს, რომ დაიცვას და გადაარჩინოს ვინმე ხიფათისაგან. მერწყულის სასიყვარულო ქსელში გაბმა არცთუ ისე ძნელია; საკმარისია, მას თავი დაბნეულ, დაუცველ პიროვნებად მოაჩვენოთ და ყველაფერი რიგზე იქნება — ის ნამდვილი „პირადი მცველის“ როლში მოგევლინებათ.

## თევზები (20.02 – 20.03)

მშვიდობისმოყვარეა, აქვს ამოუწურავი ფანტაზია; იზიდავს უჩვეულო, განსხვავებული გაცნობის სტილი. მასთან ურთიერთობისას ინიციატივა საკუთარ ხელში უნდა აიღოთ, რადგან დინების მიმართულებით ცურავს. ასე რომ, პირველმა დაპატიჟეთ კინოში, კაფეში. გაბედულება და მისთვის სიურპრიზების მოწყობა — აი ეს არის თქვენი „კოზირი“.

■

# ყური უგდეთ საკუთარ ხმას...

**როდესაც ადამიანი გვესაუბრება, პირველ რიგში მისი ხმის ტემბრს, ინტონაციას აღვიქვამთ და ამის შემდეგ, ვისმენთ მისი საუბრის შინაარსს. სრულიად განსხვავებული ინტონაციითა და ტემბრით წარმოთქმული ერთი და იგივე ინფორმაცია სხვადასხვანაირად აღიქმება. მშვიდად და გაწონასწორებული ტონით წარმოთქმული უსიამოვნო ამბავიც კი გაცილებით იოლი მოსასმენია. საერთოდ, სასიამოვნო ხმის ტემბრის მქონე ადამიანს უკეთ ხელეწიფება კარიერის შექმნა. ეს მხოლოდ მსახიობებს, ტელე და რადიომაუწყებლობის თანამშრომლებს, ფსიქოლოგებს, სარეკლამო აგენტებსა და მომღერლებს როდი ეხება. ხმა — ეს ის იარაღია, რომლის რაციონალურად გამოყენება ნებისმიერი პროფესიის ადამიანისთვის მხოლოდ სიკეთის მომტანია.**



## ილაპარაკე იმისთვის, რომ თავი წარმოაჩინო

ხმის ტემბრს, საუბრის მანერას და ინტონაციას ბევრი რამ შეუძლია თქვას პიროვნების ხასიათის შესახებ. ამიტომაცაა, რომ ხშირად საკუთარი გრძნობების დაფარვას ვერ ვახერხებთ.

ალბათ შეგიმჩნევიათ, რომ ხმამაღლა და მკვეთრი ინტონაციით მოლაპარაკენი, გარშემო მყოფებს, ხშირ შემთხვევაში, ნევროზულ მდგომარეობაში აყენებენ. უმეტესწილად, ამ კატეგორიის ადამიანები არ არიან საკუთარ თავსა და შესაძლებლობებში დარწმუნებულნი. აქედან მომდინარეობს მათი აგრესიაც, რაც ირგვლივ მყოფთ, დაძაბულ და უსიამოვნო გარემოს უქმნის. ტირანები და დესპოტებიც კი გულის სიღრმეში (ხშირად გაუცნობიერებლად!) ძალზე განიცდიან თავიანთი ხასიათის ამგვარ სირთულეს.

სასიამოვნო, დაბალი ხმის ტემბრის მქონე ადამიანებმა კარგად იციან საკუთარი თავის ფასი. წვრილი, ბავშვური ხმა კი უმეტესწილად, მშიშრებსა და სხვაზე დამოკიდებულებს აქვთ. ყველა ადამიანი ინდივიდუალურად ლაპარაკობს — საკუთარი ჩვევების, ემოციებისა და ხმის ტემბრის მიხედვით. სწორედ ამიტომ, ზოგჯერ ჩვენი ხმა ჩვენივე მტერია. მაგალითად, თუ გინდათ, რომ ინტელიგენტი, ერუდირებული ადამიანის იმიჯი გქონდეთ, ხმამაღლა, რიხით ლაპარაკს უნდა გადაეჩვიოთ.

ხმა არც ზომაზე მეტად ნაზი და ჩუმი უნდა იყოს და არც — ძალზე ბოხი და ომახიანი. ყოველთვის გახსოვდეთ: თუ ზედმეტად ჩუმი, დაღლილი ხმით ილაპარაკებთ, თქვენთან ურთიერთობისა და საუბრის სურვილი ყველას გაუქრება. ასევე, ძალზე რთულია ურთიერთობა ისეთ ადამიანებთან, რომლებსაც სიტყვებს ძლივს „ამოჰგლეჯ". კარგია, თუ თანამოსაუბრის ინტონაცია მკაფიო და არამონოტონური იქნება.

## სპეციალისტი დეფექტებს გამოასწორებს

რა თქმა უნდა, შესანიშნავია, თუ ადამიანს თანდაყოლილი, სასიამოვნო ტემბრისა და ფართო დიაპაზონის ხმა აქვს. მაგრამ როგორ უნდა მოვიქცეთ, თუ ჩვენი ხმა თანამოსაუბრეს ყურს სჭრის? ამ პრობლემის გადასაჭრელად, აუცილებელია, დასახმარებლად სპეციალისტს მივმართოთ. ზოგადად კი ამის მიზეზი, შეიძლება ყურის, ყელის ან ცხვირის პათოლოგიებიც იყოს.

ხმის გაუარესება შეიძლება ზედმეტმა ნერვიულობამ, გადაღლილობამ ან გამოუძინებლობის მუდმივმა შეგრძნებამ გამოიწვიოს. თუმცა მისი ყველაზე ვერაგი მტერი მაინც ნიკოტინია.

დაბოლოს, რჩევა ყველას: თუ თქვენს ხმას მელოდიურობა აკლია, ამაში საგანგაშო ნამდვილად არაფერია, რადგან თქვენვე შეგიძლიათ, საკუთარი ხმა ბევრად უფრო სასიამოვნო გახადოთ: სანამ საუბარში ჩაერთვებით (ან თავად დაიწყებდეთ ლაპარაკს), დადებითად განეწყვეთ თანამოსაუბრის მიმართ. ამგვარი დამოკიდებულება და პოზიტიური განწყობილება თავისთავად შეარბილებს ტემბრს, „დაათბობს" და სასიამოვნოს გახდის ხმას. ■

# ნიღბები ტუჩების მოსავლელად

**როდესაც სახის კანის მოსავლელი პროცედურების ჩატარებას იწყებთ, არც ტუჩები უნდა დაივიწყოთ, ისევე, როგორც სახის კანზე, ტუჩებზეც მოქმედებს ატმოსფერული მოვლენები — მზე, ქარი... ტუჩის კანი შეიძლება იყოს მშრალი ან ცხიმიანი. თუ ტუჩები გამომშრალი გაქვთ, აუცილებლად უნდა წაისვათ მკვებავი კრემი, წინააღმდეგ შემთხვევაში, კანი დასკდება, აიქერცლება და ამ ხარვეზს ყველაზე ხარისხიანი პომადაც კი ვერ დაფარავს.**

### ტუჩის ვარჯიში

ტუჩები წინ წამოსწიეთ და პირი ოდნავ გააღეთ. შემდეგ დამუწეთ და ტუჩები მოადუნეთ. გაიმეორეთ 10-20-ჯერ.

ქვედა ყბა რიგრიგობით ამოძრავეთ მარჯვენა და მარცხენა მიმართულებით. ვარჯიში 10-20-ჯერ გაიმეორეთ.

### ტუჩის ნიღბები

ტუჩებს არბილებს ხაჭოს ნიღაბი. ხაჭო წაისვით ბაგეზე და 10 წუთის შემდეგ მოიწმინდეთ.

ქარში ტუჩები რომ არ დაგისკდეთ, კიტრის ან სტაფილოს წვენში არეული თაფლის, არაჟნისა და ხაჭოს ნაზავი დაიდეთ. 15 წუთის შემდეგ მოიშორეთ და მცენარეული ზეთი გადაისვით.



თუ ბაგეზე კანი დამსკდარი გაქვთ, გახეხილ ვაშლში აურიეთ 1 ჩ/კ კარაქი და ნაზავი 15-30 წუთით გაიჩერეთ. ეს ნიღაბი აუცილებლად დაგირბილებთ ტუჩებს.

თუ ამგვარი ნიღბის მოსამზადებლად დრო არ გაქვთ, მაშინ, უბრალოდ, თაფლი გამოიყენეთ. ■

# 100 მანეთად ნაყიდი განძი, პიანინოზე წამოგორებული ახალშობილი



პოლიტიკოსი, უფრო ადრე კი ბიზნესმენი და ექიმი, დახვეწილი, გემოვნებიანი და რაც მთავარია, საინტერესო მოსაუბრე **დავით საგანელიძე** მუსიკალურ ინსტრუმენტებს აგროვებს და სახლში 50-ზე მეტი დასახელების საკრავი აქვს, როგორც სასულე, ისე სიმებიანი, კლავიშებიანი... როცა ბატონ დავითს შინ ვეწვიე, მომიბოდიშა, — ამ სახლში ახლახან გადმოვედი და ინსტრუმენტების გარკვეული ნაწილი სხვაგან მაქვს შენახულიო. ისიც აღნიშნა, რომ ნათელი ფერები უყვარს და ამიტომაც, მისი ბინა ძირითადად, თეთრი ავეჯითაა გაწყობილი.

# და თვითნასწავლი მუსიკოსის უნიკალური როიალი

ლალი პაპასკირი

— კოლექციონერობას ხშირად მაბრალებენ, რასაც არ ვეთანხმები — მუსიკალურ ინსტრუმენტებს კი არ ვაგროვებ, არამედ იმ რამდენიმე საკრავს ვინახავ, რომელიც განსაკუთრებულად მიყვარს. მსოფლიოში უამრავი ქვეყანა არსებობს, თითქმის ყველა მათგანს აქვს ნაციონალური ინსტრუმენტი და რა თქმა უნდა, თითოეული თავისებურად საინტერესოა. მათი შეგროვება რომ დავიწყო, ბინის გამოცვლა კიდევ ერთხელ მომიწევს — აბა, ისინი სად უნდა შევინახო?..

**— მაინც, რამდენი ქვეყნის ნაციონალური საკრავი გაქვთ?**

— ზუსტად ვერ გეტყვით, ისინი რამდენი ქვეყნიდან ჩამოვიტანე, მაგრამ 50-მდე ინსტრუმენტს ნამდვილად ვინახავ. მათ შორის ფოლკლორული საკრავები ჭარბობს.

**— მუსიკალური ინსტრუმენტებისადმი თქვენი ინტერესი რამ განაპირობა?**

— პიანინო, რომელიც დონის როსტოვიდან არის ჩამოტანილი, შეიძლება ითქვას, რომ ბებიამ დაბადებისთანავე მაჩუქა. თურმე, როცა სამშობიაროდან სახლში მიმიყვანეს, მას პიანინოზე დავუწვენივარ — ჩემი შვილიშვილი მუსიკოსი უნდა გამოვიდესო. მუსიკოსის რა გითხრათ, მაგრამ ის პიანინო ახლა ჩემთვის ძალიან ძვირფასია და საკრავებისადმი ჩემი სიყვარულიც მისი დამსახურებაა... შემოსასვლელთან რომ თეთრი როიალი დგას, რომლისკენაც თვალი გაგექცა, ასევე ძველი ინსტრუმენტია. ის გერმანიიდან ჩამოვატანინე და ძალიან მიყვარს. ასაკის მიუხედავად, საკმაოდ კარგი ჟღერადობა აქვს. ამ ინსტრუმენტის ხშირი რესტავრირება არ შეიძლება, მაგრამ ერთიორჯერ მომიხდა მისი გადაადგილება და ამიტომაც, „ხელის გაკვრა“ დასჭირდა. საერთოდ, უნდა შეეცადო, რომ როიალს ადგილი სწორად შეურჩიო.

**— მას ორპირი ქარი აფუჭებს, არა?**

— ორპირი ქარიც აფუჭებს, მაგრამ უფრო მეტად, ტემპერატურის ცვალებადობა არ „მოსწონს“. ოთახში, სადაც პიანინო დგას, ტენიანი ჰაერი არ უნდა იყოს... რამდენიმე სახის გიტარა მაქვს, რომელიც საზღვარგარეთიდან ჩამოვიტანე. საერთოდ, „ხოხნერისა“ და „იამაჰას“ გიტარები საკმაოდ მრავალფეროვანია, აკუსტიკურიც არის და ელექტრონულიც... მოდი, ჩემს საყვარელ ბანჯოებსაც (ამერიკული სიმებიანი საკრავი) „გაგაცნობთ“. ისინი ამერიკიდან ჩამოვიტანე და როცა კარგ ხასიათზე ვარ, ხელს მათაც შევავლებ ხოლმე... საკმაოდ კარგი ინსტრუმენტია მანდოლინა. ეს იტალიური საკრავი 1910 წელს, ქალაქ კატანიაშია დამზადებული და მასზე კატანიელების საფირმო ნიშნად თუ თილისმად სადაფის პეპელაა გამოსახული. ეს ინსტრუმენტი ერთ-ერთი ბოლოა, რომელიც კატანიაში მდებარე ქარხანამ გამოუშვა — 1912 წელს კატანია გერმანელებმა დაბომბეს და შედეგად, ქარხანაც მთლიანად განადგურდა. მანდოლინას თითქმის ყველა ძველ იტალიურ ფილმში შეხვდებით. ნეაპოლური მუსიკა, რომელიც ძირითადად, მანდოლინათი სრულდებოდა, ძალიან გავრ-



ეს იტალიური საკრავი 1910 წელს, ქალაქ კატანიაშია დამზადებული

ცელებული იყო... აი, ამ კუთხეში კი ქართული ინსტრუმენტები აწყვია. ისინი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მაქვს შეძენილი, ზოგი მათგანი კი მაჩუქეს...

*თეთრი ავეჯით გაწყობილი ოთახიდან თეთრჩუქურთმებიანი ხვეული კიბით ზედა სართულზე ავდივართ. ნათელ ოთახში ძველი, მუქი ყავისფერი ნივთებია და მათ შორის უცნაური, იშვიათი ფერის, ფორმისა და ზომის როიალი დგას. მასპინძელმა მზრუნველად შეავლო ხელი ინსტრუმენტს და მომიბრუნდა:*

— საქართველოში ამის მსგავსი როიალი მხოლოდ წინანდალში, ჭავჭავაძეების სახლ-მუზეუმს ამშვენებს. ეს როიალი XIX საუკუნეში, შროდერის მიერ ხელითაა დამზადებული. უნიკალური ჯიშის ხეზე ამოტვიფრული ყვავილები მთლიანად მოოქრული და მოვერცხლილია.

**— ბატონო დავით, ინსტრუმენტისთვის ხის მასალას დიდი მნიშვნელობა აქვს?**

— რა თქმა უნდა, მისი ხარისხი და ჟღერადობა ხის ჯიშზე პირდაპირ არის დამოკიდებული.

**— ეს როიალი საქართველოში როგორ მოხვდა?**

— სამწუხაროდ, არ ვიცი, საქართველოში ვინ ჩამოიტანა, მაგრამ მე მას როიალების ერთ-ერთ სახელოსნოში გადავაწყდი — უამრავ ინსტრუმენტს შორის მისი „ფეხი“ შევნიშნე და ვიკითხე: ეს რისი ფეხია-მეთქი? — როიალისო,



„ხოხნერის“ გარმონი მიუნხენში ვიყიდე

— მიპასუხეს. — და როიალი სად არის-მეთქი? — ვიღაცამ გასაკვირებლად მოიტანა, მაგრამ ისე იყო დაზიანებული, რომ მისი შეკეთება ვერ მოხერხდა; რამდენიმე თვეა, ასე დევს და არც პატრონმა წაიღოო. ხელოსნებს ვთხოვე, მის შეძენაში დამხმარებოდნენ. საბოლოოდ, ეს ინსტრუმენტი სასაცილო თანხად შევიძინე, მისი რესტავრაცია კი ბევრად ძვირი დაჯდა. ამ როიალს სხვებისგან გამორჩეული ჟღერადობა აქვს.



ეს როიალი XIX საუკუნეში, შროდერის მიერ ხელითაა დამზადებული

*იმის დასამტკიცებლად, რომ როიალი განსხვავებული იყო, ბატონმა დავითმა ერთ-ერთი კომპოზიციიდან პატარა მონაკვეთი შეასრულა, შემდეგ კი ოთახის კუთხეში დალაგებულ ინსტრუმენტებზე მიმითითა:*

— ეს ძველი ინსტრუმენტი ორგანია, რომელზეც საეკლესიო მელოდიებს ასრულებენ და ზოგჯერ, მასზე მეც ვუკრავ... მაქვს ასევე ძალიან ძველი, „ხოხნერის“ გარმონი, რომელიც მიუნხენში ვიყიდე. მინდა, გიჩვენოთ „იამაჰა“, რომელიც საკმაოდ ორიგინალური და მრავალფეროვანი ინსტრუმენტია. მას რამდენიმე სინთეზატორი აქვს და ორგანის ხმასაც გამოსცემს...

**— ეს ტამტამები ალბათ, აზიის ქვეყნებიდან ჩამოიტანეთ...**

— დიახ. ზოგიერთი მათგანი ტაილანდურია, ზოგი — კორეული და იაპონური... რამდენიმე ფლეიტაც მაქვს და სალამურიც. ამ ჩემოდანში (*ბატონი დავით კუთხეში მიყუდებულ შავ ჩემოდანს ხსნის. — ავტ.*) უძველესი აკორდეონი დევს, რომელიც წლების წინ, მშრალ ხიდზე ვიყიდე. სხვათა შორის, ძველმანების ბაზრობაზე ბევრი საინტერესო ნივთი შევიძინე... ამას წინათ, მეგობარმა ბაბუის ბაბუის ნაქონი დუდუკი მაჩუქა და მითხრა: მეოთხე თაობას მოესწრო, მაგრამ შენთვის არ მენანებაო. ამ ნივთს თვალისჩინივით ვუფრთხილდები...

**— ინსტრუმენტების შეძენისას, ალბათ, უამრავი საინტერესო ამბავი გადაგხდენიათ...**

— არასდროს დამავიწყდება იტალიური მანდოლინის შეძენის ამბავი. ლენინგრადის სამხედრო-სამედიცინო აკადემიაში, ჰოსპიტალური ქირურგიის ფაკულტეტზე ვსწავლობდი. ერთხელაც, საავადმყოფოდან სახლში ვბრუნდებოდი. გზად ძველი მუსიკალური ინსტრუმენტების მაღაზია უნდა გამევლო. მაღაზიის წინ ვიღაც კაცი იდგა. აშკარად ეტყობოდა, რომ ლოთი გახლდათ. მას ხელში მანდოლინა ეჭირა, რომელიც საშინელ მდგომარეობაში იყო, სიმებიც არ ჰქონდა. მივხვდი, ის კაცი მაღაზიის გაღებას ელოდებოდა, რათა ინსტრუმენტი ჩაებარებინა და სასმელი ეყიდა. ახლოს რომ ჩავუარე, კატანიის ემბლემა შევნიშნე და მივხვდი, რა ნივთიც ეჭირა ხელში. ვკითხე, — ყიდი-მეთქი? — კი, როგორც კი მაღაზია გაიღება, ჩავაბარებო. — რამდენად ყიდი-მეთქი? — არ ვიცი, უნდა შემიფასონო. ჯიბეები ამოვიტრიალე — 100 მანეთზე ცოტა მეტი მქონდა და სწორედ ეს თანხა შევთავაზე. შეყოყმანდა, — ძველი ინსტრუმენტია, ნახე, რომელი წლის გამოშვებაა; 200 მანეთი მაინც მომეციო. — მეტი არ მაქვს, თუ მომცემ, მომცემ, თუ არა და, კარგად იყავი-მეთქი და ნელი ნაბიჯით განვაგრძე გზა. იმედი მქონდა, რომ გადაიფიქრებდა და დამიძახებდა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ტაქსის გამოვიძახებდი და ფულის მოსატანად სახლში გავვარდებოდი. ცოტა ხანში მისი ხმა მომესმა: — კარგი, ჯანდაბას, მომეცი 100 მანეთი, ოღონდ, საათი რომ გიკეთია, ეგეც დამიმატეო... ეს მანდოლინა ლენინგრადიდან მოსკოვში წავიღე. ჩემი ძმა „ემგეუს“ (მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის) საერთო საცხოვრებელში ცხოვრობდა და მასთან ჩავედი. მინდოდა, საკრავი

მოსკოველი სპეციალისტებისთვის მეჩვენებინა. ლიფტში ვიღაც შავკანიანი დამემგზავრა. ის მანდოლინას ინტერესით დააცქერდა და ჩვენ შორის ასეთი დიალოგი გაიმართა: უკაცრავად, რა ინსტრუმენტია? — მანდოლინა. — ძველია? — კი. — რამდენად გაყიდი? — არ ვყიდი. — რამდენად იყიდე? — 100 მანეთად. — ასეთი რაღაცები მეც მომწონს და 200 მანეთად მომყიდე, რა. — არა, არ ვყიდი!.. ამასობაში ლიფტიდან გამოვედი. ის უკან გამომყვა, — 500 მანეთს მოგცემო. — არ ვყიდი-მეთქი. — მაშინ მითხარი, რამდენი გინდა და მოგცემო. გავბრაზდი, — ე, ბიჭო, თავი დამანებე, არ ვყიდი-მეთქი! გაეცინა და მითხრა: მშვენივრად იცი, რომ ხელში ძვირფასი ინსტრუმენტი გიჭირავს. სად მიაგენიო?.. მეც გამეცინა და ვუპასუხე: ვიცი, რაც შევიძინე და ტყუილად მევაჭრები-მეთქი.

**— იმ რუსისთვის არ გიკითხავთ, ასეთი ძვირფასი ინსტრუმენტი როგორ ჩაუვარდა ხელში?**

— არ მიკითხავს, მაგრამ ლენინგრადი ერთ-ერთი უძველესი ქალაქია და ვიცი, რომ ოჯახებში ძალიან ძვირფასი ნივთები ინახებოდა. საბჭოთა კავშირის დაშლამდე ცოტა ხნით ადრე, უცხოელებმა ყველაფერი ტრაილერებით გაზიდეს.

**— ბატონო დავით, ამ ინსტრუმენტებზე დასაკრავად წელიწადში ერთხელ მაინც თუ იცლით?**

— ვერა... უბრალოდ, როცა ახალ ინსტრუმენტს ვყიდულობ, მაინტერესებს, მასზე დაკვრას შევძლებ თუ არა და რაღაცების აწყობას დამოუკიდებლად ვცდილობ. ძირითადად, „სამოუჩიტელის“ წიგნებით ვსწავლობ და დილეტანტის დონეზე თითქმის ყველა ინსტრუმენტზე დაკვრას ვახერხებ. განსაკუთრებით როიალი მიყვარს. ალბათ იმიტომ, რომ მუსიკალური სასწავლებელი (ფორტეპიანოს კლასი) მაქვს დამთავრებული. სხვა ინსტრუმენტებზე დაკვრა დამოუკიდებლად ვისწავლე. ძირითადად, სამეგობრო წრეში ყოფნისას ვუკრავ და თუ ჩემი მუსიკა იქ მყოფი საზოგადოების მოწონებას დაიმსახურებს, ეს ჩემთვისაც სასიამოვნოა, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ერთ ადამიანს მაინც შევატყობ, რომ შეწუხდა, დაკვრას სასწრაფოდ შევწყვეტ.

**— თქვენს კოლექციაში თუ არის ისეთი ნივთი, რომელზეც არ ან ვერ უკრავთ?**

— კი, როგორ არა, სასულე ინსტრუმენტებზე არ ვუკრავ. ■

*ტაძარი*

# საღვთისმსახურო ნივთები, მათი გამოყენების ტრადიცია და სიმბოლური მნიშვნელობა



**რით იმოსებიან ღვთისმსახურები ეკლესიაში, მსახურებისას და მის გარეთ, რით განსხვავდებდა ეპისკოპოსის და მღვდლის შესამოსელი, რას განასახიერებს ესა თუ ის საეკლესიო ნივთი? — ამ და სხვა კითხვებზე ბევრმა მორწმუნემაც არ იცის ზუსტი პასუხი. ამიტომაც გადავწყვიტეთ, შევეხოთ აღნიშნულ თემას. მოგვითხრობს არქიმანდრიტი მაკარი (აბესაძე):**

*შორენა მერკვილაძე*

— პირველი საუკუნეებიდანვე იმავე საღვთისმსახურო ნივთებს იყენებდნენ, რომლებიც დღესაც გამოიყენება ღვთისმსახურების დროს. ესენია: ბარძიმი, ფეშხუმი, ვარსკვლავი, ლახვარი, დაფარნები და ღრუბელი; ასევე — საცეცხლური, კანდელი, ემბაზი და გვირგვინები.

პირველ ჯგუფში დასახელებული ნივთები გამოიყენება საღმრთო ლიტურგიის დროს. ბარძიმი მაღალფეხიანი სასმისია, რომელშიც კვეთის დროს, წყალში გაზავებულ ღვინოს ასხამენ. ლიტურგიის დროს მასში ჩასხმული ღვინო ქრისტეს სისხლად გარდაიქმნება, ხოლო სეფისკვერიდან ნაკვეთი ნაწილები — ქრისტეს ხორცად. ბარძიმს მორწმუნეთა საზიარებლად იყენებენ. ლახვარი — ხის ან ლითონის ტარზე წამოგებული სამკუთხა დანაა, რომლითაც ზიარების საიდუმლოს აღსრულებისას ღვთისმსახური საზიარებლად გამზადებულ სეფისკვერს კვეთს (ჭრის). ლახვარი სიმბოლურად, იმ მახვილს განასახიერებს, რომელიც ერთ-ერთმა მხედართაგანმა ჯვარცმულ მაცხოვარს გვერდში უგმირა. ფეშხუმი — მრგვალი, დაბალფეხიანი ლანგარია. მასზე ღვთისმსახური სეფისკვერიდან ამოკვეთილ ნაწილებს ალაგებს. იგი სიმბოლურად განასახიერებს ბაგას, რომელშიც ყოვლადწმინდა ღვთისმშობელმა ახალშობილი მაცხოვარი ჩააწვინა; ამასთანავე, მაცხოვრის საფლავის სიმბოლოსაც წარმოადგენს და იმ თას-სასმისსაც განასახიერებს, რომლითაც თვით უფალმა იესო ქრისტემ აკურთხა ღვინო და მოწაფეები აზიარა. დაფარნები წმინდა ძღვენის შესამოსლებია. ისინი საგანგებოდ არის გამოჭრილი და შეკერილი წმინდა ძღვენის შესაბურავად. ზიარების საიდუმლოს აღსრულების დროს სამი დაფარნა გამოიყენება — ერთი დიდი და ორი მცირე. ერთი მცირე დაფარნით იბურება ბარძიმი, მეორით კი — ფეშხუმი; დიდი დაფარნით იბურება ბარძიმი და ფეშხუმი ერთად. დიდი დაფარნა ეერად — ჰაერადაც იწოდება, რადგან ის სულიწმიდის მადლის ნიავს აღნიშნავს; სიმბოლურად, იმ ლოდსაც აღნიშნავს, რომლითაც მაცხოვრის საფლავის კარი იყო დახშული. მცირე დაფარნები კი სიმბოლურად განასახიერებს იმ სახვევებსაც, რომელშიც ღვთისმშობელმა ახალშობილი მაცხოვარი შეახვია და სუდარასაც, რომელშიც უფლის უწმინდესი სხეული იყო გახვეული დასაფლავებისას. ვარსკვლავი — ჯვრის სახით შეერთებული, მოღუნული ლითონის ორი თხელი ფირფიტაა. ვარსკვლავი იდგმება ფეშხუმზე, რათა დაფარნა სეფისკვერიდან ნაკვეთ და მასზე დადებულ ნაწილებს არ შეეხოს. ვარსკვლავი სიმბოლურად, იმ ვარსკვლავს აღნიშნავს, რომელიც აღმოსავლეთიდან მომავალ მოგვებს მოუძღოდა ბეთლემისკენ, სადაც ახალშობილი მაცხოვარი იმყოფებოდა. ღრუბელი ბარძიმის გასაწმენდად, ფეშხუმზე დარჩენილი სეფისკვერის ნაწილების შესაგროვებლად და ბარძიმში ჩასაწყობად გამოიყენება. ღრუბელი სიმბოლურად, იმ ღრუბელს განასახიერებს, რომელიც ერთ-ერთმა მხედარმა ნაღველნარევ ძმარში დაასველა და ჯვარზე გაკრულ მაცხოვარს ტუჩებთან მიუტანა, როდესაც მან წყალი მოითხოვა.

გარდა ამისა, როგორც ვთქვით, არსე-

ბობს სხვა საღვთისმსახურო ნივთებიც: საცეცხლური — საეკლესიო ჭურჭელი, რომელიც საკმევლის საკმევად გამოიყენება; ემბაზი — სანათლავი, ნათლისღებისთვის განკუთვნილი ჭურჭელი („ემბაზი“ ბერძნული სიტყვაა და შესვლას ნიშნავს); კანდელი — ეკლესიაში მსახურებისთვის განკუთვნილი ერთ-ერთი აუცილებელი ნივთი, რომელშიც ზეთი ასხია და ღვთისმსახურების დროს ანთებენ. არსებობს ჩაუქრობელი კანდელიც; გვირგვინი, რომელსაც ქორწინების, ჯვრისწერის საიდუმლოს აღსრულების დროს იყენებენ.

**— მღვდელმსახურთა შესამოსელიც ხომ პირველი საუკუნეებიდანვე მოდის?**

— საღვთისმსახურო შესამოსელი ძირითადად, წირვის შესამოსელია — მასში ღვთისმსახურნი წირვის, საღმრთო ლიტურგიის აღსრულების დროს იმოსებიან. პირველივე საუკუნიდან, მოციქულთა ხანიდანვე მოდის ლიტურგიის დროს ღვთისმსახურთა შემოსვის ის სტილი, რომელიც დღემდეა დამკვიდრებული. მღვდელმთავრის შესამოსელიც ისეთივე იყო, როგორიც მღვდლის შესამოსელი. მას გარედან ემატებოდა ომფორი. რაც შეეხება ბისონებს, რომლითაც მღვდელმთავრები ღვთისმსახურების დროს იმოსებიან — IV საუკუნიდან მომდინარეობს. ეს არის საიმპერატორო შესამოსელი, რომელიც იმპერატორმა კონსტანტინემ იოანე ოქროპირს აჩუქა. იოანემ მსახურების დროს დაიწყო მისი ტარება და ბისონის გამოყენება ნელ-ნელა, ტრადიციად დამკვიდრდა.







რაც შეეხება ჩოხითა და ანაფორით შემოსვის ტრადიციას (ამ შესამოსლებით ღვთისმსახურნი მაშინ იმოსებიან, როდესაც ლიტურგიას არ აღასრულებენ), ჩოხა — გრძელი კაბის სტილში შეკერილი შესამოსელია და პირველი საუკუნიდან არსებობდა. ვიცით, რომ იმ პერიოდში საერო პირნიც ჩოხით დადიოდნენ, მხოლოდ ფერებში იყო განსხვავება: ღვთისმსახურებს მუქი ფერის შესამოსლები ეცვათ, საერო პირები კი ფერად შესამოსლებს ატარებდნენ. რაც შეეხება ანაფორას — გრძელ შესამოსელს, რომელსაც ჩოხის ზემოდან იცვამენ, — ის ქრისტიანობაში IX-X საუკუნეებიდან დამკვიდრდა. ანაფორა არაბული სამყაროდან შემოვიდა.

თავად შესამოსლის სტილი, მსახურებების დროს განსაკუთრებულად შემოსვა ძველი აღთქმის ეკლესიიდან მომდინარეობს. ძველი აღთქმის თანახმად, სინას მთაზე ასულ მოსე წინასწარმეტყველს ღმერთი აძლევს კანონებს და ავალებს მოძრავი ტაძრის აგებას. გარდა ამისა, ეუბნება: „აიყვანე შენთან შენი ძმა აარონი და მისი ძენი მასთან ერთად, რომ ის იყოს ჩემს მღვდლად“. ღვთის ბრძანებით, მათ ღვთისმსახურება და მღვდელმოქმედებაც უნდა აღესრულებინათ. ღმერთმა მოსეს ისიც აუწყა, თუ როგორი შესამოსლით უნდა შემოსილიყვნენ ღვთისმსახურნი მსახურების დროს. საღვთისმსახურო შესამოსლით მათ გარეთ გამოსვლა არ შეეძლოთ. ღმერთმა ისიც აუწყა მოსეს, თუ როგორ შემოსილებს უნდა ევლოთ გარეთ. განსხვავებულად შემოსვის ეს ჩვეულება ახალი აღთქმის ეკლესიაშიც გადმოვიდა, თუმცა ცხადია, რომ გარკვეული ცვლილებები განიცადა. ღვთისმსახურთა შესამოსლებს, განსაკუთრებულად შემოსვას დოგმატური დატვირთა არ გააჩნია, ყველა შესამოსელს თავისი სიმბოლური მნიშვნელობა აქვს.

**— ახალი აღთქმის ეკლესიის ღვთისმსახურთა შესამოსლებსა და მათ სიმბოლურ მნიშვნელობაზეც ვისაუბროთ...**







— ღვთისმსახურების აღსრულებისას მღვდელმთავარი — ეპისკოპოსი იმოსება შემდეგი შესამოსლით: კვართი, სამკლავეები, ოლარი, სარტყელი, ენქერი, ბისონი, დიდი და მცირე ომფორი, მანტია, ჯვარი, პანაღია, მიტრა და კვერთხი. მღვდლის შესამოსელია: კვართი, სამკლავეები, ოლარი, სარტყელი, ფილონი და ჯვარი. მღვდელს ასევე, შეიძლება ჰქონდეს საგვერდულის, ენქერის ან მიტრის ტარების უფლება. რაც შეეხება დიაკვანს, იგი იმოსება სამკლავეებით და სტიქარით ანუ გინგილით. როდესაც ღვთისმსახურებას არ აღასრულებენ, ეპისკოპოსი შემოსილია ჩოხით, ანაფორით, ჯვრით, პანაღიით, სკუფიით ან კუნკულბარტყულით და კვერთხით; მღვდელი — ჩოხით, ანაფორით, ჯვრით და სკუფიით; დიაკვანი — ჩოხით, ანაფორით და სკუფიით.

კვართი — ბოლომდე დაშვებული გრძელი შესამოსელია. უბიწოებისა და სულის მხიარულების ნიშნად, ის თეთრია; სამკლავეები — არის სამაჯეები, რომელიც სიმბოლურად, ღვთისმსახურთა ხელის ძლიერებაზე მიანიშნებს. ასევე განასახიერებს შესაკრავს, რომლითაც ვნების დროს მაცხოვრის ხელები იყო შეკრული. ოლარი — ყელზე ჩამოსაცმელი, ოქრომკედით ნაქარგი, გრძელი და ვიწრო ქსოვილია; სარტყელი, შემორტყმული წელზე, ღვთის ძლიერებას ნიშნავს და იგი ღვთისმსახურს განაძლიერებს; ენქერი — გვერდზე ჩამოსაკიდი ოთხკუთხა სამკაულია, რომელზეც გამოსახულია ჯვარი; სიმბოლურად, ენქერი ღვთის ძალის სიდიადეს და ეშმაკზე გამარჯვებას ნიშნავს; ფილონი — ზემოდან ჩამოსაცმელი ძოწეულია; სიმბოლურად, იმ ძოწეულზე მიანიშნებს, რომლითაც მაცხოვარი გაკიცხვისას შემოსეს; ბისონი ეპისკოპოსის სამოსია, რომლის ქვემოთაც სტიქარიცა და ოლარიც მოჩანს; დიდ და მცირე ომფორს ეპისკოპოსი მიიდებს მხრებზე და დადგება სავედრებლად და შუამდგომლად ღმერთსა და ადამიანს შორის; ომფორით შემოსილი ეპისკოპოსი სიმბოლურად წარმოადგენს იესო ქრისტეს, რომელმაც ცოდვებისგან ადამიანთა გამოხსნა იტვირთა; ასევე უნდა ზრუნავდეს მღვდელმთავარი თავის სამწყსოზე; მანტია — ეპისკოპოსის ის შესამოსელია, რომელიც მხარზე ჩამოიდება; მანტია საზეიმო, სადღესასწაულო შესამოსელია; მიტრა წარმოადგენს სიმბოლოს უხრწნელი გვირგვინისას, რომელიც ადამიანს სასუფეველში მოელის; მიტრა მღვდელმთავართა თავსაბურავია, რომელსაც ღვთისმსახურების ჟამს იყენებდნენ; პანაღიას ეპისკოპოსი გულზე იკიდებს; სიმბოლოა წმინდა გულისა და წრფელის სულისა, მასზე ყოვლადწმინდა ღვთისმშობელია გამოსახული; ანაფორა გრძელი შესამოსელი გახლავთ, რომელსაც ღვთისმსახურები ჩოხის ზემოდან იცვამენ, ჩოხა კი გრძელი, კაბის ფორმით შეკერილი შესამოსელია. როგორც ვთქვით, ჩოხა და ანაფორა ღვთისმსახურებს აცვიათ მაშინ, როდესაც ღვთისმსახურებას არ აღასრულებენ. რაც შეეხება სკუფიას — ეს მღვდელმსახურთა ქუდია; კუნკულბარტყულიც ქუდი გახლავთ, ოღონდ — ბერების; მას მრგვალი ფორმა აქვს და უკანა მხრიდან შავი ქსოვილი აქვს ჩამოშვებული. კუნკულბარტყულით ბერი მონაზვნობის აღთქმის დადების დასტურად იმოსება. ეს ნიშნავს, რომ მოკვდა ამქვეყნიური ცხოვრებისთვის და აღდგა ქრისტესთვის, ცოცხლობს მხოლოდ უფალში. კუნკულბარტყული სიმბოლურად, კუბოზე მიანიშნებს; სანამ ბერი ცოცხალია, კუნკულბარტყული უკან აქვს, გარდაცვალების შემდეგ შემოუტრიალებენ და ისე კრძალავენ. რაც შეეხება დიაკვნის შესამოსელს, გინგილას — ეს არის გრძელი და ვიწრო ქსოვილი, რომელიც მას მარცხენა მხარზე აქვს დაკიდებული ღვთისმსახურების დროს. იგი სიმბოლურად ანგელოზთა ფრთებს განასახიერებს. ■

## ანტიდეპრესანტი

### ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

### ეორა ღვალიშ

### უზის წიგნაკიდან:

1. შიმპანზეს ხორცი დელიკატესად მიიჩნევა.

2. ნარშავი შოტლანდიის ნაციონალური ყვავილია.

3. ზაქარია ფალიაშვილის მამა ეკლესიის გუნდის მომღერალი იყო.

4. ბარიერული რიფი მთვარის ზედაპირიდან შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს.

5. ბოლო ამერიკელი ჯარისკაცი ვიეტნამიდან 1973 წლის 29 მარტს გამოვიდა.

6. ყუმბართმტყორცნ „მატადორის“ ჭურვი კედელს ხვრეტს და შენობაში შეღწევის შემდეგ მეორედ ფეთქდება.

7. რომაელ მხედართმთავარსა და შვიდგზის კონსულ გაიუს მარიუსს იულიუს კეისრის მამიდა ჰყავდა ცოლად.



8. სამოცწლიანი აქტიური მოღვაწეობის განმავლობაში პიერ ოგიუსტ რენუარმა 6 ათასამდე ტილო შექმნა.

9. ანიმაციურ ფილმში — „შრეკი“ — კამერონ დიასმა პრინცესა ფეონას გახმოვანებისთვის 10 მილიონი დოლარი აიღო.

10. ავსტრალიურ ჩანთოსან დათვს — კოალას ძალზე სუსტი გული აქვს და არცთუ იშვიათად, შოკისგან გამოწვეული ინფარქტით იღუპება.

11. გალაკტიონ ტაბიძის მამა, ვასილ ტაბიძე ჯერ სოფლის მღვდელი, შემდეგ კი ამავე სოფლის მასწავლებელი იყო. იგი შვილის დაბადებამდე ორი თვით ადრე გარდაიცვალა.

12. „უბედურება უქადის ჩვენი დიდი ნაციის ყველა წარმომადგენელს, ბავშვსაც კი. ჩვენ უნდა გადავდგათ აუცილებელი ნაბიჯები ჩვენი სამშობლოს უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად“, — ამბობდა ჰიტლერი ერთ-ერთი გამოსვლისას, გესტაპოს შექმნასთან დაკავშირებით.

13. მიქელანჯელოს აზრით, მხოლოდ მამაკაცის სხეულს ჰქონდა იდეალური პროპორციები, რის გამოც, მის მიერ შექმნილი ქალის ფიგურებში მამაკაცური მოხაზულობები ჭარბობს.

14. აქლემები ავსტრალიაში XIX საუკუნის 50-იან წლებში შეიყვანეს. ეს ცხოველი ავსტრალიელებს უდაბნოში გადასაადგილებლად სჭირდებოდათ. მოგვიანებით, როცა ავტომობილის ეპოქა დაიწყო, ცხოველები უდაბნოში გაუშვეს და ახლა ავსტრალიის ველურ ბუნებაში ცალკუზიანი აქლე-



*რუბრიკას უძღვება ექიმი* **ნინო ჩარგეიშვილი**

# მცდარი შეხედულებები პირის ღრუდან უსიამოვნო სუნზე



**უსიამოვნო სუნი პირის ღრუდან ერთობ სერიოზული პრობლემაა და იგი მოსახლეობის არცთუ მცირე ნაწილს აწუხებს. ამის გამო ადამიანი ლაპარაკს, სიცილს გაურბის, უხერხულობის განცდა იპყრობს და ცდილობს, თანამოსაუბრესთან დისტანცია აკონტროლოს. ყოველივე ეს მუდმივ დაძაბულობას იწვევს. უსიამოვნო სუნთან ბრძოლა შესაძლებელია მხოლოდ მისი გამომწვევი მიზეზის დადგენის შემდეგ. დღეს ჩვენ შევეხებით არა ამ მიზეზებს, არამედ პირის ღრუს უსიამოვნო სუნის შესახებ გავრცელებულ მცდარ შეხედულებებს.**

**პირველი მცდარი შეხედულება:** *ადამიანი ადვილად ამჩნევს, როდესაც პირში სუნი უჩნდება.*

ბევრს სჯერა, რომ შეუძლებელია, გამოეპაროს საკუთარი სუნი, თუ ცხვირ-პირს ხელისგულებით დაიფარავს და პეშვში ჩასუნთქავს. სამწუხაროდ, ასე არ არის — ჩვენ ვერ ვიგრძნობთ საკუთარ სუნს იმიტომ, რომ მას ვეჩვევით. თანაც, საუბრის დაწყებამდე სუნი იშვიათად შეიგრძნობა. საქმე ისაა, რომ იგი ენის ძირში წარმოიშობა და წინ მხოლოდ მაშინ გადმოდის, როდესაც ლაპარაკს ვიწყებთ. ბუნებრივია, გაგიჩნდებათ კითხვა: — აბა, როგორ გავიგოთ, გვაქვს თუ არა პირში სუნი? აიღეთ ბამბის ბურთულა (ან დოლბანდის ნაჭერი), გაიწმინდეთ ენის ძირი და შემდეგ, ეს ბურთულა დაყნოსეთ. თუ უსიამოვნო სუნს იგრძნობთ, ენის სახეხის გამოყენება დაგჭირდებათ. ეს მარტივი მოწყობილობა მხოლოდ ჯანსაღ სუნთქვას კი არ დაგიბრუნებთ, არამედ გემოვნებით შეგრძნებებსაც გაგიუმჯობესებთ.

ასეთ შემთხვევაში აუცილებელია სტომატოლოგთან ვიზიტი. სპეციალისტი პირის ღრუდან უსიამოვნო სუნის გამომწვევ მიზეზს ჰალიმეტრის მეშვეობით დაადგენს. ამ ხელსაწყოს მოქმედების პრინციპი მარტივია: პაციენტი ჩაბერავს მილში, რომელიც ჰალიმეტრთან არის შეერთებული, აპარატი კი განსაზღვრავს გოგირდის ნაერთების შემცველობას, რომელიც ამონასუნთქ ჰაერს უსიამოვნო სუნს ანიჭებს.

**მეორე მცდარი შეხედულება:** *პირის ღრუში უსიამოვნო სუნი კუჭისა და საჭმლის მომნელებელი სისტემის პრობლემების შედეგია.*

სპეციალისტების უმრავლესობა ამ მოსაზრებას არ ეთანხმება და ირწმუნება, რომ უსიამოვნო სუნი უმეტესად, პირის ღრუს ცუდი ჰიგიენის შედეგია.

**მესამე მცდარი შეხედულება:** *პირის ღრუს ჰიგიენა უსიამოვნო სუნს აქრობს.*

სამწუხაროდ, ბევრი არასწორად იხეხავს კბილებს და თანაც, ამ პროცედურას მხოლოდ 30-45 წამს უთმობს. შედეგად, კბილების ზედაპირის ნაწილი — დაახლოებით, 40% გაუწმენდავი რჩება და მასზე დაგროვილი ბაქტერიები მრავლდება, გოგირდოვან ნივთიერებებს გამოყოფს. სტომატოლოგები გვირჩევენ, ყოველი ჭამის შემდეგ საკვების ნარჩენები კბილის


აირჩიე და შეიძინე სახლიდან გაუსვლელად

წიგნები და ჟურნალ-გაზეთები

www.elva.ge

პრესის და წიგნების გავრცელების სააგენტო „ელვა.ჯი“

| გამოცემის დასახელება | 1ეგზ. ფასი | 3 თვე |
|---|---|---|
| 1. ИТОГИ | 3.00 | 39.00 |
| 2. НЕЗАВИСИМАЯ ГАЗЕТА | 2.00 | 117.00 |
| 3. ЛИЧНОСТЬ. КУЛЬТУРА. | 32.00 | 32.00 |
| 4. КАРАВАН ИСТОРИЙ | 8.00 | 24.00 |
| 5. НОВАЯ ГАЗЕТА | 1.50 | 39.00 |
| 6. ВОКРУГ СВЕТА | 9.00 | 27.00 |

ქ. თბილისი

ტელ: 38-26-73; 38-26-74

ფაქსი: 38-26-74

აგრეთვე ნებისმიერი სხვა გამოცემა

E-mail:elva@kvirispalitra.com

ძაფით მოვიცილოთ. შეარჩიეთ ისეთი ძაფი, რომელიც ადვილად სრიალებს კბილებს შორის და არ იჭრება.

**გაითვალისწინეთ:** უსიამოვნო სუნის პრობლემა შეიძლება, იმასაც შეექმნას, ვინც დიდხანს და გულმოდგინედ იხეხავს კბილებს. ამის მიზეზი ისევ და ისევ, ბაქტერიებია, რომლებიც ენის ლორწოვანი შრის ქვეშ სახლობენ. გამოსავალი ერთია — ენის გაწმენდა.

**მეოთხე მცდარი შეხედულება:** *სავლები ეფექტური საშუალებაა უსიამოვნო სუნის გასაქრობად.*

ბევრს დღემდე სჯერა, რომ არომატული სავლები პანაცეაა. სამწუხაროდ, ასეთ საშუალებათა უმრავლესობა სუნს მხოლოდ 1-2 საათით ახშობს. მეტიც, სტანდარტულმა სავლებმა შესაძლოა, პირის ღრუში სუნის წარმოქმნას ხელიც კი შეუწყოს. საქმე ის არის, რომ ასეთი საშუალებები შეიცავს სპირტს, რომელიც პირის ღრუს აშრობს; ბაქტერიები კი, რომლებიც გოგირდოვან ნივთიერებებს გამოიმუშავებს, მშრალ გარემოში გაცილებით უკეთ გრძნობს თავს. უმჯობესია, გამოიყენოთ ახალი თაობის სავლები, რომელიც ქლორის დიოქსიდზეა დამზადებული.

**მეხუთე მცდარი შეხედულება:** *პირიდან სუნის გასაქრობად, საკვები ყურადღებით უნდა შეარჩიოთ.*

ზოგიერთი საკვები პირის ღრუში სუნს მართლაც აჩენს. კერძოდ, ისეთი პროდუქტი, რომელიც დიდი ოდენობით შეიცავს გოგირდს: ხახვი, კომბოსტო, ნიორი და სხვა. მათი მირთმევისას გოგირდოვანი კომპონენტები სისხლში ხვდება, მთელ ორგანიზმში, მათ შორის, ფილტვებშიც მიმოიფანტება და შედეგად, შესაძლოა, ამოსუნთქვის დროს პირიდან უსიამოვნო სუნი ამოვიდეს, მაგრამ როდესაც სუნი ქრონიკულია, ამას საკვებს ვერ დავაბრალებთ — მიზეზი პირის ღრუში მობინადრე ბაქტერიების ცხოველმყოფელობაა. ამ შემთხვევაში, საჭიროა არა რაციონის გადახედვა, არამედ ბაქტერიებთან ბრძოლა და პირის ღრუს ჯეროვანი ჰიგიენა. ■

# ჩასახვის საწინააღმდეგო ტაბლეტები თრომბოზს იწვევს



ჩასახვის საწინააღმდეგო ტაბლეტების ერთ-ერთი გვერდითი ეფექტი ვენებში სისხლის კოლტების, ე.წ. თრომბების წარმოქმნა გახლავთ. დღეს თრომბის გაჩენის შემთხვევა ძალიან იშვიათია, რადგანაც ექიმები ამ პრეპარატებს ძალიან მცირე დოზით ნიშნავენ.

თრომბები ჩვეულებრივ, ქვედა კიდურების ვენებში ჩნდება, იწვევს ძლიერ ტკივილს და კიდურის დაზიანებულ უბანში მგრძნობელობის მატებას. თუ ამ პრობლემის მკურნალობა ადრეულ სტადიაში არ მოხდება, შეიძლება, გართულებები განვითარდეს. მაგალითად, მაგისტრალური ვენების თრომბოზის (ბარძაყის, თეძოს, ქვემო ღრუ ვენის) დროს თრომბოემბოლიის განვითარების დიდი საშიშროებაა. თრომბი ერთი კიდით ვენის კედელზეა მიმაგრებული, მეორე ბოლო კი თავისუფლად „კიდია“ სისხლძარღვის სანათურში. შეიძლება, თრომბი კარგად არ იყოს ვენის კედელზე მიმაგრებული (განსაკუთრებით, მწვავე პერიოდში) და ის სისხლის ნაკადმა მოწყვიტოს, შემდეგ კი მასთან ერთად გადაადგილდეს. მოწყვეტილი თრომბი ქვემო ღრუ ვენის საშუალებით მიდის გულში, შემდეგ — ფილტვის არტერიაში და ხდება ფილტვის არტერიის ან მისი რომელიმე ტოტის დახშობა.

ფილტვის არტერიის ემბოლია (თრომბით დახშობა) ყოველთვის არ არის მომაკვდინებელი. თუ თრომბი მცირე ზომისაა, მაშინ გაივლის ფილტვის არტერიას და მის რომელიმე ტოტში გაიჭედება, რაც ფილტვის იმ ნაწილის ინფარქტს გამოიწვევს, რომელსაც ეს სისხლძარღვი სისხლით ამარაგებდა, მაგრამ თუ ემბოლის ჩაჭედვა უშუალოდ ფილტვის არტერიაში მოხდა, უეცარი სიკვდილი გარდაუვალია.

ჩასახვის საწინააღმდეგო ტაბლეტში შემავალი ჰორმონი ხელს უწყობს სისხლის შედედებას და ვენის მცირე დაზიანებაც (მაგალითად, ფეხის მაგარ საგანზე მირტყმა) კი შეიძლება, თრომბის დაძვრისთვის საკმარისი მიზეზი აღმოჩნდეს.

ასე რომ, ქალებმა, რომლებიც მიდრეკილნი არიან თრომბოზისკენ, არავითარ შემთხვევაში არ უნდა მიიღონ ჩასახვის საწინააღმდეგო პრეპარატები. ■

## სამყარო

### ანტიდეპრესანტი

### ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

გოჩა ღვალიძე

**უბის წიგნაკიდან:**

მის, დრამოდერის ხილვაც შესაძლებელია.

15. ლეგენდის თანახმად, იმ გლადიატორთა ხმლებიდან, რომლებმაც საკუთარი სიცოცხლის ფასად შერკინებაზე უარი განაცხადეს, ულამაზესი ყვავილი ამოიზარდა და რადგანაც რომაელთა მოკლე მახვილს გლადიუსი ერქვა, ამ ყვავილსაც გლადიოლუსი ეწოდა.

16. მას შემდეგ, რაც რუდოლფ ჰესმა ინგლისელებთან მოლაპარაკების მიზნით, 1941 წლის 10 მაისს საკუთარი თვითმფრინავით ლა-მანში გადაკვეთა, შოტლანდიის ტერიტორიაზე პარაშუტით გადახტა და ბრიტანელების ტყვეობაში აღმოჩნდა, მარტინ ბორმანმა კარტოთეკიდან ამოიღო და გაანადგურა მისი დოკუმენტაცია. ფიურერის მოადგილემ საკუთარ შვილსაც კი გადაარქვა სახელი, რათა ერთ დროს ჰიტლერთან ყველაზე მეტად დაახლოებული პირის სახელიც აღარ ეხსენებინათ.

17. XX საუკუნის საქართველოში ბევრი ქართველი თავადი ვერ შეეგუა ახალ დროებას და ცხოვრება ლოთობასა და საკუთარი მამულების განადგურებაში გალია. ერთ-ერთი მათგანი თამარაშენელი თავადი გიორგი მაჩაბელი გახლდათ. იგი გარდაიცვალა გორთან ახლოს, მიხეილ მაისურაძის დუქანში. როდესაც ჭირისუფლები მის წასასვენებლად მივიდნენ, მედუქნემ მათ ბოდიში მოუხადა და უთხრა: ვიდრე 80 თუმანს არ გადამიხდით, მიცვალებულს ვერ გაგატანთ; ჩემი ვალი აქვს და წლებია, ფული არ გადაუხდიაო. გარდაცვლილი თავადი ქართველი მწერლის, მთარგმნელისა და საზოგადო მოღვაწის, ივანე მაჩაბლის მამა გახლდათ.

18. ძველად თბილისში ცხოვრობდა ბილიარდის განთქმული მოთამაშე — გერასიმე კობიძე. ყველასათვის ცნობილი იყო მისი უცნაური, შოუსათვის გათვლილი დარტყმა, როცა ერთი მაგიდიდან მეორეზე აგდებდა ბურთს და პირდაპირ ლუზაში „აჯენდა“. ამგვარ დარტყმას მაშინდელ თბილისში „გერასიმოვსკი უდარს“ ეძახდნენ. ერთხელ შალიაპინთანაც უთამაშია.



რუსი მომღერალი კარგი მოთამაშე ყოფილა, მაგრამ გერასიმესთან წაუგია და უთქვამს, — შენ უკეთ თამაშობ ბილიარდს, ვიდრე მე ვმღერიო.

# იკითხეთ თქვენი და თქვენი ოჯახის ჯანმრთელობისთვის




### წყლული

წყლულის ავთვისებიანი გადაგვარება ათასიდან 16-35 შემთხვევაში ხდება. მიზეზი წყლულის არაადეკვატური მკურნალობა, მრავლობითი რეციდივი და მუდმივი ტრავმატიზაციაა. წყლულის ავთვისებიან გადაგვარებაზე გამონადენის ოდენობის მატება, უსიამოვნო სუნი და დეფექტში წვრილმარცვლოვანი მასების გაჩენა მეტყველებს.

### ბავშვის ფსიქოლოგია

დაეხმარეთ ბავშვს, გამოიმუშაოს სწორი დამოკიდებულება საკუთარი თავის მიმართ. თუ მას რამე არ გამოსდის, აუცილებლად გამოუვა მეორე. მაგალითად, არ გამოირჩევა სწავლით, სამაგიეროდ, აქვს მიღწევები სპორტში. ამ შემთხვევაში, ნაცვლად იმისა, რომ გაკვეთილების ზუთხვა დააძალოთ, უმჯობესია ხელი შეუწყოთ მის მომავალ სპორტულ წარმატებებს.

### ბავშვის კვება

როდესაც შვილს საკვებს სთავაზობთ, გაითვალისწინეთ, რომ ძალადობა მხოლოდ ძალადობას წარმოშობს. რასაკვირველია, შეგიძლიათ, ლუკმა პირში ჩასტენოთ და აიძულოთ, ბოლომდე შეჭამოს სადილი, მაგრამ უმჯობესია დაფიქრდეთ, რას გრძნობს ამ დროს თქვენი შვილი.



# ადამიანი

## ბალაფშის მეზობელი ქართველი მსახიობი

## და მამის მიერ შვილისთვის თავის ასაფეთქებლად მიცემული „ლიმონკა“...



**ის ორი წლის წინ, სკანდალური სპექტაკლით („სექსუალური რევოლუცია“) გახდა ცნობილი. იმ წარმოდგენამ დიდი რეზონანსი და საზოგადოებაში არაერთგვაროვანი აზრი გამოიწვია. ამიტომაც, მასთან, როგორც „სექსუალური რევოლუციის“ ერთ-ერთ პერსონაჟთან იმ პერიოდში, სპექტაკლის გამო ჩაწერილ ინტერვიუში ბევრი ვისაუბრეთ. თუმცა მაშინ მის ტკივილიან ცხოვრებაზე, რომელიც აფხაზეთს უკავშირდება, არაფერი გვითქვამს...**

**27 სექტებმერს სოხუმის დაცემიდან 16 წელი გავიდა. ამასთან დაკავშირებით, მსახიობ გვანცა გიორგობიანს შინ ვეწვიე და მის მიერ განვლილი ურთულესი გზის გახსენება ვთხოვე. სანამ აფხაზეთის თემას შევეხებოდით, მანამდე ცოტა მის კარიერაზეც ვისაუბრეთ.**

*ლალი ფაცია*

**— ამჟამად რა ხდება შენს შემოქმედებით ცხოვრებაში?**

— კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სოხუმის დრამატული თეატრის მსახიობი ვარ, სადაც გოგა თავაძემ კონსტანტინე გამსახურდიას ნოველების მიხედვით ფსიქოლოგიური დრამა — „ეწერში მდგარი თხმელა“ დადგა. ხვარამზე ქალბიჭას როლს ვთამაშობ. სპექტაკლი რამდენიმე დღის წინ (28 სექტემბერს) ქუთაისში ვითამაშეთ. სოხუმის დაცემის დღესთან დაკავშირებით, ქუთაისში აფხაზეთის დღეები გაიმართა... საერთოდ კი ჩვენს თეატრს ახალი სეზონისთვის დიდი და საინტერესო გეგმები აქვს...

**— როგორც ვიცი, „თავისუფალი თეატრის“ სცენაზეც გამოდიხარ, არაერთ ტელესერიალშიც გითამაშია, ასევე — ბოლო დროს გადაღებულ ფილმებშიც. მაგრამ ყველგან ეპიზოდური როლი გაქვს შესრულებული და არც ერთი — მთავარი. რატომ?**

— ეს ჩემთვისაც მტკივნეულია, მაგრამ ასე მოხდა. დიდი სურვილი მაქვს, ქართულ მხატვრულ ფილმში ერთი მთავარი და მნიშვნელოვანი როლი ვითამაშო. ახლახან მოკლემეტრაჟიან ფილმში გადამიღეს, რომელიც შარშანდელ რუსეთ-საქართველოს ომს ეხება; ვფიქრობ, რომ საინტერესო ნამუშევარი გამოვა. ფილმის რეჟისორი გიორგი ბარბაქაძეა. ის 10 წელია, სიდნეიში ცხოვრობს და მოღვაწეობს. ფილმი შესაძლოა, ბერლინის კინოფესტივალზეც მოხვდეს. მალე რეჟისორი აქ ჩამოსვლას აპირებს, რადგანაც საქართველოში იწყებს მუშაობას დიდ ფილმზე, რომლის პროდიუსერები ავსტრალიელები არიან. გიორგი შემპირდა, რომ ამ სრულმეტრაჟიან ფილმში მათამაშებს. იმედი მაქვს, იგი ამ პროექტს განახორციელებს.

**— გვანცა, მაინც რატომ აირჩიე მსახიობის პროფესია?**

— სხვათა შორის, დედამ, სულ ახლახან გამიმხილა, რომ ის ოდესღაც მსახიობობაზე ოცნებობდა, მაგრამ ამის შესახებ არავისთვის უთქვამს. მას იმდენად უყვარდა თეატრი, მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთში ვცხოვრობდით, იქიდან მარჯანიშვილისა თუ რუსთაველის თეატრის პრემიერებზე მე და ჩემი და ჩამოვყავდით ხოლმე. არც ერთი პრემიერა არ გამოგვიტოვებია. თბილისში წელიწადში შვიდჯერ მაინც ჩამოვდიოდით. მეც ვიჯექი ხოლმე პარტერში და იმდენად ვიყავი ჩვენი მსახიობების ოსტატობით აღფრთოვანებული, რომ ოცნებად მქონდა ქცეული, დიდ სცენაზე ოდესმე მეც დავმდგარიყავი. მოკლედ, თეატრი დედამ შემაყვარა. ამასთან, ბავშვობაში მეც და ჩემი დაც ძალიან აქტიურები ვიყავით — ვმღეროდით, ვცეკვავდით... კინდღში, სადაც ვცხოვრობდით, საბავშვო თეატრალური სტუდია არსებობდა; იქ ყველა სპექტაკლში მთავარ როლებს ჩვენ ვთამაშობდით. ყველა კულტურულ ღონისძიებაში ვმონაწილეობდით. ამიტომ, არც არავის გაჰკვირვებია, როდესაც თეატრალურ უნივერსიტეტში ჩავაბარე. თუმცაღა მშობლები მაინც წინააღმდეგი იყვნენ...

**— თეატრალურ უნივერსიტეტში როდის ჩააბარე?**

— ომის შემდეგ. აფხაზეთი რომ დავკარგეთ, 15 წლის ვიყავი. სკოლა (162-ე) უკვე თბილისში დავამთავრე. მინდა, განსაკუთრებული სითბოთი გავიხსენო აქაური პედაგოგები. საოცარი სითბო მაგრძნობინეს, ისე ჩამიხუტეს გულში, რომ ჩემს ცხოვრებაში ურთულესი პერიოდი შედარებით იოლად გადამატანინეს. მათ არასოდეს დავუვიწყებ ამ ამაგს. მათთან დღემდე ვმეგობრობ. განსაკუთრებული მადლობა ნარგიზა ბუხაიძეს მინდა გადავუხადო.

**— რას გვეტყვი იმ ადგილზე, სადაც აფხაზეთში თქვენი ოჯახი ცხოვრობდა?**

— ჩვენ ოჩამჩირის რაიონის სოფელ კინდღში ვცხოვრობდით. ზღვისპირას გაშლილი ულამაზესი საკურორტო ზონა იყო — დასასვენებელი სახლებით, პიონერთა ბანაკებით, ულამაზესი პლაჟითა და ევკალიპტების ტყით. მთელი თბილისის

ელიტა ზაფხულობით იქ ისვენებდა. მახსოვს, ჩვენთან ხშირად ჩამოდიოდნენ: ზურაბ სოტკილავა, მედეა ჩახავა და ბევრი სხვა დიდი პიროვნება, რომლებთანაც კარგი ურთიერთობა გვქონდა...

**— 27 სექტემბერი სოხუმის დაცემის დღეა. როგორ გაიხსენებ 1993 წლის 27 სექტემბერს?**

— როდესაც ომი დაიწყო, მამამ საცხოვრებლად, თბილისში გადმოგვიყვანა, მაგრამ პერიოდულად, როგორც კი სიტუაცია ცოტათი დამშვიდდებოდა, უკან ვბრუნდებოდით. მახსოვს, ერთ-ერთი დაბრუნებისას რუსებმა ტამიშში დესანტი გადმოსხეს. საშინელი ბრძოლები გაჩაღდა. რუსებმა ორი ქართული ბატალიონი მთლიანად ამოჟლიტეს და ერთ-ერთი დაბომბვის შედეგად ბიცოლა (დედაჩემის ძმის ცოლი), დედამისი და რძალი დამეღუპნენ. ბომბი მათ ეზოში ჩამოვარდა და ისინი წამში ნაწილებად დაფლითა. ბიცოლას ხელში ეკავა 5 თვის შვილი, რომელიც მკლავებში ისე მოემწყვდია, რომ ბავშვი უვნებელი გადარჩა. ეს ღვთის სასწაული იყო!.. შემდეგ ჩვილი დედაჩემის გაუთხოვარმა, ტყუპმა დამ თბილისში ჩამოიყვანა და გაზარდა. უფლის ნებით გადარჩენილი ჩემი ბიძაშვილი ახლა უკვე 16 წლის ბიჭია...

**— მოკლედ, ომის საშინელება საკუთარი თვალით ნახე და ბევრი რამ საკუთარ ტყავზეც გამოსცადე...**

— განსაკუთრებით საშინელი იყო აფხაზეთში გატარებული ბოლო 10 დღე: როცა დაზავება გამოცხადდა, აფხაზეთში მცხოვრებმა ქართველებმა დაიჯერეს, რომ აფხაზეთი გადარჩა და არავის ეგონა, რომ ის დაიკარგებოდა. მახსოვს, დედა ხშირად ამბობდა, — იმის უფრო მჯერა, რომ ახლა მოვკვდები, ვიდრე აფხაზეთი დაიკარგებაო. ჩვენც სახლში დავბრუნდით, სკოლაში სწავლა უნდა დაწყებულიყო და ამისთვის ვემზადებოდით. იმ პერიოდში მამა აფხაზმა მეგობარმა გააფრთხილა, ზუსტი რიცხვიც კი უთხრა, როცა სოხუმის ტრაგედია უნდა მომხდარიყო ანუ როდის დაიწყებოდა მორიგი საბოლოო იერიში. როგორც ჩანს, იმ კაცმა ყველაფერი წინასწარ იცოდა და სთხოვა, აფხაზეთიდან ცოლ-შვილი გაიყვანეო. დედამ ამაზე სასტიკი უარი განაცხადა და აფხაზეთში დავრჩით... მართლაც, ზუსტად იმ დღეს დაიწყო იერიში. სოხუმი ალყაში მოაქციეს. კინდღიც მთლიანად ალყაში იყო. ზღვიდან ვიბომბებოდით. ჩვენ გვერდით მდებარე ქართული სოფელი — ახალდაბა მიწასთან გაასწორეს. საოცარი სისასტიკის მომსწრენი გავხდით... ვინც იქიდან გამოაღწია, ტყე-ტყე გამოიქცა და კინდღში შემოვიდა. მათ ჩვენი სარდაფები დავუთმეთ, სადაც ქალები და ბავშვები ვიმალებოდით. მამაკაცები კი სოფელს კბილებით იცავდნენ, რადგანაც მათ ზურგს უკან ოჯახები, შვილები, მეუღლეები, დედები იყვნენ... მახსოვს, როგორ თავდებოდა ტყვია-წამალი, როგორ გათავდა გამაყუჩებელი საშუალებებიც... სოფელი იბომბებოდა, ტყვიები ჰაერში დაფრინავდა და დავრბოდი სოფელში, სადმე, ვინმესთან გამაყუჩებელი რომ მეშოვა და დაჭრილებისთვის ჭრილობა დაგვეამებინა; ვცდილობდი, როგორც შემეძლო, ადამიანებს ისე დავხმარებოდი. არ იყო ბინტი და ზეწრებს ვხევდი (ხელები გადაყვლეფილი მქონდა), რომ ბიჭებისთვის ჭრილობა გადაეხვიათ. მინდოდა, ხელში ავტომატიც ამეღო და თვითონ დამეცვა თავი, მაგრამ ამის უფლება არ მომცეს...

**— 15 წლის ბავშვი საოცრად უშიშარი ყოფილხარ...**

— სხვა გზა არ მქონდა... იმ ორ წელიწადში იმდენად კარგად ვისწავლე ავტომატის დაშლა-აწყობა, რომ ამას 30 წამში ვახერხებდი. მიზანშიც კარგად ვისროდი... როცა სიტუაცია უკიდურესად დაიძაბა ანუ როცა ჩვენმა მამაკაცებმა უარით უპასუხეს აფხაზების მიერ გამოგზავნილ ყველა წერილს, სადაც ისინი იარაღის დაყრის მოთხოვნას უყენებდნენ, გამანადგურებელი იერიში დაიწყო. მაშინ ბევრი საშინელება ვნახე, დიდი სისასტიკის მომსწრე გავხდი... მახსოვს, მამა პოზიციიდან მოვიდა და მითხრა: გვანცა, ტყვია-წამალი გვითავდება... ბოლომდე, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ვიბრძოლებთ, მაგრამ შეიძლება, ისინი ველარ შევაკავოთო... — მერე ხელისგული გამაშლევინა და „ლიმონკა“ ჩამიდო. მითხრა: შემპირდი — თუ ისინი შემოვლენ და მე თქვენ გვერდით არ ვიქნები, დედასა და შენს დაიკოს მათ საჯიჯგნად ნუ მისცემ; შენ იცი ამის ხმარებაო... ყუნწისთვის ხელის ერთი გამოკვრა უნდოდა და ყველაფერი დამთავრდებოდა... მამას შევპირდი, რომ ჩვენი შეურაცხყოფის უფლებას არავის მივცემდი. მას უკან არც მოუხედავს, ისე წავიდა... ამის გამკეთებელი ვიყავი, მაგრამ მადლობა უფალს, არ მოხდა: მალე, დიდი რისკის ფასად, ჩვენს წასაყვანად, მამაკაცებმა თევზმჭერი გემები მოიყვანეს. ქალები და ბავშვები ორი გემით შუა ზღვაში შევედით... და დიდი ტანჯვა-წამებით, ფოთამდე როგორღაც ჩავაღწიეთ... როცა აფზახეთზე ლაპარაკს ვიწყებ, სპაზმები მახრჩობს და თვალები ცრემლით მევსება.



ოჩამჩირის რაიონის სოფელ კინდღში ვცხოვრობდით. ზღვისპირას გაშლილი ულამაზესი საკურორტო ზონა იყო



რვა თვის დისშვილთან, იკო ხვადაგიანთან ერთად

ამიტომ ვცდილობ, ამაზე იშვიათად ვილაპარაკო...

**— სანამ საუბარს დავიწყებდით, აღნიშნე, — მამა აფხაზეთში გავლენიანი ადამიანი იყოო...**

— კი. ის სერგეი ბაღაფშის ახლო მეგობარი გახლდათ. მამა კინდღში ორი სხვადასხვა დასასვენებელი სახლის გენერალური დირექტორი გახლდათ. ბაღაფშის ოჯახი ჩვენი ხშირი სტუმარი იყო. ისინი ზაფხულობით, 3 თვის განმავლობაში, კინდღში იყვნენ ხოლმე; როგორც უკვე ვთქვი, ზღვისპირას, სანაპიროს ქუჩაზე ვცხოვრობდით, მათ კი ჩვენ წინ აგარაკი ჰქონდათ, სადაც ფინური კოტეჯი ედგათ. სერგეის ქართველი მეუღლე (მარინა შონია) ჰყავს. შვილები (ქალვაჟი) — ზურა და ლიკა ჩემი და ჩემი დის მეგობრები იყვნენ. ერთად ვიზრდებოდით, ერთად ვთამაშობდით, ვსადილობდით...

**— მაშინ ბაღაფში რა თანამდებობაზე მუშაობდა?**

— ოჩამჩირის რაიკომის პირველი მდივანი იყო. მაშინ ვინ უყურებდა იმას, ვილაც ჩვენ შორის აფხაზი იყო თუ ქართველი?!. სერგეი თბილი ადამიანი გახლდათ. ახლა სულ ვიხსენებ იმ პერიოდს და მინდა, მასზე რაღაც უარყოფითი გამახსენდეს, მაგრამ არ გამომდის. იმდენად თბილად გვეპყრობოდა ბავშვებს, ისეთი ყურადღებიანი იყო ჩვენი ოჯახის მიმართ, რომ მასზე ცუდს ვერაფერს ვიტყვი.

**— ახლა თუ იცი, მისი შვილები სად არიან?**

— ზურა ახლა 27 წლის იქნება, ლიკა — 24-ის. მაქვს ინფორმაცია, რომ ზურამ მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტი დაამთავრა, ლიკამ — სამედიცინო ინსტიტუტი და უცხოეთში გათხოვდა. იყო მომენტები, როცა საშუალება მქონდა, მათ ინტერნეტით დავკავშირებოდი, მაგრამ გადავიფიქრე...

**— თქვენი გზები როდის გაიყო?**

— როდესაც ჩვენში ეროვნული მოძრაობა დაიწყო და საქართველოს პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია გახდა. მაშინ აფხაზეთ-

ში სიტუაცია საშინლად დაიძაბა. 1989 წელს ქართველებსა და აფხაზებს შორის პირველი შეტაკებაც მოხდა. აფხაზეთში მიტინგები იმართებოდა, ისინი დამოუკიდებლობას ითხოვდნენ. აი, იმ პერიოდიდან ერთმანეთთან ოჯახებში უკვე აღარ დავდიოდით...

**— აფხაზური ენა თუ იცი?**

— კი. მამასთან, დასასვენებელ სახლში ხშირად დავდიოდი, სადაც ბევრი აფხაზი ისვენებდა და იქ აფხაზური ენა მუდმივად მესმოდა. მერე დავიწყე კიდეც აფხაზურის შესწავლა. ახლაც მახსოვს ის ლექსები და სიმღერები, რომლებსაც მაშინ ვსწავლობდი. სხვათა შორის, მე და ჩემი და დღემდე ვმღერით აფხაზურ სიმღერებს... როცა ანბანის სწავლა დავიწყე, აფხაზები მეკითხებოდნენ, — რატომ სწავლობო? ვპასუხობდი: მე ვცხოვრობ ულამაზეს მხარეში, აფხაზეთში და მინდა, ვიცოდე აფხაზური ისე, როგორც მეგრული ვიცი-მეთქი. ამის მოსმენა ძალიან უხაროდათ და სიამოვნებით მასწავლიდნენ (ორი სტუდენტი აფხაზი ბიჭი — თემური და ზურა მამეცადინებდა; ტყვარჩელიდან იყვნენ; ერთი — მომავალი ფილოლოგი გახლდათ, მეორე — იურისტი). ერთ-ერთი მეცადინეობისას მათ რუსულ საუბარს მოვკარი ყური: ომი რომ დაიწყოს, გვანცას ესვრიო? — იკითხა ერთ-ერთმა. ვერ ვესვრიო, — უპასუხა მეორემ. მერე კითხვა შეუბრუნა, — შენო? იმანაც იგივე პასუხი გასცა... მათი ეს დიალოგი, სრულიად შემთხვევით, გონებაში მაშინ ამომიტივტივდა, როცა უკვე თბილისში ვცხოვრობდით. ეტყობა, მათ იცოდნენ, რა კოშმარიც მზადდებოდა... იმ დიალოგის დღიდან ომი, ერთ წელიწადში დაიწყო... დარწმუნებული ვარ — ისინი მართლაც, ვერ მესროდნენ...

**— ისინი — არა, მაგრამ აფხაზებმა ქართველებს ესროლეს...**

— კი და უამრავი ქართველი ჩახოცეს. მაგრამ მიუხედავად ამისა, აფხაზი ერი არ შემზიზღებია, რადგანაც კარგად ვიცი, ვისი ხელიც ერია ამ ტრაგედიაში: ყველაფრის თავიცა და ბოლოც რუსეთია!.. იმედი მაქვს, მოვა დრო და აფხაზები მიხვდებიან, საკუთარ ერს რაც გაუკეთეს, როდესაც რუსები მათი, როგორც ერის, გადაშენებას დაიწყებენ; მერე კი უკვე სინანული გვიანი იქნება... აფხაზები თავიდან ძალიან განაწყენდნენ იმ ქართველებზე, ვინც ხელში იარაღი აიღეს და მათ წინააღმდეგ წავიდნენ. მამაჩემს ბევრი აფხაზი მეგობარი ჰყავდა და ისინი გაოგნებული იყვნენ, როცა ის საბრძოლველად გაეშურა: მათ მიაჩნდათ, რომ ქართველები, თუ აფხაზების მხარეს არ დადგებოდნენ, საერთოდ უნდა გარიდებოდნენ სიტუაციას და არც ქართველების მხარეს უნდა ეომათ...

**— თუ იცი, დღეს ვინ ცხოვრობს თქვენს სახლში?**

— ოჩამჩირის რაიონის გამგებელი, ვინმე ჭყონია, რომელიც ასევე მამაჩემის ნაცნობი იყო. ჩვენი სახლი დანგრევას გადაურჩა. ჭყონია ჩვენს სახლში ოჯახით გადაბარგდა... ერთხელ მამა მას საზღვარზე შეხვდა და სთხოვა: თუ სასწაული მოხდა და ქართველები აფხაზეთში დავბრუნდით, იქაურობას ცეცხლს ნუ მისცემო. მანაც კაცური სიტყვა მისცა, რომ ამას შეუსრულებს. კინდღში ჩვენ ირგვლივ თითქმის ყველა სახლი განადგურებულია და სოფელი მთლიანად გადაბუგულია...

**— თქვენი სახლი რაღამ გადაარჩინა?**

— ომამდე დიდი ხნით ადრე, ჩვენი ოჯახის ახლობელმა (თამაზ შიშინაშვილმა, უზომოდ მიყვარს ეს ადამიანი) მცხეთაში, სვეტიცხოველში ორი (ღვთისმშობლის და წმინდა გიორგის) ხატი მიყიდა და მაჩუქა. უფლის რწმენა ბავშვობიდან მქონდა, ამიტომ ცალკე ოთახში ხატების კუთხე მქონდა მოწყობილი, სადაც ყოველ დილა-საღამოს შევდიოდი და ვლოცულობდი. ომის პერიოდში ლოცვა განსაკუთრებით გავაძლიერე: ფეხშიშველი, დაჩოქილი ვლოცულობდი. ის ხატები, რომლებიც ვახსენე, ჩემთვის გამორჩეული გახლდათ... როცა აფხაზეთიდან მოვდიოდი, იმ ორ ხატს ხელი მოვკიდე, რადგანაც მათი იქ დატოვება არ მინდოდა, მაგრამ მერე ისევ თავის ადგილზე დავაბრძანე... ერთადერთი, რაც იმწუთას მომინდა, იმ ხატებისთვის ჩემი სახლი შემევედრებინა: ალბათ, გული მიგრძნობდა, რომ იქაურობას დიდხანს ვეღარ ვნახავდი... გულით შევთხოვე ხატებს სახლის გადარჩენა და წამოვედი. დარწმუნებული ვარ, ის ღვთისმშობელმა და წმინდა გიორგიმ დაიფარეს და დღესაც უვნებლად დგას... მერე კინდღიდან იქ გადაღებული ვიდეო მომიტანეს: ერთი ქართველი კაცი თავისი მიცვალებულების საფლავის მოსანახულებლად გადავიდა იქით და ჩვენს ქუჩაზე მანქანით გავლისას, სახლი ფარულად გადაიღო... ჩანაწერზე კარგად ჩანს, თუ როგორ თამაშობს ვიღაც ბავშვი ჩვენი სახლის ეზოში... ამ კასეტის ნახვის შემდეგ ტკივილი გაგვიახლდა და ტრაგედია მეორედ გადასატანი შეგვექნა; მამამ კინაღამ მესამე ინფარქტი მიიღო, რადგანაც სახლის თითოეული აგური მისი ხელით არის დადებული. თავის დროზე დედა და მამა იქ ცარიელ მიწაზე დასახლდნენ და უზარმაზარი კარმიდამო გამართეს. იქიდან ვერაფერი გამოვიტანეთ: გემზე რომ ავდიოდით, გვითხრეს, — არავითარი ჩანთა, ჩანთის ადგილას კიდევ ერთი ადამიანი დადგებაო...

**— მოკლედ, თქვენმა ოჯახმა რამდენჯერმე შეძლო ხელახლა ცხოვრების დაწყება, არა?**

— მართლაც ასეა. აღფრთოვანებული ვარ ჩემი მშობლების ვაჟკაცობით. მთელ კინდღსა და ოჩამჩირეში უძლიერესი ოჯახი ვიყავით. მერე ყველაფერი დავკარგეთ და თბილისში, საერთო საცხოვრებელში 4 თეფშით დავიწყეთ ცხოვრება... თითქოს ცოტა წელში რომ გავიმართეთ, პირწმინდად გაგვძარცვეს. მაგრამ ამ მძიმე პირობებში ცხოვრებას როგორღაც გავუძელით და 10 წლის შემდეგ ჩემმა მშობლებმა, ისევ თავიანთი შრომით, საკუთარი ჭერის შეძენა შეძლეს... სულ ბოლოს მინდა ვთქვა, რომ იმედიანად ვარ განწყობილი. მჯერა, აფხაზეთი — საქართველოს ულამაზესი კუთხე, ნამდვილი მარგალიტი — ჩვენს ქვეყანას მალე დაუბრუნდება, რადგანაც მის გარეშე საქართველო ფრთამოტეხილ ფრინველს ჰგავს... ■



# შორეული ურალიდან გამოყოლილი „სენი“,



# მშობლიური სითბოს ფასი და...

## ქართველი მეუღლით გაბედნიერებული ამერიკელი ტაქსის მძღოლი

ანი აგულავა

**შორეულ ურალში გატარებულმა ხუთწლიანმა სტუდენტობამ „ასწავლა“ სამშობლოს ნოსტალგია. თბილისში დაბრუნებული ვერაფრით წარმოიდგენდა, რომ ოდესღაც ეს „სენი“ უკვე ამერიკაში შეაწუხებდა.**

**ქალბატონი ნუნუ თაბუკაშვილი პროფესიით ინგლისური ენის მასწავლებელია. 20 წლის განმავლობაში წარმატებით საქმიანობდა საქართველოში, მაგრამ ბედმა ათასობით კილომეტრის დაშორებით, ოკეანის გადაღმა „მოისროლა“ და ცხოვრებაში მეორე პროფესია — მომვლელი შეაძენინა. დღეს იგი ემიგრანტია — ამერიკის შეერთებულ შტატებში, ქალაქ ნიუ-იორკში ცხოვრობს და იქიდან შესტრფის ნატვრისთვალად ქცეულ საქართველოს.**



სამზარეულოში
ტრიალი მიყვარს

## „დედა, მე აქ მჭირდები"

ქალბატონი ნუნუ, როგორც ინგლისური ენის ერთ-ერთი საუკეთესო სპეციალისტი, საქართველოში წარმატებული მუშაობის წყალობით, 6 მასწავლებელთან ერთად, ორჯერ მიიწვიეს ამერიკის შეერთებულ შტატებში. საერთაშორისო განათლების ამერიკული საბჭო გაცვლით პროგრამებს ახორციელებდა და სხვადასხვა ქვეყნიდან ინგლისური ენის საუკეთესო მასწავლებლებისთვის სემინარებს ატარებდა. ეს ყოველივე აშშ-ის მთავრობის მიერ იყო დაფინანსებული. იმ ქართულმა სკოლებმა კი, სადაც ჩვენი რესპონდენტი მუშაობდა (161-ე და 162-ე საჯარო სკოლები), 6.000 დოლარის ღირებულების წიგნები და კომპიუტერები მიიღეს საჩუქრად. თავად ქალბატონი ნუნუ მასწავლებელთა საერთაშორისო ასოციაციის წევრად მიიღეს. პირველი ვიზიტის დროს, 2003 წელს 2 თვე დაყო მონტანის შტატის უნივერსიტეტში. მაშინ იქ დარჩენა ფიქრადაც არ მოსვლია. მეორედ კი... 2006 წელს ამ ნაბიჯის გადადგმა, შვილთან (იქ სასწავლო პროგრამით იყო ჩასული) და შვილის მეგობრებთან საუბრის შემდეგ გადაწყვიტა:

— ყველამ მითხრა: რა პერსპექტივა გაქვს საქართველოში, რისთვის მიდიხარო?.. შვილმა, ირინამ კი (რომელიც დღესაც ამერიკაში ცხოვრობს), — დედა, მე აქ მჭირდებიო... — მითხრა; მეც დავრჩი და... მას შემდეგ დანაშაულის გრძნობაც მომყვება...

## ქართულმა სითბომ გაალღო

— სამსახური მალე ვიშოვე და ეს ჩემი ცოდნის წყალობაა. თუ ინგლისური იცი, უფრო იოლია ამერიკულ ცხოვრებასთან შეგუება. მეორე პროფესია გამიჩნდა — მომვლელი გავხდი. 90 წლის ქალბატონთან, ქეთრინ კოლომბოსთან სამუშაოდ ვიდრე მიმიყვანდნენ, მითხრეს, ძალიან გულცივი და ჯიუტი ადამიანიაო. ჩემამდე თურმე ერთი მომვლელი ჰყავდა, რომელმაც მხოლოდ 3 თვე გაუძლო ამერიკელი მოხუცის მოთხოვნებს.

შევეცადე, ქართული სითბოთი და მზრუნველობით გამელღო ამერიკელის ცივი გული და ეს შევძელი. მოხუცები პატარა ბავშვებს ჰგვანან მოთხოვნებითა და უსუსურობით. არაფერს ვაკლებ ქეთრინს, ყოფას ვუმსუბუქებ და ისიც მადლიერია. ყოველდღე მესმის მისგან: შშ ! („ღმერთმა დაგლოცოს!"). ქეთრინი დღეს უკვე სიყვარულით სავსე თვალებით მიყურებს... საქართველოდან შორს ვარ და ამერიკელ მოხუცზე გადამაქვს ის სითბო, რომელიც ჩემს სამშობლოში ჩემი მშობლებისთვის უნდა გადამეცა. მან უკვე იცის, სად არის საქართველო, როგორი თბილი და მზრუნველი, გულუხვი და სტუმართმოყვარე ხალხი ცხოვრობს ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანაში.

სამზარეულოში ტრიალი მიყვარს და, რაღა თქმა უნდა, ქართული კერძების მომზადება. სამშობლოდან მოშორებული ადამიანი უფრო გემრიელად და დახვეწილად აკეთებს მონატრებულ კერძებს. ამერიკელი მასპინძლები გადაირივნენ, განსაკუთრებით, ხაჭაპური და ნიგვზიანი ბადრიჯანი მოსწონთ და მეც ხშირად ვამზადებ მათთვის დაუზარლად.

## „ბედნიერი ვარ, რომ ქართველი მეუღლე მყავს"

— ერთხელ მე და ჩემი მეგობარი მადონა გვიმრაძე ტაქსით ვმგზავრობდით, თან რაღაც თემაზე ვსაუბრობდით. უეცრად მოგვესმა ქართული: „მართლა?!" პირველად არ მივაქციეთ ყურადღება, ვიფიქრეთ, მძღოლმა რაღაც თავისთვის წამოიძახა და ჩვენც ქართულად მოგვესმა-თქო. ისევ გავაგრძელეთ საუბარი და ისევ — „მართლა?!"

გავოგნდით. მძღოლი შემობრუნდა და ინგლისურად გვითხრა: „მე ქართველი მეუღლე მყავს და ამით ძალიან ბედნიერი ვარ. ერთგული და მზრუნველი ქალია. თქვენ არ იცით, რა კერძებს ამზადებს! ცოტა ქართულიც მასწავლა... მალე საქართველოს უნდა ვესტუმროთ. ძალიან მიხარია და მოუთმენლად ველი იმ დღეს, როცა ჩემი ცოლის სამშობლოს ვიხილავ. კარგად ვიცი ქართველების სტუმართმოყვარეობა და ვიცი, როგორი ბედნიერი დღეები მელის იქ".



მძიმედ განვიცადე
რუსეთ-საქართველოს ომი

## მოსკოველთათვის საყვარელი ქართველი მეღვინე

— მძიმედ განვიცადე რუსეთ-საქართველოს ომი. ღამეები არ მეძინა. ამერიკელთა ოჯახშიც ვგრძნობდი სულიერ მხარდაჭერას. მითხრეს, თქვენები ჩამოიყვანეთო... ქეთრინის შვილს ომის დღეებში გაზეთებიც მოჰქონდა, სადაც საქართველოზე ეწერა. მეზობლები ყოველდღე მეკითხებოდნენ, ახალი ხომ არაფერი იციო?.. სამწუხაროა, რომ დღესაც დაძაბული ურთიერთობაა საქართველოსა და რუსეთს შორის.

მამაჩემი მეღვინე იყო და 20 წელი მოსკოვში ცხოვრობდა. რუს მეზობლებს ძალიან უყვარდათ. წარმატებული ბიზნესმენი იყო, მათ ხშირად ეხმარებოდა. გარდა ამისა, როცა მამა თბილისსაც ხშირად სტუმრობდა და რუსეთში ქართული ღვინითა და სურსათ-სანოვაგით დატვირთული ბრუნდებოდა, მოსკოველი მეზობლები მოუთმენლად ელოდნენ მის გამოჩენას. მამა ცოცხალი აღარაა და დედა დღესაც მოსკოვშია — ვერ შეელია სახლს, სადაც თავის მეუღლესთან ერთად ცხოვრების საუკეთესო წლები გაატარა... თბილისში ცხოვრობენ უფროსი ქალიშვილი თეა და ჩემი მეუღლე ამირან ფოფხაძე, რომელიც პროფესიით მუსიკოსია და წლების განმავლობაში ტელევიზიის სიმფონიურ ორკესტრში უკრავდა. ამჟამად პენსიაზეა და შვილიშვილებს თავს ევლება.

## „მე კი არ დავტოვე ქვეყანა, ქვეყანამ დამტოვა"...

— მენატრება საქართველო. აქედან დანახული, ნაომარი, პრობლემებით სავსე ქვეყანა და გაწამებული ხალხი — ეს ჩვენი ტკივილია. სწორედ ბევრ ქართველს გაჭირვებამ დაატოვებინა სამშობლო. ერთი ემიგრანტის დაწერილ სტატიაში ამოვიკითხე — „მე კი არ დავტოვე ქვეყანა, ქვეყანამ დამტოვა"... და მაინც, წინსვლა ეტყობა საქართველოს, თუმცა — გაჭირვებით. მჯერა, რომ ეს პრობლემებიც თანდათან გადაილახება და ქვეყანა წელში გასწორდება. მეც დავბრუნდები, აუცილებლად დავბრუნდები. ისევ სკოლაში, ისევ ჩემს საყვარელ პროფესიას დავუბრუნდები. ისევ ის ნუნუ მასწავლებელი ვიქნები.

ერთხელ სატელევიზიო შოუში მზია კვირიკაშვილს უთქვამს, — დროა, ამერიკელებმა მიხედონ ქართველ მოხუცებსო. ეს — ხუმრობით, მაგრამ მე ვიტყოდი, რომ ამერიკელებმაც უნდა ისწავლონ საკუთარი ხელებით მოხუცების მოვლა, ჩვენ კი მალე დავბრუნებოდეთ ჩვენს კერებს... ■

# აჭარული ხაჭაპური — ნავში დამწყვდეული მზე!

**დამეთანხმებით, შეუძლებელია ნებისმიერი ადგილის სრულყოფილად შეცნობა, თუკი იქაურ სამზარეულოს არ დააგემოვნებ. ასეა ქართულ ზღვისპირეთშიც... აბა, ვის გაუგონია, აჭარის „გემო“ აჭარული ხაჭაპურის გარეშე?!.**

ჟაბა ანანიძე

მიუხედავად იმისა, რომ ის უძველეს კერძად მიიჩნევა, მას დღეს ოჯახებში იშვიათად თუ ამზადებს ვინმე, კაფე-რესტორნებში — იცოცხლე, რიგია...

— **რა მოგართვათ?**

— აჭარული ხაჭაპური!

— **კვერცხით?**

— კი, ბატონო!

ასეთი დიალოგი დღეს ზღვისპირეთის ყველა კუთხეში ისმის. სტუმრები, განსაკუთრებით — უცხოელები ჯერ ნავის ფორმის ხაჭაპურს ათვალიერებენ, მერე გემრიელად ილუკმებიან და გაკვირვებას ვერ ფარავენ, — ეს რამ მოგაფიქრებინათო?!

*ეს ლაზებმა მოიფიქრეს თურმე, პირველად. როგორც ცნობილია, ლაზები თავიდანვე მეთევზეობით ყოფილან დაკავებული, ამიტომ გურმანები ამტკიცებენ, კერძი ნავს და მზის ჩრდილს დაამსგავსესო. თუმცა ნეტავ, ლაზმა მეთევზეებმა რატომ თქვეს უარი კერძში თევზის გამოყენებაზე?.. ამ კითხვაზე პასუხის გაცემა აჭარაში ცნობილ, აჭარული ხაჭაპურების მცხობელებს ვთხოვეთ.*

— თევზი არ გამოიყენეს, რადგან ყელში ჰქონდათ ამოსული, — *მეუბნება რომა რომანოვი, თან ფაცხაფუცხით ხაჭაპურს ამზადებს. შეკვეთა ბევრია. ხაჭაპურებს გახურებულ შეშის ღუმელში აწყობს და საუბარსაც არ იზარებს:*

— იცით, როგორ მიყვარდა აჭარული ხაჭაპური?.. ვგიჟდებოდი!.. მაგრამ რაც აქ დავიწყე მუშაობა და დღეში დაახლოებით 200-ს მაინც ვაცხობ, პირის დაკარებაც აღარ მინდა.

— **როგორ ფიქრობ — რატომ მიეცა ხაჭაპურს ნავის ფორმა?**

— ვინ იცის?!. ალბათ ძალიან მოსწონდათ ზღვაში შეცურებული ნავი... მერე, ხომ წარმოგიდგენიათ, ზღვაში რა ლამაზად ილევა მზე?! ალბათ ის მზეა, ხაჭაპურის ცენტრში მოთავსებული კვერცხი, მზის სიმბოლო. ქართველები ხომ



მზისა და სითბოს მოყვარული ხალხი ვართ. მე წარმოშობით ლატვიელი ვარ, მაგრამ ბათუმში ბაბუაჩემი დაიბადა, რა თქმა უნდა, მეც. ასე რომ, მეც ქართველი ვარ.

— **კი, მეც ასე ვფიქრობ — აჭარული ხაჭაპური ნავში დამწყვდეული მზეა!** — *სახეს ღიმი უნათებს მეორე მცხობელს, ლოვა იაივოიანს.*

*ლოვა სომეხია, ძალიან უყვარს ბათუმი, საქართველო და აჭარული*






*ხაჭაპურები. ფიქრობს, რომ ქართულ ტრადიციებში დიდი გონიერება იმალება... ლოვა ამტკიცებს, საუკეთესო ხაჭაპურებს ახლა მხოლოდ სომხები ვაცხობთო: — სამწუხაროდ, ქართველები ხშირად ისეთ რამეს ანებებთ თავს და ივიწყებთ, საკვირველებააო.*

*მინდა, შევედავო, მაგრამ — როგორ? სადაც ეს ბიჭები ტრიალებენ, ბათუმში ყველაზე ცნობილი, აჭარული ხაჭაპურის სახლია. აქ კიდევ, სომეხი და ლატვიელი ქართველი ცდილობს აჭარულ ხაჭაპურში მზის ჩატევას...*

— ზოგი ხაჭაპურს ჩვეულებრივ ღუმელში აცხობს. ასე არ გამოვა... ჩვენ, შეშის რუსული ღუმელი გვაქვს, რომელიც ყოველთვის კარგადაა გახურებული. ზაფხულში ძალიან ძნელია მუშაობა, მაგრამ რას ვიზამთ? — *მხრებს იჩეჩს რომა და ღუმლიდან შებრაწულ ხაჭაპურებს იღებს.*

— **მომზადების ხელოვნებას არ გაგვაცნობთ?**

— ეს — საიდუმლოა, — *იცინიან ბიჭები*, — განსაკუთრებული არაფერი უნდა. უბრალოდ, სიყვარულით უნდა აკეთო. თქვენ რომ თქვენი საქმე არ გიყვარდეთ, ხომ არ მოხვიდოდით დღეს ჩვენთან?! ასეა ხაჭაპურიც... ხალხი და სიცოცხლე თუ არ გიყვარს, მხოლოდ სილამაზით ვერ დაათრობ კლიენტს. ინგრედიენტები ცნობილია: ცომი, ყველი, კარაქი, კვერცხი. ცომს წინასწარ ვზელთ, გუნდებათ ვჭრით და მოთხოვნისთანავე, გუნდაში ყველს ვათავსებთ. გამოცხობის შემდეგ, თუ მოთხოვნა კვერცხიან ხაჭაპურზეა, ცხელ ყველში კვერცხსაც მოათავსებ. მთავარია, სიყვარული არ დაივიწყო!

— და კიდევ — სილამაზე! — დასძენს ლოვაზეა.

— **თქვენ როგორ და ვინ გასწავლათ ხაჭაპურის გამოცხობა?**

— ორივე, გემის მზარეული ვართ. ზღვა ძალიან მიყვარს, ალბათ მეზღვაურიც გავხდები და წავალ, მაგრამ ახლა ეკონომიკური კრიზისია ქვეყანაზე და ველოდები, როდის დალაგდება მსოფლიო... გემზე ახლა სამუშაოს ვერ იშოვი, ჭამა და მით უმეტეს — აჭარულები ყოველთვის უნდა ხალხს... ჰოდა, ჩვენც ვშრომობთ, რა...

— მზადაა ხაჭაპური? — *ისმის ოფიციანტის ხმა.*

— შევექეცით საუბარს... გეიყვანეთ ჟურნალისტი, თორემ ჩიგვივარდა ბიზნესი! — იცინიან ბიჭები.

*ვემშვიდობები აჭარული ხაჭაპურის „სამეფოს“. შორს შემოდგომის ზღვა მოჩანს აქაფებული, წვიმს... მალე ალბათ ისევ გამოჩნდება მზე და ისე ჩაეღვრება ზღვას სიყვარულით...* ■

# „სიცოცხლე ბროლის ჭიქასავით ნაკუწ-ნაკუწ დამიმსხვრიეს“

**„რატომღაც მეგონა, 17 წლის ასაკში ვიქნებოდი ბედნიერი... შემდეგ — 19 წლის ასაკში... ოცნების ჩიტი ირეალობაში იკეთებდა ბუდეს... 27 წელი... ამის მერე ყველაფერი ერთფეროვანი გახდა. აი, დღეს 27 დეკემბერია... ახალს არაფერს ველი... სიცოცხლე ბროლის ჭიქასავით სულ ნაკუწ-ნაკუწ დამიმსხვრიეს და ფეხქვეშ დამიყარეს... და თუ დღეს სიკვდილზე ვფიქრობ, არა იმიტომ, რომ დავიღალე ბრძოლით, რომ სადაცაა, თითოეული ძარღვიც კი დასკდება, არამედ იმიტომ, რომ აღარავისი მჯერა ამ ქვეყანაზე...**

**ზეინაბ! ნუ აუკრძალავ დეიდას, მომიტანოს ქაღალდი, საწერ-კალამი... იქნებ, ეს ჩემი უკანასკნელი ბარათებია...“ (ნაწყვეტი ჟურნალისტ ნაზი შამანაურის დღიურებიდან)**



## ნაზი შამანაურმა დისიდენტური მოძრაობისთვის ალღოს აღება ვერ შეძლო

შორენა ლებანიძე

*მისი სიცოცხლის ბოლო დღეების ქრონიკა 1983 წლის 11 იანვარს წყდება. გარდაცვალებამდე ერთი კვირით ადრე, ფსიქიატრიული საავადმყოფოს პალატაში, მუცლის მწვავე სპაზმებისგან, საწოლზე მოკუნტული, დაწყლულებული, კანგადაცლილი თითებით წერდა უკანასკნელ ბარათს, რომელიც წესისამებრ, ლეიბქვეშ უნდა გადაემალა. ღილებდაჭრილი, გახუნებული ხალათის ჯიბეებშიც უბის წიგნაკიდან ამოგლეჯილი ქაღალდის ნაკუწები ეწყო. ხალათი გალეულ, შიშველ ტანზე ჰქონდა მოსხმული. ფეხებზე ძველისძველი ფოსტლები ეცვა. უჩვეულოდ მშვიდი და უძრავი — გონდაკარგული — გაიყვანეს კარ-ფანჯრებამოგმანული, საძულველი შენობიდან, რომ უკან აღარასდროს დაბრუნებულიყო...*

ეს ამბავი 1971 წლიდან იწყება. 71-ში ნაზი შამანაურმა უნივერსიტეტი დაამთავრა და დუშეთს დაუბრუნდა. 30-ის იყო. ფრანგული ენის სპეციალისტისა და ჟურნალისტის დიპლომები, პირმისაანთკარის სკოლა-ინტერნატში მუშაობისა და რესპუბლიკურ გაზეთებთან თანამშრომლობის გამოცდილება ჰქონდა. წესით, მშობლიურ რაიონში მის კარიერას ხელი არ უნდა შეშლოდა. წესით, უნივერსიტეტდამთავრებულს, დუშეთის რაიკომის ბეჭდვით ორგანოს — „კომუნიზმის გზის“ რედაქციის კარი უნდა შეეღო, მაგრამ... საბჭოთა იდეოლოგიის მეხოტბე რაიონული გაზეთები დაუსრულებლად, დამკვრელური შრომების, სოცშეჯიბრებებისა და ხუთწლედების შედეგებს აშუქებდნენ. პირველი გვერდები რაიკომის ბიუროს, ალმასკომის სხდომებისა და კოლმეურნეობების კრებების ანგარიშებს ეთმობოდა. წერილების განყოფილება პერიოდულად, აქტივისტი კომკავშირლებისა თუ სახელოვანი მშრომელების გამოხმაურებებს აქვეყნებდა. „კომუნიზმის გზას“ პარტიისა და მთავრობის პოლიტიკური კურსის მხარდამჭერი საკუთარი, უცვლელი გმირი ჰყავდა.

**ბელა წვერაძე**, *ნაზი შამანაურის ბავშვობის მეგობარი (1970-76 წლებში „კომუნიზმის გზის“ თანამშრომელი) იხსენებს:*

— დუშეთში ლენინის ორდენოსანი მწყემსი, ყარამან გაგაძე ცხოვრობდა. თვალით არ მინახავს. სულ ცხვარში იყო. ხანდახან, მაინც ვწერდით მისი სახელით: *„ყარამან გაგაძე მადლობას უხდის პარტიასა და მთავრობას!“*

რეალური სურათი სულ სხვაგვარი იყო: უშუქობა, უწყლობა, უგზოობა ფშავ-ხევსურეთსა და მთიულეთ-გუდამაყრის ხეობებს მოსახლეობისგან დაცლით ემუქრებოდა. ასფალტის დაგებასა და ჩასანგრევად განწირული, კიდული ხიდების გამაგრებაზე არავინ ზრუნავდა. სოფლებიდან 2-3 საათის სავალზე დაშორებულ სკოლებამდე პატარებს, ზამთრის ყინვებშიც კი, სიარული ფეხით უწევდათ. ყოველდღიური მოხმარების საგნები, პროდუქტები დეფიციტად იქცა. შაქრისა და კარაქის განაწილების პრობლემას სასურსათო ტალონების შემოღებამაც ვერ უშველა. მაღაზიებთან უსასრულო რიგები იდგა.

ნაზი შამანაურს „კომუნიზმის გზის“ რედაქციის კარი არ შეუღია. მან დამოუკიდებელი ჟურნალისტური გამოძიება დაიწყო... იმჟამად კრიტიკა და თვითკრიტიკა „დროის მოთხოვნა“ იყო. „ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის“ მომწოდებელი ლოზუნგები ხელისუფლების სათავეში ედუარდ შევარდნაძის მოსვლისთანავე გაისმა. სამეურნეო დანაშაულთა ფორმალური მხილება ჟურნალისტის „წმინდა პროფესიულ მოვალეობად“ იქცა.

შამანაურმა ფორმალობებზე უარი თქვა. სახალხო ქონების დატაცების, ხაზინის ძარცვისა და გეგმების ყალბი კორექტირების შესახებ საუბრისას, მისი მთავარი არგუმენტი — ციფრები, ფაქტები, ფოტოები იყო. წლების მანძილზე ფურცელ-ფურცელ ნაგროვები დოკუმენტაცია 200 გვერდს აღემატებოდა... მაგრამ დამოუკიდებელი ჟურნალისტური გამოძიება საქართველოში ცეცხლთან თამაშს ნიშნავდა. თუ პროფესიასთან დამშვიდობება არ გსურდა და რიგითი მოქალაქის ბედიც გაღელვებდა, აკრძალულ თემებზე პერიოდულად, შეფარვით უნდა გეწერა. ნაზიმ ეს ვერ შეძლო.

1973 წელს საქართველოს რადიოს ახალგაზრდობის გადაცემათა რედაქციამ დუშელ ჟურნალისტს, რაიონის მოწინავე მექანიზატორზე ნარკვევის მომზადება დაავალა. ზამთარი იყო. თოვდა. „ემტეესის“ (სასოფლო ტექნიკის სარემონტო სახელოსნო) გაყინულ სახელოსნოში არც გათბობა იყო, არც — შუქი. მექანიზატორები დანადგარებს ცვლიდნენ, თან წუხდნენ: „ტექნიკის შესანახი ფარდულები არ გვაქვს. კომბაინები და ტრაქტორები მინდვრად გდებისგან გაიძარცვა და დაიჟანგა. ნაწილს დუშეთის სატყეო მეურნეობას მიაკუთვნებენ, ნაწილს — საბჭოთა მეურნეობას; სინამდვილეში პატრონი არ ჰყავს. კულტივატორები, სილოსისა და მარცვალასაღები კომბაინები საამორტიზაციო ვადამდე ჩამოიწერა. სახელმწიფო სესხი არ იფარება. გეგმა არ სრულდება. ხელფასი მცირდება... მჭადიჯვრელი, შუახეველი, ბაზალეთელი მექანიზატორები ლამის ერთიანად გაიკრიფნენ თბილისისკენ. ჩვენც წავალთ“.

ნაზის, რაიონის მიღწევების ფონზე, მოწინავე მექანიზატორის პორტრეტი უნდა დაეხატა. კრიტიკული ნარკვევი კი გამოუვიდა. რადიოკომიტეტის ხელმძღვანელობამ მხოლოდ დაგეგმილი გადაცემის მომზადებაზე კი არ უთხრა უარი, არამედ სევასტოპოლის დამცველი ქეთევან ხომერიკისადმი მიძღვნილი მასალაც ამოუგდო პროგრამის ფურცლიდან...

ერთი წლის შემდეგ პრობლემური სტატია გაზეთ „სოფლის ცხოვრებაში“ დაიბეჭდა. ეს ნაზის უკანასკნელი პუბლიკაცია აღმოჩნდა. რაიონის ხელმძღვანელობის განაწყენების შიშით, პერიოდულმა გამოცემებმა „აბეზარ“ ჟურნალისტთან თანამშრომლობა სამუდამოდ შეწყვიტეს.

ნაზი შამანაურმა მთავარ მიზნად მხილება, მხილება და მხოლოდ მხილება დაისახა! ბიუროკრატიასა და „წითელ ელიტასთან“ საუბარი საჩივრების ენაზე დაიწყო. პარტიული ორგანიზაციების არქივებში წლობით ინახებოდა შამანაურის საპროტესტო წერილები, რომლებიც შადურის, გამრეკელის, კერესელიძის რაიკომის მდივნობისას ბიუროს სხდომებზე დაუს-

რულებლად იხილებოდა. პროტესტი იდეალებსა და რეალობას შორის არსებულმა კონფლიქტმა წარმოშვა: სკოლაში სოციალიზმის ჰუმანურობასა და სამართლიანობას შთააგონებდნენ, ოჯახში „სამშობლოს წინაშე ვალმოხდილი“, ომში დაღუპული, 19 წლის მამის პატრიოტულ წერილებს უკითხავდნენ, უნივერსიტეტში ჟურნალისტის წმინდა მოვალეობებს — მიუკერძოებლობას, უკომპრომისობას, ობიექტურობას — შეახსენებდნენ, სასწავლებლის კედლებს მიღმა კი ყალბი ლოზუნგები, უძრაობის ხანა და კორუფციის არნახული მასშტაბები დახვდა.

ნაზი შამანაურის დღიურებიდან:

*„...უნივერსიტეტის თეთრი ტაძრიდან პირდაპირ ტალახში მისროლეს“.*

იმედგაცრუებების მიუხედავად, შამანაური მაინც დიდი ქვეყნის ერთგულ მოქალაქედ რჩებოდა და დისიდენტური მოძრაობისთვის ალღოს აღება ვერ შეძლო. 70-იანი წლების მიწურულს, დისიდენტები იატაკქვეშეთიდან გამოსვლას ისის იყო, იწყებდნენ. საჯარო განცხადებებს — კონსპირაციულ ბინებში საიდუმლოდ გამართული თათბირები, პეტიციებს — საბეჭდ მანქანაზე დაბეჭდილი და კუსტარულად გამრავლებული პროკლამაციები ენაცვლებოდა. თავისუფალი აზრის გამოხატვა, მიტინგებისა და დემონსტრაციების გარდა, ე.წ. თვითგამოცემის ორგანოთა ფურცლებზეც შეიძლებოდა. თვითგამოცემების მიზანი სისტემასთან ბრძოლის პროპაგანდა იყო და არა სისტემის მსახურთა კორუმპირებულობის მხილება. შესაბამისად, „ოქროს საწმისსა“ თუ „სამრეკლოში“ სამეურნეო დანაშაულთა ამსახველი, პრობლემური სტატიების ადგილი არ იყო...

ნაზი შამანაურმა საკუთარ თავს საზოგადოებისგან თვითიზოლირების განაჩენი გამოუტანა. მას არც ადგილობრივ ხელისუფლებასთან გარიგებაზე წასვლა სურდა და არც საბჭოური მენტალიტეტის გადაფასება. რაიკომის მდივნის, არჩილ შადურის მიერ შეთავაზებულ სამსახურზეც უარი თქვა და ეროვნული მოძრაობის ლიდერთა თანამოაზრეობაზეც. სრულიად მარტოდმარტო დარჩენილი, სახლში ჩაიკეტა.

კარჩაკეტილობა მისი უმთავრესი თვისება იყო. თანატოლებს, მუდმივად საკლასო ოთახის ფანჯარას აკრული, განაპირებული და დედის კალთას მიწებებული ახსოვთ...

დედა — სარა ინაშვილი — ნაზის ერთადერთი თანამდგომი და გულშემატკივარი იყო. ის შვილს „კომუნისტისა“ და „სოფლის ცხოვრების“ რედაქციებში დაჰყვებოდა, მუდმივად წაუკითხაობისა და დაუბეჭდაობისთვის განწირული სტატიების უკან დაბრუნების მოწმე ხდებოდა, ცეკას გამომცემლობის დარაჯები მასაც უკეტავდნენ ბელინსკის ქუჩის მხარეს მდებარე კარს. ისიც ათენებდა ღამეს რედაქტორის კაბინეტის მოსაცდელში... ახლდა საქაღალდით ხელში რაიკომისკენ მიმავალ შვილს, რომელსაც მთიელთა პრობლემატიკის მომცველი 200-გვერდიანი სტატიის ბედი არ ასვენებდა.

...მდივანი ია გამრეკელი მასალების ბიუროზე განხილვას დაჰპირდა. მანამდე, პარტიული კრებებისა და პლენუმებისთვის განკუთვნილი დარბაზის კარი შამანაურისთვის მუდმივად დაკეტილი იყო. ერთხელ თვითნებურად, დუშეთის რაიკომის ყრილობაზე მოხვედრა სცადა, რომელსაც თვით ედუარდ შევარდნაძე ესწრებოდა. მილიციის კორდონი გაარღვია, სანახევროდ მიხურულ კარში შეაღწია და ორიოდე რეპლიკის თქმა თუ მოასწრო, დარბაზიდან პირზე ხელაფარებული, მუჯლუგუნებით გაიყვანეს... ია გამრეკელმა სიტყვა შეასრულა. ნაზის გამოსვლას ღამის ორ საათამდე ისმენდნენ.

**ბელა წვერაძე:**

— რვეულების შეკვრა ეწყო მაგიდაზე. გვერდით მჯდარი დედამისი დაძაბულობისგან ცხვირსახოცს ჭმუჭნიდა. ნაზი თავზე ხელს უსვამდა: „არ ინერვიულო, დედა“.

ბიურომ წარმოდგენილი მასალების შესწავლის გადაწყვეტილება მხოლოდ ფორმალურად მიიღო.

გადიოდა დრო. ნაზი სულ უფრო და უფრო იშვიათად ტოვებდა სახლს. ერთთავად ვარდისფერ ქვედაბოლოსა და თეთრ ბლუზაში იყო გამოწყობილი. თმა შუბლზე გადაევარცხნა. საქაღალდეების დასტა ჩაეკრა გულში. თავდახრილი და დაძაბული, აჩქარებული ნაბიჯებით მიუყვებოდა ქუჩას. გადასასვლელთან დიდხანს ყოვნდებოდა. შორს, მოსახვევში, თვალმოკრული მანქანის ჩავლას უცდიდა: „ჩვენი მოკვლა უნდათ“, — ჩასჩურჩულებდა გვერდით მდგარ დედას. საგაზეთო ჯიხურს ახლოს არ ეკარებოდა: „ფურცლებიდან უხილავი ნაწილაკები მეფრქვევა“. პურის მაღაზიაში არ შედიოდა: „ფქვილში საწამლავს ურევენ“. ახლობლის მიერ მოტანილ კამფეტებს მაგიდის უჯრაში ინახავდა: „მოშხამულია...“



**ბელა წვერაძე:**

— რაკი სიმართლეს ვერსად მიაგნო, გაწბილება ჯერ სასოწარკვეთაში, შემდეგ — ღრმა დეპრესიაში გადაეზარდა... ვერაფერს ვშველოდით. სუსტი ნერვების აღმოჩნდა...

ნაზისთვის ყოველგვარი უბედურების სათავე — რაიკომის მდივანი იყო. ის პერიოდულად, სახესა და სახელს იცვლიდა: ხან არჩილ შადური ერქვა, ხან — ია გამრეკელი, ხანაც — ჰამლეტ კერესელიძე. თუმცა სამივე, წარმოება-დაწესებულებებისა და მეურნეობა-კოლმეურნეობების ხელმძღვანელებითურთ, მტრის ერთიან ხატს ქმნიდა.

**თამარ გოგინაშვილი**, *დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატი (60-იან წლებში სოფელ პირმისაანთკარის სკოლა-ინტერნატის პედაგოგი):*

— ვეუბნებოდი, რაკი ესა და ეს ადამიანი კოლმეურნეობის თავმჯდომარეა, აუცილებლად რამეს კი არ აშავებს, ბუზს სპილოდ ნუ აქცევ-მეთქი!.. ჯიუტი, იმპულსური და ფეთქებადი იყო. განსხვავებულ აზრს არ ცნობდა. საბრძოლო ფორმაში უცებ აღმოჩნდებოდა...

*ამონარიდი გაზეთ „კომუნისტის“ 1983 წლის 6 მაისის ნომრიდან:*

*„წუხელ გვიან ღამით ჩაიმსხვრა დუშეთის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების ფანჯრის მინები. შემდეგ დადგა საბინაო-საექსპლუატაციო კანტორის ფანჯრებისა და გასტრონომიული მაღაზიის ვიტრინის ჯერი. დედა-შვილმა ისინი ქვებით ჩალეწა. მიზეზი? — კანტორა და მაღაზია შამანაურის სახლის წინ იდგა და იქიდან „დევნილთ ლაზერით ასხივებდნენ“.*

მაგრამ ყველაზე მთავარი ჯერ კიდევ წინ იყო: 1982 წლის 14 აგვისტოს ჩარგალში ვაჟაობა იმართებოდა...

ნაზიმ სიტყვა ითხოვა. უარი უთხრეს. ტრიბუნისკენ გზა ძალით გაიკაფა. მიკროფონს ხელი დასტაცა და დაიყვირა: „ხალხო, გატყუებენ!.. ლამაზ-ლამაზ ფერებში ხატავენ ცხოვრებას... სინამდვილეში, კოლმეურნეები დაიმონეს... სასაქონლო გეგმის შესრულების მიზნით, მოსახლეობას მეწველი ძროხები წაართვეს... რა გვეზეიმება?! ვაჟა რომ წამოახედოთ, სირცხვილით დაიწვება...“ ეს გამოუქვეყნებელი სტატიების პათოსისა და აკრძალული სათქმელის მასებამდე რამენაირად მიტანის მცდელობა იყო...

დედა-შვილს თავზე ქსოვილის ტომარა ჩამოაცვეს და იქვე მდგარ მილიციის მანქანაში შეაგდეს.

მანქანამ გეზი თბილისისკენ აიღო და ასათიანის ქუჩაზე, ფსიქიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ეზოში გაჩერდა. ნაზი შამანაური და სარა ინაშვილი საექსპერტო კომისიის წინაშე წარდგნენ...

ამას მოჰყვა ფსიქიატრიული ჯოჯოხეთი. ხუთი თვე კლინიკაში. ხუთთვიანი წამება. საბჭოთა ფსიქიატრიის მკურნალობის მეთოდები. მოკლეს თუ ავადმყოფობით გარდაიცვალა ნაზი შამანაური?!

*დასასრული შემდეგ ნომერში*

# ნიკა ცხაკაია: „მდიდრები სიყვარულით ვართ!..“

**„ეს იმ კაცს გაუმარჯოს, რომელსაც სახლიდან სამსახურში წასვლა უხარია და სამსახურიდან — შინ დაბრუნება; ვისაც ცხოვრების გზა ისე გაუვლია, რომ უკან მოხედვისა არასოდეს შერცხვენია!“ — ასე ჟღერს „ავტორისეული შესრულებით“, დიდი მეურნისა და კაცური კაცის — ნიკოლოზ ცხაკაიას საყვარელი სადღეგრძელო. ვისაც მასთან შეხვედრის მადლი რგებია, კარგად მოეხსენება ბატონი ნიკას ხასიათის თავისებურებებიცა და მისი ბიოგრაფიის „კოლორიტული“ ფურცლებიც. აი, ახალგაზრდებს კი ამ ინტერვიუს წაკითხვისას ბევრი სასარგებლო და ამასთანავე, სახალისო ამბის გაგების სიამოვნება მოელით...**



*ელენე სალარიძე*

*ნიკა ცხაკაიას ახლახან 80 წელი შეუსრულდა. საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი, წარსულში კომპარტიის ცეკას მდივანიც გახლდათ და მსხვილი საწარმოს თავკაციც. ამჟამად მის მიერვე ჩამოყალიბებულ გაერთიანებას ხელმძღვანელობს. 30 წელი ქვეყნის სამთო-ქიმიურ მრეწველობას ხელმძღვანელობდა და დღეს მტკივნეულად განიცდის ერთ დროს აყვავებული დარგის სანაგვეზე მოსროლას.*

— რომ მეკითხებიან, — შენი ჰობი რა არისო? — ასპარეზი-მეთქი, ვპასუხობ. გული მწყდება, რომ ქვეყანაში უშნოდ ჩატარებულმა პრივატიზაციამ სამთო-ქიმიური მრეწველობა ძირფესვიანად მოსპო. „სამთო ქიმიის“ საწარმოები ყოველწლიურად 100 მლნ დოლარის 53 დასახელების პროდუქციას უშვებდნენ! ყველაფერი ყოველგვარი პირობის, გარეშე ნულოვან აუქციონზე გაიყიდა. ერთი, რაც იმის თქმის საშუალებას მაძლევს, რომ რალაც გამიკეთებია, ის არის, რომ გაერთიანების თანამშრომელთა უმეტესობა — თითქმის 6 ათასი ოჯახი საქართველოს ლამის ყველა რეგიონში! — ჩვენ მიერ მათთვის უფასოდ აშენებულ ბინებში ცხოვრობს...



**— ბატონო ნიკოლოზ, როგორ მოგქონდათ ფული რუსეთიდან?**

— (*ეღიმება*) გითხრათ?.. კი, ბატონო. თავიდან დავიწყოთ: როცა ცეკას მდივანი ვიყავი, წულუკიძეში (ახლანდელი ხონი) პოლიეთილენის ფაბრიკა ავაშენეთ, სათანადო დაზგა-დანადგარები კი არ გვქონდა. ვიცოდი, რომ იმ დროს გაგრაში დასასვენებლად ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის ქიმიური მრეწველობის მინისტრი, ლეონიდ კოსტანდოვი. ვასილ მჟავანაძეს ვუთხარი, გაგრაში გამიშვით, ვიცი, მოსკოვთან ახლოს მდებარე ერთ-ერთ მშენებარე ფაბრიკაში სწორედ ისეთი აღჭურვილობა უდევთ, როგორიც გვჭირდება და იქნებ დაგვითმონ-მეთქი. ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, მოვკიდე კოსტანდოვს ხელი და მთელი დასავლეთ საქართველო მოვატარე. ვიყავით რიწის ტბაზე, ახალ ათონში, რაჭაში... გამიმხილა, ნადირობა მიყვარსო და... რაჭველებმა დათვის მოზრდილი ბელი დაიჭირეს, „უხილავი“ თოკით დააბეს და მინისტრი სანადიროდ წავიყვანეთ. მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა დათვი „მოინადირა“ (სხვათა შორის, ეს საიდუმლო მისთვის არასოდეს გამიმხელია). ასე ჩამოვიტანე რაჭიდან სასურველი ბრძანება და მინისტრიც დავიმეგობრე! როცა „სამთო ქიმიაში“ გადმოვედი, ეს მეგობრობა კიდევ უფრო განმტკიცდა. უფრო მეტიც: ზოგჯერ დამირეკავდა და მეტყოდა, რომ ვთქვათ, შაბათს დილით ხაში ექნებოდა (მთელი ღამე ხარშავდა თვითონვე, არაჩვეულებრივად ამზადებდა); მეც მივფრინავდი და „დასაყოლებელი“ მიმქონდა — გოჭი, ხაჭაპური, მრგვლად მოხარშული დედალი... და, რაღა თქმა უნდა, „ცეცხლივით“, კახური ჭაჭა (ჩვენი კახელი მთავარი ინჟინრის, კობა მჭედლიშვილის გამოხდილი)... სამინისტროს აპარატში ხომ იცით, არაფერი დაიფარება. რომ გაიგეს, მინისტრთან ვმეგობრობდი, ჩემთვის მინისტრის მოადგილეებისა და ყველა განყოფილების უფროსის კარი ღია იყო. ჰოდა, მეც მომქონდა მოსკოვიდან საქართველოში უამრავი მანქანა-დანადგარი, დაზგები, მოწინავე მუშაკებზე გასანაწილებელი მსუბუქი ავტომანქანები და რაც მთავარია, დაფინანსება — წარმოების განვითარებისთვის, ინფრასტრუქტურის მოსაწყობად, ბინათმშენებლობისთვის... იმასაც გაგიმხელთ, რომ ამ ურთიერთობებს „გამაგრებაც“ სჭირდებოდა — ქართული და სომხური კონიაკით, დროდადრო, ფრანგულითაც; ქალებისთვის კი სუნამო აუცილებლად ფრანგული უნდა ყოფილიყო!.. ერთხელაც, მირეკავს მინისტრის მოადგილე (კაპიტალური მშენებლობის დარგში) და მეუბნება, — რუსთავში ვარ ჩამოსული და ერთი თავისუფალი დღე მაქვსო. დაემთხვა, რომ იმ დროს თბილისში სტუმრად იმყოფებოდა მოსკოვის საავიაციო ქარხნის დირექტორი, თავისი თვითმფრინავით — „ილ-62“-ით (200-ადგილიანი იყო, 12-კაციანი ეკიპაჟით). მასთან თბილისის საავიაციო ქარხანაში მუშაობის წლები მაკავშირებდა და გაბედულად დავურეკე, თვითმფრინავი „მათხოვე“-მეთქი. ჩავსვი ზახარიჩი თვითმფრინავში და გავფრინდით მაშინდელ ცხაკაიაში (ახლანდელი სენაკი). ეკიპაჟის გარდა, სულ ოთხნი ვიყავით. სამხედრო აეროდრომზე ნამდვილი სამეფო შეხვედრა მოგვიწყვეს — ორკესტრის, ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი გოგო-ბიჭებისა და... რაიკომის მდივნის „თანხლებით“. მოვიარეთ არაჩვეულებრივი სანახები. მერე გულმა ზღვისკენ გაგვიწია. ჩავსვით კატარღაში საპატიო სტუმარი, ვაქეიფეთ შუა ზღვაში, მერე ურეკშიც ვაბანავეთ... დავუტვირთეთ თვითმფრინავი ქართული ნობათით და... ჩვენი მეგობრობა კიდევ უფრო „განმტკიცდა“. სხვათა შორის, სამინისტროს მაშინ საკავშირო მშენებლობებისთვის მილიარდ მანეთზე მეტი ჰქონდა ბიუჯეტში.

**— როგორ გახდით ცეკას მდივანი?**

— პარტიის თბილისის კომიტეტის მდივანი ვიყავი. მოსკოვში მორიგი პარტიული ღონისძიება ტარდებოდა და ჩვენი ცეკას პირველი მდივანი ვასილ მჟავანაძეც იქ გახლდათ. დამიძახა და პირდაპირ მითხრა, ცეკას მდივნად უნდა დაგნიშნოთო. — ეგ საქმე არ გამოვა, ვასილ პავლოვიჩ-მეთქი. გაუკვირდა: როგორ თუ არ გამოვაო?! ავუხსენი, რომ ვარ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ქრისტეფორე III-ის (ციცქიშვილის) შვილიშვილი; ეკლესიას ვეხმარები, ჩემი ბაბუისადმი მიძღვნილ საეკლესიო რიტუალებს ვასრულებ და საერთოდ, ახლოს ვარ ეკლესიასთან და საეკლესიო მოღვაწეებთან-მეთქი. ვასილ მჟავანაძემ დაწვრილებით მომაყოლა ბაბუაჩემის შესახებ (მოგეხსენებათ, ის 1927-1933 წლებში საქართველოს სულიერი მწყემსმთავარი გახლდათ, მანამდე 2 წელი — აფხაზეთის მიტროპოლიტი იყო). მერე მოულოდნელად გადამკოცნა, კარგი ბიჭი ხარო, მითხრა და... საკავშირო ცენტრალურ კომიტეტში დასამტკიცებლად გამიშვა...

**— თქვენი ცეკას მდივნობის დროინდელ „ზღაპრებსაც“ ჰყვებიან...**

— ვიცი... ასეთი შემთხვევა მახსენდება: ერთი ახალგაზრდა კაცი მოვიდა, უფრო სწორად, ჩხუბით შემოაღწია ჩემამდე: 3 წელია, ტელეფონის რიგში პირველი ვარ და დღემდე არ მაღირსეს ქსელში ჩართვაო! — მითხრა. — დამშვიდდით, მალე ტელე-

ფონი გექნებათ-მეთქი. — როგორ არა, დაგიჯერეთ, სახლში მივალ და ტელეფონი ჩართული დამხვდება!.. თქვენც სხვებივით მაგიჟებთ დაპირებითო! — წაბრძანდით და ტელეფონი მართლა დაგხვდებათ ჩართული, კაცურ სიტყვას გაძლევთ-მეთქი, — და გავისტუმრე განცვიფრებული, თან, ჩემი ნომერი მივეცი, — შინ მიხვალთ თუ არა, დამირეკეთ-მეთქი!..



საყვარელი ქალის ფოტოს 62-ე წელიწადია, ჯიბით ატარებს...

**— როგორ?! ერთ საათში, გასული საუკუნის 70-იან წლებში ტელეფონი დაუდგით?**

— ასე იყო... ალბათ იმას აღარ მკითხავთ, რომ დარეკა, რა მითხრა... ერთი ასეთი შემთხვევაც გამახსენდა: ცეკადან კარგა ხნის წამოსული ვიყავი, რაჭიდან მივლინებიდან დაღლილები ვბრუნდებოდით. შუაღამე იყო. ქარელს რომ მივაღწიეთ, მანქანა გაგვიჩერდა, „შლანგი" გასკდა და ზეთი დაიღვარა. თითქმის მთელი საათი ვაჩერებდით გზად მიმავალ მანქანებს... ბოლოს ჩვენ წინ ტაქსი გაჩერდა. ბედი გქონიათო! — გვითხრა მძღოლმა, ჩვენი გასაჭირი რომ გაიგო. — აგერ, აქვე ვიპოვე 10-ლიტრიანი ზეთის „ბალონი"; ეტყობა, უფალმა მოინდომა, რომ დაგხმარებოდითო. მოკლედ, გამოგვიცვალა „შლანგი" და ზეთიც ჩაგვისხა. ფულს ვაძლევდი და არაფრით არ გამომართვა. რა გვარის კაცი ხარ-მეთქი? — სხირტლაძე ვარო, — მიპასუხა. — მე ნიკა ცხაკაია ვარ-მეთქი. გაგიჟდა ლამის: ეს ტაქსი თქვენი ნაჩუქარიაო! — როგორ-მეთქი? — აქეთ მე გავგიჟდი. — როგორ და, ცეკას მდივანი რომ იყავით, მაშინ ტაქსები დეფიციტი იყო; ჩვენი რაიკომის მდივანი მოვიდა თქვენთან და გთხოვათ, ქარელში ტაქსები თითქმის არ გვაქვს და იქნებ დაგვეხმაროთო, და თქვენც, ორის ნაცვლად, ოთხი ტაქსი გამოუყავით ჩვენს რაიონს; ერთი მე მერგო და აგერ უკვე 5 წელია, დაუყვედრებლად ვარჩენ ოჯახსო...

**— დიდი ბაბუა თუ გახსოვთ?**

— არა, თუმცა მას მოვუნათლივარ. 7 შვილი ჰყოლია, შვიდივესთვის ენციკლოპედიური განათლება მიუცია. ჩემი ერთ-ერთი ბიძა, გობრონ ციცქიშვილი 14 ენას ფლობდა. დედაჩემი მედიკოსი იყო და ამავდროულად, რუსული და გერმანული ენებიდან თარგმნიდა. მამა, შიო ცხაკაია ოჩამჩირიდან გახლდათ, იურისტი, კარგი ბუღალტერიც იყო; ერთდროულად, ყველა ქართული თეატრის ბუღალტრად მუშაობდა. ბავშვობაში მთელი ღამეები მამაჩემის „ჩოთქის" ჩხაკუნში მეძინა...

**— დიდი და მდიდარი ოჯახი გქონიათ...**

— სიმდიდრისა რა მოგახსენოთ. მდიდრები სიყვარულით ვართ. ეს ჩემი მეუღლეა, ლეილა მამულაშვილი-ცხაკაია (*და ჯიბიდან გახუნებულ ფოტოს იღებს, რომელსაც აგერ უკვე 62 წელია, სულ თან ატარებს. — ავტ.*). ძალიან ახალგაზრდები ვიყავით, როცა „გავიპარეთ". დიპლომები რომ ავიღეთ, ნანა და ირაკლი უკვე გვყავდნენ. მათ სტუდენტობის შვილებს ვეძახით; აი, მესამე — რუსუდანი კი ცეკას მდივნის შვილია!.. კარგი შვილები და შვილიშვილები მყვანან, შვილთაშვილებიც... ნანა პროფესორია, პულმონოლოგი, ირაკლი აშშ-ში, აიოვას შტატში ერთ-ერთი მსხვილი კომპანიის წამყვანი მენეჯერია.

**— თქვენს სეხნიაზე რას იტყვით?**

— ჩემი შვილიშვილი, ნიკოლოზ ცხაკაია-უმცროსი აიოვას უნივერსიტეტს ამთავრებს. კომპიუტერული ტექნოლოგიებითაა გატაცებული. მიხარია, რომ საქართველოში ცხოვრებას აპირებს და როგორც „ძმაკაცს", გულიც გადამიშალა, — გელფრენდი კი მყავს, მაგრამ ქართველი გოგო უნდა შევირთოო... სხვათა შორის, 7 წლის იყო ნიკუშა, როცა შტატებში ცხოვრობდნენ და საკუთარი ფული ჰქონდა: ხან ფოსტალიონად მუშაობდა, ხან მდიდარი ამერიკელების ძაღლებს ასეირნებდა...

**— ახლა ის ამბავიც გაიხსენეთ, ერთ წელს სოლიდური პრემია რომ დააკარგვინეთ მთელ გაერთიანებას...**

— ჟურნალისტებს ხომ კაცი ვერაფერს დაგიმალავთ!.. მოსკოვში, ხომ იცით, ლამაზ ქალებს რა გამოლევს?! სამინისტროში ხშირად ჩავდიოდი და ჩვენს „ზემდგომ" ქალბატონებთან საქმიანი ურთიერთობა მაკავშირებდა. არც მსუბუქი ფლირტი იყო უცხო... მამაკაცი ყოველთვის ამჩნევს, რომ ქალს მოსწონს. საგეგმო-ეკონომიკური განყოფილების უფროსი სვეტლანა ივანოვნა „სხვა თვალით" რომ მიყურებდა, ვიცოდი, მაგრამ „არ ვიმჩნევდი", რადგანაც არც მაინცდამაინც მეხატებოდა გულზე! ერთხელაც, მურმანსკში ვიყავით, დირექტორთა საბჭოს საკავშირო სხდომაზე. უკან, მოსკოვში, მატარებლით მოვემგზავრებოდით. პატივისცემის ნიშნად, მასპინძლებმა ე.წ. საერთაშორისო ვაგონის ბილეთი გადმომცეს და ვიფიქრე, კარგად დავისვენებ-მეთქი. გავაღე ვაგონის კარი და რას ვხედავ?! კუპეში ფეხი ფეხზე გადაუდვია სვეტლანა ივანოვნას და მელოდება! არადა, დღე-ნახევარი უნდა გვემგზავრა... ვივახშმეთ რესტორანში, ვისაუბრეთ... მერე თავაზიანად ვუსურვე ძილი ნებისა და ზედა საწოლზე მოვკალათდი. როგორ არ ეცადა, „გავეღვიძებინე", მაგრამ... მოკლედ, რაღა ბევრი გავაგრძელო?.. იმ კვარტალში „სამთო ქიმიას" გარდამავალი დროშაც დავაკარგვინე და სოლიდური პრემიაც.

**— თქვენს ქველმოქმედებაზე ახლაც ლაპარაკობენ...**

— როგორც შემეძლო, ვცდილობდი, სასიკეთო საქმეები მეკეთებინა. ისე, კათოლიკოს-პატრიარქის შვილიშვილი ეკლესიას რომ აღადგენს, ეს ქველმოქმედება კი არა, მოვალეობაა. სურამშიც აღვადგინე პატარა ტაძარი, ხოლო თბილისში — ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის ეკლესია. 9 აპრილს დალუპული ეკა ბეჟანიშვილის დედა (ისიც 9 აპრილს დაჭრეს) გერმანიაში გავგზავნეთ სამკურნალოდ. ამგვარი დახმარება არაერთისთვის გაგვიწევია. სხვათა შორის, სამოქალაქო ომის დღეებში მწერალთა კავშირიდან მოგვმართეს და გვთხოვეს: რეზო ინანიშვილია ცუდად და იქნებ საზღვარგარეთ გავგზავნოთ სამკურნალოდო?.. გვიჭირდა მაშინ, მაგრამ იმდენად დიდ პატივს ვცემდით ბატონ რეზოს, სოლიდური თანხა გადავრიცხეთ. სამწუხაროდ, რამდენიმე დღეში ისე გარდაიცვალა, მისი საზღვარგარეთ წაყვანა ვერ მოესწრო...

**— როგორც ვიცი, ახლაც საინტერესო გეგმები გაქვთ...**

— შევქმენით გაერთიანება „ახალი მასალები და ტექნოლოგიები". ვუშვებთ სრულიად ახალ პროდუქციას — ანტიკოროზიულ და ანტიბაქტერიულ საღებავს, რომლის წყალობითაც მკვეთრად იზრდება მეტალკონსტრუქციების, წყალქვეშა რკინის ნაკეთობების, გემების მედეგობა. აგრეთვე, აკადემიკოს რაფიელ ჩიქოვანთან ერთად, საქართველოში ნანოტექნოლოგიების დანერგვაზე ვმუშაობთ. მაგალითისთვის გეტყვით: აშშ-ში ამ დარგის განვითარებისთვის წელიწადში 9 მლრდ დოლარია



ნიკა ცხაკაია მეუღლესთან და უმცროს ქალიშვილთან ერთად

გამოყოფილი! ქვეყნისთვის მიკროელექტრონიკის განვითარებას ბევრი სიკეთის მოტანა შეუძლია. ჩვენმა წინადადებებმა, საქართველოში მიკროელექტრონიკის განვითარების შესახებ მოიარა: პრეზიდენტის აპარატი, კანცელარია, ეკონომიკის სამინისტრო... ჯერჯერობით ჩვენთვის ვერავინ მოიცალა.

**— იუბილეს როგორი განწყობილებით შეხვდით?**

— „იუბილე" ხმამაღლა ნათქვამია! უბრალოდ, ჩემს დიდ ოჯახთან და მეგობრებთან ერთად, კიდევ ერთხელ წარმოვთქვი ჩემი საყვარელი სადღეგრძელო: „ეს იმ კაცს გაუმარჯოს, რომელსაც სახლიდან სამსახურში წასვლა უხარია და სამსახურიდან — შინ დაბრუნება; ვისაც ცხოვრების გზა ისე გაუვლია, რომ უკან მოხედვისა არასოდეს შერცხვენია!" ასეთი ადამიანი კი მერწმუნეთ, არცთუ ისე ცოტაა ჩვენ გვერდით. ■

# უვარგისი ქმრები და ფულს დახარბებული ქალები



„ცოლი იძულებით დამლაგებლადაც რომ ამუშაო, ესეც დანაშაულია!“

**ზოგჯერ კაცებს ცოლი იმიტომ მოჰყავთ, რომ მათ კისერზე იცხოვრონ, ზოგიერთი ქალი კი იმიტომ თხოვდება, რომ ქმრის ხარჯზე მატერიალური მდგომარეობა გაიუმჯობესოს და ის ძვირფასი სამოსი ან სამკაული შეიძინოს, რომელზეც მთელი ცხოვრება ოცნებობდა. მათ ერთმანეთისადმი სიყვარული ნამდვილად არ ამოძრავებთ, მაგრამ თურმე, ხდება ისეც, რომ შეყვარებულები, დაქორწინების შემდეგ, დუხჭირ ცხოვრებას ვერ ეგუებიან და ერთმანეთს ქუჩაში გასვლისა და ფულის „კეთებისკენ“ მოუწოდებენ.**

*ლიკა ქაჯაია*

**ლამაზი ქალი,** *23 წლის:*

— თქვენს ჟურნალში, რუბრიკაში — „ყველა ერთისათვის“ დაიბეჭდა მესიჯი, რომელშიც გზააბნეული გოგონა გწერდათ, თუ როგორ იყენებს ზარმაცი ქმარი. ეს თემა ჩემთვის უცხო არაა და „გზის“ მკითხველებისთვის გულის გადაშლა ამიტომაც მომინდა. მართალია, არ მიცნობთ, მაგრამ რომ მიცნობდეთ, მეტყოდით, — ლამაზი ქალის სახელს ნამდვილად ამართლებო და გაგიკვირდებოდათ, თუ რატომ გავყევი ჩემს სულით და ხორცით მახინჯ ქმარს.

**— თუ შენი ქმარი ასეთი მახინჯია, მას მართლაც, რატომ გაჰყევი?**

— ეჰ, სიყვარულმა რა იცის მახინჯი და ლამაზი? მეგონა, კაცური კაცი იყო, რომ მისნაირი კარგი ადამიანები საქართველოში აღარც არსებობდნენ, მაგრამ მწარედ შევცდი — ის ყველაზე დიდი ნაგავი ალმოჩნდა მათ შორის, ვისაც კი ვიცნობ. ახლა გზას აცდენილი ქალი მქვია, მაგრამ ჩემი ე.წ. კლიენტები ისე ცუდად ნამდვილად არ მექცევიან, როგორც ის ნაძირალა მომექცა.

**— ასეთი რა გააკეთა?**

— როცა ცოლად გავყევი, ვიცოდი, რომ მის ოჯახს კარგი მატერიალური მდგომარეობა არ ჰქონდა, მაგრამ ეს ჩემთვის ბევრს არაფერს ნიშნავდა, რადგან თავადაც გლეხის ოჯახიდან გახლავართ. ვიდრე შვილი შეგვეძინებოდა, თითქოს, ყველაფერი კარგად იყო, მერე კი მოთხოვნილებები მოგვემატა, შვილსაც ბევრი რამ დასჭირდა და ჩვენს ოჯახში პირველი ბზარი სწორედ უსახსრობის გამო გაჩნდა. როცა ვთხოვდი, წასულიყო და სამუშაო ეშოვა, მპასუხობდა: მე ვერაფერი ვიშოვე და თუ მაგარი ხარ, თავადვე ეძებეო. მქონდა შანსი, ერთ-ერთ დაწესებულებაში ოპერატორად მემუშავა, მაგრამ ქვა ააგდო და თავი შეუშვირა: ვერ ავიტან, ჩემი ცოლი სახლში რომ არ იყოსო. ბევრს ვეწუწუნებოდი და როგორც თავად ამბობს, ამიტომაც დაიწყო ტოტალიზატორში ძრომიალი. ალბათ ეგონა, რომ ამაში მაინც გაუმართლებდა, მაგრამ სახლიდან ნივთების გატანაც კი მოგვიხდა, რათა მისი ვალები გაგვესტუმრებინა.

**— ფული თუ არ ჰქონდა, ტოტალიზატორში როგორღა თამაშობდა?**

— ზუსტად არ ვიცი, რა ხდებოდა, მაგრამ მას ტოტალიზატორის კი არა, ვიღაც პიროვნებების ვალი ჰქონდა. ამბობდა, რომ „ხელზე თამაშობდა“. ერთხელაც, შინ მთვრალი დაბრუნდა და მითხრა: საბერძნეთში წადი და იმუშავე, ბავშვს მე გავზრდიო. მისგან ასეთი რამის შემოთავაზებამ ძალიან გამაკვირვა და ეჭვი გამიჩნდა, რომ ვიღაც ჰყავდა, რომ ჩემი თავიდან მოშორება უნდოდა. როცა საკუთარი ეჭვი გავუმხილე, მაგრად მცემა... მეორე დილით მითხრა, რომ მის ნათქვამზე მეფიქრა და სახლიდან წავიდა. გადავწყვიტე, შვილის გამო საზღვარგარეთ წავსულიყავი და მისთვის მაინც შემექმნა ნათელი მომავალი. თანაც, აღარ შემეძლო იმ კაცის გვერდით ცხოვრება, რომელმაც ჩემზე ხელიც კი აღმართა.

**— ბოლოს და ბოლოს, საბერძნეთში წახვედი?**

— საბუთები არ მქონდა და ამიტომ, არალეგალურად უნდა გადავსულიყავი.

**— როგორც ვიცი, არალეგალურად გადასვლასაც ბევრი ფული უნდა...**

— ჰო, მაგრამ ის კაცი, ვინც ჩემი გადაყვანა იკისრა, საქმეს „პოსლეზეც“ აკეთებდა, ოღონდ მერე, ორმაგ თანხას ითხოვდა. ჩემს ქმარს რა ენაღვლებოდა და ამაზეც დათანხმდა. ავტობუსით თურქეთამდე ჩავედით, იქიდან ტყეში უნდა გავსულიყავით, მაგრამ თურქებმა დაგვიჭირეს და შავი დღე გვაყარეს. ვიდრე ციხეში გადაგვიყვანდნენ, ვიღაცებმა ჩემი და ჩემი მეგზური გოგონების სხეულითაც ისიამოვნეს. ბოლოს, ციხეში მოვხვდით, რამდენიმე დღეში კი საქართველოში გამოგვაბრუნეს.

**— ოჯახში რომ დაბრუნდი, ქმარს ყველაფერი უამბე?**

— კი, ქმრისთვის ისიც არ დამიმალავს, რომ მისი მოვალეობა ვიღაც კაცმა შეასრულა, ის კი გაქვავებულივით იჯდა და მისმენდა. ბოლოს, ამოღერღა: არა უშავს, ახლა არ გაგიმართლა, სხვა დროს გაგიმართლებსო. მას შემდეგ ქმარი შემზიზღდა და უკვე 2 წელია, რაც მასთან ურთიერთობა აღარ მაქვს. ისე, ეს ამბავი დიდად არც მას ანაღვლებს. ალბათ, ვიღაცასთან „გულაობს“ და იმიტომ.

**— შენ მითხარი, რომ გზას აცდენილი ქალი ხარ...**

— ჰო, აბა, საკუთარ თავზე ხომ არ ვიტყოდი, რომ მეძავის ცხოვრებით ვცხოვრობ *(იცინის)?* ეს სიმწრის სიცილია, მერწმუნე. 17 წლის ასაკში გავთხოვდი და ბედნიერი მხოლოდ 1 წელი ვიყავი. ჯერ კიდევ პატარა გოგომ ბევრი ტანჯვა გამოვიარე და ცხოვრება საბოლოოდ დამენგრა. ვიცი, სიცოცხლის ბოლო წლებს სადღაც ქუჩაში, ყველასგან მიტოვებული დავასრულებ,

მაგრამ იმედი მაქვს, რომ ჩემი შვილი იქნება ბედნიერი და მე სხვა აღარაფერი მინდა... მას შემდეგ, რაც საბერძნეთში ჩემი გადასვლის ამბავი ჩაიშალა, ქმარი ყოველდღე მეჩხუბებოდა: წადი და სადაც გინდა, იმუშავე, ოღონდ კი ფული მოიტანე; ახლა კაცები არავის უნდა, ქვეყანას ქალები მართავენო. ვუთხარი: რა, ვიბოზო-მეთქი? — რაც გინდა, ის ქენიო! სახლიდან გვიან ღამით, ატირებული გამოვედი და საკუთარი ნებით პირველად სწორედ მაშინ ვუღალატე ქმარს. მას შემდეგ ფულსაც „ვაკეთებ". ვიცი, ეს ფული ბინძურია და ჩემს შვილს არ შეერგება, მაგრამ სხვა გზა არ მაქვს.

**— ისევ ქმრის ოჯახში ცხოვრობ?**

— კი, ისევ ქმართან ვარ.

**— მისი ოჯახის წევრებმა არ იციან, რას საქმიანობ?**

— ისინი რაიონში ცხოვრობენ და წარმოდგენაც არა აქვთ იმის შესახებ, თუ როგორ ვირჩენთ თავს. ჩემს აბდალ მეუღლეს მათთვის უთქვამს, კარგ ადგილას მუშაობს და ოჯახსაც არჩენს, მე კი ბავშვის აღზრდა მაკისრიაო. ქალის მოვალეობის შესრულებით ისე ამაყობს, რომ მგონი, შეცდომით დაიბადა კაცად...

**— სიმართლე არც შენმა მშობლებმა და მეგობრებმა იციან?**

— არავინ იცის. მათთან პატიოსანი გოგოს და ბედნიერი ცოლის როლს ვთამაშობ. ხშირად მიფიქრია იმაზე, რომ ჩემგან კარგი მსახიობი დადგებოდა.

**— როგორც ვხვდები, შენი შვილი ახლა ძალიან პატარაა — მას მეუღლეს როგორ ანდობ? ბავშვის მოვლას როგორღა ახერხებს?**

— სხვათა შორის, პამპერსის გამოცვლა, შვილისთვის საჭმლის მომზადება და ასეთი რაღაცები კარგად გამოსდის. მოკლედ, ის ქალია ოჯახში, მე კი კაცი ვარ.

**— და ეს არ „უტყდება"?**

— რა კითხვას მისვამ, არ გრცხვენია?

**— ჰო, თუმცა, შენს ქმარს იმის არ რცხვენია, რომ ქუჩაში დაგაყენა და ტანისამოსის რეცხვა ან უთოობა როგორღა „გაუტყდება"?! მითხარი, ქმარს რატომ არ შორდები?**

— იმიტომ, რომ წასასვლელი არსად მაქვს. მისგან რომ წავიდე და ბინა ვიქირაო, ბავშვის მომვლელის აყვანაც მომიწევს... მოკლედ, ჯერჯერობით მასთან ერთად ცხოვრება ხელს მეც მაძლევს.

**— დღის განმავლობაში გამომუშავებულ თანხას ქმარს აბარებ?**

— მეტი საქმე არა მაქვს. ის იმითაც კმაყოფილდება, რასაც მივცემ. მთავარია, არ შესცივდეს და საჭმელი ჰქონდეს, სხვა არაფერი აინტერესებს. მოვა დრო, როცა მას მივატოვებ და მერე ვირთხასავით, საკუთარ სოროში ამოხდება სული.

**— ალბათ გესმის, რომ შენი ცხოვრება თინეიჯერებისთვის ჭკუის სასწავლებლად არ გამოდგება...**

— რატომაც არა?! სწორედ მათ მინდა, მივმართო: ნუ შეეცდებით, ოჯახში ქმრის ადგილი დაიკავოთ და კაცად იქცეთ. შეიძლება, თქვენც იმუშაოთ, მაგრამ ოჯახის მარჩენლად მაინც, კაცი უნდა მიიჩნეოდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის გაზარმაცდება და მთელი ცხოვრება თქვენი სათრევი იქნება. თუ ასე არ მოიქცევით და ძლიერი ქალის როლს მოირგებთ, შეიძლება, ჩემი ხვედრი გაიზიაროთ, რომელიც მერწმუნეთ, საოცრად მძიმეა. ცოტა ხანი გაჭირვებაში რომ მეცხოვრა და ქმარს არ დავმორჩილებოდი, მეუღლე საყვედურებით რომ არ ამევსო, დარწმუნებული ვარ, ის ასეთ ურჩხულად არ გადაიქცეოდა და ადრე თუ გვიან, ხელს თავად გაანძრევდა. ახლა კი გვიანია თითზე კბენანი!..

*არ მინდოდა, ლამაზი ქალის ამბავი თქვენთვის ისე მომეწოდებინა, როგორც ერთი ჩვეულებრივი, ბანალური და ამაზრზენი ამბავი, ამიტომაც, მასთან სატელეფონო ინტერვიუს ჩაწერის შემდეგ ნაცნობ, საკმაოდ თამამად მოაზროვნე, ჩემს ძველ რესპონდენტ თინეიჯერებს დავუკავშირდი, რომელთაც ჯერ ლამაზი ქალის ცხოვრების შესახებ ვუამბე და შემდეგ, ამ თემის ირგვლივ საკუთარი მოსაზრებების დაფიქსირება ვთხოვე:*

**ზურა,** *19 წლის:*

— არ მესმის, კაცს ასეთი დებილიზმი როგორ უნდა აპატიო! კაცი, რომელიც ცოლს „პანელზე" დგომისკენ მოუწოდებს, ნამდვილი ნაძირალაა და სიცოცხლის ღირსი არაა!

**პაატა,** *18 წლის:*

— მარტო „პანელზე"? რა მნიშვნელობა აქვს, ქალს ძალით სად ამუშავებ? ცოლი იძულებით დამლაგებლადაც რომ ამუშაო, ესეც დანაშაულია! ჩემს მეუღლეს, თუ სურვილი არ ექნება, არსადაც არ ვამუშავებ. ბოლოს და ბოლოს, კაცი ვარ თუ „პროფკა"? ოჯახი მამაკაცმა უნდა არჩინოს.

**ზურა:**

— რად მინდა ისეთი ცოლი, რომელიც ფულს მომიტანს და სახლში არაფერს გააკეთებს? წინდები ვრეცხო, რა, ქალი ვარ?

**ნატა,** *18 წლის:*

— აბა, ქალი მთელი დღე ქუჩაში თუ გააგდე, წინდების რეცხვაც აღარ გინდა?! ისე, ეს ლამაზი ქალი ნორმალურია? ვერ ვხვდები, ქმარმა ქუჩაში დგომა როგორ უნდა მაიძულოს?! ეტყობა, ამის სურვილი თავადაც ჰქონდა, თორემ ასე არავითარ შემთხვევაში არ მოიქცეოდა.

**ზურა:**

— ქმარი ფულის შოვნისკენ მომიწოდებდაო, — ხომ ამბობს? ალბათ, სხვა გზა არ ჰქონდა (*იცინის*)...

**ნატა:**

— კარგი, რა, სხვა გზა როგორ არ ჰქონდა?! მე თუ მკითხავ, ასეთი ქმრისგან უნდა წამოსულიყო. მის ადგილას, საბერძნეთში წასვლაზეც უარს ვიტყოდი.

**მაკა,** *17 წლის:*

— არ მესმის იმ კაცების, რომლებიც ცოლებს სამუშაოდ საზღვარგარეთ უშვებენ. რა გარანტია აქვთ, რომ ისინი არ უღალატებენ?

**ზურა:**

— გარანტია რომ არ აქვთ, იმიტომაც აღარ სურთ ცოლების შინ დაბრუნება და მხოლოდ მათ მიერ გამოგზავნილი ფულები უნდათ, სხვა არაფერი.

**პაატა:**

— ჩემმა მეზობელმა ქალმა საბერძნეთიდან იმდენი ფული გამოგზავნა, რომ ქმარმა ცხოვრება აიწყო. როცა ქალმა საქართველოში დაბრუნება საბოლოოდ გადაწყვიტა, კაცმა თავი „გადაიპარსა": მე რა ვიცი, რომ არ მღალატობდი? მოღალატეს ვერაფრით მიგიღებ. სხვისი ნათრევი ქალი რომ მნდომოდა, ცოლად შენ კი არ მოგიყვანდიო.

**სალომე,** *19 წლის:*

— ალბათ, ის ქალიც სულელი იყო, თორემ ქმარს ასეთ შეურაცხყოფას არ შევარჩენდი.

**პაატა:**

— შენი აზრით, რა უნდა ექნა?

**სალომე:**

— ყველაფერს წავართმევდი!

**პაატა:**

— ის კაცი დებილი კი არ იყო — ყველაფერი თავის სახელზე ჰქონდა გაფორმებული და ცოლი ვერაფერსაც ვერ უზამდა. საცოდავი ქალი შვილებმაც არ შეიცოდეს და შეუთვალეს: აქ რას ჩამოდიხარ, ქმარი მაინც აღარ გყავს და იქ „იგულავეო". მაგარია, არა?

**— საინტერესოა, მისი შვილების ადგილას თქვენ როგორ მოიქცეოდით?**

**მაკა:**

— პირადად მე, მამას



თვალებს დავთხრიდი და მასთან აღარ ვიცხოვრებდი.

**სალომე:**

— დედაჩემი და მამაჩემი დაშორებულები არიან. მამამ დედას ხელი გაარტყა — მთვრალი იყო, იკინკლავეს და თავი ვერ შეიკავა. დედამ ეს არ აპატია და დაშორდა. ამ ამბავს მამას ვერც მე ვაპატიებ — კაცი ქალს ხელს რომ გაარტყამს, ე.ი. ყველაფრის მკადრებელია.

**ზურა:**

— ისე, ამ ე.წ. ლამაზ ქალს ბოზობა რომ არ დაეწყო, სხვა გზა არ არსებობდა? ვერაფრით დავიჯერებ, რომ დამლაგებლის ადგილი ვერსად იშოვა...

**ნატა:**

— ეტყობა, ამ საქმით მაგარ მაყუთს ჩითავს.

**პაატა:**

— მაყუთს არა, იმას. დიდი-დიდი, დღეში 20 ლარი იშოვოს. ამას პატიოსანი გზით ნაშოვნი 10 ლარი არ სჯობია?!

**სალომე:**

— არა, ამ ქალის მართლა არ მესმის — ნაძირალა ქმარს ბავშვს როგორ ანდობს? შეიძლება, მამა შვილს კარგად უვლის, მაგრამ ისიც ადვილი მოსალოდნელია, რომ რაღაც მომენტში ტვინი გადაუბრუნდეს და პატარას რაღაც დაუშავოს. ჰოდა, უყაროს მერე კაკალი.

**პაატა:**

— სალომე მართალს ამბობს, ხომ იცი. მისთვის ბავშვის დატოვება საშიშია. შეიძლება, წინდებს კარგად რეცხავს და ბავშვს საჭმელს აჭმევს, მაგრამ ასეთი ადამიანი სრულ ჭკუაზე ვერ იქნება.

**მაკა:**

— ბავშვი მაინც მიუყვანოს თავის მშობლებს, აღსაზრდელად... ერთი მეზობელი მყავს, რომელიც ვიღაც მილიონერს გაჰყვა ცოლად. ის კაცი ყვავის ხნის იყო, ეს გოგო კიდევ, 27 წლის გახლდათ. ტანსაცმელზე ისე იყო დაფეთებული, ოღონდაც, ის ეყიდა, რაც მოსწონდა და კაცსაც მოკლავდა. მოკლედ, მოხდა ისე, რომ რაღაც პერიოდის შემდეგ ის მილიონერი გაკოტრდა თუ გაძარცვეს და შერჩა ამ გოგოს ბებრუხანა, ღატაკი ქმარი. ახლა ირტყამს თავში ხელს, მაგრამ მეუღლეს ვეღარ ეყრება: ხალხი რას იტყვის, სირცხვილიაო.

**ზურა:**

— ახლაც ყიდულობს სანუკვარ „ზმანებს“?

**მაკა:**

— „ზმანებს“ არა, დახეული კოლჰოტი რომ აჩუქო, მადლობას ცხრაჯერ გეტყვის. მარტო თვითონ მუშაობს და რასაც შოულობს, ის საჭმელშიც არ ჰყოფნით. ერთი ძველი „შუბა“ შემორჩა და იმას დაჰკანკალებს...

**პაატა:**

— ასეთი „თვალებდაქაჩული“ ქალი ყველაფრის ღირსია. მეც მყავს ნათესავი ბიჭი — ლუკა, რომელიც აზერბაიჯანელ გოგოზე „გათხოვდა“. ცხოვრებაში არაფერი გაუკეთებია და იფიქრა, — თუ ამას შევირთავ, უზრუნველად მაცხოვრებსო. იმ გოგოს ოჯახი კარგა ხანს არჩენდა უსაქმურ სიძეს, მერე კი „დაიფრინეს“ და ქუჩაში გამოაგდეს. დარჩა აზერბაიჯანში უყველაფროდ — სახლში ჩამოსასვლელი ფულიც კი მშობლებმა გაუგზავნეს და ჩამოათრიეს. მართალია, მისი ცოლყოფილი დღემდე ტირის, — მიყვარსო, მაგრამ მშობლების შიშით ქმართან დაბრუნებას ვერ ბედავს.

**ნატა:**

— ჭკვიანი გოგო ყოფილა, მშობლებს რომ უჯერებს.

**სალომე:**

— მოიცა, რა, ჭკვიანი არა, იხვის ტოლმა. ჭკვიანი გოგო კაცს არ „ითხოვდა“.

**ნატა:**

— სულელი რომ იყოს, ყველაფერს შეაფურთხებდა, მშობლებს „დაიკიდებდა“ და მასთან გამოიქცეოდა.

**პაატა:**

— ამაში გეთანხმები. ლუკა ახლა თავში ირტყამს ხელებს: ცოტა რომ გავნძრეულიყავი, დღესაც ბედნიერად ვიცხოვრებდი, მე კი საპირფარეშოში გასვლაც მეზარებოდაო *(იცინის)*. ახლა სიგარეტის ფული არა აქვს და ერთ კოლოფ „ელემს“ თუ მისცემ, შეიძლება, საპირფარეშოც გაგიხეხოს.

**ზურა:**

— კარგია, როცა ოჯახში ყველა დასაქმებულია, მაგრამ ქალმა თავისი ადგილი უნდა იცოდეს და კაცმა — თავისი. ისეთი მახინჯი სულის ადამიანები, რომლებიც ლამაზი ქალის ან მისი ქმრის მსგავსად იქცევიან, თავს თანამედროვე ადამიანებად მიიჩნევენ და საკუთარ უსაქციელობასაც ამით ხსნიან. მერწმუნეთ, ჩვენ, ახალგაზრდა თაობა ასეთ საქციელს არ ვამართლებთ და სულაც არ მიგვაჩნია სწორად, მით უმეტეს — მოდურად ისეთი საქციელი, როცა ქალი და კაცი საკუთარ სახეს კარგავენ. მირჩევნია, ჩემი ნათესავი გეი იყოს, ვიდრე საკუთარ ცოლს მეძაობისკენ უბიძგოს მხოლოდ იმიტომ, რომ მუცელი ამოიყოროს და ფულის საშოვნელად ტვინი არ იჭყლიტოს.

**მაკა:**

— ზურას ვეთანხმები. ისეთ გათხოვებას, როცა იძულებით გამუშავებენ, შინაბერობა სჯობია. თუ კაცს საკუთარი თავის იმედი არ აქვს, მან ცოლი არც უნდა მოიყვანოს.

**სალომე:**

— რაც შეეხება ისეთ ქალებს, რომლებიც ფულის გამო თხოვდებიან, მათი არ მესმის. სიყვარულით შექმნილი ოჯახები ინგრევა და უსიყვარულოდ როგორ უნდა იცხოვრო? ნუთუ, ამ გრძნობას ის ჭინჭები ან ძვირად ღირებული ნივთები შემიცვლის, რომელსაც ქმარი ერთი ღამის სანაცვლოდ შემომთავაზებს?..

**ნატა:**

— ასეთი ცოლი რომ ვიყო, თავი იაფფასიანი მეძავი მეგონებოდა.

**პაატა:**

— და სწორადაც იფიქრებდი. ანგარებით ქორწინებაზე და საყვარელი მეუღლის დაჩაგვრაზე ცუდს ადამიანი ვერაფერს გააკეთებს. ■

## თინეიჯერები გვწერენ

**GRAZY GIRL:**

„დილა მშვიდობისა. ხალისიან, წარმატებულ დღეს გისურვებთ. მაპატიეთ თავხედობა, მაგრამ ძალიან გთხოვთ, „გზის“ გარეკანზე მოთავსებული ე.წ. შტრიხკოდიდან 9-იანები ამოიღოთ. რატომ? — გადმობრუნებული 9-იანი ხომ ექვსიანია? ჰოდა, გამოდის, რომ თქვენს შტრიხკოდში 3 ექვსიანია, რაც ეშმაკისეული ციფრი გახლავთ. გთხოვთ, ამაზე დაფიქრდით. „გზა“ ძალიან მიყვარს და არ მინდა, მისი კითხვა მხოლოდ ამ მიზეზით შევწყვიტო — უთქვენოდ გა-ვაფ-რენ!“

— **საბედნიეროდ, ჩვენს შტრიხკოდში 3 ექვსიანი ნამდვილად არ არის. რაც შეეხება ცხრიანებს, ისინიც კი გაფანტულია და მათი ამოტრიალების შემთხვევაშიც არ იკითხება 3 ექვსიანი ერთად. მოკლედ, ნურაფრის გეშინია, ჩვენს ჟურნალში ეშმაკისეული არაფერია.**

**თამო:**

„ძალიან გთხოვთ, მითხარით, სად შეიძლება შევიძინო სვეტა კვარაცხელიას რომანები? მისი ნამუშევრები ძალიან მომწონს. პატივისცემით“.

— **სვეტას რომანი წიგნად ჯერ არ გამოსულა, მაგრამ მას დასაბეჭდად ნამდვილად ამზადებენ.**

**დამავოი:**

„წავიკითხე ინტერვიუ მოძალადე გოგონებზე და გავგიჟდი. ვერც წარმოვიდგენდი, ჩვენს ქვეყანაში ასეთი თაობა თუ იზრდებოდა. ყველაზე მეტად 14 წლის ეკამ შემაშფოთა. ნუთუ, საკუთარი საქციელის არ რცხვენია? სამწუხაროდ, ეს ბავშვები ვერ ხვდებიან, თუ როგორ სცოდავენ. ეჰ, საცოდავო საქართველოვ, ასეთი შვილების წყალობით ხომ უფსკრულისკენ მიექანები“. ■

# ბიბლუსი

ბიბლუსი — იგივეა, რაც პაპირუსი, გრაგნილი, წიგნი

# წვეთი პოეზია



## ლამაზს

ის სინაზე მოჰპარე,
ვარდს — ფეროვნება, ლამაზო!
და თან ეკალი მოჰგლიჯე,
რომ ისრად გულზე დამასო!

ანათებ შუქურ-ვარსკვლავად,
ცისკრის ხარ განაცვალები;
მხიბლავ ღიმილით შუქმფენი,
რომ დამიბნელო თვალები!

ბულბულის ენით ჭიკჭიკობ
საამოდ გასაგონადა;
მე არ გინდებვარ მსმენელად
და არც შორეულ მონადა!..

მაგრამ, ლამაზო, ერთი დრო
არ შეგიბრალებს შენც, არა!
და სხვისგან იმას იმწარებ,
რაც მე დღეს შენგან მემწარა!

*აკაკი წერეთელი*

### პატარა ლექსიკონი

**საპატივსაცემოდ, საპატივცემულოდ**

ეს უსწორო ფორმები ბევრი ჟურნალისტისა და საჯარო პირის ლამის „აქილევსის ქუსლად“ იქცა და გამუდმებით ისმის რადიო თუ ტელეეთერში, „იღვრება“ ჟურნალ-გაზეთების ფურცლებიდან;

არადა, გაცილებით მარტივია სწორი ფორმა

**პატივსაცემად**

# ვის უნდა კაპიტნის ცოლობა?




**მარი ჯაფარიძე**

მეხსიერებაში ძველი, შავ-თეთრი, მუნჯური ფილმი ამოტივტივდა. ნეტავ, როდის ვნახე ეს ფილმი?.. არც ისეთი ბრძნული სიუჟეტი იყო: ცოლი მივიდა ქმრის საყვარელთან. შავ-თეთრი, „მოხტუნავე“ კადრები, მოხრიალე მუსიკა და ტიტრები: „თქვენთვის ის კაპრიზია, მე კი მიყვარს“. საყვარელი გაოგნებულია ცოლის გამბედაობით. სავარძელში ჩაჯდა. კეთილშობილური საქციელი ასეთსავე პასუხს მოითხოვს. ის საყვარელთან პაემანზე თავის ნაცვლად, ცოლს გზავნის. სიმართლის გარკვევის შემდეგ მამაკაცი მუხლებზე დაეცა, პატიების თხოვნით. ფილმის დასასრული ვერ გავიხსენე...

ინტერნეტის საუკუნეში ყველაფერი გაცილებით იოლია. ერთ მშვენიერ საღამოს კომპიუტერში იქექები და უეცრად, გაცნობის საიტზე საკუთარი ქმრის ანკეტას გადააწყდები. ანეკდოტური სიტუაციაა — „ქმარი მივლინებიდან დაბრუნდა“, ოღონდ — „უკულმა“.

აბა, დაგათვალიერო, ჩემო საყვარელო!.. ახალი ფოტოა, ჩემი გადაღებული და ძალიან მომწონდა ეს ფოტო. რატომაა, რომ პროფილის გაკეთება „ოდნოკლასნიკებში“ ჩვეულებრივი მოვლენაა, გაცნობის საიტზე კი — დანაშაული?

თუ სახლში დანა გაქვს, ეს დანაშაულად არ მიიჩნევა, მაგრამ თუ მას ბოროტმოქმედების ჩასადენად გამოიყენებ, მაშინ...

ასაკი — 33 წელი. მთელი 10 წელი მოიკელი, ძვირფასო?!. პროფესია — ვაჟკაცური და რომანტიკული — გემის კაპიტანი.

სასიამოვნო დამატება — მეცნიერებათა დოქტორი. სპორტის დამსახურებული ოსტატი, მაიორი ჩინგა-ჩჰუკი. ეს უკვე აღარაა სასაცილო.

„თანახმა ვარ, ვიყო სპონსორი“. ფუ, შენი!.. სამწუხაროა, რომ გინება არ მეხერხება. რეკლამა მუშაობს, ხალხი — „ჭამს“. ანკეტა ძალზე აქტუალურია და ბევრი მესიჯიცაა მოსული... სხვისი წერილების კითხვა ცუდი საქციელია... ძალიან ცუდი საქციელი... მაგრამ თუ არ წავიკითხე, ისე საინტერესოს ვერაფერს გავიგებ.

ქმრის ხელახლა გაცნობა გართობას სულაც არ წარმოადგენს. საინტერესო კი მანამდეა, ვიდრე მიხვდები, რომ მისი ყველა „ილეთი“ და ანკესი ძველია და სტანდარტული.

ოოო, ეს შენი საყვარელი გამონათქვამია — „ბრმამ თქვა, ვნახოთო“. ეს ფრაზა ჯერ კიდევ 2 წლის წინ მოვისმინე და მაშინ ძალიან ვიმხიარულე. ნაცნობი სტილი და მანერაა. რასაც ჩემს საკუთრებად მივიჩნევდი, ახლა საერთო და ყველასთვის ხელმისაწვდომი ხდება. თამაშის ხალისი დამეკარგა.

შემიძლია ვიწინასწარმეტყველო, რა იქნება საღამოს. მე დასაძინებლად დავწვები, შენ კი, როგორც ამ ბოლო დროს ხდება, ინტერნეტში შეძვრები. მთელი სხეულით ვიგრძნობ ამ ურთიერთობას და აკრძალული ხილის სიმწარეს. თუმცა რატომ — აკრძალულის? მე ხომ შენთვის არასოდეს არაფერი ამიკრძალავს! მე ხომ ვიცი, რომ სხვა ქალის ფეხებთან შენი გაწოლა მხოლოდ თამაშია.

მე შემიძლია დავიძინო, მაგრამ განვიცდი, რომ ჩვენი ურთიერთობა უარესდება და ვფიქრობ, არა ვარ ღირსი იმ დიდი სიყვარულისა, რომელიც მეგონა, რომ მქონდა და რომელიც ასე იოლად, ხუხულასავით დაანგრიე.

დილით თავი ვერ შევიკავე და კომპიუტერი ჩავრთე. არც კი გიცდია, მესიჯები წაგეშალა. ტელეფონის ნომრები კი ფურცელზე კოხტად გადმოგიწერია და საწერ მაგიდაზე დაგიტოვებია.

გუშინ ნატოს ებაასებოდი... ზღვა ჰყვარებია, ყავა და ოქროს ქვიშებზე დასვენება. ყველაზე დიდი სიმპათიით კი, როგორც ჩანს, ანანოს მიმართ ხარ განწყობილი. მასაც ჰყვარებია ზღვა და გემით გასეირნებაზეც კი თანახმაა. როგორც ჩანს, ცურვა არ იცის და დახრჩობის ეშინია. კაპიტანი კი, როგორც ნამდვილ ჯენტლმენს შეეფერება, ამშვიდებს და სამაშველო რგოლზე სასაუბროდ, კაფეში, ფინჯან ყავაზე ეპატიჟება. ტელეფონის ნომრებიც გაგიცვლიათ. თქვენი ნაცნობობიდან მთელი 24 საათია გასული. ეს ხომ შენი სტილია — ჩქარობ... ფიქრით კი ცოტა მოგვიანებით დაფიქრდები... როცა ჩემი მოხიბვლა მოახერხე და პირველი პაემნის შემდეგ დაგემშვიდობე, 15 წუთში მესიჯი მომწერე: „მომენატრე“.

ყოველთვის თავს არიდებდი მეგობრების თავშეყრას. არც ჩემს მეგობრებთან ერთად მომყვებოდი სადმე. ახლა კი უკვე მივხვდი, საღამოობით მეგობრებთან ერთად „ბილიარდის სათამაშოდ“ რატომ დადიხარ.

წადი, ძვირფასო. ისე, ძალზე იოლად კი დაითანხმე შეხვედრაზე...

სამართლიანობა მოითხოვს, აღვნიშნო, რომ დღეს საღამოს მეც დამპატიჟე „ბილიარდის სათამაშოდ“, მაგრამ ისიც გათვლილი გქონდა, რომ სამსახურიდან დაღლილი დავბრუნდებოდი და უარს გეტყოდი, არადა, რომ დაგთანხმებოდი?.. თუმცა, ეს პირველი შემთხვევა არ იქნებოდა, როცა რთული სიტუაციიდან თავის დაღწევას იოლად შეძლებდი.

გახსოვს, ერთხელ, შორეულ ნაოსნობაში მე და შენი საყვარელი ერთად რომ წაგვიყვანე და შენს კაიუტაში ერთმანეთს ვცვლიდით?.. „ბილიარდის თამაში“ ამასთან შედარებით, წვრილმანია.

ეს ვინღაა? ლალი... როგორც ჩანს, რისკიანი ქალია. უყოყმანოდ უთქვამს, რომ მანქანის ტარება იცის და გემის წაყვანასაც შეძლებს. სანაპიროს სამუშაოების შესახებ ლირიკულ საუბარში არ აგყოლია, მაგრამ სამაგიეროდ, ბილიარდის სათამაშოდ წამოსვლაზე უყოყმანოდ დაგთანხმებია. „ბრმა“ შეჰპირდა, რომ ძველ კიას აუცილებლად მოძებნიდა.

დღეს ბილიარდის თამაში ღამის 12 საათამდე გქონდა დაგეგმილი, შინ კი გაცილებით ადრე დაბრუნდი... სამსახურში პრობლემები გქონდა? შესაძლოა, ეს სიმართლეა, მაგრამ მაინც მგონია, რომ იმ ქალბატონს არ მოეწონა 10 წლით ასაკდაკლებული, შენნაირი ფიზიონომიის მამაკაცი. თანაც, არც გარეგნულად ჰგავხარ „სპონსორს“. ადგა და წავიდა... სხვათა შორის, აღარც მოუწერია შენთვის მას მერე.

ნატო კი კვლავ განაგრძობს შენთან ტიკტიკს და სიყვარულსა და ზღვის სანაპიროზე რომანტიკულ გასეირნებაზე გელაპარაკება.

სულელი!

ახლა ნახოს, კაპიტანი რა პონტებს აუგდებს! ერთი თვის წინ დაბრუნდა კარიბის კუნძულებიდან, აქ ყველაფერი ნაცრისფრად ეჩვენება...

ნატალია დადნა... ტელეფონის ნომერიც მოგცა.

კიდევ ვინაა რიგში?

შემდეგი — ელენეა, რომელსაც ცეკვა ჰყვარებია. ქალის სურვილი კი კანონია... არგენტინული ტანგო გნებავთ? ახლა შენი ნებისმიერი წინადადების მიღმა ფარულ აზრს დავინახავ. ელენემ ხომ არ იცის, რომ დანაპირებს

უნდა ელოდოს... ელოდოს... ელოდოს...

კიდევ ვინაა რეზერვში?

ანა... ლამაზი სახელია. გმადლობ, უცნობო ანა, შენ ისე მოექეცი კაპიტანს, როგორც მე ვერასოდეს მოვექცეოდი.

— გამარჯობა, გემრიელი ყავა გიყვართ?

— ძალიან...

— იქნებ თითო ფინჯანი დაგველია?

— ძვირფასო, შემიძლია, ჩემთან დაგპატიჟო. კლასიკური სექსი, 1 საათი — 100 დოლარი, სხვა — 200 დოლარი.

აი, ასეთია ცხოვრების პროზა. რაღაცნაირად, შემეცოდე. თუმცა „სპონსორები" ამისთვის მზად უნდა იყვნენ.

ამის მერე გეცოდინება, რომ ყავასთან დაკავშირებით ასეთი ბანალური „ზახოდები" არ გამოგადგება.

ინტელექტუალური შეკითხვები დაიწყო... „როგორ ითარგმნება „ბესამე მუჩო"? ან უფრო რომანტიკული: „მე მგონი, სადღაც მინახავხართ, დეჟა-ვიუა თუ სიზმარი?" უცნობი ქალი გპასუხობს, რომ არ გიცნობს. მაინც დაჟინებით იმეორებ, რომ სადღაც გყავს ნანახი.

— სად ცხოვრობ? — ეკითხები.

ის გნებდება და გპასუხობს, რომ ცენტრში ცხოვრობს, ვაკეში.

— მაშასადამე, ნანახი მეყოლები, მანდ სახლი მაქვს...

ისევ „სპონსორობას" აწვები?.. ბათუმელ კაცს ვაკეში სახლი რომ აქვს, ეს იმას ნიშნავს, რომ მატერიალურად არცთუ ისე ცუდადაა. თქვენ კი შეხვედრაზე თანხმდებით. თბილისში აპირებ ჩასვლას.

ახლა კი ჩემთან ლაპარაკის დროა... რა გემართება, საყვარელო? თითქოს ჩაიკეტე, ყველაფერზე მეკამათები, სამსახურში ხომ არ მოხდა რამე?

დღეს კვირაა და ჩემს თეატრში წარმოდგენა არ გაიმართება. ამიტომ უხეშად გპასუხობ, რომ ყველაფერი რიგზეა. თუმცა ამას „რიგზეა" არ ჰქვია. ქვეყანა თავზე დამექცა და ჩემი იმედის ნარჩენები ნანგრევებში მოიყოლა.

შენ ქალებს ბალტიის ზღვაზე სასეირნოდ ეპატიჟები. მეც ასე მითხარი: „ხომ არ გაგვესეირნა ევროპაში"? მაშინ გავიცინე და პაემანი დაგინიშნე. ის პაემანი შედგა. გახსოვს?.. ჩემი საუკეთესო მოგონება მალე სხვის მოგონებადაც გადაიქცევა.

სიმართლე თუ გინდა, სულაც არაა საჭირო სენტიმენტალიზმი... მე მაშინ უნდა მიმეტოვებინე, როცა გავიგე, რომ შენ „ყოფილი ცოლი" კი არა, „აქტუალური" და „მოქმედი" ცოლი გყავდა. შენ თავი იმართლე, რომ ის არ გიყვარდა და ოჯახი ისედაც დანგრევის პირას იყო... ნეტავ, კიდევ რამდენი ქალი მოისმენს ამ სიტყვებს?

არ მიგატოვე და ახლა ვიმკი ამის „სიკეთეს". ახლა „გაუტკივარების" გარეშე ვუმკლავდები ყველაფერს.

ისე, ნდობის შესახებ ბრტყელ-ბრტყელ სიტყვებს ამბობ ხოლმე. ჩემი თვალით რომ არ წამეკითხა ყველაფერი, დაგიჯერებდი კიდეც. არც ხმით, არც ინტონაციით, არც მზერითა თუ საქციელით არ გეტყობოდა, რომ იტყუებოდი.

მომდევნო დღესაც მივდივარ კომპიუტერთან და კიდევ ერთ დოზა „ინტერნეტშხამს" ვიღებ. საინტერესო კი ისაა, რომ ჯერ კიდევ ცოცხალი ვარ.

სიტუაცია მეორდება. უცხო ქალთან დაღლილობაზე წუწუნებ... ამერიკაში მოგზაურობამ დაგღალა... დროა, საკუთარი იახტა იყიდო... მონიტორის იქით მყოფ ქალს პირი ღია დარჩა.



იახტის ყიდვის შემდეგ, „ხურდა" რომ დაგრჩება, შეგიძლია, ათასგვარი გასართობი შეიძინო.

საწყალი, გულუბრყვილო ქალი!.. სამწუხაროა, რომ მას ჩვენი გუშინდელი საუბარი არ მოუსმენია. ნდობის შესახებ რომ დაასრულე საუბარი, მერე გადავედით თემაზე — „როგორ დავიხსნათ თავი ფინანსური კრიზისისგან". შენ მთხოვდი, სადმე სამსახური მეშოვა შენთვის იმ შემთხვევაში, თუ საპატრულო პოლიცია ავტომობილის მართვის უფლებას ჩამოგართმევს.

კვირაა. დღეს ორივე სახლში ვართ. წინათ დივანზე დავსხდებოდით ხოლმე და ტელევიზორს ვუყურებდით. ახლა შენ კომპიუტერთან ზიხარ, ცალი ყური კი ტელევიზორისკენ გაქვს მოშვერილი. 2 საქმეს ერთდროულად აკეთებ. ახლა უკვე საღამოსაც არ ელი, რომ ინტერნეტში შეხვიდე. უცხო ქალების მესიჯებს ჩემი თანდასწრებით კითხულობ. ალბათ ეს გარკვეულ სიამოვნებას განიჭებს. შენი „აგონია" საღამომდე გაგრძელდა. საიდუმლოს ცოდნა არავითარ უპირატესობას არ მანიჭებს.

უცნაურია, მაგრამ ამ ნატოების, ელენეების, ცისფერთვალებების მიმართ არავითარ სიძულვილსა და მტრობას არ განვიცდი.

უბრალოდ, ვცდილობ, მივხვდე, როდის გაწყდა ჩვენ შორის ძაფი, როდის აქეთ ვერ ვუგებთ ერთმანეთს და როდის დასრულდა ჩვენი სიყვარული.

რატომ აღარ მანიჭებს ეს დიდებული გრძნობა სიხარულს და სიმსუბუქის შეგრძნებას?

დღეს 11 მაისია, ჩვენი გაცნობის დღე. ჰოდა, ზუსტად დღეს მოგთხოვე, რომ ჩემი სახლიდან წახვიდე. შენ მოთამაშე ხარ და მხოლოდ ასეთ რეჟიმში შეგიძლია ცხოვრება.

ამბობ, რომ ნებისმიერი ხერხით ეცდები ჩემს დაბრუნებას.

სად უნდა დამაბრუნო?

სასწაული ტირაჟირებას არ ექვემდებარება. ის, რაც მხოლოდ მე მეკუთვნოდა, საერთო გახდა: გემით გასეირნება, შენი ხუმრობები, ბიზნესპროექტებიც კი...

ეგ არაფერი... მეხსიერებას გადარჩენის ინსტინქტი ახლავს — გავიწყებს იმას, რაც მტკივნეულია.

მომეცით სხვა გლობუსი! ამის ძახილს აზრი არა აქვს. სამყარო სარკესავითაა და რეალობას ირეკლავს. უბრალოდ, ჩემ შიგნით სარკე გაიბზარა და ამიტომ ვერ ვპოულობ გამოსავალს. არ ვიცი, რა ვუპასუხო კოლეგების კითხვას: „როდის გაიღიმებ თვალებით?" მაგრამ ეს ყველაფერი მაინც გაივლის. ეს არ იკურნება დროით ან სხვა ადამიანის ალერსით. სამყაროს ჰარმონია შიგნითაა, ჩემში და შენ არ ძალგიძს მისი დანგრევა. ■




ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით gza.fantazia@gmail.com

დასაწყისი
იხ. „გზა“ №37-39

გოჩა მანველიძე

ზედამხედველი პროკურორი დიდხანს ეცნობოდა საქმის მასალებს. ბოლოს საქაღალდე გვერდზე გადადო, გიორგისა და მერაბს გახედა და თქვა:

— რომ არ გიცნობდეთ, ვიფიქრებდი, რომ სულელებთან ან ავანტიურისტებთან მაქვს საქმე. მაგრამ თქვენ არც ერთი ხართ და არც მეორე. ორივე გამოცდილი თანამშრომელი ხართ და ვერ მივმხვდარვარ, საიდან მოგივიდათ აზრად, ამ აბდაუბდით ჩემთან მოსვლა. ეს საქმე არ არის და ამაზე ხელს არ მოვაწერ! — ამ სიტყვებთან ერთად, პროკურორმა საქაღალდე გიორგისკენ მოისროლა. — სისულელეებს შეეშვით და იმუშავეთ!

— ბატონო კოტე, — წყენით დაიწყო მერაბმა, — მე ამ საყვედურს არ ვიმსახურებ. კილაძის ეპიზოდი მხოლოდ ნაწილობრივ უკავშირდება ძიებას, რომელსაც ჩემი ჯგუფი აწარმოებს. ჩვენ კონტრაბანდისტები ავიყვანეთ. გავედით ერთ-ერთ გადამყიდველზე, რომელიც ამ ჯგუფს ხელოვნების ნიმუშების შეძენაში ეხმარებოდა. მაგრამ ეს მხოლოდ საქმის დასაწყისია. არსებობს დიდი ალბათობა, რომ კონტრაბანდისტები საბაჟოს თანამშრომლების ხელშეწყობით მოქმედებდნენ. გამოსავლენია სხვა გადამყიდველებიცა და კონტრაბანდისტთა თანაშზრახველებიც. ასევე...

— მოიცა-მოიცა... — შეაწყვეტინა პროკურორმა. — რა შორიდან უვლი?! პირდაპირ თქვი, რა გინდა?

— ვერ ვხედავ ამ ორი საქმის გაერთიანების საჭიროებას. როგორი მძიმეც უნდა იყოს კილაძის საქმე, ეს მაინც მხოლოდ ყაჩაღური თავდასხმაა და არაფრით უკავშირდება უშიშროების სამსახურს, — თქვა მერაბმა.

— ესე იგი, შენც არ მოგწონს ეს ამბავი! — ბრაზით თქვა პროკურორმა.

— მე რეალური საჭიროებიდან გამომდინარე ვმოქმედებ და არა მოწონება-არმოწონებით!

— უსამართლოდ იქცევი. საქმე ერთად ჩააფლავეთ და ახლა გიორგის გინდა აჰკიდო ყველაფერი!

— ბატონო კოტე, მეჩვენება, რომ ჩვენ გვადანაშაულებთ მომხდარში! — არ შეეპუა მერაბი.

— აბა, ვინ დავადანაშაულო?! ვინ ჭამს მაგას, მერაბ?! როგორ გინდა, დამაჯერო, რომ შუბითიძემ თქვენგან დამოუკიდებლად ამოიცნო გოგა კილაძე?!

— თქვენ ფიქრობთ, რომ შუბითიძეს ძალა დავატანეთ?! — ბრაზი მოერია მერაბს.

— თქვენც და მეც კარგად ვიცით, რომ ადამიანზე ზემოქმედების მრავალი საშუალება არსებობს. არა მგონია, ცემა-ტყეპით მიგეღწიათ კილაძის ამოცნობისთვის, მაგრამ პროცესი მაინც უკანონო იყო. ამ დასკვნის გამოსატანად, შუბითიძისთვის სატელევიზიო ჩანაწერის ჩვენებაც კმარა: თქვენ ამოსაცნობად წარუდგინეთ პიროვნება, რომელიც ცოტა ხნის წინ შუბითიძეს ჩანაწერში ჰყავდა ნანახი. კოდექსი ამას კრძალავს!.. ახლა კი მიპასუხეთ: რატომ გააკეთეთ ეს?

— ეს შემთხვევით მოხდა, — თქვა გიორგიმ.

— შემთხვევით!.. — ბრაზით ჩაილაპარაკა პროკურორმა. — შემთხვევით ქალწულობას კარგავენ. თქვენ კი გამომძიებლები ხართ!.. ორივე იმის ღირსი ხართ, რომ კაბინეტიდან მიგაბრძანოთ, მაგრამ მაინც მოვისმენ თქვენს განმარტებას — როგორ ნახა „შემთხვევით“ ის ჩანაწერი შუბითიძემ?..

— შუბითიძის მიერ შემოთავაზებული ფოტორობოტი ისე ჰგავდა გოგა კილაძეს, რომ ცდუნებას ვერ გავუძელი და ჩანაწერი ვუჩვენე. მაშინ იმის წარმოდგენაც არ შემეძლო, რომ ის ხატის გამყიდველს ამოიცნობდა. ეს ჩვენთვისაც მოულოდნელობა აღმოჩნდა. მერე კი რაღას შევცვლიდი?.. ამოცნობა ნებისმიერ შემთხვევაში უნდა ჩამეტარებინა, — უპასუხა გიორგიმ.

— თავად თუ ეთანხმებით ამოცნობის შედეგებს? — განაგრძო პროკურორმა.

— ერთია, როცა ოფიციალურ დოკუმენტს ეცნობი და მეორე, როდესაც თავად ესწრები პროცესს, — თქვა გიორგიმ, — შუბითიძემ ფოტორობოტი შეადგინა; ჩანაწერზეც ამოიცნო კილაძე და პირადი შეხვედრის დროსაც. ეს ფაქტია, მაგრამ მომხდარში მეც ვერ ვხედავ ლოგიკას. ეს კილაძესაც ავუხსენი. ხატი მისი ოჯახის საკუთრება იყო და ვერავინ დაანაშაულებდა მის გაყიდვაში. მას უბრალოდ, შეეძლო ეთქვა, რომ ხატი თავად გაყიდა ან საერთოდ არ ეხსენებინა ყაჩაღობისას წაღებული ნივთების სიაში. ნებისმიერ შემთხვევაში, მის მიმართ არავის ექნებოდა პრეტენზია. მაგრამ ის ჯიუტად ამტკიცებს, რომ ხატი ყაჩაღობისას გაიტაცეს და რომ მის გაყიდვასთან არაფერი აკავშირებს.

— კარგად დაუკვირდი, რასაც ამბობ, გიორგი: შუბითიძის ჩვენებით, კილაძემ ხატი ყაჩაღობის მეორე დღეს მიჰყიდა; როგორ გგონია — მაშინ, როცა მამა დაღუპული ესვენა სახლში, დედა კი უგონო მდგომარეობაში, საავადმყოფოში იმყოფებოდა, კილაძე ხატით ხელში მშრალ ხიდზე გადამყიდველის ძებნას დაიწყებდა?

— გეთანხმებით, რომ ეს ძალზე ძნელი წარმოსადგენია.

— ეს არაა ის პასუხი, რომლის მოსმენაც მსურდა. ძნელი წარმოსადგენი არ ნიშნავს წარმოუდგენელს! — შენიშნა პროკურორმა.

— მაშინ, ასე გიპასუხებთ: პრაქტიკაში მქონია შემთხვევები, როცა მამას შვილი მოუკლავს ან შვილს — დედა. ასე რომ, ვერც იმას გამოვრიცხავ, რომ კილაძემ ხატის გასაყიდი დროც გამონახა.

— სხვა მიმართულებით ფიქრს რატომ არ ცდილობ?

— რას გულისხმობთ? — ჰკითხა გიორგიმ.

— კარგად გადახედე, ვისთან გიწევს მუშაობა: ერთი მხრივ, გოგა კილაძე — წესიერ ოჯახში აღზრდილი ახალგაზრდა კაცი, ექიმი, რომელსაც ყველა კარგად ახასიათებს და რომელსაც არაფერი აკავშირებს კრიმინალთან;

ამავდროულად, ის დაზარალებულია, სასტიკი დანაშაულის მსხვერპლი, რომელსაც დაღუპა მამა და მძიმედ დაუშავდა დედა!.. მეორე მხრივ საქმე გვაქვს გადამყიდველთან, რომელსაც გარკვეული კავშირები აქვს კრიმინალებთან!.. რატომ ხართ დარწმუნებული მისი სიტყვების სიმართლეში? გამორიცხავთ, რომ ის შეგნებულად ადებს ხელს კილაძეს?! სატელევიზიო რეპორტაჟი ათიათასობით ადამიანმა ნახა. მისი ნახვა შეეძლო შუბითიძესაც. აქედან იშვა ის ორიგინალური ფოტორობოტი. შემდეგ ჩანაწერით ამოცნობა მოხდა და ბოლოს, უშუალო ამოცნობაც ჩაატარეთ... რას იტყვი?

— ჩვენ განვიხილეთ ეს ვერსია, მაგრამ ერთმა დეტალმა ყველა სხვა მოსაზრება გადაწონა, — უპასუხა გიორგიმ.

— რა დეტალმა? — დაინტერესდა პროკურორი.

— კილაძის ხალმა!.. ჩვენ რამდენჯერმე ვნახეთ ჩანაწერი, მაგრამ ხალი ვერ შევნიშნეთ. მისი შემჩნევა მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, როდესაც ახლოდან უყურებ.

— მაინც სუსტი არგუმენტია. გეთანხმები, რომ ხალი მართლაც, ძნელად შესამჩნევია. მაგრამ ჩვენ კარგად ვიცნობთ დამნაშავეთა სამყაროს მოქმედების მეთოდებს. შუბითიძეს სხვაგანაც შეეძლო კილაძის ნახვა. შესაძლოა, თანამზრახველებმა აღუწერეს ხალი და ამოცნობისას მასზე აქცენტის გაკეთებაც დაავალეს.

— გამორიცხული არაფერია, მაგრამ ამ შემთხვევაში, ჩემს გადაწყვეტილებაზე სხვა გარემოებამ იმოქმედა, — თქვა გიორგიმ, — შუბითიძეს ჩვენი შეცდომაში შეყვანის მოტივი არ გააჩნია. რაში შეგვიძლია მისი დადანაშაულება?.. მაქსიმუმ, ვაჭრობის წესების დარღვევაში. დამნაშავეთა დაფარვის შემთხვევაში კი ის ავტომატურად იქცევა მათ თანამზრახველად და გასამართლდება. მაგრამ მხოლოდ ესეც არ არის. უბრალოდ, ვგრძნობ, რომ ის არ ტყუის და მას რომ გასაუბრებოდით, თქვენც დამეთანხმებოდით.

— სად არის ახლა შუბითიძე?

— ჩემს სამუშაო კაბინეტში.

პროკურორი მცირე ხნით ჩაფიქრდა და მერე თქვა:

— კარგი. მომიყვანეთ შუბითიძე. ვნახოთ, როგორ დამარწმუნებს თავის სიმართლეში!..

პროკურორი დიდხანს ესაუბრებოდა შუბითიძეს, დაწვრილებით გამოჰკითხა კილაძესთან შეხვედრის დეტალები, მაგრამ ახალი არაფერი მოუსმენია: მოწმემ სიტყვასიტყვით გაიმეორა ჩვენებები, რომლებიც გამომძიებლისთვის ჰქონდა მიცემული.

ბოლოს პროკურორმა საქაღალდე დახურა და შუბითიძეს ჰკითხა:

— რამის დამატება ხომ არ გსურთ?

მოწმე უხერხულად შეიშმუშნა და ყრუდ ჩაილაპარაკა:

— ეგ ჩვენებები კი მოგეცით, მაგრამ ეჭვი მეპარება, რომ ნამდვილად იმ ბიჭმა მომყიდა ხატი...

— რაო?! — ბრაზი მოერია პროკურორს. — მშრალ ხიდზე ხომ არ გგონია თავი?! რას ნიშნავს — „ეჭვი მეპარება“?! თუ ეჭვი გეპარებოდა, როგორ ამოიცანი?

— ის არის... ის! — დაბნეულმა განაგრძო შუბითიძემ. — ყველაფერი ემთხვევა — ასაკი, აღნაგობა, თმის ფერი, ხმაც კი... მაგრამ... იმას სხვანაირი თვალები ჰქონდა.

— მაინც როგორი? — ჩაეძია პროკურორი.

— ხომ არაფერი დამიშავებია იმ ბიჭისთვის. მისნაირ კლიენტს დღეში ასს მაინც ვხვდები. მოდიან, „ტავარი“ მოაქვთ, ვვაჭრობთ. ზოგჯერ ვთანხმდებით, ზოგჯერ — ვერა. ხანდახან ვბრაზობთ, ვკამათობთ, მაგრამ ასეთი არავინ შემხვედრია: ისეთი ზიზღით მიყურებდა, თითქოს მისი მოსისხლე მტერი ვყოფილიყავი. ახლა კი... — შებითიძემ კეფა მოიქექა და მერე დაამატა: — ამოცნობამ კილაძე ძალიან გააბრაზა. საკუთარი თვალით ვნახე, როგორ უტევდა გამომძიებელს. მეც გაბრაზებული მიყურებდა, მაგრამ ისეთი მზერა მაინც არ ჰქონია. ხვდებით, რისი თქმა მინდა? იქ, მშრალ ხიდზე არაფერი დამიშავებია მისთვის. მშვიდად ვლაპარაკობდით საქმეზე. ის კი გამგელებული მიყურებდა. დღეს მართლა გაბრაზებული იყო, მაგრამ მის თვალებში ის ღვარძლი მაინც არ დამინახავს.

— თქვენ რა, პირი შეკარით თუ ყველა ერთ დღეს შეიშალეთ?! — ბრაზით წამოიძახა პროკურორმა. — ბოლოს და ბოლოს, მიპასუხე — ამოიცანი კილაძე თუ არა?!

შუბითიძემ ყოყმანით უპასუხა:

— ისაა და თანაც, ის არ არის...

— გაიყვანეთ! — ცივად მოსხიპა პროკურორმა და როგორც კი ბადრაგმა ბრძანება შეასრულა, კაბინეტში მყოფ გამომძიებლებთან განაგრძო ლაპარაკი:

— მე მგონი, ყველაფერი ნათელია.

გამომძიებლებმა დუმილით უპასუხეს.

— მოკლედ გეტყვით სათქმელს: მოქმედებას, რომელიც თქვენ ჩაატარეთ, ამოცნობად ვერ მივიღებ. აქედან გამომდინარე, კილაძეს ბრალს არ წავუყენებთ!.. რაც შეეხება შემდგომ ძიებას: მერაბ, ვიცი, რომ ძალიან გინდა ამ საქმისგან გათავისუფლება. იძულებული ვარ, დაგეთანხმო. კილაძის ოჯახზე თავდამსხმელებსა და კონტრაბანდისტებს შორის რაიმე კავშირს ვერ ვხედავ და რისთვის უნდა მოვაცდინო შენი ჯგუფი?! შენ კონტრაბანდისტთა მიმართულებით გააგრძელებ ძიებას. შენ კი, გიორგი, ყაჩაღობის ფაქტზე იმუშავებ და ჩემი რჩევა იქნება, ნუ გადაიღლი გონებას კილაძეზე ფიქრით. მე არ ვიცი, რა გაუგებრობასთან გვაქვს საქმე, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ მას არაფერი აკავშირებს ხატის გაყიდვასთან. უმჯობესი იქნება, თუ ისევ შუბითიძეს მიაწვები. არც ისეთი გულუბრყვილო კაცია, როგორადაც გვაჩვენებს თავს, — დაასკვნა პროკურორმა და საქაღალდე გიორგის დაუბრუნა.



გიორგისთვის ყოველი სამუშაო დღე ტრაფარეტულად იწყებოდა: სამმართველოში მისვლისას მორიგისგან იღებდა ოპერატიულ ცნობას, რომელშიც ბოლო დღე-ღამის განმავლობაში თბილისში მომხდარი დანაშაულები იყო აღწერილი... ის დღეც ასე დაიწყო. გიორგი კაბინეტში ფურცლების დასტით ხელში შევიდა. ჯერ ყავა მოიმზა-

და, შემდეგ მაგიდას მიუჯდა და ოპერატიული ინფორმაციის კითხვას შეუდგა. ცნობა ტყუპისცალივით ჰგავდა წინა დღეების ანგარიშს: რამდენიმე მკვლელობა; ყაჩაღობები, უფრო მეტი ქურდობა და მანქანის გატაცება. ბოლოს, შედარებით მსუბუქი ბოროტმოქმედებები იყო ჩამოთვლილი: ხულიგნობა, ოჯახური დავა, ავარია, უბედური შემთხვევა...

— საით მიექანები, საქართველოვ?! ერთი წლის წინ ამდენი დანაშაული თვის განმავლობაშიც არ ხდებოდა!.. — გულდაწყვეტილმა ჩაილაპარაკა. მერე ცნობა გვერდზე გადადო და ყავის ფინჯანს გადასწვდა.

ერთი ყლუპი ჰქონდა მოსმული, როცა კაბინეტის კარი თანაშემწემ შემოაღო და მოახსენა: გუშინ რომ მთხოვეთ, ის მონაცემები მოგიმზადეთო.

— რომელი მონაცემები? — ჰკითხა გიორგიმ. იმხანად რამდენიმე საქმეს ერთდროულად იძიებდა და უცებ ვერ გაიხსენა.

— მოქმედ რესტავრატორთა სია, — ამ სიტყვებთან ერთად, თანაშემწემ მაგიდაზე რამდენიმე ფურცელი დაუდო.

— ყავა მოიმზადე, — უთხრა გიორგიმ, თავად კი სიის თვალიერებას შეუდგა.

ჩამონათვალში ათიოდე გვარი იყო. თანაშემწეს საქმის ცოდნით შეედგინა სია, თითოეული გვარის გასწვრივ საცხოვრებელი და სამუშაო მისამართები და ტელეფონის ნომრები იყო ჩამოწერილი.

— და ყველა ეს რესტავრატორი მოქმედია? — თანაშემწეს მიუბრუნდა გიორგი.

— ოფიციალურად ასეა.

— რას ნიშნავს „ოფიციალურად“?

— სია ეროვნულ მუზეუმში მომცეს. ზოგი მათი თანამშრომელია, ზოგს საჭიროებისდა მიხედვით იწვევენ. თბილისის ომის შემდეგ მუზეუმი დაკეტილია. სარესტავრაციო სამუშაოებიც არ მიმდინარეობს. როგორც მუზეუმში მითხრეს, ეს ადამიანები კერძო შეკვეთებზეც მუშაობენ, მაგრამ მათ კონკრეტულად, არაფერი იციან ამის შესახებ.

— ეს გვარი მეცნობა, — გიორგიმ სიის ბოლო სტრიქონს დაადო თითი.

— პაპაშვილი... — ამოიკითხა თანაშემწემ. — რომელიმე საქმეში ხომ არ ფიგურირებდა?

— არა, არა... საქმიდან — არა... — გიორგიმ საფეთქელზე მიიტანა თითი, მერე კი სწრაფად შებრუნდა და ოპერატიულ ცნობას გადასწვდა.

გვარი მართლაც, ამ დოკუმენტში აღმოჩნდა. მონაცემებიც ემთხვეოდა — სახელი, მამის სახელი, დაბადების წელი.

ცნობის თანახმად, იორამ პაპაშვილის ოჯახის წევრებმა ერთი კვირის წინ მისი გაუჩინარების შესახებ განაცხადეს. მთელი ამ ხნის განმავლობაში პოლიციამ მისი ადგილსამყოფლის დადგენა ვერ შეძლო. გუშინ კი მისი ცხედარი, სოღანლუღის მახლობლად, მტკვარმა გამორიყა.

— უცნაური დამთხვევაა, ძალიან უცნაური... — ჩაილაპარაკა გიორგიმ. — კაცი, რომელიც ამ სიაშია, მტკვარმა გამორიყა.

— საქმე კრწანისის რაიონში იქნება აღძრული. დავრეკო? — ჰკითხა თანაშემწემ.

— მიდი, — უპასუხა გიორგიმ და ოპერატიული ცნობის თავიდან გადაკითხვას შეუდგა.

დაღუპულის ძმის დაკითხვა უკვე მთავრდებოდა, როცა გიორგი კრწანისის რაიონის პოლიციის სამმართველოში მივიდა.

— პაპაშვილის საქმე გაინტერესებს? — გაუკვირდა პოლიციის უფროსს. — რაში დასჭირდა ქალაქის სამმართველოს მტკვარში ნაპოვნი „ტრუპი“?

— ჯერ არ ვიცი, დაგვჭირდა თუ არა. ვნახოთ, რას მომცემს დაკითხვა, — უპასუხა გიორგიმ, — პირველადი მონაცემები თუ გაქვთ?

— გვამი დღეს დილით მეთევზეებმა შენიშნეს. სოღანლუღის ბოლოში გამორიყა მტკვარმა... ცოტა დაბლა მაინც ჩაეტანა: გარდაბნის პოლიციას დაეწერებოდა, ახლა მე შემეტენა. რა გახსნის ამდენ მკვლელობას?! დღე არ გავა, რაიონში ვინმე არ გააგორონ!..

— ესე იგი, ნაღდად მკვლელობაა? — ჰკითხა გიორგიმ.

— უეჭველი... გვამი პროზექტურაშია. ექსპერტიზა ჯერ არ ჩაუტარებიათ, მაგრამ უკვე ვიცით, რომ მოკლულია. ორი ტყვია აქვს მოხვედრილი: ერთი — მკერდში, მეორე — „კანტროლკა“ თავში. პაპაშვილთან ერთად, მისი მანქანაც დაიკარგა, არსად ჩანს... ვფიქრობ, რომ ყაჩაღობის დროს მოკლეს. „ტრუპი“ წყალში გადააგდეს, მანქანა წაიყვანეს და ახლა ალბათ უკვე ბაქოშია ან ვლადიკავკაზში. სხვა ვერსია არ გვაქვს. ვის უნდა დასჭირვებოდა მაგის მოკვლა?.. უწყინარი კაცი იყო. თავისთვის ჩალიჩობდა. კრიმინალებთან ურთიერთობაში შემჩნეული არ იყო.

— იცნობდი?

— მე კი არა, მთელი სამმართველო იცნობდა. მაგას და მაგის ძმას აქვე, პოლიციის გვერდით პატარა „ცეხი“ აქვთ. მთელი დღეები ჩვენ თვალწინ ტრიალებდნენ.

— ოპერატიულ „სვოდკაში“ ეწერა, რომ ოჯახის წევრებმა ერთი კვირის წინ განაცხადეს მისი დაკარგვის შესახებ.

— ჰო, ეგრეა. მაგრამ მანამდე უკვე სამი დღის განმავლობაში არ გამოჩენილა, — უპასუხა პოლიციის უფროსმა.

— მანამდე რატომ არ მოიკითხეს? — გაუკვირდა გიორგის.

— ლენინის ვარიანტი ჰქონდა.

— რა შუაშია ლენინი?! — დაიბნა გიორგი.

— არ იცი?.. ძველი ანეკდოტია: ლენინი ეუბნება ძერჟინსკის, — ცოლი და საყვარელი აუცილებლად უნდა გყავდეს; სახლში თუ არ მიხვედი, ცოლი იფიქრებს, საყვარელთან წავიდაო, საყვარელთან თუ არ მიხვედი, ის იფიქრებს, ცოლმა არ გამოუშვაო, ამ დროს კი აძვრები სხვენში და თხზულებებს „შეუბერავო“!.. ეგეთი ვარიანტი ჰქონდა პაპაშვილსაც: ცოლიც ჰყავდა და საყვარელიც, ამიტომ, ორი-სამი დღე თუ არ გამოჩნდებოდა, ოჯახში ფიქრობდნენ, საყვარელთან არისო. სამი დღე იმიტომაც ელოდნენ, მაგრამ რომ აღარ გამოჩნდა, ძმამ საყვარელთან მიაკითხა, პანიკაში ჩავარდა და ეგრევე ჩვენთან გამოიქცა.

— საყვარელი დაიკითხა?

— ეე... შენ ვინა ყოფილხარ, ძმაო?! ეგრე ოპერატიულად მუშაობთ სამმართველოში?.. საქმე ერთი საათის წინ აღიძრა. ჯერ ექსპერტის დასკვნაც არა გვაქვს. გავერკვევით და მისთვისაც მოვიცლით. შენ თუ გინდა მისი დაკითხვა, ახლავე გავუშვებ ბიჭებს და მოვაყვანინებ, — შესთავაზა პოლიციის უფროსმა.

— არა, ჯერ ძმას დაველაპარაკები.

— როგორც გინდა... თუ გინდა, ჩემს კაბინეტში მოიცადე. ბიჭებს გავაფრთხილებ, როგორც კი დაკითხვა დამთავრდება, პაპაშვილი აქ მოგიყვანონ, — თქვა პოლიციის უფროსმა და კარისკენ გაეშურა.

გარდაცვლილის ძმა ორმოცდაათიოდე წლის იქნებოდა. მომხდარს მძიმედ ემოქმედა მასზე. წვერი რამდენიმე დღე არ გაეპარსა, თვალებიც ჩასცვენოდა.

— მე თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს გამომძიებელი ვარ, — თავი წარუდგინა გიორგიმ, — თქვენთვის რამდენიმე კითხვის დასმა მსურს. გთხოვთ, დაბრძანდეთ.

პაპაშვილი მითითებულ სკამზე დაჯდა და მერე თქვა:

— რაც ვიცოდი, უკვე ვუთხარი გამომძიებელს. დასამატებელი არაფერი მაქვს.

— მესმის, რომ თქვენთვის ძნელია საუბარი, მაგრამ ეს ისევ თქვენი ძმის საქმის გამოძიებას სჭირდება.

— კარგი... მკითხეთ, რაც გინდათ, — მიუგო პაპაშვილმა.

— რამდენადაც ვიცი, თქვენ და თქვენს ძმას პოლიციის მახლობლად საამქრო გაქვთ.

— ქუჩის მეორე მხარეს... მაგრამ

იმას ძნელად თუ უწოდებ საამ-ქროს. ნახევარსარდაფში 3 პატარა ოთახი გვაქვს დაქირავებული: ერთს საწყობად ვიყენებდით, ორში ვმუშაობდით.

— რაზე მუშაობდით? — ჰკითხა გიორგიმ.

— მე საყოფაცხოვრებო ელექტროაპარატურას ვარემონტებ — უთოებს, ელექტროჩაიდნებს, მაგნიტოფონებს... მოკლედ, ყველანაირ საოჯახო წვრილმანს.

— თქვენი ძმა?

— ის რესტავრაციით იყო დაკავებული. ბროლის, ფაიფურისა და ბრინჯაოს ნაკეთობებს აღადგენდა.

— ხატებსაც?

— მაგაზე ადრე მუშაობდა. მუზეუმთან ჰქონდა დადებული ხელშეკრულება, — თქვა პაპაშვილმა.



— დაღუპვამდე ცოტა ხნით ადრე თქვენს ძმას ხატის რესტავრირების შეკვეთა ხომ არ მიუღია? — განაგრძო გიორგიმ.

პაპაშვილი შეკრთა. ჯერ მძიმედ მოისრისა საფეთქლები, მერე თქვა:

— თავიდანვე არ მომეწონა იმ ხატის „ცეხში“ გამოჩენა...

— ამ ხატს გულისხმობთ? — გიორგიმ კილაძეების ოჯახიდან გატაცებული და შემდეგ საბაჟოზე ნაპოვნი ხატის ფოტო დადო მაგიდაზე.

პაპაშვილმა წამიერად დახედა და მაშინვე დაუდასტურა: ეს ხატი იყოო.

— როდის და რა ვითარებაში ნახეთ ეს ხატი? — სწრაფად ჰკითხა გიორგიმ.

— სამი კვირის წინ „ცეხში“ ერთი კაცი შემოვიდა და მკითხა: პაპაშვილი თქვენ ბრძანდებითო? — დიახ-მეთქი. — თქვენი მისამართი მუზეუმში მომცესო, და ამასთან ერთად, ჩანთიდან ხატი ამოიღო, — ამ ხატის რესტავრირება მინდაო. მე ხატი დავათვალიერე და ვუთხარი: — მისამართი შეგეშალათ, ბატონო, მაგ საქმეზე მე კი არა, ჩემი ძმა მუშაობს, ახლა აქ არ არის; თუ გინდათ, ხატი დატოვეთ და მე გადავცემ-მეთქი... — არაო... — მიპასუხა. — სხვა დროს შემოვივლიო!

— ეს კაცი იყო? — გიორგიმ გოგა კილაძის ფოტო უჩვენა.

— არა. ეს კაცი მერე მოვიდა....

— კეთილი... შემდეგ რა მოხდა?

— მეორე დღეს ის კაცი ისევ მოვიდა, — განაგრძო პაპაშვილმა, — ამჯერად ჩემი ძმა „ცეხში“ იყო. ხატი დაათვალიერა, მაგრამ რესტავრირებაზე უარი უთხრა: ახლა არ მცალია, თანაც, საჭირო მასალაც არ მაქვს; მისამართი და ტელეფონის ნომერი დამიტოვეთ და როცა ყველაფერს მოვამზადებ, მე თვითონ დაგიკავშირდებით... იორამის პასუხმა გამაკვირვა: იმხანად ორივე უფულოდ ვისხედით; თვითონაც იცით, რა დროში გვიწევს ცხოვრება, სადღაა სამუშაო?! იქით ვეძებთ კლიენტებს და ამ დროს ჩემი ძმა ნაღდ ფულზე ამბობდა უარს!..

— რატომ?.. იმ კაცს ხომ დაჰპირდა: მე თვითონ დაგიკავშირდებიო!

— კი, თქვა, მაგრამ ეგ ტყუილი იყო. მასალის უქონლობაშიც არ იყო საქმე. რომ მოენდომებინა, იმ დღესვე იშოვიდა ყველაფერს. მაგის გულისთვის კლიენტს არასდროს გააბრუნებდა და თუ გააბრუნებდა, სარესტავრაციო ნივთს მაინც დაიტოვებდა.

— ჰკითხეთ, რატომ მოიქცა ასე?

— რა თქმა უნდა. თანაც, გაბრაზებულიც ვიყავი. შიმშილით სული გვძვრება და ამ დროს კანფეტივით კლიენტი ხელიდან გაუშვი, ეგ კაცი შენ აღარ დაგელოდება, სხვა რესტავრატორს მოძებნის-მეთქი!.. მან კი მიპასუხა: ხატს ვერ დავიტოვებდი, ხომ ხედავ, რა ხდება უბანში, — დღე არ გავა, ვინმე არ დააყაჩაღონ ან არ მოკლანო!.. ესეც ტყუილი იყო: „ცეხისთვის“ ადგილი შემთხვევით კი არ შევარჩიეთ პოლიციის ახლოს; რომელი გიჟი გაბედავდა ჩვენთან შემოვარდნას?! თანაც, უბანში ყველასთან კარგი ურთიერთობა გვქონდა — „წითლებთანაც“ და „შავებთანაც“. ყველას პატივს ვცემდით და ჩვენც არავინ გვეხებოდა.

— თქვენს ძმას ახლო ურთიერთობა ჰქონდა კრიმინალებთან? — სწრაფად ჰკითხა გიორგიმ.

— არა, არა... — თავი გაიქნია პაპაშვილმა. — იმის თქმა მინდოდა, რომ უბნის ბიჭები პატივს გვცემდნენ. უსამართლოდ თვითონაც არ შეგვეხებოდნენ და სხვასაც არ მისცემდნენ ამის საშუალებას.

— კეთილი... ის კაცი აღარ გამოჩენილა? — გამოკითხვა განაგრძო გიორგიმ.

— ის აღარ გამოჩენილა, მაგრამ ხატის საქმეზე ჩემს ძმას ისევ მოაკითხეს.

— ვინ და როდის?

— იმ დღეს, როცა იორამი დაიკარგა... სამუშაო არ მქონდა და „ცეხში“ შუადღისთვის მივედი. კართან მიახლოებისას, ხმამაღალი ლაპარაკი გავიგონე. ვიღაცა ჩემს ძმას ეჩხუბებოდა: ვიღაც ახვარი ხომ არ გგონივარ?! იმ ხატის საქმე თუ შეგარჩინო, კაცი არ მერქვასო!.. მაშინვე „ცეხში“ შევედი. იქ ჩემი ძმა და ერთი ბიჭი დამხვდნენ. იმას იორამისთვის საყელოში ჩაევლო ხელი და აჯანჯღარებდა. ჩემს დანახვაზე, ხელი უშვა და შემობრუნდა. იორამს ვკითხე: ვინაა და რას გერჩის-მეთქი? მან კი პასუხის გაცემა არ მოინდომა. იმ ბიჭს უთხრა: წავიდეთ, სხვაგან ვილაპარაკოთო. ეს იყო და ეს. ისინი ერთად გავიდნენ „ცეხიდან“ და მას შემდეგ ჩემი ძმა ცოცხალი აღარ მინახავს...

— რატომ არ დაუკავშირეთ თქვენი ძმის გაქრობა იმ ახალგაზრდას? თქვენ ხომ თავად შეესწარით მათ ჩხუბს?! — გაუკვირდა გიორგის.

— იცით, ჩვენ ობლობაში გავიზარდეთ. ძალიან ახალგაზრდებს დაგვეღუპნენ მშობლები. იორამი მე გავზარდე. ისიც ისე მეკიდებოდა, როგორც მშობელს და არა როგორც ძმას — ჩემი რიდი ჰქონდა. ხვდებოდა, რომ საყვედურს ვეტყოდი და შინ აღარ დაბრუნდებოდა. ასეთი რამ ადრეც ჩაუდენია: 2-3 დღით გამერიდებოდა და მაშინ ბრუნდებოდა შინ, როდესაც ბრაზი გადამივლიდა...

— იმ ახალგაზრდის აღწერა თუ შეგიძლიათ?

— რა თქმა უნდა, — პაპაშვილი წამით ჩაფიქრდა და მერე განაგრძო: — ასე, 25 წლისა იქნებოდა, მაღალი, სპორტული აღნაგობის, ღია ფერის თმითა და გაყინული, ცისფერი თვალებით... და კიდევ, ლოყაზე ძალიან მკრთალი ხალი აქვს...

— რომ შეხვდეთ, იცნობთ? — სწრაფად ჰკითხა გიორგიმ.

— ვიცნობ, — დაუდასტურა პაპაშვილმა.

— კეთილი... მაშინ, ტექსტი წაიკითხეთ და ბოლოში ხელი მოაწერეთ, — თქვა გიორგიმ და დაკითხვის ოქმი მისკენ გააწურა.

*გაგრძელება შემდეგ ნომერში*

# მე – ფსიქოლოგი



ინგა ჯაყელი

...უცნაურმა სიზმარმა გამაღვიძა იმ დილით, 30 წლის რომ გავხდი — ჩემს სახლში იყო მოსული ვაჟი, რომელსაც რეალობაში არასოდეს შევხვედრივარ. დარწმუნებული ვარ, რაოდენ ბანალურიც უნდა იყოს, სიზმარშიც კი არ მოსულა თეთრ რაშზე ამხედრებული — ვითომ ინკასატორი იყო და, გაზის თუ ელექტროენერგიის მრიცხველს ამოწმებდა (ჰმ!)...

მაღალი, სუსტი... მუქი წაბლისფერი თმითა და თაფლისფერი თვალებით. ყველაზე მეტად კი მისი რბილი, დაბურცული ტუჩები დამამახსოვრდა, რომელსაც დაჟინებით (ნდომით!) მივაცქერდი, რაც არ გამოჰპარვია და მრავალმნიშვნელოვნად გამიღიმა:

— შემიძლია რაიმეთი დაგეხმაროთ?!

— მოფერება მინდა! — ვუთხარი მოურიდებლად და პირველმა გავიწიე მისი ტუჩებისკენ...

ამ დროს გამეღვიძა. არადა — მაინც მოვასწარი იმის დამახსოვრება, რომ საოცრად რბილი ტუჩები ჰქონდა...

ჰო, გაღვიძებამდე იმის თქმაც მოასწრო, — დავბრუნდებიო!

...გული დამწყდა გამოღვიძებულს. ვცადე ძილის შებრუნება, რომ მართლა დამებრუნებინა, მაგრამ ამაოდ...

კარგა ხანს ვიწექი თვალდახუჭული და ვცდილობდი, სიზმარში ნანახი ვინმესთვის მიმემსგავსებინა, რეალურ ყოფაში არსებული ნაცნობებიდან, მაგრამ სულ ამაოდ... ის ჩემს ოცნებას ჰგავდა მხოლოდ და ამიტომ მოვიდა სიზმარში...

ისე, ჰა და ჰა, 25 წლის თუ იქნებოდა. წესით, 30 წლის ასაკში 35-40 წლის მამაკაცებით უნდა ვინტერესდებოდე, მაგრამ არა — ის თაობა აშკარად უცხოა ჩემთვის, უმცროსებიის უფრო მესმის... პროფესიით ფსიქოლოგი ვარ და ვიცი, ამას პათოლოგიური გადახრის ელფერი აქვს ისევე, როგორც იმას, რომ ჩემს ასაკში ჩემი სექსუალური სურვილები კოცნისა და მოფერების ინტერესზე შორს არ წასულა და ისევ ქალწული ვარ... გასათხოვარ, ტრადიციულ ოჯახში აღზრდილ ქალს ეს ფაქტი საამაყოდ უნდა მიაჩნდეს. მე, პირიქით, კომპლექსი გამიჩნდა. თან, ისეთ წრეში ვტრიალებ, ჩემს ნაცნობებს შორის არც ერთი აღარაა ჩემ მსგავსად „მწარე ქალიშვილი" — ასე დამცინიან მეგობრები. ბევრს ქმარიც ჰყავს და მეგობარი მამაკაციც. ბევრმა, პრობლემები რომ არ შეჰქმნოდა, მობეზრებული ქმარი თავიდან მოიშორა და თავისუფლებით ტკბება. ისეთი მეგობრებიც მყავანან, გათხოვება და ბუზღუნა ქმრის მორჩილება სისულელედ რომ მიიჩნიეს და პირდაპირ მეგობარი მამაკაცი გაიჩინეს.

...მე თავისუფლებაზე უფლების მოპოვება იმით დავიწყე, რომ მამისეული სახლიდან წამოვედი, სადაც უკვე აუტანელი გახდა მშობლებისა და უფროსი ძმისგან იმის გაკონტროლება — სად ვიყავი, ვისთან ერთად და რატომ დავბრუნდი შინ ნაშუაღამევს?!.

ორი წელი ნაქირავებში ვიცხოვრე და ვირულად ვიშრომე. გამიმართლა, რომ იმ პერიოდში კატასტროფულად დავარდა ბინებზე ფასი და ახლა ოცჯერ უფრო ძვირადაც შემიძლია გავყიდო ჩემი პატარა სამოთხე, თუ გავიმეტე...

რა თქმა უნდა, შინაურებმა სასტიკი წინააღმდეგობა გამიწიეს. კარგა ხანს არც მელაპარაკებოდნენ და ვიცი, ყველაფერ ცუდს მისურვებდნენ, რომ უკან მივბრუნებულიყავი დამარცხებული, დამცირებული... ახლაც უჭირთ იმის გაგება, რომ პირადი ცხოვრება ხელშეუხებელია ყველაზე ახლო ადამიანებისთვისაც კი და ყველას აქვს უფლება, სხვების კი არა, საკუთარ ინტერესებზე იფიქროს და უამრავ პრობლემას ოჯახის წევრებთან დაძაბული ურთიერთობაც არ დაამატოს...

ახლა შემირიგდნენ, მაგრამ იშვიათად მსტუმრობს დედაც კი. ისე, არც მე ვიკლავ მშობლიურ სახლში სტუმრობით თავს. საამისოდ არც დრო მაქვს და არც სურვილი ჯერჯერობით... ისიც მაღიზიანებს, ბიძაშვილები ხშირ-ხშირად რომ მაგონებენ: ბავშვობიდან ასეთი უცნაური, ჯიუტი და თავნება იყავიო!..

რას ვაფუჭებ მერე, ჩემი პრინციპულობით და სიჯიუტით?!. ჩემს ასაკში ბევრს ჩასაცმელ-დასახურავის ყიდვაც არ შეუძლია დამოუკიდებლად — მე ბინაც ვიყიდე, ავეჯიც (სკამიც არ წამომიღია მამისეული სახლიდან: ისე, არც შემოუთავაზებიათ...) და ავტომანქანაც. კარიერაც დამოუკიდებლად ავაწყვე.

...მოკლედ, რეალობაში ვერსად რომ ვერ ვიპოვე, ისეთი ბიჭი მესიზმრა და ესეც დაბადების დღის საჩუქარი იყო ალბათ, ჩემი ბედის ანგელოზებისგან.

დაბადების დღის აღნიშვნას არ ვაპირებ. ყოველ შემთხვევაში, ტრადიციული ფორმით. არც მეგობრები დამიპატიჟებია, თავად სცადეს ჩემი რესტორანში მიწვევა, მაგრამ უარი ვთქვი. რაღაც უჩვეულო მინდა და მორჩა...

დიდი ხნის წინ ჩავიფიქრე, რომ თავად გავუკეთებდი თავს ამ დღისთვის რაიმე განსაკუთრებულ და ორიგინალურ საჩუქარს. რასაც მოვისურვებდი, არაფერზე ვეტყოდი საკუთარ თავს უარს — ლამის 2 წელია, ვაგროვებდი ფულს ყულაბაში და წუხულ რომ გავტეხე, საკმაოდ სოლიდური თანხაც დამიგროვებია: 2 ათასი დოლარი, თითქმის ამდენივე ევრო და ორჯერ მეტიც — ლარი. შემიძლია, ეს თანხა ერთ დღეში დავხარჯო თუნდაც ერთ საათში, მაგრამ — რაში?!

როგორც ვთქვი, ქეიფი და ხალხმრავალი წვეულება არ მიზიდავს. არც შოპინგი მომანიჭებს განსაკუთრებულ სიამოვნებას. ისედაც, კარგა ხანია, ვერ ვატევ კარადებში ფეხსაცმელსა და ტანსაცმელს...

ისე, პარიზში მოგზაურობაზეც შემეძლო მეფიქრა. უკვე ბევრ ქვეყანაში მოვახერხე მოგზაურობა და საფრანგეთივით არც ერთით არ მოვხიბლულვარ. მაგრამ ახლა არც ეს მომიტანს შვებას და აღმაფრენას, მით უმეტეს...

ისევ დილით გამოყოლილი სიზმარი გამახსენდა, იმ ბიჭის ეშმაკური გამოხედვა... არა, ჩემი ნაცნობებიდან არავის ჰგავდა. ალბათ, ჩემი ნაოცნებარი უფლისწული უფრო იყო — ცოტა სხვაგვარად რომ ყოფილიყო ჩაცმული და თეთრი ცხენიც ჰყოლოდა გვერდით, ასეთი იქნებოდა...

სხვათა შორის, გათხოვებასა და ქმარზე არასოდეს მიოცნებია. ამიტომ ჩემს ასაკშიც კი არ მაქვს წარმოდგენილი თავი ცოლის როლში,

როცა მამაკაცის ყველა კაპრიზი უნდა აიტანოს ქალმა და საკუთარი ინტერესებიც უკანა პლანზე გადასწიოს.

მე უფრო სხვაგვარი ურთიერთობების მომხრე ვიყავი ყოველთვის; არა ისეთის, საქართველოში ბოზობას რომ ეძახიან, მოკლედ და გასაგებად.

მაგრამ ერთ მამაკაცთან ურთიერთობას ბოზობას ვერასოდეს ვუწოდებ, თუნდაც ის მამაკაცი ცოლიანი იყოს და გარკვეულწილად ბედნიერადაც გრძნობდეს თავს იმ თავის ოჯახში.

მე სწორედ ასეთ ურთიერთობას თუ შევძლებ მამაკაცთან: შევხდები მხოლოდ კარგ ხასიათზე მყოფი და მანამდე, სანამ ეს სიხარულს მომანიჭებს. სიხარულის გარეშე კი ერთი საათითაც არ ვაიძულებ თავს მასთან დარჩენას...

დიდი ხნის წინ, სადღაც მოსმენილი ერთი ფრაზა ჩამრჩა მეხსიერებაში და მის ჭეშმარიტებაში დღემდე არ მეპარება ეჭვი: „ჭკვიანი ცოლები არ არსებობენ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ჭკვიანი ქალები არ თხოვდებიან!“

წარმომიდგენია, როცა ცოლები წაიკითხავენ ამას, რა ლანძღვა-გინების კორიანტელს დამატეხენ თავს. არადა, თუ დაფიქრდებიან, შეუძლებელია, არ დამეთანხმონ, რომ ყველა კაცი და შესაბამისად, ყველა ქმარი ერთნაირია: როგორი ერთგულებითაც უნდა ემსახუროს ცოლი, მაინც მიაჩნია, რომ მეტს და უკეთესს იმსახურებს. არც შემთხვევით სასიყვარულო ურთიერთობებზე ამბობს უარს.

არა-ა, კაცებზე ნამდვილად არ ვარ დიდი წარმოდგენის და არც ღირსეულ პარტნიორებად მიმაჩნიან, — როგორც პირად ცხოვრებაში, ისე ნებისმიერ საქმიანობაში. მგონი, ისინიც გრძნობენ ჩემს ირონიაშერეულ დამოკიდებულებას და ამიტომ ხშირად დამდუღრულებივით გამირბიან: კაცებს ხომ არ უყვართ ძლიერი, ჭკვიანი და დამოუკიდებელი ქალები!.. ისინი ადვილად დასამორჩილებლებთან ამჯობინებენ ხანგრძლივ ურთიერთობებს. ხანმოკლე ურთიერთობები კი თავად არასოდეს გამიბამს ვინმესთან და მამაკაცებს რომც გასჩენოდათ ამის სურვილი, არავისთვის მიმიცია ასე ახლოს მოსვლის ნება, რომ რამე „გაებედათ“... ყველა ადვილად დავაფრთხე და ჩამოვიშორე, გარდა ერთისა...

ის ერთი ჩემსავით ჯიუტია, მაგრამ არა ჩემსავით ძლიერი და მიუხედავად არაერთი მცდელობისა, ვერაფრით შემოაღწია ჩემს ცხოვრებაში. შარშანდელ დაბადების დღეზე ბრილიანტისთვლიანი ბეჭედი მაჩუქა. დაბრუნებას ვაპირებდი: როცა კაცები ასეთ ძვირფას საჩუქარს აკეთებენ, სანაცვლოდაც ელოდებიან რაღაცას, მე კი ამის ფასს ვერაფერს მივცემ-მეთქი!..

— მე რაც მინდა, ამაზე ბევრად ძვირი ღირს! — გამიღიმა და ისე წავიდა, ერთი კოცნაც კი არ უთხოვია სანაცვლოდ...

ვაჟა შელია 10 წლითაა ჩემზე უფროსი. მამაც ფულიანი ჰყავდა, მაგრამ თავად ბევრად მეტი შეძლო — საკუთარი ბიზნესიც აქვს და პოლიტიკაშიც შეაღწია, ამ ბიზნესის წყალობით... ცოლი და ორი მოზრდილი შვილი ჰყავს, კარგი მეოჯახის სახელიც აქვს.

ჯერ ისევ სტუდენტი ვიყავი, რომ გავიცანი: ვაკანსიები იყო მის ფირმაში და გასაუბრებაზე ჩავეწერე. მაშინ 20 წლისაც არ ვიყავი. შემომხედა თუ არა, რაღაც გადაულაპარაკა კომისიის წევრებს, მერე კი სავიზიტო ბარათი გამომიწოდა:

— ხვალ საღამოს დამირეკეთ! — მითხრა იმდენად გულგრილი გამომეტყველებით, მართლა ვერ მივხვდი, რა იფიქრა და რა შეიძლებოდა ჩემთვის შემოეთავაზებინა.

დანიშნულ დროს დავურეკე. ისევ მოკლედ მითხრა, — გელოდებიო! — და კაბინეტში დამიბარა. მდივანმა შემაცილა. სამუშაო დღის ბოლო იყო.



— ბატონო ვაჟა, თუ არ გჭირდებათ, წავალ!

— ყავა მოგვიდუღე და შეგიძლია, წახვიდე!..

სკამზე მიმითითა და როცა დავჯექი, შევამჩნიე, რომ სასურველზე ბევრად მოკლე კაბა მეცვა. აშკარად მიხვდა, რაც გავიფიქრე, გაეცინა და ალალად მითხრა:

— მაგ მოკლე კაბის და ლამაზი ფეხების დამსახურებაცაა, ახლა აქ რომ ხარ...

ავპილპილდი:

— მგონი, რაღაც გეშლებათ, მე „ისეთი“ არა ვარ!..

— „ი-სეთი“... — სიტყვა გაწელა ჩემმა მასპინძელმა. — არც მე მენდომებოდი და თუ სულში რაიმე სიბინძურე გაქვს, შეგიძლია, მიბრძანდე, არაფერი გამოგვივა...

დავიბენი.

— ინგლისური და რუსული იცი? — ჩემ წინ გადმოჯდა.

— რუსული უფრო სრულყოფილად. სკოლაც რუსული დავამთავრე...

— ალბათ რუსიც გყავდა ვინმე, თუ გარეგნობის მიხედვით ვიმსჯელებთ, — მოურიდებლად შემათვალიერა.

— ორივე ბებია რუსი მყავს. რა სამსახურს მთავაზობთ? — გადავედი იმ თემაზე, რომელიც ყველაზე მეტად მაინტერესებდა.

ამ დროს მდივანმა ყავა შემოიტანა და სანამ ის სუფრას აწესრიგებდა, ვაჟას სიტყვაც არ უთქვამს...

— მოდი, შენს თანამდებობას ასე დავარქვათ — საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი (მაშინ ასეთი თანამდებობა ჯერ კიდევ უცხო ხილი იყო). ჩემთან ერთად ივლი შეხვედრებზე, დახვდები სტუმრებს, მოაწესრიგებ ჩემს ფოსტას და ა.შ. არ გაგიჭირდება თავის გართმევა, მით უმეტეს, რომ ფსიქოლოგობა აგირჩევია და სწორედ ფსიქოლოგის კარგი ალღო თუ შეგანარჩუნებინებს სამსახურსაც და ჩემს კეთილგანწყობილებასაც... მე მეგობარიც მჭირდება, ეკა! — თვალი თვალში გამიყარა ვაჟამ.

— ეგ მეგობრობა ლოგინსაც გულისხმობს?! — მეყო სითავხედე, 10 წლით უფროსი კაცისთვის ასეთი კითხვა დამესვა 20 წლის გოგოს.

ხმამაღლა, გულიანად გაიცინა:

— ეგ იმ შემთხვევაში, თუ ორივეს გვენდომება. ძალადობას არ ვაპირებ.

...4 წელი ვიმუშავე ვაჟა შელიასთან და შეიძლება ითქვას, მან უფრო გამიძლო მე, ვიდრე — მე მას...

საზღვარგარეთაც ვაჟამ წამიყვანა პირველად, საქმიანი ვიზიტით. თურქეთში ვიყავით. მერე, პარიზიც ვაჟამ მაჩვენე პირველად... უფრო მეტიც, ბიზნესის ანბანა და წარმატების მიღ-

## როცა დავჯექი, შევამჩნიე, რომ სასურველზე ბევრად მოკლე კაბა მეცვა. აშკარად მიხვდა, რაც გავიფიქრე, გაეცინა...

წევის საიდუმლოებებიც გამანდო. მოგვიანებით, უკეთესი სამსახურიც მაშოვნინა. ამის გამო ჭორაობდნენ კიდეც ჩვენზე, მაგრამ დღემდე ჩვენ შორის არათუ სექსი, კონცაც კი არ ყოფილა. მეგობრები კი ნამდვილად ვიყავით და ვართ.

ზოგჯერ ისეთ სიტუაციაში აღმოვჩენილვართ, მიფიქრია, რომ აუცილებლად მოხდებოდა „რაღაც“ ჩვენ შორის, მაგრამ ვაჟა ყოველთვის თავს იკავებდა. ერთხელ ვერ მოვითმინე და ვკითხე, როგორ ახერხებდა ამას?

— უბრალოდ, ვგრძნობ, რომ არა ხარ მზად ამისთვის და გამიძალიანდები... მოკლედ, მინდა, შენ იყო სიახლოვის ინიციატორი...

ამის სურვილი კი არასოდეს გამჩენია წლების განმავლობაში. არადა, ვაჟა ბევრი ქალისთვის საოცნებო მამაკაციც კი შეიძლებოდა ყოფილიყო.

...ფიქრი ტელეფონის ზარმა გამაწყვეტინა. მელოდიით ვიცანი, რომ ვაჟა იყო და ამიტომაც დავწვდი აპარატს, თორემ გადაწყვეტილი მქონდა, სხვებისთვის არ მეპასუხა:

— გულმა გიგრძნო, რომ სწორედ ახლა ვფიქრობდი შენზე?! — დიდი ხანია, „შენობით“ ფორმაზე ვართ გადასულები.

— და რას ფიქრობდი? — ტონის მიხედვით ვიგრძენი, როგორ გაეღიმა.

— რა ვიცი... გადავწყვიტე, დაბადების დღე მარტოობაში გავატარო: მოწყენილი ვარ — 3 ათეული არც ისე სახუმარო ასაკია ქალისთვის... არავის დანახვა არ მინდა.

— არც ჩემი?

— რაიმე ორიგინალურის შემოთავაზება თუ შეგიძლია...

— ორი დღით ბათუმში ვარ მიწვეული და ერთ საათში გავდივარ. თუ წამოხვალ, დღისით ზღვასთან დაგტოვებ მარტოს, საღამოს კი სადმე განვმარტოვდეთ...

ისე მომინდა ზღვის სიახლოვე, უყოყმანოდ დავთანხმდი:

— მოვდივარ!

...ერთ საათში უკვე გზაში ვიყავით. მანამდე ვაჟამ ისევ ოქროს ნივთი მაჩუქა — საოცრად ლამაზი ყელსაბამი:

— როცა ბებერი და პენსიის იმედად დარჩენილი მარტოხელა ვიქნები, ალბათ შენი ნაჩუქარი ოქროს სამკაულებით გავიტან თავს...

— მარტო რატომ უნდა იყო?

— საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ ჩემგან ცოლი არ გამოვა.

— ეგ მართალია! — დამეთანხმა და ისევ გამაოცა თავისი „მიხვედრილობით“. — ჩემს ცოლს იმიტომაც ვაფასებ, მე რომ მიძლებს და მიტანს.

— შენ რა გჭირს „აუტანელი“?! — შევხედე გაოცებულმა.

— აღარ მიყვარს და ვეღარც ვეფერები... ზოგჯერ მგონია, არც არასოდეს მყვარებია... თითქმის არც ვლაპარაკობთ, მით უმეტეს, ინტიმურ თემებზე...

— ძნელი დასაჯერებელია! — ისევ ეჭვით გავხედე კაცს.

— ასე რომ არ იყოს, ახლა შენ კი არა, ის იქნებოდა ჩემ გვერდით...

— და მე რას გაძლევ იმაზე მეტს, ვიდრე ცოლი? — ვკითხე ის, რითაც ადრე არასოდეს დავინტერესებულვარ.

— იმედს! — ორაზროვნად გაიღიმა კაცმა.

— იმედი იმოდენაა... — ვეღარ გავაგრძელე აზრი.

— მეც უზომოდ ბევრს მოველი — შენგანაც, ცხოვრებისგანაც... არა, ცხოვრებამ იმაზე ბევრად მეტი მომცა, ვიდრე ჩემი ცოდვილი ბუნებით ვიმსახურებ ალბათ, მაგრამ ჩემი ყოველდღიურობა მაინც არაა ის, რაც სიმშვიდეს, სიხარულის განცდას მომანიჭებდა...

— მეოცნებეც ყოფილხართ, ბატონო ვაჟა! — კიდევ ერთი ახალი შტრიხი აღმოვაჩინე მამაკაცის ხასიათში. არადა, მეგონა, ხუთი თითივით ვიცნობდი.

— გამოუსწორებელი მეოცნებე და ფანტაზიორიც.

— შენს ფანტაზიებშიც ჩამახედებ? — თხოვნა გავურიე ხმაში, რადგან როგორც ფსიქოლოგი, დავინტერესდი.

— ვნახოთ, — მიპასუხა და გაჩუმდა. მე კი ჩემს ფიქრებს მივუბრუნდი, დილიდან რომ ამეკვიატა და თითქოს ესეც აღმოჩენად მექცა, საკუთარი თავის უკეთ შეცნობაში რომ დამეხმარა...

— რაზე ფიქრობ? — თმა აშიწეწა ვაჟამ, მერე გადმოიხარა და ლოყაზე მაკოცა.

— 30 წელი ცხოვრების ნახევარზე მეტია ქალისთვის... სიბერის შემეშინდა უცებ.

— შენ რომ არც ქალი ხარ? — მსუბუქი ირონია გაუკრთა თვალებში.

— აბა, ვინ ვარ? — ვერ მივუხვდი ორაზროვან მინიშნებას.

— რა ვიცი.. გოგონასა და შინაბერას შორის „გაეჩხირე“... არასოდეს გქონია მამაკაცთან დაწოლის სურვილი? — პირდაპირ დამისვა დელიკატური კითხვა.

— იქნებ მქონია კიდევაც? — გამომწვევად ვუპასუხე.

— არ მგონია... ჯერ ერთი, უამრავი ვინმე გადევნებს თვალს და ასეთ ამბავს უცებ მომიტანდნენ... თანაც, ნამდვილი კაცები გუმანით ვგრძნობთ, „კაცთან ნაწოლი დიაცის“ სურნელს.

— იცი, კაცი არ შემხვდა ალბათ, ვინც ინტიმური ურთიერთობის სურვილს გამიჩენდა! — რატომღაც, მწარედ შევუტიე ვაჟას...

— ე.ი. არც მე ვარ შენთვის კაცი?! — ისე გამიღიმა, მივხვდი, არ სწყენია და მეც უკან დავიხიე:

— მგონი, განუვითარებელი დავრჩი... არ შევუწუხებივარ ორგანიზმს, თორემ ხომ იცი, მხოლოდ იმიტომ — ხალხი რას იტყვის-თქო?! — თავის ტკივილსა და გულის ფრიალს არ ავიტეხ, როგორც ეს ქართველი ქალების უმრავლესობას ემართება. იცი, რამდენი პაციენტი მყავს, ვინც სექსუალურ მოთხოვნილებას ვერ იკმაყოფილებს და ამიტომ ნევროზი სჭირს?!. სხვათა შორის, ბევრ მათგანს ქმარიც ჰყავს, შვილებიც, მაგრამ სექსისგან სიამოვნება ერთხელაც არ მიუღია. ტრადიციული აღზრდის გამო ვერ ბედავენ მეუღლეებთან სექსუალური ფანტაზიის გამოვლენას, სხვა კაცის სიყვარულზე კი ფიქრიც დაუშვებლად მიაჩნიათ...

— შენ ფსიქოლოგი ხარ თუ სექსოპათოლოგი? — ისევ ირონია გაურია ვაჟამ ხმაში.

— სექსოპათოლოგიც ფსიქოლოგია იდეაში, ოღონდ — ერთი მიმართულებით მომუშავე... და სხვათა შორის, კარგი იდეა მომაწოდე: შეიძლება, სერიოზულად ვიფიქრო სექსოპათოლოგობაზე...

— ნუ გამაგიჟე! 30 წლის ქალს სექსი არ გქონია და სხვას რა უნდა ასწავლო?! — ახლა აღშფოთებაც იყო ვაჟას ხმაში.

— ჰოდა, სექსის შეცნობით დავიწყებ ახალი პროფესიის ათვისებას, თანაც დაუყოვნებლივ...

— მზად ვარ, გემსახურო! — პათეტიკურად თქვა და ისევ ხმამაღლა გაეცინა.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

ავტორს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელეფონით: 899.71.89.39.

# შეხვედრები სტალინთან

## ფრაგმენტები ვლადიმირ კარპოვის წიგნიდან „გენერალისიმუსი“




*1939 წლის 25 სექტემბერს გერმანიის ელჩი მოსკოვში თავის საგარეო საქმეთა სამინისტროს უპატაკებდა:*

*„სრულიად საიდუმლოდ! სასწრაფოდ!*

*სტალინმა და მოლოტოვმა მთხოვეს, დღეს 20 საათისთვის გამოვცხადებულიყავი კრემლში. სტალინმა მითხრა: პოლონური საკითხის საბოლოოდ დარეგულირებისას, თავიდან უნდა ავიცილოთ ყველაფერი, რამაც შეიძლება, გერმანიასა და საბჭოთა კავშირს შორის ურთიერთობაში ბზარი შეიტანოს. აქედან გამომდინარე, მას არასწორად მიაჩნია პოლონეთის სახელმწიფოს ნარჩენის დამოუკიდებლად დატოვება...“*

*დასაწყისი იხ. „გზა“, №27-39*

### თავდაუსხმელობის პაქტი და საიდუმლო ოქმები

*„...ის გვთავაზობს: სადემარკაციო ხაზიდან აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორიები, მთელი ლუბლინის ოლქი და ვარშავის ოლქის ის ნაწილი, რომელიც მდინარე ბუგამდე გრძელდება, უნდა დაემატოს ჩვენს (გერმანიის) ულუფას. ამის სანაცვლოდ ჩვენ უარს ვამბობთ პრეტენზიებზე ლიტვასთან დაკავშირებით.*

*სტალინმა წამოაყენა წინადადება, ამ საკითხზე ვიმსჯელოთ იმ მოლაპარაკებაზე, რომელიც საგარეო საქმეთა მინისტრთან მომდევნო შეხვედრისას უნდა გაიმართოს და დასძინა, რომ ჩვენი თანხმობის შემთხვევაში, საბჭოთა კავშირი დაუყოვნებლივ მოჰკიდებს ხელს ბალტიისპირეთის სახელმწიფოების საკითხის გადაწყვეტას იმგვარად, როგორც ეს 23 აგვისტოს ოქმითაა გათვალისწინებული და ამ დროს, გერმანიის მთავრობის მხარდაჭერას ელის. სტალინმა ხაზგასმით მიუთითა ესტონეთზე, ლატვიასა და ლიტვაზე, მაგრამ არ უხსენებია ფინეთი.*

*მე ვუპასუხე, რომ ყველაფერს ჩვენს მთავრობას მოვახსენებ. შულენბურგი“.*

27 სექტემბერს რიბენტროპი კვლავ ჩავიდა მოსკოვში, ხოლო 28-ში მან და მოლოტოვმა ხელი მოაწერეს ახალ გერმანულ-საბჭოთა „ხელშეკრულებას საბჭოთა კავშირსა და გერმანიას შორის მეგობრობისა და საზღვრების შესახებ“. ეს ხელშეკრულება ოფიციალურად და იურიდიულად აფორმებდა პოლონეთის ტერიტორიის დაყოფას გერმანიასა და საბჭოთა კავშირს შორის; მას ახლდა რუკა, რომელზეც ასახული იყო ახალი საზღვარი; ამ რუკას ხელს აწერდნენ სტალინი და რიბენტროპი.

ამ ხელშეკრულებას 2 დამატებითი საიდუმლო ოქმი ჰქონდა თანდართული. ერთ-ერთ მათგანში დაფიქსირებული იყო ტერიტორიულ დაყოფაში შეტანილი ცვლილებები, რომლებიც სტალინმა მანამდე შეათანხმა გერმანულ მხარესთან, კერძოდ, ის, რომ ლუბლინის ოლქი და ვარშავის ოლქის ნაწილი გერმანიის გავლენის სფეროში გადადიოდა, ხოლო საბჭოთა კავშირს მთელი ლიტვის ტერიტორია ეთმობოდა.

გერმანული და საბჭოთა მხარეები შეთანხმდნენ იმაზეც (და შემდგომ, მიუხედავად სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლისა, განუხრელად იცავდნენ ამ შეთანხმებას), რომ ამ საიდუმლოს არასდროს გამოამჟღავნებდნენ(!).

პირველად ამ საიდუმლო დოკუმენტების ფაქტი ნიურნბერგის პროცესზე ახსენეს, როცა სამხედრო დამნაშავეებმა, რომლებიც საბრალდებო სკამზე ისხდნენ, სცადეს, შემხვედრი ბრალდებები წამოეყენებინათ და, საიდუმლო შეთანხმებების გამოყენებით დაემტკიცებინათ, რომ საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელები აგრესიის ისეთივე სათავეს წარმოადგენენ, როგორსაც გერმანელები.

სასამართლო დაკითხვისას, ჰესის ადვოკატმა გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ყოფილ სტატსმდივანს საიდუმლო ოქმის არსებობის შესახებ ჰკითხა. ვაიცზეკერმა ასეთი დოკუმენტის არსებობა დაადასტურა და მის შინაარსს მოჰყვა. სასამართლოს თავმჯდომარემ ჰკითხა მოწმეს:

— თქვენ ნანახი გაქვთ ეს საიდუმლო შეთანხმება?

ვაიცზეკერმა უპასუხა:

— დიახ, ნანახი მაქვს ამ შეთანხმების ფოტოასლი; შესაძლოა, დედანიც მინახავს, მაგრამ ფოტოასლი ნამდვილად მჭერია ხელში. ერთ-ერთი ფოტოასლი ჩემს სეიფშიც ინახებოდა.

სხდომაზე გამოცხადებული შესვენების დროს, საბჭოთა კავშირის მხრიდან მთავარმა ბრალმდებელმა რუდენკომ პროტესტი გამოთქვა ამ საკითხზე დებატების გამო, რადგან სასამართლოს დაწყებამდე გამარჯვებული ქვეყნების მთავარი ბრალმდებლები წინასწარ შეთანხმდნენ იმაზე, რომ არ შეეხებოდნენ ისეთ საკითხებს, რომლებიც ბრალდებულებს შესაძლებლობას მისცემდა, საქმე მათ სასარგებლოდ შეებრუნებინათ; მათ შორის, საბჭოთა მხარეს დასახელებული ჰქონდა „საბჭოთა კავშირ-გერმანიის პაქტი თავდაუსხმელობის შესახებ და მასთან დაკავშირებული საკითხები“.

ბრალდებულთა კომიტეტმა რუდენკოს მხარი დაუჭირა. ამის შედეგად, ტრიბუ-



**ევროპაში „ახალი წესრიგის“ დამყარებაზე შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ: რიბენტროპი, სტალინი და მოლოტოვი**




**პოლონეთის მოსპობა – დანაწილების ამსახველი რუკა**

ნალმა უარყო ადვოკატ ზაიდლის პრეტენზიები და გამოიტანა დადგენილება — არ შეეტანათ სხდომის ოქმში საბჭოთა კავშირის მიმართ გამოთქმული ბრალდებები. მიუხედავად ამისა, თავის უკანასკნელ სიტყვაში რიბენტროპი მაინც შეეხო აღნიშნულ თემას. მან თქვა:

— როცა 1939 წელს მოსკოვში მარშალ სტალინთან ჩავედი, მას სულაც არ უცდია, განეხილა გერმანულ-პოლონური კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოწესრიგების საკითხი, არამედ მიმანიშნა იმაზე, რომ თუ ვერ მიიღებს პოლონეთის ნახევარსა და ბალტიისპირეთის ქვეყნებს, მაშინ ჩვენს მოლაპარაკებას აზრი არა აქვს და შემიძლია, დაუყოვნებლივ დავბრუნდე გერმანიაში.

ასე გამომზეურდა საიდუმლო ოქმის ფაქტი. მისი გერმანული დედნის ისტორია კი ასეთია: სანამ ფრონტებზე საბრძოლო მოქმედება გერმანიისთვის სასიკეთოდ გრძელდებოდა, ხელშეკრულება და საიდუმლო ოქმი საგარეო საქმეთა სამინისტროს სეიფში ინახებოდა, მაგრამ როცა უკვე ნათელი გახდა, რომ ის ომს აგებდა და უზარმაზარი არქივების სადმე გადაზიდვა და გადამალვა ვერაფრით მოხერხდებოდა, რიბენტროპმა ბრძანა, ფოტოფირზე გადაეტანათ ყველაზე მნიშვნელოვანი დოკუმენტების მიკროასლები.

1945 წლის გაზაფხულზე, არქივების განადგურების ბრძანება გაიცა. მისი შესრულებისას, მრჩეველმა კარლ ფონ ლეტმა დოკუმენტები გაანადგურა, ხოლო მიკროფილმები (20 „კოჭი" ფირი, რომელიც 9725 გვერდს იტევდა) რკინის კოლოფში მოათავსა, ზეთით გაჟღენთილ ქსოვილში შეფუთა და ტიურინგიაში, შენბერგის ციხე-კოშკის პარკში მიწაში ჩაფლა. 1945 წლის 12 მაისს გერმანელმა მაღალჩინოსანმა ფონ ლაშმა ამ დოკუმენტების შესახებ ინგლისის არმიის ვიცე-პოლკოვნიკ რობერტ თომსონს აცნობა, მან კი ეს ინფორმაცია მოკავშირე ამერიკელებს მიაწოდა. 14 მაისს კოლოფი მიწიდან ამოიღეს, 19 მაისს ლონდონში ჩაიტანეს, სადაც ამერიკელებმა დუბლიკატები დაამზადეს. სწორედ ამ მიკროფილმებიდან გაკეთდა შემდგომ ფოტოასლები, რომლის შესახებაც ახლა უკვე მთელმა მსოფლიომ იცის.

მაგრამ თუკი გერმანული მხარის მიერ დაცული დედნების საკითხი გარკვეულია, კვლავაც დაუდგენელი რჩება, რა იქნა საბჭოთა დედნები.

როგორც ცოტა ხნის წინ გახდა ცნობილი, საიდუმლო ოქმის დედანი თავდაპირველად, მოლოტოვის პირად სეიფში ინახებოდა. სახელმწიფოს სახელით ხელმოწერილი დოკუმენტის შესახებ, ამ ფაქტის მომსწრეების გარდა, ქვეყანაში არავინ არაფერი უწყოდა, მათ შორის — არც ცეკას პოლიტბიურომ, არც უზენაესმა საბჭომ. არადა, ამ ოქმის შინაარსი 1946 წლის 23 მაისს ამერიკულ გაზეთში — „სან-ლუი პოსტდისპეჩ" გამოქვეყნდა.

საბჭოთა გაზეთებში ეს დოკუმენტი არასდროს უხსენებიათ, უფრო მეტიც — მის არსებობას უარყოფდნენ კიდეც, მაშინ, როცა ამასთან დაკავშირებით უცხოურ მედიაში რაიმე დაიბეჭდებოდა. 1989 წელს, საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობაზე ჩამოყალიბდა კომისია, რომელსაც „1939 წლის 23 აგვისტოს გერმანულ-საბჭოთა ხელშეკრულების პოლიტიკური და სამართლებრივი შეფასება" უნდა მიეცა. კომისია გაეცნო საგარეო საქმეთა სამინისტროს, თავდაცვის სამინისტროს, კა-გე-ბეს, მთავარი საარქივო სამმართველოს, ცეკას საერთო განყოფილებისა და მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის არქივებს. ვერსად საიდუმლო ოქმის დედანს ვერ მიაგნო...

## ამ საიდუმლო ოქმის შედგენისა და ხელმოწერის ინიციატორი არა გერმანული, არამედ ჩვენი მხარე იყო

როცა წიგნზე მუშაობისას დაგროვილ მასალას ვეცნობოდი, ნიურნბერგის პროცესზე გადაღებულ ფოტოებს ვათვალიერებდი, ვფიქრობდი ამ მოვლენების მონაწილეებზე — სტალინზე, ჰიტლერზე, მოლოტოვზე, რიბენტროპზე — რომლებიც კარგა ხანია, ჩამოსული იყვნენ ისტორიის სცენიდან და უეცრად გამახსენდა, რომ არსებობდა ადამიანი, რომელიც ამ მოღვაწეების გვერდით იმყოფებოდა და შეეძლო, მოეთხრო იმის შესახებ, თუ რა ხდებოდა აღნიშნული შეთანხმებების დადებისას. ეს გახლდათ თარჯიმანი — ვლადიმირ პავლოვი.

**ადრე ქერა, მილეული, ფოტოებზე სულ სადღაც, „კუთხეში მიკუნჭული", ახლა აშკარად „დამძიმებულია", თმა სრულიად გასთეთრებია...**



რის ვაი-ვაგლახით დავადგინე მისი ადგილსამყოფელი (მოსკოვში ადამიანის მოძებნა ერთობ რთული ამოცანაა), ტელეფონით მოველაპარაკე შეხვედრაზე და შინ ვეწვიე.

კარი მისმა ცოლმა — საკმაოდ ენერგიულმა და აქტიურმა ქალბატონმა გამიღო. უმალ გამაფრთხილა, რომ ვლადიმირ ნიკოლაევიჩი არ იძლევა ინტერვიუს, არ წერს მემუარებს, ხოლო ჩემთან საუბარს მხოლოდ იმიტომ დათანხმდა, რომ პატივს მცემს, როგორც მწერალს. პატარა მაგნიტოფონი, რომელზეც საუბრის ჩაწერას ვაპირებდი, ქალმა ჩამომართვა და შემოსასვლელში გაიტანა...

როგორც იქნა, ვლადიმირ ნიკოლაევიჩიც გამოვიდა. ადრე ქერა, მილეული, ფოტოებზე სულ სადღაც, „კუთხეში მიკუნჭული", ახლა აშკარად „დამძიმებულია", თმა სრულიად გასთეთრებია... 80-ს მიტანებული იქნება; აშკარაა, არც ისე კარგად გრძნობს თავს, მაგრამ მეხსიერება არ ღალატობს.

**„— მომიყევით გერმანია-**



**რუდენკო ნიურნბერგის პროცესზე**



გერმანელი და საბჭოთა ოფიცრები ოკუპირებულ პოლონეთში

**სთან თავდაუსხმელობის შესახებ ხელშეკრულების ხელმოწერაზე. ახლა ბევრს წერენ ამ ხელშეკრულების რაღაც საიდუმლო დამატებაზე — ოქმზე, მაგრამ ამ დოკუმენტისთვის სპეციალურ კომისიასაც ვერ მიუგნია. თქვენ მოლაპარაკებებში მონაწილეობდით და ამჟამად, იმ მოვლენების ერთადერთი ცოცხალი მომსწრე ბრძანდებით, გაიხსენეთ 1939 წლის 23 აგვისტო. მიპასუხეთ მთელი პირდაპირობით — მართლა არსებობდა თუ არა საიდუმლო ოქმი?**

— დიახ, არსებობდა. უფრო მეტსაც გეტყვით, რაც ბევრისთვის ძნელად დასაჯერებელიც კი იქნება: ამ საიდუმლო ოქმის შედგენისა და ხელმოწერის ინიციატორი არა გერმანული, არამედ ჩვენი მხარე იყო.

**— ეს მართლაც, მოულოდნელია ჩემთვის.**

— ამაში გასაკვირი არაფერია. საიდუმლო ოქმს ახლა აძაგებენ, იმ დროს კი, შექმნილი საერთაშორისო მდგომარეობის გათვალისწინებით, მას როგორც სტალინის ბრძნულ ნაბიჯს, ისე აფასებდნენ. ჰიტლერს უსაფრთხო ზურგი სჭირდებოდა. მას ძალიან ეჩქარებოდა ამ ხელშეკრულების გაფორმება. პოლონეთზე თავდასხმამდე სულ რამდენიმე დღე რჩებოდა, ამას კი საფრანგეთზე თავდასხმა უნდა მოჰყოლოდა. ჰიტლერის მიზანი იყო — არ დაეშვა აღმოსავლეთში მეორე ფრონტის გახსნა. რიბენტროპმა ძირითადი ხელშეკრულების ტექსტი ჩამოიტანა. სტალინმა, მოლოტოვმა ის განიხილეს და თავიანთი შესწორებები შეიტანეს. უეცრად, სტალინმა განაცხადა: „ამ ხელშეკრულებას აუცილებელია დავურთოთ დამატებითი შეთანხმებები, რომლის შესახებაც არსად არაფერს გამოვაქვეყნებთ“. სტალინს კარგად ესმოდა, რომ ჰიტლერს მშვიდობიანი ზურგი სჭირდებოდა და ამისთვის ყველანაირ, დათმობაზე წავიდოდა. ამიტომ დაუყოვნებლივ წამოაყენა დამატებითი პირობები: ბალტიისპირეთის რესპუბლიკები და ფინეთი საბჭოთა კავშირის გავლენის სფეროში უნდა შევიდესო... გარდა ამისა, სტალინმა გააცხადა ჩვენი დაინტერესება ბესარაბიით და უკრაინისა და ბელორუსიის დასავლეთ ოლქების შესაბამის რესპუბლიკებთან მიერთების საკითხით. რიბენტროპი მოულოდნელად წამოჭრილი პრობლემებისგან დაიბნა და თქვა, რომ ამ საკითხებს დამოუკიდებლად ვერ გადაწყვეტდა — აუცილებელი იყო ფიურერთან მოთათბირება. სტალინმა უპასუხა: ამ საქმეს ნუ გადავდებთ, აგერაა ტელეფონი — დაურეკეთო. რიბენტროპი სტალინის კაბინეტიდანვე დაუკავშირდა ჰიტლერს და სტალინის სურვილი გადასცა. ფიურერმა დამატებითი ოქმის ხელმოწერის უფლებამოსილება მიანიჭა. სხვაგვარად არც შეიძლებოდა მომხდარიყო. ჰიტლერი მზად იყო ნებისმიერი დაპირების მისაცემად, რომელსაც, როცა დასჭირდებოდა, უყოყმანოდ დაარღვევდა... ჰიტლერთან საუბრის შემდეგ იქვე, სტალინის კაბინეტში შეადგინეს დამატებითი საიდუმლო ოქმი, რომელიც მანქანაზე დაბეჭდეს და შემდეგ, ხელიც მოაწერეს. ამ ყველაფრის მომსწრე გახლდით. სტალინმა არაერთხელ გაიმეორა, რომ ეს ძალზე საიდუმლო შეთანხმებაა, რომელიც არსად არავის უნდა ეხსენებინა“.

აღარ გავაგრძელებ პავლოვთან საუბრის სხვა ნაწილზე თხრობას. დავძენ მხოლოდ იმას, რომ პოლიტბიუროს წევრების ვიწრო წრეში სტალინი ხშირად ტრაბახობდა იმ დღეს მიღწეული შეთანხმებით. მას მიაჩნდა, რომ მაშინ დიდ წარმატებას მიაღწია: გერმანია ჩვენთვის მეგობრულ სახელმწიფოდ იქცა, ინგლისი და საფრანგეთი კი მასთან ომში ჩაებნენ; ომის არეალმა ჩვენი საზღვრებიდან საკმაო მანძილით, დასავლეთისკენ გადაიწია. საბჭოთა კავშირს გერმანიის მომავალი აგრესიისთვის მომზადების საშუალება მიეცა.

ასე და ამგვარად, შეიძლება ითქვას — სტალინსა და ჰიტლერს შორის ორთაბრძოლა სულ ცოტა, „ფრედ“ დამთავრდა: ჰიტლერმა თავისას მიაღწია — თავი დააღწია მეორე ფრონტს, როცა სხვა ამოცანებს წყვეტდა; სტალინს, რადაც უნდა დასჯდომოდა, „ორიოდე წლით მაინც“ სჭირდებოდა ომის გადადება, რათა ქვეყანა და არმია აგრესიის მოგერიებისთვის მოემზადებინა და სტალინმა ამას მიაღწია. ■





# ავარიული ოცნებები

სვეტა კვარაცხელია

***ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით***

*gza.fantazia@gmail.com*

***დასაწყისი იხ. „გზა“ №38-39***

მამაკაცმა რამდენიმე ნაბიჯი გადმოდგა მისკენ, რის გამოც გოგონა იძულებული გახდა, უკან დაეხია და კინაღამ დაუცდა ფეხი კიბეზე.

— როგორც ვხედავ, თქვენ საკმაოდ ყოჩაღი და ფხიანი არსება ხართ, — ხანგრძლივი პაუზის შემდეგ გაწელილად წარმოთქვა მასპინძელმა, — მაგრამ თქვენთვის არ არის ცნობილი, რომ თორნიკე ცოლიანია?

— ჩემთვის ის არის ცნობილი, რომ ცოლთან კარგა ხანია, აღარ ცხოვრობს, — ცივად უპასუხა ნინიმ, — თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში, ეს ჩემი და თოკოს პირადი საქმეა, თქვენ არ გეხებათ.

— ძალიან ცდებით, შაკ-ვა-რე-ლო! — ხაზგასმით დამარცვლა ბოლო სიტყვა უცნობმა. — მე ბევრი რამ მეხება, — მერე ცოტა ხნით გაჩუმდა და გააგრძელა: — შეგიძლიათ, თქვენი მისამართი დამიტოვოთ და როგორც კი თორნიკე დაბრუნდება, გადავცემ.

— მისამართი? — შეცბუნებულ ნინის თვალები დაუწვრილდა. — რისთვის გჭირდებათ ჩემი მისამართი? მე მას აქ დაველოდები, ამ სახლში, — ჯიუტად წარმოთქვა და საჩვენებელი თითი სახლისკენ გაიშვირა.

— ა-რა.

— ვერ გავიგე...

უცნობმა ჩაიცინა.

— რა არის აქ გაუგებარი? თქვენ ამ სახლში გსურთ გაჩერება, მე კი გეუბნებით, რომ ეს არ მოხდება.

— თქვენ რა, მაგდებთ აქედან?

— ნუუუუუუუუ, როგორც იქნა, მიხვდით! — სარკასტულად შენიშნა მან. — შეიძლება, ჩემი ნათქვამი სისულელედ მოგეჩვენოთ, მაგრამ მე არ ვაძლევ თავშესაფარს გზააბნეულ, უსახლკარო გოგონებს, რომლებიც, კაცმა არ იცის, საიდან გამოჩნდნენ და რომლებიც თავხედურად აცხადებენ, რომ სახლის ერთ-ერთი მობინადრის ნაცნობები არიან.

— მე უსახლკარო არ ვარ და არც გზააბნეული, — გაცეცხლდა ნინი, — არც თავხედი ვარ და არც თავშესაფარს ვეძებ... და არც ჩემი და თოკოს ნაცნობობაა შემთხვევითობა.... ჩვენ...

— ამას თქვენ ამტკიცებთ თქვენებურად, მაგრამ მე რა ვიცი, მართლა ასეა თუ არა? მოულოდნელად გამოჩნდით, თითქოს ციდან ჩამოფრინდით, ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე, თან ამბობთ, თორნიკე მელოდებაო... ის კი საერთოდ არ არის თბილისში... მიდი, დაურეკეთ და უთხარით, რომ აქ ხართ, რატომ არ ურეკავთ? — გაცხარდა უცნობი. — გინდათ, გითხრათ, რატომ? იმიტომ, რომ მას მობილური გამორთული აქვს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თქვენ აშკარად არ გელოდებოდათ. მაპატიეთ, გენაცვალე, მაგრამ სხვაგან მოგიწევთ ღამის გასათევი ადგილის მოძებნა.

— რას ამბობთ?... — ხმა აუკანკალდა ნინის. — მე... მე წასასვლელი არსად მაქვს... აქ არავის ვიცნობ.

— მაშინ უკეთეს რჩევას მოგცემთ, — უხეშად თქვა მასპინძელმა, — დაბრუნდით იქ, საიდანაც მოხვედით და ორივემ ისეთი სახე მივიღოთ, თითქოს ეს შეხვედრა არც ყოფილა.

ნინიკოს წუთიერი დაბნეულობა ისტერიკამ შეცვალა.

— თქვენი რჩევები თქვენთვის შეინახეთ, მე არაფერში მჭირდება! და არც არსად ვაპირებ დაბრუნებას! მაგრამ როცა თორნიკეს ვნახავ, აუცილებლად მოვუყვები იმას, როგორ თავაზიანად შემხვდნენ მის სახლში! ამაში ეჭვი არ შეგეპაროთ!

— თქვენს ადგილას ასეთი კატეგორიული არ ვიქნებოდი, ძვირფასუნა, — უცნობს გაღიზიანება აშკარად შეეტყო, — ძალიან საწყენია, თორნიკეს გაფრთხილების გარეშე რომ ჩამოხვედით თბილისში, მაგრამ რა ჩემი ბრალია? თუმცა, მინდა გითხრათ, რომ ეს არაფერს შეცვლიდა... მე მაინც არ შემოგიშვებდით სახლში. ახლა კი დაგემშვიდობებით, ამდენი დრო არ მაქვს...

— კი, მაგრამ თქვენ ვინ ხართ ასეთი? რა უფლება გაქვთ, მიბრძანოთ, რა გავაკეთო? რა თქვენი საქმეა, მე რას გავაკეთებ? — აფეთქდა გოგონა.

— რაღაც ასპექტში მე ამ სახლის პატრონი ვარ... — ყინულივით ცივი ტონით გამოუცხადა მამაკაცმა. — ასე რომ, ჩემს ტერიტორიაზე ისე ვიქცევი, როგორც საჭიროდ მიმაჩნია.

როგორ უნდოდა ნინიკოს, მატყუარა ხარო, პირდაპირ პირში მიეხალა ამ თავხედისთვის, მაგრამ მისმა ტონმა ცოტათი დააფიქრა.

— მაგრამ თოკო... — გაუბედავად დაიწყო რაღაცის ახსნა.

— თქვენი თოკო ჩემი სტუმარია, დროებითი მცხოვრები ამ სახლში და მეტი არავინ. და ჩემთვის სულერთია, რა გითხრათ მან თქვენ.

როგორ უნდოდა ამწუთას ნინის, მიწა გასკდომოდა და შიგ ჩავარდნილიყო... ან, სულაც, მომკვდარიყო... მაგრამ ამაზე მეტად ამ თავდაჯერებული ცინიკოსის განადგურება ეწადა, მისი ისევე დამცირება, როგორც თავად დაამცირა. რომ შესძლებოდა, დიდი სიამოვნებით წაუშლიდა ტუჩებიდან ამ ურცხვ ღიმილს...

შურისძიება — შურისძიებად, მაგრამ ჯერ თავშესაფარზე უნდა ეზრუნა. აბა, ქუჩაში ხომ არ გაათევდა ღამეს? ნაცნობი მაინც ჰყოლოდა ვინმე! ვის მიადგეს მისთვის სრულიად უცნობ ქალაქში? არც იმდენი ფული აქვს, სასტუმროში დაბინავდეს. ეს რა დღეში ჩაიგდო თავი? ვინ აძალებდა, ვერ დაეტია თავის სახლში? ჭერიც მშვენიერი ჰქონდა და სამსახურიც. კაცის გულისთვის ღირდა კი ასეთი თავგანწირვა? ან კი ვინ დაუფასა? იქნებ თორნიკეს აღარც ახსოვს მისი არსებობა... რა ქნას, უკან დაბრუნდეს? არა! არავითარ შემთხვევაში! ბათუმში თავი აღარ გამოეყოფა. ვის უთხრას, რაც გადახდა? ხომ დასცინებენ მეგობრები? ან დედას როგორ აუხსნას მომხდარი?

როგორმე უნდა იპოვოს გამოსავალი. არც ისეთი ღარიბია, თავი ვერ გაიტანოს,

სანამ რაიმე სამსახურს იშოვის. მცირედი ანგარიში უდევს ბანკში, თუ ვინიცობაა და ძალიან გაუჭირდება. სხვათა შორის, თბილისში ბევრად იაფი დაუჯდება ცხოვრება, ვიდრე ზღვისპირა ქალაქში. მთავარია, ბინა იქირაოს ხელსაყრელ ფასში და სმაჭამაზე თავს არ მოიკლავს, არც ისეთი მსუნაგია. ნეტავ, ამ უბანში რა ფასად აქირავებენ ბინებს? გასწვდება კი მისი ჯიბე აქაურ ფასებს? რომ ჰკითხოს ამ დოყლაპიას, არ დაეხმარება ნეტავ?..

ნინიმ თავის ჩანთას გადახედა... ასეთი მძიმე ტვირთით შორს ვერ წავა. ტაქსი რომ აიყვანოს, საით წავიდეს? კონკრეტული მისამართი არ აქვს და მკითხაობას ხომ არ შეუდგება? ღმერთო! რა უგულო ადამიანის ხელში ჩავარდა! ბათუმში უპატრონო ძაღლსაც კი არ გააგდებენ ასე ულმობლად გარეთ. ეს ვის გადაეყარა! ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ ჩაახველა, გაბედულად შეხედა თავის მწვალებელს და კიდევ ერთხელ სცადა ბედი.

— თქვენ, რა თქმა უნდა, არც იმის უფლებას მომცემთ, რომ ჩანთა მაინც დავტოვო დროებით თქვენთან, სანამ ბინას ვიშოვი...

— გამოიცანით! არ მოგცემთ. ჩემი ნება რომ იყოს, დიდი სიამოვნებით დაგსჯიდით და მთელ თბილისს მოგატარებდით ღამის გასათევის ძიებაში, მაგრამ სამწუხაროდ, ამას ვერ ვიზამ. თბილისი არც ისეთი უსაფრთხო ქალაქია, ჩამოსულები აქ ხშირად ეხვევიან უსიამოვნო ამბებში. არ მინდა, თქვენი ცოდვით სული დავიმძიმო.

— ულრმესი მადლობა ასეთი ზრუნვისთვის, — ღვარძლიანად გადაუხადა მადლობა ნინიმ, თან აფეთქებას ცოტალა უკლდა, — თქვენისთანა ჩემთვის გომურსაც კი არ გაიმეტებს, როგორც ვატყობ.

— სამწუხაროდ, ასეა, — გაიცინა მამაკაცმა და მის ჩანთას დასწვდა, — შემოდით, რალაცას მოგიხერხებთ.

— შემოვიდე? — გოგონას გაოცებისაგან თვალები გაუფართოვდა, უცნობის ასეთ შემობრუნებას არ ელოდა. — თქვენ ნებას მრთავთ, ჩემი ვიზიტით წავბილწო თქვენი წმინდა საცხოვრებელი? — სარკაზმით იკითხა და წინ მიმავალ მამაკაცს უკან მიჰყვა.

წამიც და, გოგონამ უზარმაზარ ჰოლში ამოყო თავი. მარცხენა მხარეს ხალიჩით დაფარული კიბე შენიშნა, რომელიც მეორე სართულზე ადიოდა. მარჯვნივ, გამოღებულ კარში, ოთახი მოჩანდა, რომელიც სამუშაო კაბინეტს უფრო ჰგავდა, ვიდრე საძინებელს. მელოდია, რომელიც ნინიმ ჯერ კიდევ ჭიშკართან გაიგონა, სწორედ ამ ოთახიდან გამოდიოდა. პირდაპირ კიდევ იყო ერთი ოთახი, სავარაუდოდ — სასტუმრო ან სასადილო.

— ახლავე მოვალ, — თქვა მამაკაცმა და ჰოლის სიღრმისკენ გაემართა, — ხელი არაფერს ახლოთ!

— ქურდი არ ვარ და არაფრის მოპარვას არ ვაპირებ! — იუკადრისა ნინიმ.

— არც იფიქროთ! ნურც იმის იმედი გექნებათ, რომ გული მომიბრუნდება და კეთილი გავხდები. მხოლოდ ერთ ზარს გავუშვებ, ამიტომ გირჩევთ, ჩემს დაბრუნებამდე აქ დამელოდოთ.

„აბა, სად უნდა წავიდე, საინტერესოა?.. ეგ კაცი, მგონი, მთლად სრულ ჭკუაზე არ უნდა იყოს", — შეუმჩნევლად ჩაეცინა გოგონას, თან მიმავალს ირონიულად დაადევნა.

— მაგ სიკეთესთან ერთად, იქნებ ნორმალურადაც ჩაგეცვათ, სანამ დაბრუნებოდეთ?!

მამაკაცი მკვეთრად მოტრიალდა, თავი გვერდზე გადახარა და ეშმაკურად შეხედა.

— ზრდილობას ნუ მასწავლით, ძვირფასუნა. ვიცი, ვისთან როგორ და რანაირად მოვიქცე. დღეს, სხვათა შორის, შაბათია და მაცვია ისე, როგორც მე მომწონს, — წარბიც არ შეუხრია, ისე თქვა, — არ დაგავიწყდეთ, პატივცემულო ნინი, რომ ეს თქვენ შემომეჭრით შინ დაუპატიჟებლად და არა — პირიქით.

ნინიმ უკმაყოფილოდ გადააქნია თავი, მიხვდა, მასთან კამათს აზრი არ ჰქონდა და კიდევ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა. ჰოლის შუაგულში გრძელი და ვიწრო ხის მაგიდა იდგა, რომელსაც გარშემო მუხისფეხებიანი მძიმე სკამები ჰქონდა შემოწყობილი მაღალი საზურგეებით. მაგიდაზე, ჟურნალ-გაზეთების გარდა, თეფში იდო საჭმლის ნარჩენებით, დანა-ჩანგალი და ჯემით სავსე სამურაბე. ჰაერში ახალმოდუღებული ყავის და ცხელი ფუნთუშის სურნელი ტრიალებდა.

გოგონას შიმშილისგან თავბრუ დაეხვა. ახლაღა გაახსენდა, რომ მთელი დღის განმავლობაში ლუკმა არ ჩასვლოდა პირში. ახლა ამას ყავა რომ მოსთხოვოს, ალბათ თავში რალაცას ჩაარტყამს. რა უცნაურია!



საიდან ჩნდებიან ასეთი წუწურაქი და ეგოისტი ადამიანები?

საქმეზე რომ არ ეფიქრა, ნინი მოპირდაპირე მხარეს მდებარე მინის კედელს მიუახლოვდა და ეზოში გადაიხედა. თვალწინ საოცარი ხედი გადაეშალა. სახლის უკან ულამაზესი ბაღი იყო გაშენებული, ფერად-ფერადი ყვავილებით. წითელი კენჭებით მოკირწყლული ბილიკი, რომელიც ორივე მხრიდან ვარდის ბუჩქებით დაემშვენებინათ, აუზამდე მიდიოდა. უუუუჰ! როგორ ლურჯად ლივლივებდა წყალი ფინური ფილებით მოპირკეთებულ აუზში! აი, ფუფუნება! აი, ცხოვრება! ნუთუ ასეთი მდიდარია თოკო? თუ ეს ყველაფერი ამ უცხვირპირო კაცს ეკუთვნის? გოგონამ თავი ვერ შეიკავა და აღტაცების შეძახილი აღმოხდა. მართალია, თვითონაც ჰქონდა სახლში ბაღი, მაგრამ პატარა, სულ ერთი ბეწო... კორპუსის წინ ამხელა ფართობს ვინ მიაშავებდა. უეცრად ნოსტალგია შემოაწვა, დედა გაახსენდა, დიდი ამბით რომ ელოლიავებოდა ყვავილებს ყოველ დილით, ლოჯიის წინ შემოღობილ ვითომ ეზოში... ლამის ცრემლები გადმოუგორდა.

— რამე ისე ვერ არის? — მამაკაცის ხმამ გამოაფხიზლა. ვერც კი შეამჩნია, როგორ მოეპარა უკნიდან ოჯახის უფროსი, რომელსაც ხელში გრძელმავთულგამობმული ტელეფონის აპარატი ეჭირა.

„ამ კაცის თვალს ვერაფერს გამოაპარებ, ზურგიდანაც კი... აი, ტელეფონიც კი აქ მოიტანა, რომ უმეთვალყურეოდ არ დამტოვოს!" — გაიფიქრა და ღიმილით მოტრიალდა.

— ბაღის სილამაზით ვტკბებოდი. საოცრებაა პირდაპირ, გემოვნებით არის გაშენებული... ვინ უვლის მას?

— ის, ვინც ამ სახლს ჰპატრონობს, — ჩაიბურტყუნა უცნობმა და ნომრის აკრება დაიწყო, — ლელუკა... — ჩასძახა რამდენიმე წამის შემდეგ ყურმილში. — გამარჯობა, ჩემო კარგო, როგორ ხარ?.. მაპატიე, თუ ცუდ დროს გაწუხებ... მომისმინე... შენ თავისუფალი ოთახი არ დაგრჩა გასაქირავებელი? — მამაკაცმა თავის კანტურით მოისმინა პასუხი, თან დამცინავად შეხედა დაუპატიჟებელ სტუმარს, რომელიც მხრებაწურული იდგა შუა ჰოლში და ყურადღებით ისმენდა სატელეფონო საუბარს, — ჰო, არის აქ ერთი მდედრობითი სქესის მიუსაფარი არსება... პირდაპირ ქუჩიდან შემომიხტა, — თავადვე გაეცინა თავის ნათქვამზე, — არა, არა, რა კატა... თუმცა ბრჭყალები კი გამოაჩინა... როგორ?.. ოოო-ო! გამორიცხულია, საყვარელო... სრულებითაც არა... საერთოდ არ ჯდება ჩემს გემოვნებაში, ხომ მიცნობ?.. გარდა ამისა, მიმტკიცებს, რომ უკვე დაკავებულია... შეგიძლია? მაგარი ხარ, ჩემო კარგო, ნამდვილი საოცრებაა!.. კარგი... კარგი... აუცილებლად... მაშინ გამოვუშვებ შენთან, ოკეი? გენაცვალე! — სიცილით დაამთავრა მამაკაცმა საუბარი, ყურმილი დაკიდა და ტელეფონი პირდაპირ იატაკზე დადგა.

— რას ნიშნავს ეს ყველაფერი? — გაწიწმატებული ნინი თავს ძლივს იკავებდა, რომ თავხედი მასპინძელი არ გამოელანძღა.

— ყველაფერი რიგზეა, ოთახი გიშოვეთ.

გოგონამ თვალები დააკვესა.

— არ მესმის, რატომ გაისარჯეთ ასე. როგორ გგონიათ, მე თვითონ ვერ ვიზრუნებდი საკუთარ თავზე?

— თუ სიმართლე გაინტერესებთ, ვერ იზრუნებდით. ამას მაშინვე მივხვდი. რას გააკეთებდით? ჩემი კიბის საფეხურებზე ჩამოჯდებოდით პროტესტის ნიშნად და იქ დაელოდებოდით თორნიკეს გამოჩენას? — მამაკაცმა თავი გადააქნია. — ასეთი ჟესტით ჩვენი რაიონის პრესტიჟი შეილახებოდა, ძვირფასუნა. ნუ ნერვიულობთ, ლელუკასთან თავს მშვენივრად იგრძნობთ, არაჩვეულებრივი ადამიანია. მასთან წარამარა იცვლებიან მდგმურები, ამიტომ ყოველთვის მოეძებნება ერთი ოთახი გზაკვალარეულებისთვის.

— ლელუკა? ეგ ვინ არის? — აიმრიზა ნინი.

მამაკაცს მყისიერად შეურბილდა სახის გამომეტყველება, ადამიანური გაუხდა გამოხედვა, მიმზიდველიც კი.

— ერთი ძალიან კარგი ქალბატონია, — მან ყურადღებით შეათვალიერა გოგონა და ყოველგვარი ირონიის გარეშე დაამატა: — მოსწონს ლამაზი გოგონები, ამიტომ თქვენს მიღებაზე უარს არ იტყვის, მით უმეტეს, როცა მე ვთხოვ. ამიტომ მისი განაწყენება აზრადაც არ გაივლოთ გულში, თორემ პირადად მე მომაყენებთ შეურაცხყოფას.

— რატომ უნდა გავანაწყენო, სოფლელი კი არ ვარ.

— სოფლელი რა შუაშია, ეგ არც მიგულისხმია... მხედველობაში სხვა რამე მქონდა, მაგალითად, ბინის ქირის გადაუხდელად გაპარვა და ამდაგვარი რამეები...

— დამშვიდდით, ის მიიღებს თავის კუთვნილ თანხას, მართლა ქუჩიდან კი არ ვარ მოსული, ოჯახში გავიზარდე, — ზიზღით წარმოთქვა ნინიმ, — თუმცა, იქ დიდხანს დარჩენას არ ვაპირებ, — დააყოლა და კვლავ დაძაბა გონება, რათა გაეხსენებინა, სად ენახა ეს მამაკაცი.

— აბა რა-ა-ა... თქვენ, რა თქმა უნდა, დაელოდებით, როდის ჩამობრძანდება თქვენი გულის მესაიდუმლე ბატონი თოკო და როდის გიშოვით მყუდრო ბუდეს სასიყვარულო ღამეების გასატარებლად. ამაში ეჭვიც არ მეპარება. შესაძლებელია, იშოვოს კიდეც, თუმცა, დარწმუნებული იყავით, რომ არა ჩემს სახლში. ამას არ დავუშვებ!

— თქვენ რა შუაში ხართ?

— როგორც უკვე გითხარით, ის ცოლიანია, ძვირფასუნა. მე კი, ასე ვთქვათ, მკაცრი მორალური პრინციპების მატარებელი ადამიანი გახლავართ.

სწორედ ამ დროს, თითქოს და ვინმეს შეკვეთილი ჰქონდაო, ქალის ნამძინარევი ხმა გაისმა.

— გიო! გიოოოოოოოო!.. სად ხარ, სიხარულო?

შემკრთალმა ნინიმ თავი შეაბრუნა და ზედა სართულიდან კიბეზე ჩამომავალი ქალის გრძელ, შიშველ ფეხებს მოჰკრა თვალი. ამ წუთამდე ის ალიზიანებდა, რომ მისი არასტუმართმოყვარე მასპინძელი უზრდელი იყო, რადგან უცხო ქალის წინაშე დაუდევრად ჩაცმული უხერხულობასაც კი არ გრძნობდა. როგორც ჩანს, შეცდა... მარმარილოს საფეხურზე მდგარი წითურთმიანი მაღალი გოგონა უარეს ფორმაში გამოეცხადა — მხოლოდ პირსახოცი ჰქონდა შიშველ ტანზე შემოხვეული და ამის გამო წამითაც არ მორიდებია.

— საყვარელო... — კატასავით დაიკრუტუნა თვალებმიბნედილმა. — გავიღვიძე, შენ კი ჩემ გვერდით არ იყავი... ეს ნამდვილი საშინელება იყო... — ნაზად თქვა და მზერა ნინიზე გადაიტანა. — ოუ... არ მეგონა, თუ დაკავებული იყავი... — თეატრალურად გაიცინა წითურთმიანმა. — თუკი ეს უცხო პატარა შენი უკანასკნელი სიყვარულია, მინდა გითხრა, რომ შენს გემოვნებას რაღაც საშინელება დამართვია.

ნინის ალმურმა გადაჰკრა სახეზე და ის იყო, რაღაც საშინელება უნდა ეთქვა, რომ მამაკაცი წინ გადაუდგა და დაასწრო.

— ხათო, მორჩი ლაყბობას. არც ისეთი პატარა ხარ, შინაურისა და გარეულის გარჩევა ვერ შეძლო. ეს უცხო ადამიანი ჩემი შემთხვევითი ნაცნობია, ამიტომ ენა დაიმოკლე და საქმეს მიხედე! ადი შენს ოთახში, გავთავისუფლდები და მეც მოვალ, — გიომ გაბრაზებული მზერა ესროლა ქალს.

წითურთმიანმა ძალზე სექსუალური ღიმილით დააჯილდოვა მამაკაცი და კეკლუცად იკითხა:

— მპირდები?

— ჰო, გპირდები.

— რა ძნელი დასაჯერებელია... — დაიკნავლა ლამაზმანმა.

— კაცურ სიტყვას გაძლევ... — ვნებიანი ტონი გაკრთა გიოს ხმაში.

ნინიმ თვალები დახარა, რადგან იგრძნო, როგორ დაურბინეს ჭიანჭველებმა ტანში. ოჯახის უფროსი, რა თქმა უნდა, აუტანელი ტიპი იყო, მაგრამ მის სექსუალურობას გვერდს ნამდვილად ვერ აუვლიდა. წითურთმიანმა ლამაზმანმა, როგორც ჩანს, კარგად უწყოდა ეს, რადგან უხმოდ გატრიალდა და სხეულის რხევით აუყვა საფეხურებს.

ნინიმ საშინლად მარტოსულად იგრძნო თავი. რა იყო ამაში გასაკვირი? გოგონა იმ იმედით ჩამოვიდა თბილისში, რომ ბოლოს და ბოლოს, თავის საოცნებო მამაკაცს შეხვდებოდა და ძალიან მალე მისი ცოლიც გახდებოდა. ამის მაგივრად კი თვითმარქვია პროვინციელ გოგონად გადაიქცა, მისდა უნებურად რომ გახდა სხვისი სასიყვარულო რომანის მოწმე.

ოთახში უცნაურმა, შიშის მომგვრელმა სიჩუმემ დაისადგურა. ნინიმ სასწრაფოდ სცადა მისი დარღვევა.

— როგორც ვხედავ, თქვენი მორალური პრინციპები არც ისეთი მკაცრი ყოფილა, როცა საქმე პირადად თქვენ გეხებათ... — და დამცინავი ღიმილით მიაჩერდა მამაკაცს.

— სრული სიმართლეა, — ყოველგვარი უხერხულობის გარეშე დაუდასტურა გიომ, — მაგრამ მე არ ვარ ცოლიანი და არც არასდროს ვყოფილვარ, — იგი გაჩუმდა და ცოტა ხნის შემდეგ დაამატა: — ასევე, დაუკითხავად არ ვიჭრები სხვის სახლში, ზოგიერთისგან განსხვავებით.

— თუ შეიძლება, მომეცით თქვენი ლელუკას მისამართი... მე წავალ... — მშრალად თქვა ნინიმ.

გიომ თავაზიანად დაუქნია თავი.

— აქედან პარალელურ ქუჩაზე გახვალთ და ლურჯად შეღებილ ჭიშკარს მიადგებით, ექვს ნომერში. თუ თქვენი ჩანთის ტარება გიძნელდებათ, ტაქსის გამოვიძახებ.

— არ არის საჭირო, როგორმე თავად გავართმევ თავს, — ამაყად წარმოთქვა და გასასვლელისკენ გაემართა.

როგორც კი კარს მიუახლოვდა და თავის ჩანთას ხელი დაავლო, მობრუნდა და უხეშ მასპინძელს გამომცდელად მიაჩერდა.

— იმედია, სამადლობელ სიტყვებს არ მოელით ჩემგან, — მსუბუქი ირონიით თქვა და კარი გამოაღო.

— უკვე დიდი ხანია, სასწაულების აღარ მჯერა, მშვიდობით, ძვირფასუნა, — დაადევნა მამაკაცმა ისე, რომ ადგილიდან არ დაძრულა.

— ოუ! რა საშინელი სიტყვაა! — დათაფლული ხმით შენიშნა გოგონამ. — პირადად მე, „ნახვამდის“ ვარჩევდი. რა იცით, რა ხდება! არ მეთანხმებით?

— არა, სრულებით არ გეთანხმებით, რამდენადაც საქმე თქვენ გეხებათ, — უპასუხა გიომ და მისკენ გამოემართა, — აუცილებლად ვეტყვი თორნიკეს, სად უნდა მოგძებნოთ. თუმცა, რა თქმა უნდა, ამით ჩემი სურვილის წინააღმდეგ წავალ, — მოღუშულმა ჩაილაპარაკა.

რამდენიმე წამიც და, ნინის უკან კარი გაჯახუნდა... გოგონა გარეთ აღმოჩნდა. მზიანმა დღემ მოულოდნელად დაკარგა მისთვის მომხიბვლელობა.

— წადი შენი! — თავისთვის შეიკურთხა და მძიმე ტვირთით მოასფალტებულ ბილიკს გაუყვა. — ჩამოვიდეს თოკო! ვნახოთ, ვინ — ვის! მაინც გავიტან ჩემსას! და როცა ამ სახლში მისი ცოლის ამპლუაში მოგევლინები, მერე ვილაპარაკოთ! — დაიქადა და კიდევ ერთხელ გახედა ორსართულიან სახლს. — მოვა დრო და შენ ამას წინ ვერ აღუდგები! — გამომწვევად წამოიძახა, თითქოს სახლის პატრონი გაიგებდა მის ნათქვამს.

ქუჩაში გამოსულმა ირგვლივ მიმოიხედა, იქნებ ტაქსიმ გამოიაროსო. თან ცალი ყური სახლისკენ ჰქონდა. აინტერესებდა, ადევნებდა თუ არა გიო თვალს ფანჯრიდან. თუმცა, მალევე გაბრაზდა თავის თავზე — „თუნდაც მიყურებდეს, რაში მანაღვლებს? ჯანდაბამდე გზა ჰქონია!“ არადა, მამაკაცი მართლა იდგა ფანჯარასთან და ჩაფიქრებული მზერით გასცქეროდა დაუპატიჟებელი სტუმრის წერწეტა ტანს, ძლივძლივობით რომ მიათრევდა უზარმაზარ ჩანთას. უკვე ნანობდა, უცხო გოგონა,

თუნდაც ასეთი ლამაზი, ლელუკასთან რომ გაგზავნა. რა მისი საქმე იყო, სად გაათევდა ღამეს? რატომ უნდა ენერვიულა იმაზე, რამე დაემართებოდა თუ არა? არასრულწლოვანი ხომ არ იყო? ბოლოს და ბოლოს, ქალს გათხოვების იმედი ჰქონდა!

გიომ დაინახა, როგორ დადო გოგონამ ჩანთა ძირს, მერე მარჯვენა ხელის თითები დაისრისა, ტვირთი მარცხენა ხელში მოინაცვლა და ასე გააგრძელა გზა. იგი ცდილობდა, წელგამართულს ევლო, მაგრამ, ამავდროულად, ისეთი დაუცველი და საცოდავი ჩანდა, გული დაეწვა. ჩაცმული რომ ყოფილიყო, აუცილებლად დაეხმარებოდა. ის კი არა, ლელუკას სახლამდეც მიატანინებდა თავის ნივთებს და დიასახლისსაც გააცნობდა, მაგრამ...



„არაფერი უჭირს... სულაც არ ვარ ვალდებული, რამდენი გზააბნეული ჩემს სახლს მოადგება, ყველას დავეხმარო, — გაიფიქრა თავისთვის, — სრულიად შესაძლებელია, ამით კიდევ უფრო დავამძიმო ისედაც მძიმე სიტუაცია“. ცოტა ხნით მისი ფიქრები თორნიკეს გადასწვდა. მოვიდეს, ერთი! ნახოს, რასაც ეტყვის! თავისი პრობლემები არ ეყოფა, რომ ახლა სიძის ქალებს არ სდიოს? რა ვალდებულია, თორემ კი! ამ ფიქრებით სწრაფად მოშორდა ფანჯარას, თითქმის სირბილით აუყვა მეორე სართულზე ამავალი კიბის საფეხურებს და სააბაზანოში შევარდა. უცებ გაახსენდა, რომ პირსახოცი არ ჰქონდა და უკან გამობრუნდა, რათა საძინებელში შესულიყო. მოულოდნელად შეამჩნია, რომ ოთახის კარი შეღებული იყო, არადა, ზუსტად ახსოვდა, რომ დაკეტა. რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და ფრთხილად შეიხედა შიგნით. ოთახის სიღრმეში იატაკზე დაგდებული პირსახოცი შეამჩნია. გულმა რეჩხი უყო. კარი ფართოდ გამოაღო და ადგილზე გაშეშდა... მის საწოლში მაცდუნებელ პოზაში გაწოლილი, სრულიად შიშველი ხათუნა იწონებდა თავს.

— როგორც იქნა, მოხვედი... — დაიკრუტუნა წითურთმიანმა. — საუკუნეა, გელოდები. ბოლოს და ბოლოს, მოიშორე თავიდან ის „პროვინციალკა“?

გაოგნებული გიო კარის კიდეს მიეყრდნო. ნანახმა ძალზე დააბნია.

— შენ აქ რას აკეთებ, ხათო?

— რას ნიშნავს, რას ვაკეთებ? შენ გელოდები. თავად არ მთხოვე?

— მე მხოლოდ ის გითხარი, მალე გავთავისუფლდები-მეთქი.

— კარგი, რა, ნუ ხარ ეგეთი მიამიტი... — გოგონა გაიზმორა და ხელები თავქვეშ ვნებიანად ამოიწყო. — ნუთუ შენში ვნებათაღელვას არ ვიწვევ? ხომ არ დაგავიწყდა, ერთ დროს როგორ გიჟდებოდი ჩემზე?

— ამას არ უარვყოფ, მაგრამ არც ის დამვიწყებია, რომ შენ ჩემი საუკეთესო ძმაკაცის საცოლე ხარ, ჩემო კარგო. მგონი, არც შენ უნდა დაგავიწყდეს ეს.

— სამწუხაროდ, შენი საუკეთესო ძმაკაცი ამჟამად თბილისში არ იმყოფება, სოფელში ბრძანდება დედამისის მოსანახულებლად, რის გამოც წუხელ წვეულებაზე არ გამომყვა. ხანდახან ძალიან მოსაწყენია შენი მეგობარი.

— ესე იგი, შენი ასეთი საქციელი ავთოსადმი შურისძიებაა? — ამოიხვნეშა გიომ. — არა, ჩემო კარგო, ასე არაფერი გამოვა. ჩაიცვი და შენს ოთახში გადი, მე კი ტაქსის გამოვიძახებ.

ხათუნამ არტისტულად ასწია მარჯვენა ხელი და არათითზე წამოცმულ ოქროს რგოლს დაცინვით გახედა.

— მართალი ხარ. ალბათ ავთო დაინტერესდება, რატომ აღმოვჩნდი წუხელ შიშველი შენს საწოლში. შეიძლება, ისიც იფიქროს, რომ შენ მისი არყოფნით ისარგებლე...

— სინამდვილეში ჩემს საწოლში კი არა, სასტუმრო ოთახში აღმოჩნდი შიშველი, ჩემო კარგო, — დაღლილი ხმით შეუსწორა მამაკაცმა, — იქ კი იმიტომ აღმოჩნდი, რომ იძულებული გავხდი, მომეყვანე, რადგან გატრეტილი მთვრალი იყავი და არაფრის აზრი არ გქონდა. არა მგონია, ავთოს ამის გაგება ესიამოვნოს... — მრავალმნიშვნელოვნად დაამთავრა გიომ.

ხათუნას ღიმილი პირზე შეაშრა.

— ღმერთო ჩემო, დიდი ხანია, ასეთი სერიოზული გახდი? შემთხვევით, იმ ვირთხასავით გოგომ ხომ არ მოახდინა შენზე გავლენა?

— არა, მე თვითონ ვარ ასეთი. რაც იყო, იყო, ახლა ამის გარკვევის დრო არ არის, რადგან კარგა ხანია, ორივენი ჩვენჩვენი გზით მივდივართ და მოდი, წარსულში ქექვას ნუ დავიწყებთ. როცა მე მომწონდი, ავთო ჰორიზონტზეც არ ჩანდა. და როცა გამოჩნდა, მე მაშინვე უკან დავიხიე, ეს არ დაივიწყო. სხვათა შორის, ბევრი არაფერი მაკავშირებდა შენთან, უბრალოდ, მომწონდი და სხვა არაფერი.

ხათუნა გრაციოზულად წამოდგა და თეძოების რხევით გაემართა მამაკაცისკენ, წამითაც არ უგრძნია უხერხულობა თავისი სიშიშვლის გამო.

— მე შემიძლია, აზრი შეგაცვლევინო, საყვარელო, — ვნებიანად დაიჩურჩულა ქალმა.

— შენ ეს ერთხელ უკვე მოახერხე, ხათო, მაგრამ ამჯერად ეგ ნომერი არ გაგივა. რა თქმა უნდა, ისეთი ლამაზი ხარ, ქანდაკებასაც კი შეაცდენ, მაგრამ ჩემს გემოვნებაში უკვე აღარ ჯდები, ესაა საქმე, — ცივად წარმოთქვა გიომ და ქალს მაჯები დაუჭირა.

— ბარემ პირდაპირ თქვი, რომ მე კი არა, საერთოდ სექსი არ გაინტერესებს და ეგ იქნება. დოყლაპიავ! არ მჭირდება შენი გამოძახებული ტაქსი, თვითონ მივხედავ თავს! — ხათუნამ ზიზღით აიბზუა ტუჩი და ოთახიდან გავარდა.

მართალია ეს ქალი, რას ერჩის! ბოლო დროს მართლაც არ გამოსდის ქალებთან ურთიერთობა. რა თქმა უნდა, რამდენიმე წუთიერი გატაცება ჰქონდა, მაგრამ ეს მხოლოდ ისე, გასაკაუებლად. საერთოდ, ისეა დაკავებული სამსახურით, პირადი ცხოვრების მოსაწყობად ველარ იცლის. გიო ცნობილი ტელეჟურნალისტია, პოლიტიკურ სფეროს მიმოიხილავს, ამიტომაც ყოველთვის დაძაბული გრაფიკით უწევს მუშაობა. ახლაც ახალ პროექტზე მუშაობს, სიუჟეტები უნდა მოამზადოს ამერიკის პრეზიდენტებზე და ჯორჯ ვაშინგტონით უნდა დაიწყოს...

თუმცა... წუხანდელ წვეულებაზე იყო ერთი გამორჩეული გოგონა, ქერათმიანი, რომელიც თვალს არ აშორებდა. მერე საცეკვაოდ გამოიწვია და მასთან საუბრისას დაასკვნა, რომ იგი აშკარად სიმპათიით განეწყო მამაკაცის მიმართ. სამწუხაროდ, გიოს არ დასცალდა ახალი ნაცნობობით ტკბობა, რადგან ხათუნა საშინლად დათვრა და იძულებული გახდა, ძმაკაცის საცოლე იქაურობისთვის სასწრაფოდ გაერიდებინა. ისე, იმ გოგომ თავისი სავიზიტო ბარათი დაუტოვა, — დიზაინერი ვარო, ასე უთხრა, — თუ ჩემს ნახვას მოისურვებ, დამირეკეო, — დააყოლა ბოლოს... დაურეკავს, აბა, რა! ბოდიშს მოუხდის, მოულოდნელად რომ მოუწია წამოსვლამ და სადმე დაპატიჟებს. მოიცა, რა ერქვა? მგონი, კრისტი... მოსწონს ეს სახელი... უცხოდ ჟღერს... ნინის კი არ ჰგავს, ყოველ მეორეს რომ ჰქვია!

ამის გაფიქრებაზე უცებ რაღაც ლოდივით დააწვა გულზე. გაახსენდა გამხდარი, უსუსური გოგონა, მძიმე ჩანთას წვალებით რომ მიათრევდა ქუჩაში და სინდისის ქენჯნა იგრძნო.

*გაგრძელება*
*შემდეგ ნომერში*

# „ბეჭედდასმული" სიყვარული

***მართალია, ქართლელები იმერლებივით ენამოსწრებულად ვერ ვხუმრობთ, მაგრამ როდესაც სუფრასთან ღვინო მძიმე ხასიათს სიმსუბუქეს მატებს, ქართლში ისეთ ამბებს მოისმენთ, არასოდეს დაგავიწყდებათ. ეს ამბავიც შუაგულ ქართლში, ერთ სოფელში სტუმრობისას, ქართულ ტრადიციულ სუფრასთან მოვისმინე.***

ემა ტუხიაშვილი



დედმამიშვილების სადღეგრძელოს შემდეგ თამადამ ბებია-ბაბუების დღეგრძელობისა შემოგვთავაზა, უფრო სწორად კი — პაპებისა და ბაბოების სადღეგრძელო წარმოთქვა: ქართლში სწორედ ასე უწოდებენ დედ-მამის მშობლებს. ამ სადღეგრძელოსთვის თამადამ განსხვავებული სასმისი მოითხოვა და მანამ, სანამ მერიქიფე ძველ თიხის ფიალაში წითელ ღვინოს ასხამდა, ოთახში სადღეგრძელოს მიზეზი — შაქრო პაპა — იგივე ზახარიჩი შემოვიდა. მჭევრმეტყველმა თამადამ მოხუცს ჯერ ჭაღარა თმა და თეთრი წვერ-ულვაში დაულოცა, შემდეგ სოფლისა და ქვეყნის წინაშე მის დამსახურებაზე ილაპარაკა და როდესაც მიხვდა, რომ შაქრო პაპა ფეხზე დგომითა და მადლობის ნიშნად თავის დაკვრით დაიღალა, ჯანმრთელობა და ტკბილი სიბერე უსურვა. მას შემდეგ, რაც ზახარიჩის თამადობით, პაპებისა და ბებიების სადღეგრძელო სუფრის ყველა წევრმა შესვა, თამადამ მორიგ სადღეგრძელომდე წუთშესვენება გამოაცხადა და შაქრო პაპის შესახებ საინტერესო და სახალისო ამბავი მოგვიყვა:

— პაპაჩემის ჩინ-მედლებზე სადღეგრძელოშიც მოგახსენეთ, მაგრამ მისი მთავარი ღირსების შესახებ არაფერი მითქვამს. ამ ბერიკაცს რომ უყურებთ, ერთ დროს ისეთი მექალთანე და მუსუსი იყო, რომ ქალები ბუზებივით ესეოდნენ. მართალია, ისევ ქალებმა დაღუპეს და დააქციეს, მაგრამ „გულაობა" და დროს ტარება კი შერჩა. ეს თეთრი თმა ოდესღაც კუპრივით შავი ჰქონდა, მუხლი — მგლისა და თავად ნამდვილი მტაცებელი იყო, ქალებს მუსრს ავლებდა. ისეთი ბიჭი იყო, სოფელში კი არა, მთელ რაიონში ტოლს არავის უდებდა. დედ-მამაც დაჰფოფინებდა და ჩიტის რძეს არ აკლებდა ნანინანატრ ერთადერთ ვაჟს. ჯარიდან რომ დაბრუნდა, მამამ „ტაოტიანი" „ვოლგა-გაზ 21" დაახვედრა და მეურნეობაში „ბრიგადირადაც" მოაწყო. სხვა რა უნდოდა შაქროს, მანქანაც ჰყავდა, ფულსაც შოულობდა და გოგოებსაც დააქროლებდა აღმა-დაღმა. მოკლედ, სასურველი სასიძო იყო ეს ჩვენი შაქრო, მაგრამ მშობლებმა ცოლის შერთვაზე ვერაფრით დაიყოლიეს. მაჭანკლების დახმარებით, ხან მომავალი ექიმი გააცნეს, ხანაც ბუღალტერი და პედაგოგი, მაგრამ შაქროს ცოლის გაგონებაც არ უნდოდა. ან რად უნდოდა ცოლი და ზედმეტი პასუხისმგებლობა, როდესაც ერთ დღეს ერთ რესტორანს ხურავდა თბილისში, მეორე დღეს კი მეგობრებთან ერთად მოსკოვში „გულაობდა".

გავლენიანი მეგობრების დახმარებით, შაქრომ კოლმეურნეობის თავჯდომარეობას გამოჰკრა ხელი. ეს კი პატარა ამბავი არ გეგონოთ. იმ დროს ჩვენი სოფლის კოლმეურნეობა ლამის ნახევარ რესპუბლიკას ამარაგებდა სურსათ-სანოვაგით. მისი ხელმძღვანელი დიდ ფულსაც შოულობდა და დიდი ავტორიტეტითაც სარგებლობდა. შაქრომ კაბინეტიც შეიფერა, ქერათმიანი, ფუმფულა მდივანიც და „გაზ 21"-დან „გაზ 24"-ში გადაჯდა. თანამდებობამ ზახარიჩს უფრო მეტი მამაკაცური ხიბლი შესძინა და ქალებმა მასზე ნამდვილი ნადირობა გამოაცხადეს. გამონაკლისი არც შაქროს მდივანი ფისო იყო, რომელიც ყოველ წამს ზახარიჩთან საბუთებით ხელში შერბოდა: უფროსო, ბეჭედი დამირტყითო. პაპა შაქროც სიამოვნებით აათვალიერ-ჩაათვალიერებდა ფისოს ჩასუქებულ თეძოებს და მდივანი საბუთების წასაღებად რომ დაიხრებოდა, თვალებამღვრეული მიაშტერდებოდა მის მოღებულ გულმკერდს... მოკლედ, იმდენი ირბინა ფისომ შაქროს კაბინეტში, რომ კაცს საღერღელი აუშალა. ამდენი ქალის გულთამპყრობელს, ფისოს დაუფლების ჟინიც გაუჩნდა, მაგრამ ქალმა გარკვევით მიანიშნა, რომ მის ცოლობაზე უარს ნამდვილად არ იტყოდა. შაქროსთვის კი ცოლის შერთვა და ციხე ერთი და იგივე იყო. მართალია, სამსახურიდან ვერ დაითხოვა ფისო, მაგრამ სცადა, მასზე აღარ ეფიქრა, ოღონდ ეგ არის, როგორც კი ქალი თეძოების რხევით მის კაბინეტში შევიდოდა, ზახარიჩი ისე მაგრად მოუჭერდა ხელს ბეჭედს, რომ ლამის მელანი გამოედინა...

ბევრი რომ არ გავაგრძელო, შაქრომ ბოლოს და ბოლოს, ფისოს დაყოლიება მაინც შეძლო და როგორც ჩვენში ამბობენ, იქვე, თავის კაბინეტში „მიაპაჩინკა". მამაკაცური ჟინი რომ დაიკმაყოფილა, დიდი ხნის სურვილიც აიხდინა და ის ბეჭედი, რომელიც ფისოს თეძოების დანახვისას ლამის ხელში შემომტვრეოდა, ქალს მოშიშვლებულ დუნდულაზე ისე მაგრად დაარტყა, რომ საწყალმა ტკივილისგან დაიკივლა. რა იცოდა შაქრო პაპამ, რომ ფისო „დაბეჭდილ" დუნდულას მის წინააღმდეგ სამხილად გამოიყენებდა?!. ქალი მილიციაში გამოცხადდა და ზახარიჩი გაუპატიურებაში დაადანაშაულა. პაპაჩემს ციხის საკანი მანამ ახეხინეს, სანამ ფისოს ცოლად შერთვის თანხმობა არ ათქმევინეს და ბლომად ფულიც არ დაახარჯვინეს... ფისოსთან შვილი არ შეეძინა და მალევე გაშორდა. შემდეგ ცხონებული ბებიაჩემი შეირთო ცოლად და მასთან მრავალი ბედნიერი წელი გაატარა, მაგრამ ფისოს თეთრ, ფუმფულა დუნდულაზე დარტყმული ბეჭდის ამბავი დღემდე მწარედ ახსოვს.

ასე დაასრულა ამბის თხრობა თამადამ, ფეხზე წამოდგა და სუფრის წევრებს ტკბილ-მწარე მოგონებების სადღეგრძელო შემოგვთავაზა. ■

# გზა ვნილიები

*მარი ჯაფარიძე*



დღეს თემასთან დაკავშირებით მოსაყოლი მეც მაქვს... როდესაც სკოლა დავამთავრე, „მთხოვნელების რიგი“ დამიდგა. როგორც ჩანს, ელოდნენ, როდის მომენიჭებოდა გასათხოვრის „სტატუსი“. ნუ, რიგი რა... ერთსა და იმავე დროს 2 მთხოვნელი მოადგა დედაჩემის კარს. ორივე დავიწუნე და ცხვირი ავიბზუე... უნდა ვისწავლო, რა დროს ჩემი გათხოვებაა-მეთქი. ჰოდა, ეს ჩემი დაწუნებული და ცხვირაბზუებული ახალგაზრდა ყმაწვილები სულაც არ მომკვდარან დარდით. ცხოვრება ჩვეულებრივად განაგრძეს. ეგ იყო, შორიდან მითვალთვალებდნენ ხოლმე. ერთმა კი პირობაც დამადებინა, რომ ვიდრე ჯარიდან არ დაბრუნდებოდა, არ გავთხოვდებოდი, მერე კი თავს შემაყვარებდა და დარწმუნებული იყო, აუცილებლად შევქმნიდით მტკიცე, ქართულ, ტრადიციულ ოჯახს, გავაჩენდით ბევრ შვილს, „მთელი სოფელი ჩვენ ვიქნებოდით“ და ვიცხოვრებდით ტკბილად და ბედნიერად, მაგრამ... ვინ დააცადა?! ჯარიდან დაბრუნებულმა ისევ უარი მიიღო... ჰოდა, ამ ჩემი პოტენციური საქმროებიდან ერთი ახლა „მარშრუტკის“ მძღოლია, მეორე — საკმაოდ წარმატებული ბიზნესმენი. საერთო კი ის აქვთ, რომ თავის წარმატება-წარუმატებლობას ორივე მე „მაბრალებს“. ამას წინათ რუსთავი-თბილისის ტრასაზე საბურავი დამეშვა. გზისპირზე ვიდექი და მშველელს ველოდი, „მარშრუტკა“ გაჩერდა და მძღოლი ღიმილით მომიახლოვდა (მიხვდით ალბათ, ვინც იქნებოდა). სათადარიგო საბურავი დამიყენა გახეთქილის ნაცვლად და თან მორიდებით წუწუნებდა — შენი ბრალია, მაშინ უარი რომ მითხარი, ცხოვრებაზე ხელი ჩავიქნიე, სწავლაზე გული ავიცრუე, მესამე კურსიდან გამოვედი; აჰა, ჩემგან აეს დადგა, რასაცა ხედავ, ცოლად რომ გამომყოლოდი, ახლა წარმატებული ადამიანი ვიქნებოდი და ყველაფერი კარგად იქნებოდაო... მეორე (ბიზნესმენი) კი რამდენიმე ხნის წინ შემთხვევით შემხვდა. ერთმანეთი თბილად მოვიკითხეთ. თავისი წარმატებების შესახებ იტრაბახა, ლამის საბანკო ანგარიშებიც კი წარმომიდგინა, რამდენი ათასი ჰქონდა... ჰოდა, ბოლოს დააყოლა: ისე, ჩემი შემოსავლიდან წილი შენც გეკუთვნის, რაც გამაჩნია, ყველაფერი შენი დამსახურებაა, რადგან მაშინ ვიფიქრე, სიღარიბით დამიწუნე და გულში ჩავიდე, შენთვის მეჩვენებინა, რომ დასაკარგავი და გადასაგდები კაცი არ ვიყავი და ყველაფერი გავაკეთე საიმისოდ, რომ ცხოვრება ამეწყო და შენ სინანულით მომკვდარიყავიო... მოკლედ, ამ ცხოვრებას ვერაფერს გაუგებ... ერთი დაღუპა ჩემმა უარმა, მეორე —ააშენა... თუმცა, ვინ იცის... ჩემს „სვანურ“ ხასიათს თუ გავითვალისწინებთ, შესაძლოა, სწორედ ის დაღუპულიყო, რომლის სასარგებლოდაც არჩევანს გავაკეთებდი... ახლა კი თქვენი მესიჯები.

# გარიგება

## მოკლე ჩართვა

# როგორ დავიწყებდი პრეზიდენტისთვის მისაწერ წერილს?

● აუჰ... მიშას წერილი? მართლა საინტერესოა, როგორ დავიწყებდი.

Dear Mr. Prezident, come take and walk with me. ასე დავიწყებდი, მარა პინკმა დამასწრო, ჯორჯ ბუშს რომ უმღერა და ხომ არ ვიპლაგიატებ? ისე კი, თუ ოდესმე მართლა გადავწყვეტ პრეზიდენტს წერილი მივწერო, ალბათ ძალზე ბანალურად დავიწყებდი. ისე, როგორც ყველა, მაგრამ არაბანალურად გავაგრძელებდი: პრეზიდენტს ვთხოვდი, ჩემთვის პატარა ციყვუნია ეჩუქებინა. ციყვების ფანი, ჩუპი. :)

● როგორ დავიწყებდი პრეზიდენტისთვის გასაგზავნ წერილს? აი ასე: უწინარეს ყოვლისა ხელში ვიღებ კალამს და გიძღვნი გულითად სალამს... უბრალო.

● ბატონო მიხეილ, პრივეტ, როგორ ხარ, ტო? ხომ ხარ ლომივით? კაი, კაი, კაი, არ დამიწყო წუწუნი ახლა, ფული არ მაქვს, მიჭირსო. შადრევნების ფული ხომ გაქვს? მინდა გითხრა, რომ აქა-იქ წანწალს მორჩი, ვერ ხედავ, კრიზისია, შენ კი დადიხარ აღმა-დაღმა. პრეზიდენტი ხარ, ბოლოს და ბოლოს. ჰოდა, ეგრე. მე ვინა ვარ? გრუზინკა.

● „ბატონო პრეზიდენტო, ჭეშმარიტად უფლებამოსილო და ბრძენთა ბრძენო“... ალბათ სხვანაირად ჯობია... :) მოკლედ, ვთხოვდი, გარემოს დაცვის მინისტრად დავენიშნე, ცოტა ხნით მაინც და აი, მაშინ კი გულს მოვიოხებდი... ყველაზე მეტად ის მაღიზიანებს, სარეკლამო აგენტების მიერ მიწოდებულ ფურცლებს რომ ხევენ და ქუჩაში ყრიან. სარვიეტა.

● მე ასე დავიწყებ პრეზიდენტისთვის გასაგზავნ მესიჯს: „ოეეეე, მიშააა“... პაცანა.

## მზრუნველი მამა

„გარიგების მცდელობის მსხვერპლი ხშირად გავმხდარვარ და ვხდები კიდეც. არადა, ჯერ არცთუ ისე დიდი ვარ ასაკით კი არა და, შეიძლება ითქვას, რომ ჯერ ისევ პატარა გოგო ვარ. მახსოვს, ერთხელ, დაახლოებით 2-3 წლის წინ, მეგობართან ერთად ბიბლიოთეკაში ვიყავი. კატალოგებში ვეძებდი რომელიღაც ავტორს. ჩემი მეგობარი მეორე ოთახში ჟურნალ-გაზეთების სექციაში იჯდა და ლამის 50 წლის წინანდელ ჟურნალებს ისე გულმოდგინედ ათვალიერებდა, მეც ეჭვი შემეპარა, მართლა ხომ არ აინტერესებს-მეთქი? სასურველი ავტორის ძებნაში ვიყავი გართული, როცა იქვე მდგომმა კაცმა რუსულად მომმართა და კალამი მთხოვა. მეც ვათხოვე, სხვა რა გზა მქონდა, დაააა... აი, მაშინ დავიღუპე. მთელი 1 საათი არ დამიბრუნა ჩემი სანუკვარი კალამი (დავუტოვებდი, მაგრამ მეტი არ მქონდა წამოღებული და დასაწერი მქონდა). ჰოოდა, ჯერ იყო და მკითხა, სად სწავლობო? რომ ვუპასუხე, სკოლაში-მეთქი და თან ისიც ვუთხარი, რომელ კლასში, გაოცებულმა ამომხედა. მერე დაიწყო, მაგრამ რა დაიწყოოო... თავისი შვილის ქებას რომ მოჰყვა, მეეერე სახლი დეტალურად აღმიწერა და ნომერი რომ მთხოვა, აი, მაშინ ამევსო მოთმინების ფიალა. ჩემს შვილს გაგაცნობო. არა-მეთქი, თავი გავიგიჟე. კარგი მაშინ, თუ არ გინდა მისი გაცნობა, უბრალოდ, ვიმეგობროთო (თან ამ ყველაფერს რუსულად მეუბნებოდა) და ბოლოს, სანამ არ შევუბღვირე ჩემი დაქალის სიცილით გაბრაზებულმა, მანამ არ დამიბრუნა უკან კალამი. აააარ მინდა არავინ, ვაჰ! SKY“.

## გაპარული პატარძალი

„მამიდაჩემსურიგებდნენ თურმე ერთ ბიჭს. მოსულა ერთ დღეს სამსახურიდან დაღლილი და მიუხლიათ პირდაპირ, ამ შაბათს ბიჭს გაჩვენებთ, თუ მოეწონე, იმ შაბათს ქორწილი გვექნებაო. არადა, შეყვარებული ჰყოლია, ხომ მაგარია? თქმით ვერაფერი უთქვამს მშობლებისთვის, მაგრამ დაუწყია ჩუმი შიმშილობა და დაუკლია ისედაც 50-კილოიანს, 5 კილო ერთ კვირაში, იქნებ დამიწუნოსო, მაგრამ იმ ბორჯომელ ბიჭს ისე მოსწონებია, შეუბამს „ნიშნები“ და ქორწილიც 2 დღით გადმოუწევიათ. ქორწილის წინა დღეა, საკლავი დაკლულია თურმე, ყველა ფუსფუსებს, მამიდაჩემი კი ზის მარტო, შუა „ზალაში“ და გამართული აქვს პანაშვიდი. ტირის და მოსთქვამს. შემთხვევით მამაჩემს შეუსწრია, სიმართლე რომ გაუგია, შესცოდებია და სახლიდან ჩუმად გააპარა თურმე. :) ასე გადაურჩა მამიდა გარიგებით გათხოვებას, გაიპარა შეყვარებულთან ერთად და დღემდე ტკბილად ცხოვრობენ. ბიძაჩემი ძალიან მიყვარს, მაგრამ მამიდა იმ ბორჯომელს რომ გაჰყოლოდა, ბორჯომში მაინც დავისვენებდი, ზაფხულობით. :) შოკოლადა“.

## ციურის მსხვერპლი

„ერთმა ჩემმა ახლობელმა, ციურიმ, თავის მეუღლეს უთხრა, ქალაქში გაზრდილი გოგო ვარ და აღარ მინდა სოფელში ცხოვრებაო. რა ექნა დათიკოს? აიკრა გუდანაბადი და საზღვარგარეთ წავიდა სამუშაოდ. იმდენი მოახერხა, რომ ცოლ-შვილი ჯერ ნაქირავებში შეუშვა, შემდეგ — „ატსტუპნოიში“ და ბოლოს, საკუთარ ბინაში. არ ელეოდა ციურის კაპრიზები... რომ ჩამოვიდოდა დათიკო სახლში, ისევ უკან უშვებდა — ცარიელი ბინა რად მინდა, ბარემ კაი „ვეშიც“ დავაწყოთო. ეს ოცნებაც რომ აიხდინა (მის ბინაში უკვე ფეხის დასადგმელი ადგილი აღარაა), მერე „მერსედესი“ მოუნდა, მერე რემონტიც. ამასობაში ბიჭი სტუდენტი გახდა და ახლა

ყოველთვის, ცხოვრების სადავალდებულის წინაშე იყავი, ვიდრე — ცხოვრების სასჯელის თანდასწრებით.



იმის სწავლის ფულიც მოაგროვეო. ციური იმას ნატრობდა, ამდენი ფული ტელეფონზე სალაპარაკოდ რომ მეხარჯება, ისეთი რამე იქნებოდეს, ყოველღამე თან ვხედავდე ქმარს, თან ველაპარაკებოდეო (სწორედ აქ შეცდა დათიკო). უყიდა „კომპი" თავის მიკროფონ-ვიდეოთვალიანად და გააჩაღეს ყოველღამე ჟღურტული. ერთხელაც ციურიმ უთხრა, შემოაბრუნე ვიდეო, ვნახო, როგორი ოთახი გაქვსო და თვალი მოჰკრა დათიკოს ტანსაცმლის გვერდით მიგდებულ ბიუსტჰალტერს. ბიჭო, ეგ რა არის, მღალატობო? — არა, ქალო (არ დაიბნა დათიკო), ეგ სპეციალურად შევაკერვინე, ჩემი მუხლისთავებია, სამუშაოზე ვიკეთებო (ვითომ დავიჯერეთ). 2-3 დღის მერე, ჟღურტულით რომ დაიღალნენ, ციურიმ მოატყუა (ეჭვი ღრღნიდა), კომპი უნდა გავთიშო, საქმე მაქვსო. დათიკომ დაუფიქრებლად გვერდით გასძახა — ტანიჩკა, გდე ტი? — რაო, ტანიჩკაოოო? ციურის ძლივს გამოვგლიჯეთ კომპი ხელიდან, მაგრამ დათიკო აქაც მოხერხებულად გამოძვრა: — ხომ ხედავ ქალო, „ეკონომნი" კრიზისია, ბინის ფული რომ არ ვიხადო, ამ ქალთან გარიგება დავდე, მე მარტო პროდუქტის მოტანა მევალება, ბინის ქირას კი არ ვიხდი და ასე გამაქვს თავი, რომ თქვენ არაფერი მოგაკლდეთო. რა ქნას ციურიმაც? თუ უნდა ბევრი ფული, ამ გარიგებასაც უნდა შეეგუოს. აბლახანუმი".

## ყველაფერი 3 წლის წინ დაიწყო

„უზომოდ მიყვარს თქვენი ჟურნალი და ყოველ ხუთშაბათს დიდი რუდუნებით ვფურცლავ, თან ენიგმას გზავნილს ვეძებ, უპირველეს ყოვლისა. :) პირველად გწერთ და ჩემი ნიკი იქნება I Love „გზა". :) ...რაც შეეხება თემას, ჩემი 2 ნათესავი გარიგებით გათხოვდა. ერთს უბედნიერესი ოჯახი აქვს, მეორე კი მარტოხელა დედაა და წამლებით ებრძვის ნევროზის შემოტევებს... რას გაიგებ, ალბათ ზოგს უმართლებს, ზოგს — არა, მაგრამ გარიგება მაინც უდიდეს სისულელედ მიმაჩნია! ყველაფერი 3 წლის წინ დაიწყო... ახლობელი დიდი მონდომებით მირიგებდა თავის ძმისშვილს. :) მერე რაღაც, დამივიწყეს... 4 თვის წინ იმ ბიჭმა „ოდნოზე" მიპოვა და დამიწყო შებმა, მაგრამ გაუცრუვდა იმედი... — ბიჭებს ვერ ვიყვარებ, ძაან ეჭვიანი, საკუთარ თავში ჩაკეტილი ადამიანი ვარ და გიჟპოეტი-მეთქი. ჰოოოოდა, ჩემმა გამოგონილმა იმიჯმა ისე დააფრთხო ეს მეოჯახე ბიჭი, გარიგებულს აღარასდროს ენდობა. I Love „გზა".

## ნათლია

„არ ვიცი, ამას ნამდვილად გარიგება ჰქვია თუ სხვა რამ, მაგრამ გადავწყვიტე, მაინც მომეწერა. ნათლიამ გადაწყვიტა, ნათლულისთვის ბიჭი გაერიგებინა ისე, რომ გოგომ არაფერი იცოდა. არც არასოდეს უნახავს ის ბიჭი (თუ კაცი), არც სახელი იცოდა და არც გვარი. გოგო აღმოსავლეთში ცხოვრობდა, ნათლია დასავლეთში იყო გათხოვილი და იქაურ თავის მეზობელს ურიგებდა. გოგო მოტყუებით წაიყვანა თავისთან, ვითომ მოსახმარებლად. იქ ჩასვლიდან მეორე დღეს გოგოს ნათლიამ უთხრა, ჩემს მულთან ახალი სიძე-პატარძალია და დაპატიჟებული ვართო. სინამდვილეში, ნათლიის „მული" გოგოს მული უნდა გამხდარიყო. ასე მოტყუებით მიიყვანეს იმ სახლში. სუფრაც გაშლილი დახვდათ და ხალხიც მოსული. მომავალი ქმარი გააცნეს, როგორც სიძე და გოგოს გვერდით დასვეს. გოგოს არ მოეწონა ეს კაცი (ასაკით ბევრად უფროსი იყო გოგოზე). თან გაუკვირდა, ჩემ გვერდით რატომ დასვესო? გოგოს ეს ყველაფერი არ მოსწონდა. ვერც ვერაფერი იეჭვა. ალბათ ვერც წარმოიდგენდა, ნათლია თუ ასე გასწირავდა. შემდეგ თამადამ სიძე-პატარძლის სადღეგრძელო შესვა. გოგოს გვერდით მჯდომი კაცი წამოდგა და მადლობა გადაუხადა თამადას. გოგო აქეთ-იქით ინტერესით იყურებოდა, აინტერესებდა, პატარძალი რომელი იყო. ამ დროს ნათლია მივიდა და უთხრა, ადექი, თამადა გლოცავსო. გოგოს გაეცინა, მე რატომ უნდა ავდგე, პატარძალი კი არ ვაროო. ადექი, ადექი, შენ ხარ პატარძალიო, გაიცინა ნათლიამ. ხალხმაც შეუძახა, ადექიო. მოულოდნელი ინფორმაციისგან გოგო შოკში ჩავარდა, ხელი მაგიდის გადასაფარებელს ჩასჭიდა და თავისკენ მოქაჩა. რაც კი მაგიდაზე ეწყო, ყველაფერი ძირს გადმოყარა. ისეთ დღეში იყო, ვერც ხვდებოდა, რას აკეთებდა. გონს რომ მოეგო, გარეთ გავარდა. გარეთ საშინლად ციოდა, წვიმა და ქარი ერთმანეთში ირეოდა. უკუნი სიბნელე იდგა. გოგო სახლის სვეტს შემოეხვია, თან გულამოსკვნილი ქვითინებდა. ხალხი გარეთ გამოცვივდა. ვინ არ ეხვეწებოდა გოგოს, სახლში შემოსულიყო... ვერც სვეტს მოაცილეს, თითქოს მიელურსმაო. გოგოს არავის ხვეწნა-მუდარა არ ესმოდა. ერთიანად გალუმპული, არაადამიანური ხმით ღრიალებდა. შემდეგ ერთი სათნო ქალი გამოეყო ხალხს და გოგოს მიეფერა, დაუყვავა, გულში ჩაიკრა და უთხრა, რომ თავის სახლში წაიყვანდა და არავის მისცემდა უფლე-



**მოკლე ჩართვა**

## როგორ დავიწყებდი პრეზიდენტისთვის მისაწერ წერილს?

● **„ჩემო ტკბილო და მურაბა მიშიკო"... ან „ჩემო მიშა ალმაშენებელო" (ისე მაგას რა ვუთხარი! ბოდიში, დავით აღმაშენებელო). მოკლედ და კონკრეტულად, მიშა მაინც მიშაა, რა... ლა-ლოლა.**

● **„მიშა, ჩამო რუსთავში, იცი, როგორ გაალამაზეს?!"**

● **„ბატონო პრეზიდენტო, ვინაიდან დენის გადასახადი გაძვირდა, ახლა ამ წერილს სანთლის შუქზე გწერთ".** ■

ბას, მიჰკარებოდა. გოგო მიენდო ქალს და გაჰყვა. ის ღამე ამ ქალთან გაათია. დილით, მთელი ღამის ნამტირალევს, თვალები დასივებოდა, ადამიანს არ ჰგავდა. ნათლიის დანახვა არ უნდოდა, მაგრამ როცა მის სანახავად მოვიდა, უთხრა, რომ ოჯახისთვის მიეწვდინა ხმა. ნათლიას ესეც გათვლილი ჰქონდა და გოგოს ოჯახს უთხრა, რომ დასავლეთში ასეთი წესი ჰქონდათ — ჯერ მამა უნდა ჩავიდესო. იცოდა, გოგოს მამა შვილს არაფრის დიდებით უკან არ წაიყვანდა, თუნდაც თითდაუკარებელი ყოფილიყო. გოგოს დედა და და კი, რაც უნდა მომხდარიყო, უკან წამოიყვანდნენ. მეორე დღეს წამოვიდნენ გოგოს მამა და ნათესავები. გოგოს ეგონა, წაიყვანდნენ და გაიხარა, მაგრამ ვაი, რომ სიხარული ნაადრევი აღმოჩნდა. მამამ გოგოს უთხრა, უნდა დარჩე, რადგან სხვის სახლში ღამენათევ ქალს უკან არ წავიყვან და ხალხს სალაპარაკოს არ მივცემო. გოგო გაგიჟდა, მაგრამ იმედი არ დაუკარგავს და ბიძაშვილს დაელაპარაკა. ჩემთვის თითი არავის დაუკარებია და გთხოვ, აქედან წამიყვანეო, მაგრამ ბიძაშვილმაც უარი უთხრა. ასე დარჩა გოგო ძალდატანებით იმ ოჯახში. რამდენჯერმე სცადა გაქცევა, მაგრამ კარგი მეთვალყურეები ჰყავდა. შემდეგ იყო ტირილში გათენებული ერთი კვირა. ქმარი ახლოს არ გაუკარებია, ეზიზღებოდა. კაციც ისეთი არ იყო, რომ თავი შეეყვარებინა გოგოსთვის. შემდეგ ბედს დაჰნებდა... მერე იყო ქორწილი... თვალებდაწითლებული პატარძალი... ნაძალადევი ღიმილი... ღიმილი მხოლოდ იმიტომ, რომ დედა და დები ცუდად არ გამხდარიყვნენ... ასე გააჩინა სამი შვილი... შვილებით ბედნიერია, სიყვარული კი დღემდე არ იცის, რა არის. P.S. ეს მოხდა მრავალი, მრავალი წლის წინ. იასამანი".

### აი ცოლიიიი!

„ჩემმა მეზობელმა თავის ბიძას ქალი გაურიგა. წავიდა თბილისელი ქალი სოფელში საცხოვრებლად. მიხედა ქმარს, სახლს, ეზოს. ერთხელ, გათხოვებიდან დაახლოებით 2 თვის შემდეგ, წამოვიდა და თბილისში გასაყიდად წამოიღო ქათამი, კვერცხი, კარტოფილი, არაყი, ლობიო, თაფლი, თხილი, ნიგოზი, ყველი, რძე, ხაჭო, კარაქი და თანხაც გამოართვა ქმარს, ამეებს გავყიდი, მაგ თანხასაც დავამატებ და ოჯახისთვის რაღაცებს ვიყიდიო. წამოვიდა და წამოვიდა. იმ გასაყიდი პროდუქტით სახლი გაავსო, ის ფული ჩაიჯიბა და სოფლისკენ აღარც გაუხედავს. ბიძის შიშით, 2 წელი სოფელში არც „ვითომ ხანუმას" გაუხედავს. შიში ოხერია. ჭრიჭინა".

### სიმამროვიჩი

„ეკას ღმერთმა ყველაფერი მისცა, სილამაზის გარდა. ჭკვიანი და კეთილი კი იყო, მაგრამ აბა ამას რომელი კაცი აფასებს? ამიტომ ფულიანი მამიკო ღარიბ, მაგრამ პატიოსან სასიძოს ეძებდა. ასეთი ბიჭი კი ძმაკაცის რესტორანში აღმოაჩინა. თემო მშვენიერი, დიპლომიანი სასიძო გახლდათ. ნიკოსთვის კი სულ ერთი იყო, მიმტანად რომ მუშაობდა. არ ჰგავდა კუდაბზიკა, „ახალ ქართველებს". თავიდან, ფეხის ქირაში რამდენიმე „მწვანე" აჩუქა და 2-3 დღეში თხასავით იყიდა ჩვენი ოფიციანტი. ეკას მზითევში ბინა, მსხვილი საბანკო ანგარიში, ურეკის აგარაკი, მანქანა და დედმამა მოჰყვა. თემოს კი 1 გამოსაცვლელი პერანგი, მაგრამ მას მერე, რაც მამასავით ლამაზი ნიკოლოზი გაჩნდა, თემო ისე შეიყვარა ნიკომ, ხალხმა სიმამროვიჩი შეარქვა. თემო ბედს არ უჩივის და ეკას თვალებში შესციცინებს. მერე რა, თუ ცოლზე მეტად მისი სოციალური სტატუსი უყვარს? მერე რა, რომ სიმამრის ფულმა აქცია კაცად? ჩვენ ხომ მატერიალური ღირებულებების ზეობის ხანაში ვცხოვრობთ?! გარიგებით უამრავი ოჯახი იქმნება, მაგრამ ეს უფრო ვაჭრობას მაგონებს. პარიჟანკა".

### ბედია

„სიკვდილას ბებიამ თავის თანამშრომელს ჩემი მეზობელი გააცნო, კარგი ბიჭია, ნახე, გაიცანი, დაელაპარაკეო. გაიცნეს ერთმანეთი. სახლში რომ მივიდა, ჰკითხეს, მოგეწონა ბიჭიო? გოგო სიცილით ისტერიკაში ჩავარდა, მაგას ცოლად როგორ გავყვებიო?! დეიდაშვილმა დაუცაცხანა, გაჩერდი, მარეხ, ნუ იცინი, შეიძლება, ბედიაო. მარეხი ისევ გულიანად ახარხარდა. საქმე კი ისე შემოტრიალდა, რომ ძალიან მალე დაქორწინდნენ. დღეს მარეხს ქმარი უზომოდ უყვარს და 3 წლის ანანოს ზრდის. აი, ასე იცის გარიგებამ! იმედია, მარეხის რისხვას გადავურჩები. P.S. მე დავბრუნდიიიი! ჭრიჭინა".

## მოკლე ჩართვა

# ვის მინდა, ვგავდე

**● მინდა, ვგავდე კოკო შანელს გაბედულობით, ანჯელინა ჯოლის — ღიმილით, ადრიანა ლიმას — თვალებით, მეგან ფოქსს — ტანით. მოგატყუეეეთ! მე ასეთიც ჩასაყლაპი ვარ.** GREEN GIRL.

**● ვის მინდა, ვგავდე და ინდირა განდის. რაო, მარი, ხომ არ გეგონა, შენ-მეთქი, მოგწერდი? ახლა ადლაოტი ვარ. ადლაოტი.**

**● ირგვლივ უამრავი მისაბაძი ადამიანია. მართლაც არ იქნებოდა ცუდი, რაღაცებით მათ რომ ვგავდე. თუმცა, ღმერთმა ასეთი გამაჩინა და ძალიანაც კმაყოფილი ვარ. არ ვაპირებ, ვინმეს მივბაძო. იქით მგავდეს ზოგი, რაა... ჩუპი.**

**● ვერ ვიტყვი, კონკრეტულად ვინმეს მინდა, ვგავდე-მეთქი. აი, ჩემი ახლობლებისგან კი ხშირად ყოფილა ასეთი სიტყვები, რომ სოფ, ძალიან მინდა, შენ გგავდეო. ამით თავს არ ვიქებ, მაგრამ ასეა. თუმცა, არასდროს მიკითხავს — რატომ? ლა-ლოლა.**



## კახელების სარძლო

„ერთ დღეს უნივერსიტეტიდან დაღლილი დავბრუნდი სახლში. დედაჩემმა და ჩემმა დამ მითხრეს, დაჯექი, რაღაც უნდა გითხრათო. თან ეღიმებოდათ. გამიკვირდა, რა ხდება-მეთქი? კარის მეზობელ ქალს, კახელი ძმისშვილი ჰყავს. ის ხშირად სტუმრობს ხოლმე მამიდას და თურმე არ შევყვარებივარ ამ ვაჟბატონს?! :-) არადა, ისეთი მორიდებულია, გამარჯობასაც ძლივს ამბობს. ერთ დღეს დაულევია (თან კახური ღვინო), მოსძალებია ჩემდამი გრძნობები და დაურეკავს მამიდასთან, მიშველე რამეო. აქეთ სხვა ნათესავები ჩარეულან, ჩვენ მივალთ მამამისთანო და მთელი ამბები... არადა, ამ ჩემს მეზობელს ისეთი სიხარულით უთქვამს დედაჩემისთვის ეს ყველაფერი, რომ აშკარად კახეთის სასურველი სარძლო ვარ, მაგრამ ვერ მივართვი. რა თქმა უნდა, კულტურულად ვუთხარი უარი — ჯერ არ ვაპირებ გათხოვებას, უნდა ვისწავლო-მეთქი. არადა, უკვე 19 წლის ვარ. ახლაც სტუმრობს ხოლმე მამიდას ჩემი ექსსაქმრო და მორიდებისგან რეკორდული სიჩქარით აირბენს ხოლმე კიბეს... ნინი“.

## მულების ჯიბრით

„გარიგებით ბევრი გათხოვილდაქორწინებულა, მაგრამ ცოტას თუ შეჰყვარებია ერთმანეთი. ქალბატონმა ლალიმ თავისი ამბავი 10 წლის წინ მოჰყვა, ჩემს ოჯახში: მე 25 წლის ვიყავი, დათო — 27-ის. მაჭანკალმა გვიქო ერთურთი, ბოლოს ორივე დაგვითანხმა და ბიჭიც გამოგზავნა ჩემს სანახავად. მთელი კვირით ადრე დაიწყო ჩემმა ოჯახმა მზადება. დადგა ის დღეც. მოვიდა დათო თავის უფროს, შინაბერა დებთან ერთად. ჩემებმა სუფრასთან მიიწვიეს, მე კი ოთახში გამომკეტეს. როგორც იქნა, მოიფიქრეს დათომ და მისმა დებმა და ჩემი ნახვა გადაწყვიტეს. გამომიყვანეს და დამაყუდეს შუა ოთახში. დათოს ხმა არ ამოუღია, მისი დები კი გასაყიდი პირუტყვივით მათვალიერებდნენ. გამატარ-გამომატარეს, მატრიალ-მაბზრიალეს, მერე ტუჩიც აიბზუეს და დატოვეს ჩვენი სახლი ნიშნად იმისა, რომ არ მოვეწონე. შეურაცხყოფილი, 2 კვირა არ გამოვსულვარ ოთახიდან. მალე დათომ მომაკითხა და მითხრა, მომეწონე და გავიპაროთო. მის დებზე ისე მინდოდა შურისძიება, რომ დავთანხმდი და ცოლად გავყევი. 6 წელია, ერთად ვართ და დათო მაინც ვერ შევიყვარეო.

ლალიმ და დათომ ერთად კიდევ 2 წელი იცხოვრეს, შემდეგ კი... საშინელი ავტოავარიის შედეგად ორივე დაიღუპა. მათ ამქვეყნად ქალვაჟი დარჩათ, რომლებიც დღეს ჩემი საუკეთესო მეგობრები არიან. დამავოი“.

## თემაზე და თემის გარეშე მოსული მოკლე მესიჯები

„ნინოს, სანამ ჩვენი მეზობლის რძალი გახდებოდა, ბევრ ვინმესურიგებდნენ. ერთხელ 43 წლის კაცი გააცნეს, გაისეირნეს, ისაუბრეს, საღამოს, როცა დამშვიდობებისა და პირველი პაემნის დაგეგმვის დრო დადგა, კაცმა უთხრა — მე კი ძალიან მომეწონე, მაგრამ დედაჩემს უნდა გავაცნო შენი თავი, ეგებ იმას არ მოეწონოო... პაემანი აღარ შედგა“.

„ერთი ამბავი გამახსენდა. ნათესავის წლისთავზე ვიყავი წასული და ცოტა ადრე მივედი, რადგან რაღაცების გამზადებაში ვეხმარებოდი. ერთი მოხუცი ქალი იყო იქ და აღმოჩნდა, რომ საჭმელში ხახვი არც მე მიყვარდა და არც იმას. მომიბრუნდა და მითხრა: მე და შენ ერთმანეთს კარგად გავუგებთ და ჩემს შვილიშვილს გაგაცნობ, ძალიან კარგი ბიჭიაო. თავისთან სახლშიც დამპატიჟა და ახლაც მელოდება. :-):-) ისე, ბებო ცოტა გავანაწყენე. მის ნათქვამზე გამეცინა და ცოტა ეწყინა. სიკვდილა“. ■



**მოკლე ჩართვა**

# ვის მინდა, ვგავდე

● რეალურ, ვირტუალურ თაყვანისმცემლებს და სარკეს თუ დავუჯერებთ, ძალიან ლამაზი თვალები, ტუჩ-კბილი და ჯადოსნური ღიმილი მაქვს. ჭკუაც მიჭრის. დანარჩენსაც არა უშავს, ასე თუ ისე. დედიკოს ასლი ვარ და ნამდვილად არ მინდა, პატენტი ანჯელინა ვიყო. რატომ უნდა ვგავდე ვითომ, სხვას? სვანის ასული.

● არავის არ მინდა, ვგავდე. უბრალოდ, კარგი იქნებოდა, ასეთი ეგოისტი რომ არ ვიყო. სიკვდილა.

● ვის მინდა, ვგავდე? ეს რთული კითხვაა. არავის არ მინდა, ვგავდე. მხოლოდ განვლილ ცხოვრებას შევცვლიდი, უკეთესობისკენ ისე, როგორც ახლა მივიჩნევ, რომ უნდა ყოფილიყო. ზუკი.

● ძალიან მინდა, ვგავდე ელტონ ჯონს. ჰმ, ღმერთმა დამიფაროს. :-)

● რა თქმა უნდა, საკუთარი თავი მირჩევნია, ცუდი საქციელების გარეშე. არადა, მაინც ხშირად ჩავდივარ. მისტერ.

● ვის მინდა, ვგავდე? ახლავე გეტყვით. აიღეთ ანჯელინა ჯოლის ტუჩები, ბეიონსის მკერდი და ჯენიფერ ლოპესის საჯდომი და დანარჩენი ჩემი იყოს. თუმცა, არც არაფერი დარჩა მეტი. ხათი ხათი.

● ვის მინდა ვგავდე? გაჩნია, რით უნდა ვგვადე. ისე კი, ყოველი ქრისტიანი უნდა ეცადოს, უფალს დაემსგავსოსო და რა ვიცი, აბა... ჩუპი. ■

*„გზავნილების“ მომდევნო თემად გთავაზობთ — „ერთხელ მეც შევცდი“. გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8.77.45.68.61 ან მომწერეთ ელფოსტაზე: marorita77@yahoo.com რაც შეეხება „მოკლე ჩართვას“, ამჯერად კითხვა ასეთია — „როგორი უნდა იყოს იდეალური შეყვარებული?“.*

# „მას ცოლი კი არა, მის კისერზე ცხოვრება უყვარს...“

## „ადამიანი კაცად თუ არ ივარგებს, მისი წარმომავლობა არაფერ შუაშია“



**„გზის“ №39-ში დაიბეჭდა გზააბნეულის მესიჯი. შეგახსენებთ, იგი გვწერდა, რომ 21 წლის ასაკში გათხოვდა და 6 თვეში მიხვდა, რომ სისულელე გააკეთა, რადგან მშობლებს არ დაუჯერა და ცოლად სოფლელს გაჰყვა. „ის ღამის კლუბებში, ვირივით მამუშავებდა, მერე ჩემ მიერ ნაშოვნი ფულით ან თავის ვალებს ისტუმრებდა, ან „პივას“ სვამდა. ასე გრძელდებოდა 1 წელი და 6 თვე, მერე განქორწინება ვთხოვე, მაგრამ ამაოდ. იმით სარგებლობს, რომ ამ ამბავს მამაჩემს ვერ ვეუბნები, მისი მერიდება“. გზააბნეულს ახლა სხვა შეუყვარდა და მასთან ურთიერთობაც ჰქონდა. გოგონამ ქმარს ყველაფერი უთხრა, რადგან ეგონა, ამის მერე მაინც დაშორდებოდა, მაგრამ „თქვენც არ მომიკვდეთ, — მიყვარხარ და ამიტომაც, ყველაფერს გპატიობო... მირჩიეთ, ასეთ სიტუაციაში როგორ უნდა მოვიქცე?“**

*ლიკა ქაჯაია*

**ლი ჰარვი ოსვალდი:**

„ქმარს არ უყვარხარ. ის უბრალოდ, გიყენებს. ყველანაირად უნდა შეეცადო და დაშორდე“.

**შოკოლადა:**

„ან გონება გაქვს დაბინდული, ან ჩვენც დაგვცინი და საკუთარ თავსაც. გეთანხმები, ცოლად არაკაცს გაჰყევი. სხვათა შორის, ადამიანობა სოფლელობით არ განისაზღვრება. შენ მამაშენის კი არ გერიდება, არამედ იმის აღიარება არ გინდა, რომ შეცდი, როცა მშობლებს არ დაუჯერე. გგონია, ვიღაცასთან დაწოლით მხოლოდ ქმარს უღალატე?.. მოღალატე ბედნიერი ვერასდროს იქნება. გირჩევ, მშობლებს სიმართლე უთხრა. შენი მეუღლე უთავმოყვარეო ადამიანია და საკუთარი ნებით არც არასდროს დაგშორდება“.

**ხატია:**

„სოფლელობა რა შუაშია? მთავარი ადამიანის ხასიათი და შრომისმოყვარეობაა. არ მესმის შენი. მაპატიე, მაგრამ 21 წლის ადამიანი პატარა აღარაა და მას იმის გაანალიზებაც უნდა შეეძლოს, თუ ვის მიჰყვება და სად. დროზე გაუმხილე ოჯახს შენი ტკივილი. წარმატებებს გისურვებ!“

**მომთმენი დედა:**

„მეც შენს დღეში ვარ, ოღონდ, შენგან განსხვავებით, 1 წლის პატარა მყავს. ჩემო კარგო, მშობლებს ყველაფერი უნდა უთხრა. ჯერ პატარა ხარ და თავს ნუ დაიტანჯავ. თუ რამეა, ჩემი ნომერი ლიკას გამოართვი და ვიმეგობროთ. გელი“.

**ნინო 26:**

„შენი კარგად მესმის, რადგანაც მსგავს სიტუაციაში მეც ვიყავი. ჯობია, მშობლებს გულახდილად უამბო ყველაფერი, ისინი შენს ქმარს დაელაპარაკებიან და პრობლემას მოგიგვარებენ“.

GOLD GIRL:

„21 წლის გოგოს დაფიქრება გმართებს. ამბობ, — მერე მივხვდი, რომ სიყვარული სადღაც გაქრაო. ჩემი აზრით, თქვენ შორის ეს გრძნობა არც არასდროს ყოფილა, თორემ წელიწად-ნახევარში ვერ გაქრებოდა. რაც შეეხება შენს ქმარს, მას ცოლი კი არა, მის კისერზე ცხოვრება უყვარს. ასე რომ, ვიდრე დროა, მამაშენს სიმართლე გაუმხილე და ამ ჯოჯოხეთიდან თავი დროულად დააღწიე. წარმატებები!“

**ურჩი გოგო:**

„ქმარს დროზე დაშორდი, რა! რას ჰქვია, არ უნდა?.. ისე, არ გეწყინოს და უტვინო გოგოს შთაბეჭდილებას ტოვებ“.

**იდუმალი ქალი:**

„რას ნიშნავს, ღამის კლუბებში გამუშავებდა და მერე ფულს გართმევდა? ვერ გამიგია, ასეთ უნამუსო და უთავმოყვარეო კაცუნასთან როგორ ძლებ? მსგავს საქციელს კაცური კაცი არასდროს იკადრებს. პატრონი არ გყავს, შვილო?! ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე უნდა მიატოვო. იმედია, მამას დაელაპარაკები და ისიც გაგიგებს. აბა, თავს ხომ არ შეაკლავ ასეთ უნამუსოს? თავი არ დააჩაგვრინო!“

**იკუშკები:**

„შენს გაკიცხვას არ ვაპირებ, რადგან აქ ისედაც, ბევრი დაგადანაშაულებს. თუ უბედური ხარ, ქმარი არ გიყვარს და მით უმეტეს, მასთან დაწოლის სურვილიც არ გაქვს, დაშორდი. ცხოვრებაში შეცდომას ყველანი ვუშვებთ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მერე მთელი ცხოვრება ვიტანჯოთ. თუ ქმრისგან წამოსვლას გადაწყვეტ, ჭორიკანა და ენაგრძელი ადამიანების მოსაზრება ნუ შეგაშინებს. ხომ გინდა, ბედნიერი იყო?.. რაც შეეხება შენს ქმარს, უკაცრავად, მაგრამ ის დიდი უსაქმური, მუქთახორა, უთავმოყვარეო და უსინდისო კაცია. შენი მამიკოს ფულს დაუმიზნა და კარგად ვერ მოარტყა მიზანში, არა? ვერ ვიტან მისნაირ მამრებს, კაცობა მხოლოდ შარვლის ჩაცმა და მაგიდაზე მუშტების ბრახუნი რომ ჰგონიათ. მშობლებს ბოდიში მოუხადე და მათთან დაბრუნდი. ბედნიერებისა და სიყვარულისთვის ბრძოლა ნამდვილად ღირს, დამიჯერე!“

**ინა:**

„ვერ ვხვდები, ამ სიტუაციაში სოფლელობა რა შუაშია? რა, არ შეიძლება, ქალაქელი უსაქმური და რეგვენი იყოს? შენ უბრალოდ, ქმარში არ გაგიმართლა. თუ სიმართლე გაინტერესებს, მგონია, რომ ახლაც დაუფიქრებლად იქცევი. ყველაფერს ჯობია, მშობლებს სიმართლე უთხრა. ბედნიერებას გისურვებ!“

**უცნობი:**

„ამბობენ, — სხვა სხვის ომში ბრძენიაო, მაგრამ მას სოფლელს ახლა რომ ეძახი, თავიდან არ იცოდი, ვის მიჰყვებოდი ცოლად? თუ შეძლებული ოჯახიდან ხარ, საინტერესოა, ღამის კლუბში რა გინდოდა? ეტყობა, ვერ გაითავისე, რაა ოჯახი... ქალაქელო, მე იმ კაცის დედა ვატირე, ცოლი რომ ეტყვის, სხვასთან ვწევარო და თავს არ მოაჭრის და მერე შენნაირი ქალის ნამუსი შევარცხვინე, ქმარი რომ ჰყავს და მაინც, სხვას უწვება. ქალაქელო, ფუ შენს ქალობასა და სინდისს, რა თქმა უნდა, თუ გაგაჩნია“.

**ნათი-ნათი:**

„შენს ქმარს ცოლი კი არა, მარჩენალი სჭირდება. სინანული ძალიან გვიანია. მშობლებს დაელაპარაკე! წარმატებები!“

**კოზანოსტრა (ბისკვიტი):**

„გამარჯობა. იმედია, ჩემი რჩევა სწორი გადაწყვეტილების მიღებაში დაგეხმარება. მერწმუნე, ვერც ერთი მშობელი ვერ უყურებს შვილის უბედურებას გულგრილად. ასე რომ, გირჩევ, დედ-მამას დაელაპარაკო და გადაწყვეტილება ერთად მიიღოთ. თუ შენს ახალ კავალერს ნამდვილად უყვარხარ და მის მიმართ შენც იმავეს გრძნობ, შეეცადე, არ დაკარგო. ცხოვრება ისედაც, წამია და უნდა ეცადო, ეს წამი გაილამაზო“.

GRAZY GIRL:

„მაპატიე, გულს თუ გატკენ, მაგრამ მშობლებისთვის ნამდვილად უნდა დაგეჯერებინა და ისეთ ადამიანს არ გაჰყოლოდი, ვინც არ შეგეფერებოდა. სამწუხაროდ, გოგონები ხშირად დგამენ დაუფიქრებელ ნაბიჯს და როცა ცხვირს წაიმტვრევენ, მერე ითხოვენ რჩევას. მშობლებს დაელაპარაკე და სასწრაფოდ დაბრუნდი სახლში. მეუღლეს სასამართლოს გზით უნდა გაეყარო. P.S. გოგონებო, კარგად დაფიქრდით და არჩევანი მერე გააკეთეთ“.

**სარვიეტა:**

„არ შემიძლია, არ შეგეკამათო იმის გამო, რომ ნანობ, ცოლად სოფლელს რატომ გავყევიო?! ქალაქში რომ გაეზარდათ, უფრო ცივილურად მოიქცეოდა? :)) მართლაც, რთულ სიტუაციაში ხარ. ის მომავალშიც შენს ხარჯზე ცხოვრებას გეგმავს და ეგაა. ჯერ მშობლებს დაელაპარაკე და მერე მეუღლესაც დაშორდი. მას უნდა აგრძნობინო, რომ ერთმანეთისთვის აღარავინ ხართ. იქნებ, ამან მოდრიკოს“.

**მოსამართლე ლაშა:**

„შენი ქმარი სულით ხორცამდე არაკაცია. მოღალატე ცოლის გვერდით როგორ ცხოვრობს, ეს ხომ არაკაცობაა! გაშორდი და ეს იქნება საუკეთესო გამოსავალი!“

**ფეშენა:**

„ჩემო კარგო, ძნელია მიჩვეულის გადაჩვევა. მესმის შენი, ქალაქში გაზრდილ გოგოს სოფელთან შეგუება გაგიჭირდა, ფულს მიჩვეული უფულობამ დაგალონა, მაგრამ სანამ გაჰყვებოდი, ისიც ხომ იცოდი, ვინ იყო და როგორი მატერიალური მდგომარეობა ჰქონდა? ისიც ხომ იცოდი, რომ მსგავს სიტუაციასთან შეგუება გაგიჭირდებოდა? აბა, რაღამ აგამჩატა? ასე ცხოვრებას ჯობია, მშობლებს ყველაფერი უამბო და შინ დაბრუნდე. P.S. აუ, ლიკა, ერთხელ მაინც დამიბეჭდე მესიჯი ისე, როგორც გწერ და არა ისე, როგორც შენ გინდა (უკაცრავად, გეთაყვა, მაგრამ ზოგჯერ, თქვენი „ესემესების“ შემოკლება მიწევს, რათა გული არც ერთს დაგწყვიტოთ. და კიდევ, როცა თქვენი მესიჯის შინაარსი, საჭიროების შემთხვევაში, სტილისტურად იხვეწება, ამან არ უნდა გაგაბრაზოთ).

**სიკვდილა:**

„რა დროს მორიდებაა, გენაცვალე? თუ ასეთი უბედური ხარ, შენებს უთხარი და დაგეხმარებიან. ან ის რას გეუბნება, ვისთანაც ხარ? სიმართლე ახლობელ ადამიანებს მაინც გაუმხილე“.

**ლორელაი:**

„ასეთ ადამიანთან ამდენ ხანს როგორ გაძელი? მას მხოლოდ შენ მიერ ნაშოვნი ფული სჭირდება. თან, შეიძლება, იმის იმედი აქვს, რომ მამაშენი ყველაფერს გაპატიებთ და უზრუნველად გაცხოვრებთ. დაშორდი და საკუთარ თავს მიხედე. ოღონდ, ახლა მაინც, კარგად დაფიქრდი, მეორედაც იგივე არ დაგემართოს. მამაშენს დაელაპარაკე, აუცილებლად!“

**ეშმაკუნა:**

„თავადაც არ იცი, რა გინდა. ქმრისთვის არ უნდა გეღალატა, მაგრამ რადგანაც ეს ნაბიჯი უკვე გადადგი, ახლა ჯობია, დაშორდე. ოჯახის შექმნა თამაში არაა!“

**ლუნა:**

„საერთოდ, როცა ისეთ სერიოზულ ნაბიჯს დგამ, როგორიც ოჯახის შექმნაა, ცოტა დაფიქრება და წინდახედულობა გმართებს, მაგრამ ახლა ვერაფერს შეცვლი. შენი ქმარი კაცი კი არა, ნაგავი ყოფილა. კაცი, რომელიც ცოლს სამუშაოდ გააგდებს, თანაც — ღამის კლუბში და მერე, მისი ნაშოვნი ფულით ვალს გაისტუმრებს ან „პივას“ დალევს, არაადამიანია და მან საკუთარი კაცობით აღარ უნდა იტრაბახოს. მისგან თავს ვერც დააღწევ და იცი, რატომ? — იმიტომ, რომ შენ მისი ერთადერთი მარჩენალი ხარ. როგორ ფიქრობ, რომ უყვარდე, როგორ მოიქცეოდა? მამაშენის ახლა უნდა გერიდებოდეს, როცა ქმარს ულალატე, თორემ მაშინ რა გქონდა მოსარიდებელი? შენს ადგილას, გავგიჟდებოდი. გამძლეობას გისურვებ!“

WINDY:

„ჩემი აზრით, ყველაზე დიდ შეცდომას მაშინ უშვებენ, როცა რაღაცას აკეთებენ და შედეგზე არ ფიქრობენ. რაც იყო, იყო. ახლა ადექი და „ლოვესთან“ ერთად, ე.წ. მეუღლის ცხოვრებიდან გაქრი“.

**უცნობი:**

„მამას ყველაფერი უამბე. არა მგონია, მას შენთვის ცუდი უნდოდეს. ერთხელ და სამუდამოდ, ამ ამბავს წერტილი უნდა დაუსვა. უვარგისი კაცი, რომელმაც ცოლის ფასი არ იცის, ხორცმეტივით უნდა მოიშორო. დამიჯერე, ქალის ცრემლებად არც ერთი კაცი არ ღირს. კანონია და სამართალი, როგორ უნდა გაჯობოს?“

**იორა:**

„მგონი, თავის შენახვის იოლ წყაროს მიაგნო, შენი სახით. თუ აღარ გიყვარს, მშობლებს პატიება სთხოვე და მათთან დაბრუნდი. შეცდომა ყველას მოსდის, მთავარია, ამას მიხვდე და აღიარო. მშობლები აუცილებლად მიგიღებენ“.

**დამავოი:**

„შენი შეცდომა სოფლელზე გათხოვება კი არა, ისაა, რომ უსაქმურს გაჰყევი ცოლად. მშობლებს სიმართლე უთხარი და შინ დაბრუნებაზე იფიქრე. ქმართან უსიყვარულოდ ცხოვრება ტანჯვაა და სხვა არაფერი“.

**ჭრიჭინა:**

„ნუ გადამრიე, რას ჰქვია, გერიდება? იმის გრცხვენია, რომ მშობელთან ყველაფერი აღიარო და იმის არა, რომ მუქთახორა ქმრის მუცლის ამოსავსებად ღამის კლუბში მუშაობ? გულახდილად გეტყვი, ქმარს რომ ჰყვარებოდი ან ცოტა თავმოყვარეობა მაინც ჰქონოდა, იმის გამო, რაც უთხარი, შენთვის თავ-ყბა უნდა დაელეწა, მან კი ვითომდა, გაგიგო... არ ხარ ვალდებული, ვიღაც მაჯლაჯუნა არჩინო. მაგას ჯობია, შეეშვა და საკუთარ თავს მიხედო. წარმატებები!“

**უცნ 555:**

„შენ მართლა გზააბნეული ყოფილხარ. სიყვარული და სექსი ერთმანეთში გერევა — სიყვარული უფრო გამტანი გრძნობაა, სექსი კი დროებითია. საკუთარ საქციელზე დაფიქრდი. შენ შეიძლება, ისიც არ გიყვარს და ახლა მხოლოდ გართობა გსურს. ქმარს უყვარხარ და ეცადე, ის შენც შეიყვარო. აბა, კარგად“.

**თქვენი მუდმივი მკითხველი, ქუთაისიდან:**

„რა შუაშია აქ სოფლელობა? უსაქმური და უვარგისი კაცები ქალაქშიც არიან. თუ მეუღლე გიყვარს და ოჯახის შენარჩუნებაც გინდა, ყველგან მშვენივრად იგრძნობ თავს. მაპატიე, მაგრამ დიდი ქარაფშუტა გოგო მგონიხარ. თუ ქმარი არ გამოგადგება, მას კი არ უნდა ულალატო, არამედ — უნდა გაშორდე. თქვენზეა ნათქვამი: „ფერი ფერსაო, მადლი ღმერთსაო“.

**გრუზინკა:**

„უთავმოყვარეო არაადამიანთან გაქვს საქმე. ვფიქრობ, მამას სიმართლე უნდა უთხრა და ამ კოშმარსაც თავს დააღწევ, იმედია. სოფლელობა ნაკლი არაა. ადამიანი კაცად თუ არ ივარგებს, მისი წარმომავლობა არაფერ შუაშია“.

# „მიჭირს იმ ფაქტთან შეგუება, რომ მას ველარასდროს ვნახავ...“

**აბეზარა:**

„სიკვდილი“ — ეს სიტყვა ჩემთვის ყოველთვის გლოვასთან, ძაძებთან, ცრემლთან და დიდ ტკივილთან ასოცირდებოდა და ამაზე ფიქრს გავურბოდი, მაგრამ ცხოვრება ხომ მოულოდნელობებითაა სავსე!.. ძალიან ცუდად ვარ, დიდი ბებია გარდამეცვალა და გუშინ დავასაფლავეთ. არადა, ყოველთვის მეშინოდა პანაშვიდებზე სიარული; ცუდად ვხდებოდი ტირილის ხმაზე და ყვავილების დანახვაზე. ჯერ კიდევ არ გამიაზრებია, რაც მოხდა და არც მინდა, ბებიას სიკვდილი დავიჯერო. მიჭირს იმ ფაქტთან შეგუება, რომ მას ველარასდროს ვნახავ. უფალმა ნათელში ამყოფოს მისი სული. მაინტერესებს, როგორ იქცევიან ჩემი თანატოლები ახლობელი ადამიანის დაკარგვის შემთხვევაში?“

*P.S.* ***მაშ ასე, თუ აბეზარას წერილის წაკითხვის შემდეგ, მასთან დაკონტაქტების სურვილი გაგიჩნდებათ, დაგვიმესიჯეთ ტელეფონის ნომერზე: 8.58. 25.60.81. მას თქვენი დახმარების იმედი აქვს.*** ■



# მობილიზაცია

***იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი „მობილი-ზაციაში“ მოხვდეს, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა GZA გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრიბოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ მესიჯი გამოგზავნოთ ნომერზე: 8884. ჩემს მობილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ: ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ ვრცელი მესიჯის გამოგზავნა გსურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ.***



## ქალები

1. მქვია მარიკა, ვარ 26 წლის. მინდა, ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნო სერიოზული, გულთბილი, ყურადღებიანი მამაკაცი. არასერიოზულებმა გთხოვთ, თავი შეიკავოთ.

2. ვარ 32 წლის, განათლებული, სიმპათიური, გაუთხოვარი გოგონა. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობდი 36 წლამდე ასაკის, მაღალ, სიმპათიურ მამაკაცს. დაბლები და მსუქნები არ გამომეხმაურონ.

3. ვარ 36 წლის, საშუალო სიმაღლის, სუსტი, ლამაზი სახის. გათხოვილი არ ვყოფილვარ. ოჯახის შექმნის მიზნით მინდა გავიცნო შესაფერისი ასაკის, სერიოზული, დასაქმებული მამაკაცი.



## კაცები

4. ვარ 29 წლის მამაკაცი, 190/80. გავიცნობ კეთილ და ტკბილ ქალბატონს, 35 წლამდე. დამიკავშირდით. გიორგი.

5. ვარ 38 წლის, უცოლო მამაკაცი. დაოჯახების მიზნით გავიცნობ შესაფერის ქალბატონს, რომელსაც მამაკაცის ჩასიძება უნდა. ქვრივები და შვილიანებიც გამომეხმაურეთ!

6. ვარ 22 წლის, მინდა გავიცნო ათენში მყოფი, 20-დან 23 წლამდე ასაკის, ქართველი გოგონა. დეკა.

7. ვარ 38 წლის მამაკაცი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 35 წლამდე ასაკის მანდილოსანს, ვისაც სურს ნამდვილი ოჯახი. გინდაც ქვრივი და უშვილო იყოს. კახა.

8. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ თბილისელ, შეძლებულ გოგოს, სერიოზულსა და პატიოსანს, 34 წლამდე. ვარ რაიონიდან.

9. თაგვის ან დრაკონის წელში დაბადებული გოგოთი დაინტერესებული ვარ, ძალიან. ზოდიაქოთი ვარ ვერძი. თქვენ?

10. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 35 წლამდე ასაკის ქალბატონს. ვარ 36 წლის.



## სხვადასხვა

● მაშ, გაუმარჯოს ჩვენი ცხოვრების იმ ერთ ეპიზოდს, გახსენებაზე შენც კი ჩუმად თავს რომ შეუნდობ, მაპატიეო, ღმერთო ჩემო, რა ვქნა რომ მიყვარს და ვადღეგრძელებ მე სიყვარულს, წმინდათაწმინდას.

● მარი და სრულიად გზავნილეთო, მოგესალმებით! მე საქართველოს ისეთ მაღალ წერტილში ვარ ახლა, სადაც თოვს! ჰო, კი არ მოგესმათ თუ „წაგეკითხათ“, მართლა ეგრეა! ჰოდა, დიდი სიყვარულით ჯავახეთიდან, კერძოდ — ნინოწმინდიდან გილოცავთ პირველ თოვლს! თქვენი მონა-მორჩილ-მგზავნელ-პატრულ-ქალი, ელისო!

● გამარჯობა მარი, ახლა თქვენს „გზავნილებს“ ვკითხულობდი და სურვილი გამიჩნდა, მეც შემოვუერთდე. თუ შეგიძლია დამაკვალიანო, როგორ მოვხვდე მანდ? ეკო.

● ბევრი იმედი გაწბილდება, ბევრი ოცნება გაცივდება, მაგრამ არასდროს არ გცილდება ქალი, რომელიც გიყვარს... ხანდახან ყოფნა გაძნელდება და სიმარტოვე გაგრძელდება, მაგრამ არასდროს არ გბეზრდება ქალი, რომელიც გიყვარს... თურმე სიცოცხლე ხანმოკლეა, მალე ბალანი მოთეთრდება, მაგრამ არასდროს არ მოკვდება, ქალი რომელიც გიყვარს... ამოუცნობი გულისტკივილი...

● მარი, როგორ ხარ? მაპატიე, რომ გაგაწვალე ნიკზე. ისევ კლეოპატრას დავიტოვებ. მარ, ერთი თხოვნა მაქვს, იქნებ „გზის“ 1 გვერდი მოძღვართან შეკითხვებს დაუთმოთ? ძალიან გთხოვ და იქნებ გრაფს სთხოვო, კლეოპატრაზე ყველაფერი მიამბოს? ბოდიში შეწუხებისთვის. გაკოცე. კლეოპატრა.

● ნუ დაბრუნდები, შენი ნახვა უკვე არ მინდა, ნუ გაიოცებ, რადგან გული უკვე გაცივდა, ნუ გაიოცებ, დავშორდით და წლები გავიდა, არ გავუფრთხილდით, სიყვარული მიტომ წავიდა!.. შესანიშნავი კანონი აქვს დედაბუნებას, უსიყვარულოდ აზრი არ აქვს შენს დაბრუნებას!.. დამავოი.

● კი, დამავოი, ვაპირებთ თბილისში სპექტაკლის ჩამოტანას და ყველას დაგპატიჟებთ. ჯავახიშვილში იქნება, სავარაუდოდ. სუპერსთარი.

● გამარჯობა მგზავნელებო. მე მართალია მგზავნელი კარგა ხანია აღარ ვარ, მაგრამ მაინც მქონდა მარის ნახვის ბედნიერება ეს კი ჩემი ძმის, გივიკოს (სუპერსთარის) დამსახურებაა. ასევე ძალიან ბედნიერი ვარ მგზავნელების გაცნობით. მოვიკითხავ Sweet-ს, Green-ს, მაესტროს, ვერმახტს, კოზანოსტრას, მანაველს, ილინს და ყველა მგზა-

ვნელს. გაიხარეთ. მიყვარხართ ყველა. თაკო.

● ვაიმე მარ, ველარაფერს ვპოულობ, „გზასავით“ ამერია თავგზა, დამეტანჯა გული. ეჰ, ძველი „გზა“ მინდა. ზუსტად ვიცოდი, სად რა იყო. სიკვდილა.

● გამოგეთხოვეთ ერთ დროს მგზავნელნო, გამოვიხურე ჩუმად დარაბა, ღმერთს შეგავედრეთ ბედნიერებით, გული დავტოვე თქვენთან დარაჯად. გზავნილეთს დამრჩა ის ყველაფერი, რაც მითქვია და რაც არ მითქვია, მანდ ედემია, აქ — ჯოჯოხეთი, ჩემი ელადაც უკვე სხვისია. უთქვენოდ სულში სულ ზამთარია, სულ ავდარია, წვიმა და თქეში, ჩვენს თბილ დედოფალს შევევედრები, გთხოვ, დამაბრუნე, მააარ, გზავნილეთში. მიყვარხართ. ენდი.

● მარ, გაგახსენდება ალბათ, რომ შენთან და მგზავნელებთან ერთად ყოფნის დროს სულ ვამბობდი, თქვენთან ერთად რომ აღარ ვიქნები და ეს დრო გამახსენდება, დეპრესია დამემართება-მეთქი... საერთოდ, ასე მჭირს ხოლმე: ტკბილად გატარებული დღეები რომ მახსენდება, გული მიმძიმდება ხოლმე, მაგრამ ეს შემთხვევა ერთადერთი აღმოჩნდა ჩემს ცხოვრებაში, როცა ასე არ მოხდა... მარტო ფოტოების დათვალიერება რად ღირს, რომ ყველაფერი ცუდი დამავიწყდეს... არა, კი მომენატრეთ უსაზღვროდ, მაგრამ ეგ მონატრებაც მიყვარს... კიდევ კარგი, ურთიერთობის სხვადასხვაგვარი საშუალება არსებობს და იმდენად ვერ ვგრძნობ... ან როგორ ვიგრძნობ, როცა გათენებამდე Skype-ჩათში ისევ ისე მხიარულად ვმუსაიფობთ და მარისაც აღარ ვაძინებთ, თორეეემ... არა, კი დამაზარალეთ, ვერმახტმა სკლეროზი გადმომდო, ფელამუშამ — გრიპი და ველარც ვსუნთქავ წესიერად, მაგრამ თქვენი გულისთვის ქე გეიჭირვებს კაცი.... ჩაგეკონეთ ლამაზ გულებშიოოო... Sweet-Girl.

● ჩემი ასაკი და გონებრივი შესაძლებლობები გრუზინკასგან რომ გაიკიცხება, მეტი სახალისო რა გნებავთ?! სვეტუნი, გასაღებობა მოგბეზრდა თუ ბოლმამ ისე გაგასივა, რომ გზავნილიორკის ბოქლომში ველარ ეტევი? ან ნამდვილო მამაკაცო, შენ რაღა გინდა? ნიკი ხომ არ შეგაცვლევინო? :) მარ, მმმაგრად გამიხარდა მაგარი დრო რომ ატარეთ ბათუმში. მომავალ წელს მეც წამოვააააალ! და კიდევ, ჩემი ვინაობის ჩხრეკას თავი ანებეთ და საკუთარ გალაყებულ თავებს მიხედეთ (ვისაც ეკუთვნის, მხოლოდ მათ). ჰოოოოდა, ვისაც არ მოგწონვართ, ღმერთმა ჩემი მესიჯების მეტი არასოდეს არაფერი წაგაკითხოთ. :) ჰა, ჰა... თეთრი ყვავი.

● ნამდვილო მამაკაცო, მაინც როგორები წარმოგედგინეეეთ? ოქროს ქოჩრიანები? ალბათ ძალიან მდიდარი ფანტაზია გაქვს... სამწუხაროდ, ჩვენი ქოჩორი კარგად არ ჩანს ჟურნალის შავ-თეთრ ფურცლებზე... Sweet-Girl.

● მგზავნელებო, როგორ ხართ, სიხარულებო? ძალიან საყვარლები ხართ, ლამაზებო. ჩემს დას მთელი საღამო ვუმტკიცებდი როკოზე, მაესტროა-მეთქი. ლამის გავაგიჟე. ისე, ძველები სად დაიკარგნენ? ტოპოლინა, ჯაგერო, რატომ დაგვივიწყეთ, ფელამუშა და ციკოც გაგვექცნენ, თეო-თეო, გეხუტუნე, დაგვიბრუნდი, ჩემო უტკბილესო. ჯე-ჯე, ეგრე დაკარგვა გეკადრება, იმერელ კაცს? ახლა ძველ „გზას“ ვკითხულობ და მივხვდი, რომ თქვენს გარეშე მოვიწყინეთ „გზამ“ და მეც. დაბრუნდიიიით! ფლამინგო.

● ლიმონ, გაიხარე დაი, არ მეგონა, ასე თუ მაფასებდით. აქ ერთი ადამიანის სიყვარულიც დიდი პლუსია ჩემთვის. მეც მახსოვხართ და მიყვარხარ. Ashley, ქაალ, არ მინდა, ვინმეს რამე ზედმეტად ვუთხრა და უარყოფითი გზავნილებით დაბალი დონის მქონე ადამიანის შთაბეჭდილება დავტოვო. კამი, როგორ ხარ, დაკარგულო? ბერბიჭა, ძმურად, გაიარე, რა! არ მინდა, რამე ცუდად გითხრა. ასე რომ, შენ შენთვის, მე — ჩემთვის! ვისაც გინდა, იმას ეარშიყე, წასვლა კი გადავიფიქრე. ასე რომ, ბედნიერი დარჩენა მისურვე. მპუა. თოლია.

● ალარავის ვახსოვარ? კაი, ბატონო. კამ-კამა. Sweet-Girl, მაინც მიყვარს. ვოტ!

● ენიგმა, 31-ე ნომერი კი არა, აგერ, ამ ახალი ნომრის წასაღებად თავზე მადგანან. წეწვა-გლეჯვა გვაქვს, „გზის“ გამო და ძველ ნომრებს ვინ გამიჩერებს? აუ, კიდევ რაღაც უნდა მეთქვა, მაგრამ აღარ მახსოვს. აუუუუ! ალინა.

● ჩემო სიცოცხლევ, ძალიან მიყვარხარ და მენატრები. ახლა შენ გვერდით ყოფნის მეტი არაფერი მინდა. მინდა, შენს თვალებს მუდმივად ვუცქირო. გამიგონია, რომ ერთი ნახვით შეყვარება არსებობს და მართლაც, შენ ერთი ნახვით შემიყვარდი. მე შენ მიყვარხარ უზომოდ და უსაზღვროდ. ერთადერთი ადამიანი ხარ, რომელმაც შეძლო ჩემი, ყოველთვის მშვიდი გულის ატირება. გული მთელი ცხოვრების მანძილზე ეძებს ადამიანს, რომელიც მთელი ცხოვრების მანძილზე გააღმერთებს, ეყვარება ისეთი სიყვარულით, რომელიც აამაღლებს ან დააჩოქებს და რატომღაც ასეთ ადამიანად შენ აგირჩიე. აღარც კი მახსოვს, როდიდან დავიწყე შენით ცხოვრება. ახლა კი მარტო ვარ, დრო კი გადის. ნათქვამია, დრო ყველაფრის მკურნალიაო, მაგრამ ჩემი ტკივილი კვლავ მოუშუშებელია. ირგვლივ ყველაფერი იცვლება, მეც ვიცვლები, აღარ ვარ ისეთი გულუბრყვილო, რომელსაც სხვისი ნათქვამი ახარებდა. ახლა ჩემი თავისგან ბევრს მოვითხოვ და მგონია, რომ მსოფლიოს დასაპყრობად შენი სიყვარული დამეხმარება. ხანდახან სიკვდილი მინდება, მაგრამ არა იმიტომ, რომ დამარცხების მეშინია და იოლი გამოსავალი ვიპოვო. არა! მგონია, რომ ჩემი სიკვდილით ერთხელ მაინც გაგახსენებ თავს. 19.04.04. ეს ახლა აღმოვაჩინე ჩემს დღიურში, რომელიც 7 წელია, მაქვს. აუ, თურმე რა მაგრად მყვარებია?! ალინა.

● wooow! კიდევ გამარჯობააა! ღვთისმშობლობას გილოცავთ მოგვიანებით, კარგებოოო!.. გკოცნით, მაგრამ ყველას არააა! :-) ვასასი.

● სხვა რამეები კი არა და, სახელიც აღარ მინდა... გმადლობ ყურადღებისთვის... ვასასი...

● მარ, გავიგე, „ოდნოებში“ მგზავნელთა „გრუპა“ ყოფილა და როგორ შევძვრე იქ, ვერ მეტყვით, ბავშვებო? P.S. ლუნა, „გზის“ 32-ე ნომერში მერამდენე იყო შენი განცხადება? ლა-ლოლა.

● ვიღაცა სადღაც როგორღაც მიდის, მეგონა მე, ვიღაცა სადღაც რომ ჩავიდა, როგორღაც აღმოჩნდი შენ... ასე მოკლედ და კონკრეტულად! სუპერსთარი.

● პრივეტები ყველას. როგორ ხართ, სიხარულებო? მარი, როგორ ხარ, ძვირფასო? ყველანი ძალიან, ძალიან მიყვარხართ. ძალიან კარგები ხართ. როგორ შემიყვარდა ხუთშაბათი და „გზა“... დიდი სიყვარულით მოვიკითხავ გრუზინკას, ოლეგარიოს, ბერბიჭას, სიკვდილას, იასამანს, ტირიფი-73-ს, ილინს, იკუშკებს, უზნეო ანგელოზს, ქალ ცდუნებას, მგზავრს, 9717-ს. სევდიანი ქალი.

● განსაკუთრებით მინდა მოვიკითხო ოლეგარიო, გრუზინკა და შეწირული. ასევე მინდა მოვიკითხო „გზის“ ერთგული მკითხველი, თრითინა. შეწირულო, „გზაში“ დაბრუნდი. სევდიანი ქალი.

● მოგესალმებით, ჩემო ლამაზო მგზავნელებო. მოვიკითხავ ყველა ძველ და ახალ მგზავნელს. როგორ ხართ, ლამაზებო და მარადიული სიყვარულით შეპყრობილებო, ჰა? მგზავრი.

● სტაჟიანო მგზავნელო (ნიკი არ ვიცი:), ლადელ უგუშ. სვანი ვარ კი,

## გზავნილები

სვანიიი! ოღონდ მოვიკოჭლებ ცოტას სვანურში. მპირდებიან, გასწავლითო. ბოლოს კიიი... :) გაიხარე! დამავოი.

● როგორ ხართ, სიხარულებო? ბევრი მგზავნელი გავიცანი და აღფრთოვანებული ვარ. რა კარგები ყოფილხართ, თქვენ შემოგევლეთ. მინდა განახოთ და ერთად მაგრად მოვილხინოთ, ხომ თანახმა იქნებით? მე დიდი სურვილი მაქვს, ახლოს გაგიცნოთ. მიყვარხართ და გეფერებით, განსაკუთრებული მოკითხვა მეგრელებს, ფოთელებს. გაკოცეთ, თქვენი იდუმალი ქალი.

● სალამი მონატრებულ ხალხს. პანკუშა, შენი გაცნობა მინდა. მეც ქუთაისში ვცხოვრობ. რომელი უბნელი ხარ? დამიკავშირდი, O.K.? გკოცნი შენ და შენს პატარას. ირმა.

● ჰეი, ასათიანის მკვიდრო, ერთი ის მითხარი, ლიზი საიდან მოიტანე ან ვინაა საერთოდ? P.S. იკუშკების მიმართ ვოლუმეს დაუწიეთ! მისტერ.

● ცოცხალო თოჯინავ, გაიხარე შენი პატარა და უზომოდ თბილი გულით. მიხარია და მსიამოვნებს შენი სითბოს შეგრძნება. მთელი ჩემი არსებით მიხარიხარ! მისტერ.

● მინდა, გავიცნო 18-დან 20 წლამდე გოგონები, ულალატო და წმინდა სიყვარულისთვის. ლუკა.

● ჩემო თბილო და ტკბილო ადამიანებო, ცოტა ხნით უნდა დაგემშვიდობოთ... ძალიან მიყვარხართ! მომენატრებით. უკვე მენატრებით. გკოცნით, მუდამ თქვენი ლუნა.

● ნ.მ, ცუდს ვერაფერს ვხედავ იმაში, რომ თამუნა თაყვანისმცემლებს შეხვდეს. ისაუბრებენ და ერთმანეთს უკეთ გაიცნობენ. მართალია, ზოგი კაცი პირველივე პაემანზე ხელებს უფათურებს ქალს, მაგრამ არსებობენ შეგნებული და ზრდილობიანი მამაკაცებიც. რაც შემეხება მე, ძალიან კარგი გოგო ვარ და იმედი მაქვს, სხვა დროს ასეთ უსიამოვნო მესიჯს აღარ მომწერ. თუ არ იცი, გეტყვი, რომ საქმრო მყავს და ერთმანეთი უზომოდ გვიყვარს. შენ კი შეურაცხყოფას მაყენებ, შენი უტაქტობით. იკუშკები.

● ჩემო ტკბილო, ჭკვიანო და თან ბავშვურო ენიგმა, შენ და სარფი ულამაზეს მოგონებად დარჩებით ჩემთვის და ათენში მანუგეშებს ხოლმე. არ დამივიწყო, ჩემო ბუზღუნავ, გეხუტე. სალუკა.

● ჭრიჭინ, იასამანია-მეთქი და ჩუუ! ჩუპ, ძაან გამახარე. ჰაა, როდის ვნახოთ ერთმანეთი? Sweet, ხომ შემპირდი? ჰოდა, შევეფეთოთ სადმე ერთმანეთს. კამ-კამ, მპუაა. სიკვდილა.

● Ashley PCD, თითქოს მეფეხმსუბუქები, ხომ იცი. აბორტებზე საუბრობ, სხვის უკანალს რჩევას

## მობილიზაცია

აძლევ, ქუჩურ ლექსიკონს ირგებ. ისა და... მერამდენე ბოიფრენდი გყავს? ამას გვიმალავდი?

● გამარჯობა, ჩემო საყვარელო მგზავნელებო! ყოველ ხუთშაბათს მოუთმენლად ველი. მოვიკითხავ ნამდვილ მამაკაცს, გრუზის, იკუშკას, ლუნას. ლუნ, ხაშურიდან ხარ, საყვარელო? ირმუშკა.

● საჭიროება ნუ მოითხოვს, თორემ ისე დაკონკრეტდები, როგორც ორჯერ ორი რომ ოთხია! ვირტუალური დონისთვის საკმარისია და აღარ დამიკომენტარო! დათო. P.S. მარ, ჯიგააარ!..

● ცხრათვალას: შენს ალერსზე ზღვარს გადაცდა ჩემი გულის დიაფრაგმა, მოგასკდები და წაგლეკავ, კოცნის, ვნების ნიაღვარად, შადრევანი რას მიქვია, ჩანჩქერი ვარ — ნიაგარა. ბერბიჭა.

● სადაური ლემონჯავა ხარ, გოგო, ა? ფოთელი ხომ არა? ან თუ გყავს ფოთში ვინმე? თუ თბილისში ხარ, სასწრაფოდ უნდა გაგიცნო, მოგვარეები ვართ, გამიგე? დამირეკე. იდუმალი ქალი.

● wow! სვანეთშიც წააავალოოო... მიყვარს იქაურობაა... ვასასი.

● თოლია, Ashleys წამქეზებლობა სამარცხვინოა და ზოგზოგებმა შეიძლება მისი მშობელი დედიკოც გაიხსენონ. Sweet, „ცრემლები“ მაგარი იყო. მისტერ, ფეშენ, სად ხართ? სამართალი.

● სიკვდილ, იზვინი, მაგრამ სიყვარულის ყვავილი იასამანი კი არა, წითელი ვარდია. როგორ მიყვარხართ ყველააააა... ძალიან მენატრებით. მე უკვე ავჭრიჭინდიიი. ჭრიჭინა.

● ენიგმას: ჰო, თავს შევუძახე, ეჰა, გამოფხიზლდი! გრძნობების ტყვეობით ვერაფერს მიაღწევ, ვნებებს აყოლილებს უკვე მერამდენეს, ეშმა უპირობოდ ჯოჯოხეთს მიათრევს. მემე.

● დარდმა შემიპყრო შავბნელმა, მე სიცოცხლე მსურს მათრობდეს და სიყვარული მაკრთობდეს. საყვარლის მზერა მადნობდეს... უფლის სიახლე მათბობდეს. მემე.

● ეჰ, სალუკა, სალუკა, ჩემთვის სარფი წვიმის სინონიმად იქცა და მზე მომანატრა. ზურგის ქარი ათენისკენ! P.S. უნიკოვ, ჩემი უცოლობით შენ რა ხეირი? გამანდე, ვინ ხარ? ენიგმა.



## მიყვარხარ

● ზურა შამადუხაშვილო, ჩემი სუნთქვა ხარ. დადუკა.

● ზურა შამადუხაშვილო, მენატრები, მელანდები, გელოდები, მჭირდები. უსაზღვროდ მიყვარხარ. დადუ.



## გილოცავ!

● დაბადების დღეს ვულოცავ ჩემს უახლოეს მეგობარს, ნატო ხარძეიშვილს. მრავალს დაესწარი, იხარე, იდღეგრძელე, იბედნიერე. რაც მე ვერ დაგლოცო, უფლისგან იყავი დალოცვილი. მაყვალა.

● ათენში 27 სექტემბერს დაბადების დღეს ვულოცავ ჩემს დისშვილს, ნინი მალაქშანიძეს. ჩემო პატარა პრინცესავ, სულ ბედნიერი და გახარებული გვენახე. ელენიკოს და ავთუკას ძალიან ენატრები. გკოცნი ბევრს. ასმათი.

● დაბადების დღეს, 29 სექტემბერს ვულოცავ ჩემს საყვარელ მამიკოს, გოჩა მაღლაკელიძეს. მრავალს დაესწარი, იხარე და იდღეგრძელე. ქრისტინა.

● ჩემს საყვარელ მეუღლეს, თამაზ სორდიას ვულოცავ დაბადების



დღეს. თამაზ, გისურვებ ჯანმრთელობას, ულევ სიყვარულსა და უსასრულო ბედნიერებას. უფალი ჰფარავდეს ჩვენს ოჯახს.

● ჯვართამაღლებას გილოცავ მარ, შენ და ყველა მგზავნელს. მრავალს დაესწარი, უფალი გფარავდეთ. P.S. Sweet Girl, მიხარია, რომ გაგიცანი.

● ნატალია ჩიხრაძეს დაბადების დღეს ულოცავენ მისი უახლოესი მეგობრები, ირაკლი კომახიანი, მანანა არჩაია და დედა, ნათია. უსურვებენ ულევ სიხარულსა და ბედნიერებას.

● დაბადების დღეს და 5 წლის შესრულებას ვულოცავ ჩემს შვილიშვილს, როლანდ გველესიანს. მრავალს დაესწარი, ჩემო ლოლო, ღმერთი იყოს შენი მფარველი. შენი ეთო ბებო.

● ჩემს დას, თაკო გვიჩიანს ვულოცავ დაბადების დღეს, 27 სექტემბერს და სტუდენტობას. ვუსურვებ წარმატებებს, ცხოვრებაში. უფალი გფარავდეს. ვამაყობთ შენით. თეა, ნათია.

● ჩემს მონატრებულ დედას, დარიკო ფათურაშვილს ვულოცავ დაბადების დღეს. გფარავდეს დედა ღვთისმშობელი. გკოცნი ძალიან, ძალიან. მონატრებული შვილი.

● მინდა, დედას 30 სექტემბერი, ჩემი დაბადების დღე მივულოცო. ის უზომოდ ბედნიერი იყო ამ დღეს. სამწუხაროდ, ახლა ჩემთან აღარაა და ვერ ვეტყვი, როგორ მიყვარს. დედა, უამრავ სანთელს აგინთებ და შენი ხსოვნა მარად ჩემთან დარჩება! ჩემს გულში კი მარად ცოცხალი იქნები. ტკივილამდე მენატრები და მიყვარხარ... ნილბოსანი.

● ჩვენო სიხარულო ნოდიკო, გილოცავთ ოქროს დაბადების დღეს. გაიზარდე ჯანმრთელი, ჭკვიანი და სასახელო ვაჟკაცი. გფარავდეს უფალი. თინა და ლია ბებო. გკოცნით.

● მინდა, ეკა ნოიაშვილს მივულოცო შვილის დაბადების დღე. გაგეზარდოს შენი ერთადერთი შვილი. გაიხარე მისი მომავლით და იყავი ბედნიერი დედა. ათენი. ეკა.

● მინდა, დაბადების დღე მივულოცო მუხრანში მცხოვრებ ქეთევან მებუკეს. გაიზარდე სასახელო გოგო, გაახარე ყველა შენიანის გული. იყავი უფლისგან დალოცვილი. ეკა დეიდა.

● ჩემს მონატრებულ შვილს, ეკა რაზმაძეს 29 სექტემბერს ვულოცავ დაბადების დღეს. უფალმა დაგლოცოს, შენს ლამაზ ოჯახთან ერთად. დედა მაია. მენატრებით.

● ლიკა ბობოხიძე, გილოცავ დაბადების დღეს. ღმერთს ებარებოდე, შვილებთან ერთად. გისურვებ ულევ სიხარულს, ჯანმრთელობას და შენს ოჯახში მალე დაბრუნებას. მაია.

● რუსთავში დაბადების დღეს ვულოცავ ჩემს მონატრებულ, 5 წლის უნახავ, ერთადერთ შვილს, გიორგი გოგოლაძეს. ჩემს სიცოცხლეს და ცხოვრებას. გიო, გილოცავ შვილო, გისურვებ ულევ სიხარულს, ჯანმრთელობას და შენს ლამაზ ცოლ-შვილიშვილში გამრავლებას და გახარებას. წმინდა გიორგი იყოს მუდამ შენი მფარველი. მენატრები დე, გკოცნის გულში შენი დედიკო, დალი.

● ლაგოდეხში დაბადების დღე მინდა მივულოცო ჩემს საყვარელ ძმას, სოსო კოჭლამაზაშვილს. ჩემო ძამიკო, გილოცავ და გისურვებ ჯანმრთელობას, სიხარულს და ულევ სიყვარულს. უფლის მადლი და წყალობა ნუ მოგკლებოდეს. მუდამ გახარებული მენახე, შენს ცოლშვილთან, დედმამიშვილებთან და საყვარელ ხალხთან ერთად. გკოცნის შენი მონატრებული დაიკო.

● გიგა ჯავაშვილს და მაია სონიძეს ვულოცავ ქალიშვილის, მარიამის დაბადებას. მინდა ვუსურვო ულრუბლო ზეცა, სიხარული, სიყვარული. სახელოვანი გოგო გაზრდილიყოს. თამილა.

● მაია აბულაშვილს: გილოცავ შვილიშვილის, მარიამის დაბადებას. წმინდა მარიამი იყოს მუდამ მისი მფარველი. გაიხაროს მზიან ქვეყანაზე. სიყვარულით, თამილა.

● 4 ოქტომბერს დაბადების დღეს ვულოცავ გაბედავა მზიას. გისურვებ უამრავ წლებს, ჯანმრთელობას და სიკეთეს. მზია, იმდენ წელიწადს გისურვებ სიცოცხლეს, რამდენიც შენს გულს სწყურია. რამდენიც გურულ საწნახელს ადესა დაუწურია. ღვთის წყალობა არ მოგკლებოდეს. კეთილო ადამიანო. ნესტანი.

● ოზურგეთში მანანა ქუთათელაძეს ვულოცავ დაბადების დღეს. ვუსურვებ ჯანმრთელობას და სიხარულს. ღვთის წყალობა არ მოგკლებოდეს, შენს ლამაზ ქმარშვილთან ერთად. ნესტანი.

● მელექედურში მცხოვრებ ლია ჩხაიძე-გოგატაძეს ვულოცავ დაბადების დღეს. ვუსურვებ კეთილი სურვილების ახდენას. ნესტანი.

● მადონა ადეიშვილს: დაბადების დღეს გილოცავ, ბებო. ჩემო სეხნიავ, ღმერთმა ღვთის წყალობა არ მოგაკლოს. შენს საყვარელ მშობლებთან ერთად. ჩემო პირველო მოსწრებავ, შენ ბებოს ძალიან უყვარხარ და ენატრები, ჩემო სიცოცხლევ. ძალიან მიყვარხარ. გკოცნი და გეფერები. მადონა ბებო.

● ბაღდათში, წითელხევში, 3 ოქტომბერს დაბადების დღეს ვულოცავთ გაგა ბუიძეს. ჯანმრთელობა, სიხარული, სიყვარული იყოს მუდამ შენი, შენი ძმისა და მონატრებული დედის მეგზური. უფალი გფარავდეს. გვიყვარხარ და გვენატრები. დეიდები, ილზა და მზია, შმაგო, თორნიკე. ■




**„მობილიზაციაში“ ნომრის გაგების შესაძლებლობა დღისა და ღამის ნებისმიერ დროს გაქვთ. საამისოდ, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა Guli გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, შემდეგ აკრიბოთ „გზის“ ნომერი, ტირე, მესიჯის ნომერი და გაგზავნოთ ნომერზე 8884. თქვენს ტელეფონზე ავტომატურად მიიღებთ სასურველ ტელეფონის ნომერს. მაგალითად, თუ გსურთ, „გზა“ №18-დან გაიგოთ მე-10 მესიჯის ავტორის ნომერი, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში აკრიბეთ: Guli 18-10 და გაგზავნეთ 8884-ზე. 1 მესიჯით შეგიძლიათ მხოლოდ 1 ნომრის გაგება. ჟურნალში არც ერთი ტელეფონის ნომერი აღარ გამოქვეყნდება. 1 მესიჯის ფასია: 50 თეთრი.**

# ფოტო, რომელმაც წარწერა დაკარგა



ამ ფოტოსთვის შესაბამისი წარწერა
უნდა გამოგზავნოთ ტელეფონის ნომერზე:
8.77.45.68.61

ჩემეული ვერსია კი ასეთია:

## სიკვდილი სიკვდილის შემდეგ

# ტაიმ-აუტი

## გინესის რეკორდსმენები



### ქორწილების მოყვარული

ქალაქ ანდერსონში (აშშ, ინდიანის შტატი) ცხოვრობს 68 წლის ლინდა ვულფი, რომელიც 23-ჯერ იყო გათხოვილი. 23 ქმრისგან ქალმა 7 შვილი გააჩინა. ყველაზე ხანგრძლივი ქორწინება 7 წელიწადს, ყველაზე ხანმოკლე კი 36 საათს გაგრძელდა.

### ხანდაზმული ტყუპი

1803 წლის 14 თებერვალს ეფენგტონში (აშშ, ვირჯინიის შტატი) დაიბადა ტყუპი ძმა — ილაი შადრაკ ფიპსი და ჯონ მეშაკ ფიპსი. პირველი ძმა 1911 წლის 23 თებერვალს, 108 წლის ასაკში, მეორე კი რამდენიმე დღეში გარდაიცვალა.

### შთამომავლები

1992 წელს ფრაიბერგში (აშშ, პენსილვანიის შტატი) გარდაიცვალა 96 წლის სემუელ მაეტე. მას 11 შვილი, 97 შვილიშვილი, 634 შვილთაშვილი და 82 შვილიშვილის შვილიშვილი დარჩა.

### ნაყოფიერი ფეხმძიმობა

1971 წლის 13 ივნისს ავსტრალიელმა ჯერალდინა ბროდრიკმა 9 ბავშვი — 5 ვაჟი და 4 გოგონა გააჩინა. სამწუხაროდ, 2 ჩვილი მკვდარი დაიბადა, დანარჩენები კი ერთი კვირის განმავლობაში დაიღუპნენ.

ერთდროულად 10 ტყუპი დაიბადა სამ სახელმწიფოში: 1924 წელს ესპანეთში, 1936 წელს ჩინეთში და 1946 წელს ბრაზილიაში.

### ხანდაზმულები

1997 წელს საფრანგეთში გარდაიცვალა დედამიწის ყველაზე ხანდაზმული ადამიანი — 122 წლის ჟანა ლუიზა კალმანი. დღესდღეობით ყველაზე ხანდაზმულ ადამიანად სახან დოსოვა მიიჩნევა. იგი ყაზახეთში ცხოვრობს და 2009 წლის 27 მარტს 130 წელი შეუსრულდა. ■

## შოკოლადის მოყვარულთათვის

თუ თვეში სამჯერ 25 გ შოკოლადს მიირთმევთ, სიცოცხლეს რამდენიმე წლით გაიხანგრძლივებთ, მაგრამ ნუ გადააჭარბებთ — შესაძლოა, ნუგბარში შემავალი ცხიმები გულ-სისხლძარღვთა დაავადების მიზეზი გახდეს.

კაკაო და შოკოლადი ანტიბაქტერიულ ნივთიერებას შეიცავს, რაც კბილებზე ნადების წარმოქმნას უშლის ხელს.

30 გ შოკოლადი (კაკაო) შეიცავს რკინის დღიურ ნორმას, კალციუმს, კალიუმს, ნატრიუმსა და A, B, C, D და E ვიტამინებს.

ყველაზე მეტ შოკოლადს შვეიცარიაში მიირთმევენ. თითოეული შვეიცარიელი წელიწადში დაახლოებით, 10 კგ შოკოლადს მიირთმევს.



შავი შოკოლადის 2 ნატეხი არტერიულ წნევას დაბლა სწევს.

ყველაზე კალორიული რძიანი შოკოლადია, ხოლო ყველაზე ნაკლები კალორიაა შავ, მწარე შოკოლადში.

შოკოლადს 500-ზე მეტი დანამატით ამზადებენ, მათ შორის ყველაზე პოპულარულია თხილი და ქიშმიში. ■

## საინტერესო ფაქტები

### წვიმიანი ლონდონი



ამბობენ, ევროპაში ყველაზე მეტი ნალექი ბრიტანეთის დედაქალაქში მოდისო. სინამდვილეში, ლონდონში წელიწადში 590 მმ ნალექი მოდის, რომში — 760, ფლორენციაში — 870, მილანში — 1000, გენუაში — 1100 ანუ ჩამოთვლილ ქალაქებს შორის, ლონდონი შეიძლება, ყველაზე მშრალ ქალაქად მივიჩნიოთ.

### რად უნდა ზღარბს ვაშლი?

ყველაზე ხშირად, ადამიანები ეკლებზე ვაშლებჩამოცმულ ზღარბებს ხატავენ. სინამდვილეში, ზღარბი ვაშლს არ მიირთმევს. ის ბაყაყებით, წვრილი ცხოველებითა და ჭიებით იკვებება. ზღარბს ვაშლი ეკლების ქვეშ დაბუდებული მკბენარების განადგურებაში ეხმარება.

### „ბოტანიკოსი“

Windows-ში შეუძლებელია, შექმნა დოკუმენტი ან ფაილი სახელწოდებით con. საქმე ისაა, რომ ბილ გეითსს ბავშვობაში მეტსახელად con-ს („ბოტანიკოსს“) ეძახდნენ და ამის გამო ის თავს დამცირებულად მიიჩნევდა. ■



# მსოფლიოს სასტიკი ქალები

### დედოფალი მარიამ I (1516–1558)

ის სისხლიანი მარიამის სახელით შევიდა ისტორიაში, რადგან მამამისის — ჰენრიხ VIII-ის გარდაცვალების შემდეგ (იგი რომის პაპთან ნაჩხუბარი იყო და თავს ანგლიკანური ეკლესიის წინამძღოლად მიიჩნევდა) გადაწყვიტა, ქვეყანა რომის კათოლიკური ეკლესიის ქვეშ მოექცია.

### მაირა ჰინდლი (1942–2002)

სერიულ მკვლელს მეგობარ იენ ბრაიენთან ერთად, „ინგლისელ ბონი და კლაიდს“ ეძახდნენ. მათ 5 ახალგაზრდა აწამეს და მოკლეს. დამნაშავეებს სამუდამო პატიმრობა მიესაჯათ, რადგანაც მათ დაპატიმრებამდე 1 თვით ადრე, ინგლისში სიკვდილით დასჯა გაუქმდა.

### იზაბელა კასტილიელი (1451–1504)

დედოფალმა, მეუღლე ფერდინანდ არაგონიელთან ერთად, მთელი ცხოვრება ესპანეთის აყვავებას შეალია. იზაბელა ქრისტეფორე კოლუმბის მფარველიც გახლდათ, მაგრამ არაკათოლიკეებს სასტიკად უსწორდებოდა. კასტილიელის დედოფლობის დროს ესპანეთი 200 ათასმა ებრაელმა და არაბმა დატოვა, დანარჩენები ან სიკვდილით დასაჯეს, ან იძულებით მიაღებინეს კათოლიკობა.

### ბევერლი ელიტი (1968)

ინგლისელმა მედდამ, რომელსაც „სიკვდილის ანგელოზი“ შეარქვეს, 1991 წელს 4 პაციენტი მოკლა და ხუთის ჯანმრთელობას სერიოზული საფრთხე შეუქმნა. მკვლელი ბავშვებს ინსულინისა და კალიუმის ნემსებს უკეთებდა, რათა ბუნებრივი სიკვდილი და გულის შეტევა გამოეწვია. მკვლელობების მიზეზი დღემდე დაუდგენელია.

### ბელ განესი (1859–1931)

ამერიკაში მცხოვრებმა ნორვეგიელმა 30 ადამიანი მოკლა, მათ შორის, — საკუთარი ქმრები, შვილები და თაყვანისმცემლები. მისი მიზანი სიცოცხლის დაზღვევის თანხის მისაკუთრება იყო.

### მერი ენ კოტონი (1832–1873)

ქალმა 20 ადამიანი დარიშხანით მოწამლა. პოლიცია მისით მას შემდეგ დაინტერესდა, როცა გაირკვა, რომ მერის ნათესავები — დედა, ქმრები და შვილები ერთი და იმავე დაავადებით კვდებოდნენ.

### ელზა კოხი (1906–1967)

საკონცენტრაციო ბანაკის კომენდანტის მეუღლე თავს იმით ირთობდა, რომ დამნაშავეებს წამებით კლავდა. მისი დაპატიმრების შემდეგ, ელზას კაბინეტში უამრავი ადამიანის ტატუირებული კანი აღმოაჩინეს. 1967 წელს კოხმა სიცოცხლე ციხეში, თვითმკვლელობით დაასრულა.

### ირმა გრიზი (1923–1945)

ჰიტლერის მმართველობის დროს ის ქალთა ბანაკის ზედამხედველი იყო. ირმა ქალებს საშინლად აწამებდა, ცოცხალი ადამიანების ტირს აწყობდა და ძაღლებს განზრახ აშიმშილებდა, რათა შემდეგ, ის ქალებისთვის მიესია. ათასობით ადამიანი გაზის „კამერაში“ ამოხოცა.

### კეტრინ ნაიტი (1956)

პირველი ავსტრალიელი ქალი-დამნაშავე, რომელსაც სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს. 2001 წელს, ოჯახური შეკამათებისას, მან მეუღლე დანით მოკლა და მისი გვამი დაანაწევრა.

### ერჟებეტ ბატორი (1560–1614)

უნგრელმა დიდგვაროვანმა სახელი იმით გაითქვა, რომ გლეხებს საშინლად აწამებდა. ის ხალხს უმოწყალოდ სცემდა, გავარვარებული რკინით სახეს, ტანს უწვავდა და ცოცხალ ადამიანებს ატყავებდა. ■



დასაწყისი იხ. გვ 17

შემოიღეს ახალი ალფავიტი ანუ — უკვე 46 იეროგლიფი საკმარისია იმისათვის, რათა იაპონელთან ურთიერთობა შეძლო... ჩვენი ხელშეწყობით, საქართველოში ჩამოვიდნენ პროფესორები, ქართველი მოხუცების ცხოვრების წესის შესასწავლად და სამშობლოში დაბრუნების შემდეგ გამოსცეს წიგნი — „100 წელი — ეს არ არის სიცოცხლის ზღვარი“; ჩვენი ასოციაციის ძალისხმევის შედეგად, იაპონიაში ჩავიდნენ ქართველი ალპინისტები, რომლებმაც გარკვეული წვლილი შეიტანეს იქაური ალპინისტთა კლუბის განვითარებაში, შემდეგ კი უკვე საპასუხო ვიზიტით, იაპონელები ჩამოვიდნენ და დალაშქრეს კავკასიონი. იაპონიაში დაბრუნებულებმა კი გამოსცეს წიგნი საქართველოსა და კავკასიის შესახებ. იაპონია-საქართველოს მეგობრობის საზოგადოების დამფუძნებლის — ჰიროკო კაკოს დამსახურებითა და ჩვენი ხელშეწყობით მოხდა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის, ანსამბლ „რუსთავის“, „სუხიშვილების“, „მზიურის“, „მართვეს“, „დოლურის“, მარჯანიშვილის თეატრის გასტროლები „ამომავალი მზის ქვეყანაში“ და კაბუკის თეატრის გასტროლი თბილისში. იაპონიაში აგრეთვე, რვაჯერ გამოიცა „ვეფხისტყაოსანი“ — იპეი ფუკუროს თარგმანით. მოგვიანებით კი ეს წიგნი პროფესორმა უტანმაც თარგმნა. იაპონურ ენაზე ასევე გამოიცა ნოდარ დუმბაძის ნაწარმოებები და ოტია იოსელიანის „დაჩის ზღაპრები“.

**— როგორც ვიცი, მალე იაპონელი ბავშვების ნახატების გამოფენას ვიხილავთ...**

— 29 მაისს იაპონიიდან, კერძოდ, იაპონია-ევრაზიის საზოგადოების ოსაკის ფედერაციის პრეზიდენტისგან, ქალბატონ ეიკო არაკისგან შემდეგი შინაარსის წერილი მივიღეთ: ჩვენთან თქვენი ანსამბლი „ია“ იყო ჩამოსული და მისი გამოსვლა ძალიან მოგვეწონა; გვინდა, თქვენთან თანამშრომლობა ბავშვების ნახატების გაცვლით და მათი გამოფენით დავიწყოთ. აბა, ასეთ წინადადებაზე უარი როგორ უნდა გვეთქვა?! დახმარებისთვის მივმართეთ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, საიდანაც მაშინვე გაგზავნეს წერილები ყველა რეგიონში, რათა 6-დან 12 წლამდე ასაკის ბავშვების ნახატები ჩვენთვის გამოეგზავნათ. იაპონიიდან ბავშვების ნამუშევრები უკვე ჩამოვიდა და ის ჩემს საწერ მაგიდაზე აწყვია. ახლა ვეძებთ სპონსორს, რომელიც ამ მადლიან საქმეს დაგვიფინანსებს და თბილისში, ბათუმსა და თელავში იაპონელი ბავშვების ნახატების გამოფენის ორგანიზებაში დაგვეხმარება... ■

# ზიდანი პრეზიდენტობაზე ოცნებობს



ფეხბურთის ფრანგმა ლეგენდამ, ზინედინ ზიდანმა აღიარა, რომ მადრიდის „რეალის“ პრეზიდენტობას აპირებს.

შეგახსენებთ, ზიდანი „სამეფო კლუბის“ ღირსებას 2001-05 წლებში იცავდა და მასთან ერთად, ჩემპიონთა ლიგის, ესპანეთის ჩემპიონატისა და სუპერთასის, აგრეთვე, საკონტინენტთაშორისო თასისა და ევროპის სუპერთასის მოგება შეძლო. იგი „რეალში“ გასულ ზაფხულს, საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებულ პერესთან ერთად დაბრუნდა და ამჟამად, მისი თანაშემწის მოვალეობას ასრულებს.

„აქ შესაძლებლობა მეძლევა, ახალი ცხოვრებისეული გამოცდილება მივიღო. ამ საქმემ იმდენად გამიტაცა, რომ უკვე პრეზიდენტის პოსტის დაკავებაზე ვფიქრობ. ისე არ გაიგოთ, თითქოს პერესის კონკურენტი გავხდი, მე კვლავ მისი გუნდის წევრად ვრჩები, პრეზიდენტობისთვის კი პოსტიდან მისი წასვლის შემდეგ ვიბრძოლებ. ძალიან მინდა, ერთ მშვენიერ დღეს გავხდე ისეთი დიდი კლუბის ხელმძღვანელი, როგორიც „რეალია“, მაგრამ მანამდე ბევრი რამ მაქვს შესასწავლი და ასათვისებელი“, — განუცხადა EUROSPORT-ის ჟურნალისტს ზიდანმა. ■

# ქინქლაძე ფიფას აგენტი გახდა

საქართველოს ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების ყოფილმა ნახევარმცველმა, გიორგი ქინქლაძემ გამოცდები ჩააბარა და ფიფას ლიცენზირებული აგენტი გახდა.

შეგახსენებთ, 90-იანი წლების საქართველოს ეროვნული გუნდის, თბილისის „დინამოსა“ და „მანჩესტერ სიტის“ ქომაგების საყვარელმა მოთამაშემ საფეხბურთო კარიერა 2006 წელს დაასრულა. ის კარგა ხანია, მოსკოვში ცხოვრობს და როგორც ცნობილია, ბიზნესსაქმიანობას ეწევა.

36 წლის ქინქლაძე დღესაც „მანჩესტერ სიტის“ ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელად მიიჩნევა. იმედია, ქინქლაძე-აგენტი ისეთივე წარმატებული იქნება, როგორიც ქინქლაძე-ფეხბურთელი იყო. ■




# განგსტერი უესტი

„კლივლენდ კავალიერზის“ კალათბურთელი — დელონტე უესტი მოტოციკლით სიჩქარის გადაჭარბებისათვის დააკავეს. დაკავებისას მას 2 პისტოლეტი და ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი აღმოაჩნდა, რომელიც გიტარის ბუდე ჰქონდა მოთავსებული. კალათბურთელს სამართალდამცველებისთვის წინააღმდეგობა არ გაუწევია... ■

# მსახიობი, რომელიც გამოცდების შემდეგ თავს დამარცხებულად გრძნობს

**„ერუდიტობაზე თავს ვერ დავდებ. დიდი ხანია, წიგნი არ წამიკითხავს, ამისთვის დრო აღარ მრჩება“, — მითხრა მსახიობმა ვანიკო თარხნიშვილმა, მაგრამ შეხვედრაზე მაინც დამთანხმდა. მისი საყვარელი ავტორები აკუტაგავა და დოჩანაშვილი არიან. ვანიკო მოხარულია იმ ფაქტით, რომ ცოცხალ კლასიკოსს რამდენჯერმე შეხვდა და ბატონი გურამის ნაწარმოებების მიხედვით დადგმულ სპექტაკლებშიც არაერთი როლი აქვს შესრულებული.**



## „ახლაც დაძაბული ვარ...“

თამუნა კვინიკაძე

### პრეამბულის მაგიერ

— **ვანიკო, როგორ ფიქრობ, კარგი მეხსიერება გაქვს?**

— კარგი მეხსიერებაც მაქვს და ცუდიც.

— **ეს როგორ გავიგო?**

— სახელებსა და გვარებს, წაკითხული ნაწარმოებების პერსონაჟებს ვერ ვიმახსოვრებ, მაგრამ ამა თუ იმ როლისთვის ტექსტის დამახსოვრება არასდროს გამჭირვებია.

— **ჩემი რესპონდენტები ამ რუბრიკაში სტუმრობას გამოცდაზე გასვლას ადარებენ ხოლმე...**

— (*მაწყვეტინებს*) ეს ვიცი, „ერუდიტი“ რამდენჯერმე წავიკითხე. ისე, გამოცდაზე გასვლა არ მიყვარს. ამ დროს საკუთარ თავს ისე ვერასდროს წარმოვაჩენ, როგორც მსურს და შემიძლია. ჰოდა, გამოცდის შემდეგ თავს დამარცხებლად ვგრძნობ ხოლმე. ვიცი, წინ უამრავი კითხვა მელოდება და სიმართლე გითხრა, ახლაც დაძაბული ვარ.

— **დამშვიდდი, მე მკაცრი გამომცდელი არა ვარ.**

— აბა, დავიწყოთ.

— **ეს მწვერვალი ნეპალისა და ტიბეტის საზღვარზე მდებარეობს, პირამიდის ფორმა აქვს და ყველაზე მაღალ მწვერვალად მიიჩნევა. მისი სახელი, ტიბეტურ ენაზე, ღვთაებრივს ნიშნავს...**

— ჯომოლუნგმა ხომ არა?

— **გამოიცანი. რამდენი მუზა არსებობს ბერძნულ მითოლოგიაში?**

— არ ვიცი.

— **9. „ჩემი წინაპრები, დედის სახით, მოდიან აფხაზეთის მეფეების — შერვაშიძეთა გვარიდან — ჩემი დიდედის, გურული ქალის, ბერიძის დედა იყო შერვაშიძის ასული. ამგვარად ჩემში არის სამნაირი ქართული სისხლი: აფხაზეთის, გურიისა და იმერეთის“, — რომელი პოეტის ავტობიოგრაფიულ ჩანაწერებში ვკითხულობთ ამ სიტყვებს?**

— კითხვა გამიმეორე, რა. (*გამეორების შემდეგ*) ე.ი. თავად იმერელი იყო?

— **დიახ.**

— გალაკტიონი.

— **რუსეთის რომელი იმპერატორის მმართველობის დროს მოღვაწეობდა გრიგორი რასპუტინი?**

— არ ვიცი.

— **ნიკოლოზ II-ის დროს, პანამის არხმა რომელი ოკეანე დააკავშირა ატლანტის ოკეანესთან?**

— არც ეს ვიცი.

— **წყნარი ოკეანე. რომელი კუთხის ხალხს ეხურა თავზე ფაფანაკი?**

— იმერლებს.

— **ნოდარ დუმბაძის „მარადისობის კანონში“, რომელი ეკლესიის მოძღვარი იყო მამა იორამი?**

— არ მახსოვს.

— **ორთაჭალის სამების. რა გზით მოახერხა ედმონ დანტესმა ციხესიმაგრე იფიდან გაქცევა?**

— გარდაცვლილი აბატის ადგილი დაიკავა.

— **დღეს ეს სიტყვა ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში პოლიციელთა მეტსახელია, ხოლო წარსულში მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი სახელმწიფოს მეფეთა ტიტული იყო.**

— ვერ გიპასუხებ.

— **ფარაონი. ეს ქვეყანა 21 გუბერნიად იყოფა. მისი ფართობი 400 ათასი კვ.მ-ია, მოსახლეობა — 8,5 მილიონი კაცი, რელიგია — პროტესტანტობა, ფულის ერთეული — ევრო, მმართველობის ფორმა — კონსტიტუციური მონარქია. 6 ივნისს იქ ეროვნულ დღესასწაულს ზეიმობენ. დაასახელე ეს ქვეყანა და მისი დედაქალაქი. (*ფიქრობს*)... დაგეხმარები, ამ ქვეყნის დედაქალაქია სტოკჰოლმი.**

— შვედეთი ყოფილა.

— **ცეცხლსასროლ იარაღებში კარგად ერკვევი?**

— საკმაოდ კარგად.

— **„უზი“, „ბერეტა“, „ვალტერი“, „კოლტი“ — ეს იარაღის მწარმოებელი ფირმები დაალაგე სადაურობის მიხედვით, შემდეგი თანამიმდევრობით: იტალია, აშშ, ისრაელი, გერმანია.**

— „ბერეტა“, „კოლტი“, „უზი“, „ვალტერი“.

— **ამჟამად რომელი ქალაქი მდებარეობს ანტიკური ქალაქის — დიოსკურიის ადგილზე?**

— სოხუმი.

— **რა უწოდეს მემატიანეებმა XI საუკუნის 80-იან წლებში მტრის განუწყვეტელ შემოსევებს?**

— არ მახსოვს.

— **დიდი თურქობა. რომელი მდინარის შენაკადებია ლოპოტა, კასისხევი და კაბალი?**

— ალაზნის.

— **სპორტის რომელ სახეობაში მოასპარეზის აქსესუარებია თეთრი კოსტიუმი, ლითონისბადიანი მუზარადი და ხელთათმანი?**

— რა თქმა უნდა, ფარიკაობის.

— **ეს გამოჩენილი მეფე ტახტზე 27 წლის ასაკში ავიდა და 65 წელი იმეფა. დაასახელე იგი.**

— ეს საქართველოს გაერთიანებამდე მოხდა?

— **დიახ!**

— ფარნავაზი.

— **სად და როდის გაიმართა პირველი სპექტაკლი საქართველოში?**

— 1850 წელს გიორგი ერისთავის „გაყრა“ წარუდგინეს საზოგადოებას, მაგრამ სპექტაკლი სად დაიდგა, ნამდვილად არ მახსოვს.

— **თბილისის კლასიკური გიმნაზიის შენობაში. რომელ მდინარეზეა გაშენებული ავსტრიის დედაქალაქი?**

— ავსტრიის დედაქალაქია ვენა.

— **დიახ და რომელ მდინარეზეა გაშენებული ვენა?**

— არ ვიცი.

— **დუნაიზე. „თითქოს მზეს ჩამოვარდნოდა... ბროწეულის ყვავილივით ჰყვაოდა... ერთი მუჭა მიწის მიყრა ვერავინ გაუბედა ამ სილამაზეს...“ რომელ პერსონაჟს აღწერს ასე გიორგი ლეონიძე? (*ფიქრობს*)... ფილმი „ნატვრის ხე“ გაიხსენე.**

— რატომღაც, დავიბენი. ასე მარიტას აღწერს.

— **მდედრობითი სქესის რამდენი მეფე ჰყავდა საქართველოს?**

— ერთი.

— **დარწმუნებული ხარ?**

— რა თქმა უნდა, თამარ მეფეს ვგულისხმობ.

— **მგონი, ახლაც დაბნეული ხარ.**

— (*ფიქრობს*) სხვას მართლა ვერ ვიხსენებ.

— **რუსუდან მეფე არ გაგიგონია?**

— როგორ არა, მაგრამ ველარ გავიხსენე.

— **„მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა...“**

— (*მაწყვეტინებს*) „...მე ვარო შენი თანამდევი უკვდავი სული“.

— **ვინ არის ამ სტროფის ავტორი?**

— ილია ჭავჭავაძე.

— **ლონდონი, პარიზი, ჰავანა, ზუგდიდი — რა აქვს საერთო ამ ოთხ ქალაქს?**

— არ ვიცი.

— **მიგანიშნებ, ამ ქალაქებში ერთი და იგივე რაღაც ინახება.**

— (*ფიქრობს*) ვერ გიპასუხებ.

— **ნაპოლეონის ნიღაბი. რომელი მხედართმთავარი აარსებდა დაპყრობილ ტერიტორიებზე თავის მოსახელე ქალაქებს?**

— ალექსანდრე მაკედონელი.

— **რომელ მხატვარს ეკუთვნის ფერწერული ტილო — „იმერეთი-დედაჩემი“?**

— დავით კაკაბაძეს.

— **რომელმა დინასტიამ შეცვალა ვალუათა დინასტია საფრანგეთში?**

— არ ვიცი.

— **ბურბონებმა.**

— (*იცინის*) რომ თქვი, ახლა გამახსენდა.

— **რა პროფესიის იყო იპოლიტე ხვიჩიას გმირი ფილმში — „თოჯინები იცინიან“?**

— (*ფიქრობს*) მგონი, სტომატოლოგი იყო, არა?

— **გამოიცანი. რომელი ჩანჩქერი მდებარეობს მდინარე ზამბეზიზე?**

— სავარაუდო პასუხი მაქვს, ვიქტორია.

— **დიახ. ეს ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე ხუმრობდა, — მე რომ ბავშვობიდანვე ხეიბარი არ ვყოფილიყავი, აუცილებლად ფირალი ვიქნებოდიო. იგი ხშირად, ვინმე კერძო პირს იშვიათი ნაკეთობის ნივთს გამოართმევდა და ეტყოდა: ამ ნივთს სახლში წავიღებ, შევისწავლი და ხვალ დაგიბრუნებო, მეორე დღეს კი გაზეთში აქვეყნებდა ინფორმაციას, ამა და ამ ადამიანმა საქართველოს მუზეუმს ესა და ეს ნივთი აჩუქაო. ვინ იქცეოდა ასე?**

— სიმართლე გითხრა, ეს ამბავი მეცნობა, მაგრამ ვერაფრით გავიხსენე, თუ ვინ იქცეოდა ასე.

— **ექვთიმე თაყაიშვილი. რას აგროვებს ფილატელისტი?**

— მარკებს.

— **რა ეწოდა დედამიწის შემცირებულ მოდელს?**

— გლობუსი.

— **რომელ ქვეყანაში წავიდნენ ემიგრაციაში ნოე ჟორდანია და მისი მთავრობის წევრები?**

— საფრანგეთში.

— **იგი რუსეთის იმპერატორის ბრძანებით სტავროპოლში გადაასახლეს, სადაც 1887 წელს ვერაგულად მოკლეს. აკაკი წერეთელმა მას ლექსი „განთიადი“ მიუძღვნა. ვისზეა ლაპარაკი?**

— ვერ გიპასუხებ.

— **დიმიტრი ყიფიანზე. რომელი ტბის ნაპირზე მდებარეობს ჩიკაგო?**

— მიჩიგანის ტბის ნაპირზე.

— **რა ერქვა ბურატინოს მამას?**

— კარლო.

— **რომელ ქვეყანაში დაასრულა სიცოცხლე XVIII საუკუნის ქართველმა პოეტმა ბესიკმა?**

— არ ვიცი.

— **რუმინეთში. რომელი ქვეყნის ხელისუფალი იყო სულთანი?**

— თურქეთის.

— **დაასახელე ფრანგ მეფეთა სასახლე, რომელიც ხელოვნების მუზეუმად იქცა.**

— ლუვრი.

— **დაბოლოს, დაასრულე სენეკას ცნობილი გამონათქვამი: „ვისაც დუმილი არ შეუძლია, მას...“**

— „...არც ფიქრი შეუძლია“.

— **„...არც ლაპარაკის უნარი ექნება“.** ■

**ერუდიტი +**

1. **თევზებს,** *რომლებიც ქვირითობისას ზღვიდან მდინარეებში ან პირიქით — მდინარეებიდან ზღვებში მიცურავენ, გამსვლელებს უწოდებენ. ასეთია მაგალითად, ორაგული, რომელიც სიცოცხლეში მხოლოდ ერთხელ მოგზაურობს. ორაგული ქვირითის დასაყრელად მდინარეს აღმა მიუყვება და იმ ადგილისკენ მიცურავს, სადაც თვითონ გამოიჩეკა.*

2. **ქამელეონის** *ფერის ცვალებადობა დამოკიდებულია მზის სხივების ტემპერატურაზე, ცხოველის განწყობილებაზე და ა.შ. ქამელეონს კიდევ ერთი უცნაური თვისება აქვს — მის თვალებს ერთმანეთისგან დამოუკიდებლად მოძრაობა შეუძლია, რაც მსხვერპლის აღმოჩენაში ეხმარება. ქამელეონი მსხვერპლს (უმეტესად, მწერებს) ენით იჭერს.*

3. **დღეისათვის** *დედამიწაზე სპილოს ორი სახეობა ბინადრობს — ინდური და აფრიკული. აფრიკული სპილო უფრო დიდი ზომისაა და გრძელი ეშვები აქვს. მისი სხეულის სიმაღლე 3,5 მეტრს აღწევს, ინდური სპილოსი — 3 მეტრს. სპილოები აფრიკისა და ინდოეთის ტროპიკულ უდაბურ ტყეებში ბინადრობენ. ჩრდილი, ტენიანი ჰაერი და წყალი მათთვის აუცილებელია. სპილო წითელ წიგნშია შეტანილი.*

## გონების სავარჯიშო

### „გზის“ ერთგული მკითხველისათვის

### (კითხვები)

**ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ**

**„პასუხების“ სვეტისკენ არ გაგექცეთ თვალი**

1. რა არის დომფალი?

2. მალტის ღვთისმშობლის ტაძარში გერმანულ საავიაციო ჭურვს ინახავენ. რატომ?

3. რის გამო კარგავენ ამერიკელი მძღოლები ქვეყნის მასშტაბით 3,6 მილიონ ლიტრ საწვავს ყოველდღიურად?

4. ამ უდიდესმა ფიზიკოსმა 4 წლის ასაკში ისწავლა ლაპარაკი. სწავლაში ძალზე მოიკოჭლებდა და პირველ წელს უმაღლეს სასწავლებელშიც ვერ მოხვდა. დაასახელეთ იგი.

5. ამ ფრანგ მწერალს იმდენი ნაწარმოები აქვს შექმნილი, რომ მასზე საფრანგეთში ამბობენ, — ეს ავტორი ბოლომდე არავის წაუკითხავსო. დაასახელეთ იგი.

6. რა არის ღარღლი?

7. ერთხელ ჰაინრიხ ჰაინეს ვინმე მაიერმა წერილი გაუგზავნა, რომელშიც სწერდა: კარგად ვარ, არაფერი მიჭირს, მშვენივრად ვცხოვრობო. პასუხად ჰაინემ, ფოსტით უზარმაზარი ქვა გაუგზავნა. რა შინაარსის წერილი ახლდა ამ ქვას?

8. დაასახელეთ ევროპის ქალაქი, სადაც ერეტიკოსებს კოცონზე დაწვის ნაცვლად, წყალში ახრჩობდნენ.

9. 1992 წლიდან მოყოლებული, კანადელებმა სილამაზის კონკურსებზე აიღეს ხელი. რატომ?

10. სამხედრო-საზღვაო კოლეჯში სწავლისას, თანაკურსელი კადეტები უელსის პრინცს ხშირად სცემდნენ. რა მიზეზით?

11. ეს ბუმბერაზი მსახიობი რუსთაველის თეატრში პირველად ისე შევიდა, როგორც ტაძარში. ბროლის ჭაღმა, ნაძერწმა ჭერმა, მოხატულმა პლაფონებმა სოფლელი ბიჭი ისე დააბნია, რომ კედლის დიდი სარკე ფოიეს გაგრძელება ეგონა და პირდაპირ განაგრძო გზა. დაასახელეთ იგი.

12. ედინბურგში, სამეცნიერო საბჭოზე გამოსვლისას ნილს ბორმა ინგლისურად წაიკითხა მოხსენება, რომელსაც მსმენელისათვის სინქრონულად თარგმნიდნენ... რა ენაზე?

# ანეკდოტები

* * *

— გადასარევი ცოლი მყავს, ძმაო. სახლში მივალ თუ არა, მაშინვე მხდის პიჯაკს, მოაქვს ფოსტლები და ხელთათმანები.



— ხელთათმანები რაღად გინდა?

— აბა, სარეცხი შიშველი ხელებით ვრეცხო?!. ბოლოს და ბოლოს, რომელ საუკუნეში ვცხოვრობთ?!.

* * *

შოტლანდიელი ცოლს ეკითხება:

— დაბადების დღეს რა გაჩუქო?

— არც კი ვიცი!..

— კარგი, მოსაფიქრებლად 1 წელიწადს გაძლევ.

* * *

გინეკოლოგის ცოლი შინ დაბრუნდა და ქმარს ქალთან შეუსწრო.

— ძვირფასო, — უხსნის ქმარი. — სამსახურში ისეთი დატვირთული ვარ, რომ ზოგჯერ, რაღაცებს ვერ ვასწრებ და სამუშაო სახლში მომაქვს.

* * *

გამომძიებელი ბრალდებულს ეკითხება:

— რა ვითარებაში მოკალით ცოლი?

— მიმტკიცებდა, ჩემ გამო ცხოვრებაში თითსაც არასდროს გაანძრევო. ამ დროს თითი სასხლეტზე მედო. ჰოდა, მეც ავდექი და დავუმტკიცე, რომ ცდებოდა.

* * *

ქალური დაკვირვება: „ცხოვრება ალსავსეა სიძნელეებითა და ნერვების წყვეტით, სიძულვილითა და იმედგაცრუებით, მაგრამ ბოლოს, პოულობთ სწორედ იმ პარიკმახერს, რომელიც თქვენს გემოვნებას ბოლომდე დააკმაყოფილებს.“

* * *

ორი მოხუცი ქალი საუბრობს:

— ჩემი შვილიშვილი ეკონომიკურზე სწავლობს და მალე ეკონომისტი გახდება.

— ჩემი კი აუცილებლად ექიმი გახდება, ენაცვალოს ბებო.

— სამედიცინოზე სწავლობს?

— არსადაც არ სწავლობს.

— აბა, ექიმი როგორღა გახდება?

— რას ჰქვია, როგორ?! იცის ბიჭმა თავისი საქმე. ამ ბოლო დროს ვაკვირდები და ჯიბეები სულ ტაბლეტებითა და შპრიცებით აქვს ამოტენილი!.. ნემსსაც თვითონ იკეთებს!..

* * *

— დედა, რამდენი დროა საჭირო, რომ ოცნების მამაკაცს შეხვდე?

— ბევრი, შვილო, იმდენად ბევრი, რომ მასთან შეხვედრამდე ერთი-ორჯერ გათხოვებასაც მოასწრებ.

* * *

შემკვეთი მშენებელს ეუბნება:

— კედლები რაღაც, ძალიან თხელი მეჩვენება!

— ჯერ ხომ შპალერი არ გაგვიკრავს.

* * *

— რატომ ხარ ასე დაღვრემილი?

— ცოლი დამემუქრა, ერთი კვირა არ დაგელაპარაკებიო.

— დიდი ამბავი, ნახე შენც სანერვიულო, რა!

— დღეს მთავრდება ეგ ერთი კვირა.

* * *

— ბანკში დავრეკე, დოლარს ერთ ლარად ყიდიან! — ეუბნება ცოლი ქმარს.

— არ არსებობს! აბა, მაჩვენე, რა ნომერზე დარეკე!

— აჰა!

— ჰმ, ეგ ბანკის კი არა, სტამბის ნომერია!



* * *

— ქალბატონო, შეიძლება, ეს ქურთუკი დავაბრუნო?



— აქ ხომ გარკვევით წერია: „გაყიდული საქონელი უკან აღარ მიიღება.“

— ჰო, მაგრამ მე ის არ მიყიდია... მოვიპარე...

* * *

— გაგიჟდი, კაცო, შენ?! ათი ლარი აჩუქე მეგარდეროზეს?! — ეჩხუბება ქმარს თეატრიდან გამოსული ცოლი.

— ჩუ, ქალო! ნახე, რა მაგარი დუბლიონკა მომცა!

* * *

— იცი, დეპუტატობის ერთ-ერთ კანდიდატს მიტინგზე სულ ლაყე კვერცხები ესროლეს.

— მე კი მითხრეს, ეს ტაში იყოო...

— ჰო, ტაშსაც უკრავდნენ, ოღონდ მაშინ, როცა კვერცხი მიზანში ხვდებოდა.

* * *

— ექიმო, როგორ არის ჩემი სიდედრი?

— უკეთესი მდგომარეობაა, მაგრამ იმედი არ უნდა დაკარგოთ.

* * *

ზარი კადრების განყოფილებაში.

— მუშახელი გჭირდებათ?

— დიახ. ვინ ბრძანდებით?

— ზანგი ვარ.

— შავ მუშად იმუშავებთ?

* * *

კუპეში მამაკაცი და ახალგაზრდა ქალი სხედან. კაცი გაზეთს კითხულობს და ქალს საერთოდ არ აქცევს ყურადღებას. ქალმა იწრიალა, იწრიალა და ბოლოს, ვეღარ მოითმინა:

— რატომ არ მაქცევთ ყურადღებას? მე ხომ ახალგაზრდა და მიმზიდველი ვარ... თანაც, ჩვენ გარდა კუპეში არავინაა...

— ყოველთვის ვამბობდი, რომ უკეთესია, ნახევარი საათი მოითმინო, ვიდრე სამი საათი ეხვეწო, — თქვა კაცმა და გაზეთი გვერდზე გადადო.

* * *

აგარაკზე ქურდი შეიპარა. უეცრად, საიდანღაც ძაღლი გამოვარდა და შეჩერდიო, — დაუძახა. ქურდს შიშისგან გული წაუვიდა. როცა მოსულიერდა, ხედავს, ძაღლი თავზე ადგას, ნიშადურის სპირტით.

— შენ რა, ყეფა არ იცი? — ეკითხება ქურდი.

— ვიცი, მაგრამ შენი შეშინება არ მინდოდა.

* * *

საბჭოთა ჯარში გურული ასეულს სამწყობრო სიარულში ავარჯიშებს. რუსულის ცოდნასთან ცოტა არ იყოს, მწყრალად არის:

— როტააა, შაგოოომ მარშ! რას, დვა, ტრი! — ასეული მწყობრი ნაბიჯით დაიძრა.

— როტააა, ნალეეევო! რას, დვა, ტრი! — ასეული, როგორც ერთი, მარცხნივ შეტრიალდა.

— როტააა, ნა პრააავო! რას, დვა, ტრი! — ასეული მარჯვნივ შემოტრიალდა და სიარული განაგრძო. გურული ხედავს, ერთ მხარეს დიდი უფსკრულია და ასეულიც სწორედ ამ უფსკრულისკენ მიაბიჯებს. გურულმა მათი შეჩერება დააპირა, მაგრამ დაავიწყდა, როგორ არის რუსულად „სდექ!“.

— მეიცა, როტა!.. მაქეთ ნუ მიხვალ, როტა!.. დაყრუვდი, როტა? როტა!.. როტა!!! — ასეული უფსკრულში გადაეშვა. გურულმა თავში იტაცა ხელები: — გედირიე, როტა?!.

## გონების სავარჯიშო

### „გზის“ ერთგული მკითხველისათვის

### (პასუხები)

1. აბრეშუმის პარკი, რომელშიც ორი ჭიაა.
2. ეს უნიკალური რელიკვიაა. ამ ჭურვმა II მსოფლიო ომის დროს, მალტის დაბომბვისას, წირვის ჟამს ტაძრის გუმბათი გაარღვია და მლოცველებს შორის ისე ჩავარდა, რომ არ აფეთქებულა.
3. არასაკმარისად დაბერილი საბურავების გამო.
4. ალბერტ აინშტაინი.
5. ალექსანდრე დიუმა-უფროსი.
6. ნაწყენობის, უკმაყოფილების გრძნობა.
7. „ეს ის ლოდია, რომელიც ჩემი გულიდან გადაგორდა, როდესაც შენი კარგად ყოფნის ამბავი შევიტყვე“, — წერდა ჰაინე.
8. ვენეცია.
9. სქესობრივი დისკრიმინაციის თავიდან ასაცილებლად.
10. რათა მომავალში ეტრაბახათ, ახალგაზრდობაში ინგლისის მეფე გვყავს ნაცემიო.
11. სერგო ზაქარიაძე.
12. ინგლისურად(!). დანიელ ფიზიკოსს არ სურდა ეღიარებინა, რომ ეს ენა ცუდად იცოდა.

## ჩვენი ფოტო გალერეა



*შეგახსენებთ, რომ ნამუშევრები შეგიძლიათ გამოგვიგზავნოთ ელფოსტით: gza.fantazia@gmail.com, „კვირის პალიტრის“ („სიტყვა და საქმის“) საფოსტო ყუთების (კონვერტზე მიაწერეთ „გზისთვის“) მეშვეობით ან მოგვაწოდოთ რედაქციაში მის.: თბილისი, იოსებიძის ქ. №49.*

# ჰოროსკოპი

(1 - 7 ოქტომბერი)

**ვერძი:**
ძველი კავშირების გაწყვეტის დროა. წერტილი დაუსვით მომაბეზრებელ ურთიერთობებს. როგორც კი პირად ცხოვრებას მოიგვარებთ და დამშვიდდებით, სამსახურშიც წარმატებას მიაღწევთ.

**კურო:**
ახალი იდეების განხორციელებაზე ზრუნვა ბევრ დროს წაგართმევთ. ამ კვირაში რომანტიკული შეხვედრა და სიურპრიზებიც გელით. ამაღლებული განწყობილება თქვენს საქმიანობაზეც აისახება.

**ტყუპი:**
შესრულებული სამუშაო მატერიალურ კეთილდღეობას გიქადით. მშობლებისგან მიღებული რჩევა პირადი ცხოვრების მოწესრიგებაში დაგეხმარებათ. კვირის ბოლოს ახალი აპარატურა შეიძინეთ.

**კირჩხიბი:**
კარგი პერიოდია უძრავი ქონების შესაძენად, ფულის დასაბანდებლად. ყველა საკითხი ოჯახის წევრებთან შეათანხმეთ. მოგზაურობისას ახალ მეგობრებს შეიძენთ. შესაძლოა, ზოგიერთი კირჩხიბი დაქორწინდეს კიდეც.

**ლომი:**
ამ კვირაში ნურავის ენდობით. ვიდრე რაიმეს გადაწყვეტთ, კარგად დაფიქრდით და ნებისმიერი ინფორმაცია გადაამოწმეთ. დასვენების დღეები საყვარელ ადამიანთან ერთად გაატარეთ. კარგია, თუ თეატრშიც წახვალთ.

**ქალწული:**
ამ კვირაში მატერიალური კეთილდღეობა გელით. საყვარელ ადამიანს ეჭვიანობით ნუ გატანჯავთ, მეტი თავისუფლება მიანიჭეთ. წვეულებაზე უამრავ ნაცნობს შეხვდებით და ახალ მეგობრებსაც შეიძენთ.

**სასწორი:**
სამსახურებრივი საქმეების შესრულებისას, შეცდომის თავიდან ასაცილებლად, მეტი დაფიქრება გმართებთ. ყურადღება მიაქციეთ ჯანმრთელობას. კვირის ბოლოს შემოქმედებითი იდეები განახორციელეთ.

**მორიელი:**
აქტიური და ენერგიული ხართ. დაისახეთ მიზანი და იმოქმედეთ. თქვენი დახმარებით კოლეგებიც კი წარმატებას მიაღწევენ. კარგი დროა ახალი საქმიანობის შესასწავლად. კვირის ბოლო მეგობრებთან ერთად გაატარეთ.

**მშვილდოსანი:**
ყოველ დილით, გაღვიძებისთანავე გაიღიმეთ და თქვით, რომ დღეს ყველაფერი გამოგივათ. საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებული კი მელანქოლიას იოლად დაამარცხებთ და წარმატებასაც მიაღწევთ.

**თხის რქა:**
დასახული მიზნების მისაღწევად აქტიური მოქმედება გმართებთ. დაივიწყეთ სიამაყე და დახმარებისთვის ახლობლებს მიმართეთ. კვირის ბოლოს მატერიალური მდგომარეობა გაგიუმჯობესდებათ.

**მერწყული:**
წარმატება გარანტირებული გაქვთ ყველა საქმეში, რომელსაც ამ კვირაში წამოიწყებთ. თავისუფალ დროს აუზსა და მასაჟისტს ეწვიეთ. კვირის ბოლოს მეგობრებს თქვენი დახმარება დასჭირდებათ.

**თევზები:**
მარტოხელა თევზებს ახალი სასიყვარულო ურთიერთობის დაწყება ელით. დასძლიეთ სიმორცხვე და პარტნიორისკენ პირველი ნაბიჯი თავად გადადგით. ელექტროსაგნებთან სიფრთხილე გამოიჩინეთ.

## პატარები გენიოსობენ

**გაზეთ „კვირის პალიტრის“ არქივიდან**

ტელევიზორში გადის ტელემარკეტის ექსპრესგანცხადება:
— „დასვენება გონიოში ძალიან იაფად... მსურველებმა დარეკეთ...“
პატარა ლევანი დედას ეკითხება:
— რა თქვა, დედა, სულელებმა დარეკეთო?..

პატარა გურამიკომ, აღდგომა დღეს, ბებიის საფლავზე წითელი კვერცხი გადააგორა. სახლში მისულმა მეორე ბებიას მიახარა:
— ბებო, ბებო, იცი, მე შენს საფლავზე წითელი კვერცხი გადავაგორე!

ერთხელ, პატარა ნინო დედამ კინოში წაიყვანა. შუქი რომ ჩაქრა და ეკრანი აინთო, ნინომ დაიყვირა:
— ვაი, რამხელა ტელევიზორია!..

5 წლის ლევანს დედა ეფერება და ეუბნება:
— ისეთი ტკბილი ხარ, ჩაგყლაპავ.
— მერე ახლიდან გამაჩენ? — ეკითხება ლევანი.

5 წლის ილონა ჯიქიამ ბაზარში პირველად ნახა ცხვარი და გაკვირვებულმა მამას უთხრა:
— მამიკო, შეხედე, ბეკეკას „დუბლიონკა“ აცვია...

4 წლის გვანცა რობაქიძეს დეიდამ სთხოვა, მაშველი მომიტანეო.
— მაშველი ვერ ვნახე და თუ გინდა, მე მოგეშველები, — უპასუხა გვანცამ.

„სამარშრუტო ტაქსით“ მგზავრობისას 4 წლის მარიამი დედას ეკითხება:
— დედა, ჩვენ სამოთხეში ვცხოვრობთ?
— რატომ მეკითხები?
— აბა, ჩვენს კარს რატომ აწერია სამიანი და ოთხიანი?

4 წლის თეკლა გოგოლაძეს დაიკო შენიშვნას აძლევს:
— მოტყუება არ შეიძლება.
— ხუმრობა შეიძლება?
— კი, ხუმრობა შეიძლება.
— მაშინ, მოგახუმრე, — გამოასწორა „შეცდომა“ თეკლამ.



1 გაუნათლებელი, უვიცი
2 სულის სუკუნო ნეტარება საიქიოში
3 ბაღჩეული კულტურა
4 პრესი
5 ხმლის ტარი
6 ავტორბოლა
7 ციტრუსი
8 დედამიწის თანამგზავრი
9 ნავთობის პროდუქტი
10 სომალის დედაქალაქი
11 ... მაკფერსონი
12 ყვავილების კონა
13 ფრანგული ავტომობილი
14 დაუძლურებული, ლოგინად ჩავარდნილი
15 კორეული ავტომობილი
16 ... სმიტი
17 ტაძარი დას. საქართველოში
18 არც ცხელი, არც ცივი
19 ქვეყანა აზიაში
20 მზის სისტემის პლანეტა
21 მგლის ნაშიერი
22 თოკზე მოსიარულე ჯამბაზის ჯოხი
23 ზღვის ძუძუმწოვარი ცხოველი
24 მოხეტიალე მლოცველი
25 სათევზაო მოწყობილობა
26 იაპონური ჭიდაობა
27 ხის ღერო
28 ტოტი
29 მუს. ნოტი
30 მაღალი ტემპერატურის მქონე
31 ლაღი, თავისუფალი სირბილი
32 აუქციონზე გასაყიდი ნივთი
33 ... გიბსონი
34 პატარა ტანის
35 მუსლიმანთა ლოცვა
36 ... კილმერი
37 იალქანი
38 რუსული თვითმფრინავი
39 ამერიკის შტატი
40 შხამიანი ობობა




**წინა ნომრის სკანვორდის პასუხები**

1. შოვი; 2. კვახი; 3. თოკი; 4. კვიპაროსი; 5. თავლა; 6. რუხი; 7. ჩხიკვი; 8. ნუმიზმატი; 9. კიი; 10. ლუიზიანა; 11. აგიდელა; 12. ზიჩი; 13. სუმო; 14. მუგუზალი; 15. ყრუ; 16. სტილეტი; 17. მატერიკი; 18. გულადი; 19. ლაზიკა; 20. გინესი; 21. ედემი; 22. მე; 23. ლოსი; 24. მექა; 25. ლაგამი; 26. დირე; 27. ალ; 28. პიკი; 29. კამეა; 30. გიდი; 31. დოქი; 32. ინგლისი; 33. კალმანი; 34. აკვარელი; 35. ბიორკი; 36. კივი; 37. გველი; 38. აზიზი; 39. ღია; 40. კვიპროსი; 41. ვიბრაცია.

სურათები: 1. შარლიზ ტერონი; 2. კიანუ რივზი.

# სპეციალური კროსვორდი

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| გ | ზ | ა | გ | ზ | ი | ს | თ | ვ | ი | ს | ა | ო | მ | კ | ი | თ | ხ | ვ | ე | ლ | ი | ს | თ | ვ | ი | ს | ა | ო |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| ო | | ა | ს | ა | ი | ე | ი | ნ | თ | ო | | ე | ლ | ა | ნ | ი | რ | ი | ე | ა | ტ | ი | ი | ე | ი | ლ | ა | ე |

**შევსების წესი:** უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის გრაფაში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქე-ბულ უჯრედებში ქართულ ანდაზას ამოიკითხავთ.

**გ**. რა ერქვა ბაში-აჩუკს; **ზ**. არწივი — მართვე, აქლემი — კოზაკი, კამეჩი — ?; **ა**. — ქვითკირის სამარე; **გ**. რა ერქვა პომპეუსს; **ზ**. ზაზა კორინთელის სასცენო სახელი; **ი**. უშფოთველი, მშვიდი ცხოვრება; **ს**. საქართველოს მაღალმთიანი კუთხე; **თ**. მღრღნელი ცხოველი, რომელიც კაშხალს აშენებს; **ვ**. რა ჰქვია ბადმინტონის ბურთს; **ი**. სოფელი კასპის რაიონში, რომლის გავლისასაც მანქანის მძღოლები ტრასაზე ხურდა ფულს ყრიან; **ს**. ზოდიაქოს ერთ-ერთი ნიშანი; **ა**. გემის ნაწილი, რომელზეც მეკობრეებს ახრჩობდნენ; **ო**. გუთნისდედათა სიმღერა; **მ**. ნათესი მინდვრის, ბაღისა და ვენახის მცველი; **კ**. საფეხურებად გადმომჩქეფარე წყალვარდნილი; **ი**. მგალობელი ფრინველი; **თ**. სხეულის ორგანო, რომელიც ჰანიბალმა გაცივების შედეგად დაკარგა; **ხ**. ერთ-ერთი ქალაქი ქართლში; **ვ**. მუსიკალური ინსტრუმენტი, რომელზეც უკრავდა შერლოკ ჰოლმსი; **ე**. რა ეროვნებისაა მსახიობი მაიკლ დუგლასი; **ლ**. ქალაქ მილანის ოპერა; **ი**. ფეოდორ დოსტოევსკის ნაწარმოები; **ს**. სახელის მოზიარე, თანამოსახელე; **თ**. თავის ქალის ზედა ნაწილი; **ვ**. თენგიზ აბულაძის ფილმი, რომელმაც „ნატვრის ხესთან“ და „მონანიებასთან“ ერთად ტრილოგია შეადგინა; **ი**. რა დარჩა პანდორას ყუთში, მას შემდეგ, რაც იქიდან შური, ბოროტება, ავადმყოფობები და სხვა მრავალი უბედურება ამოფრინდა; **ს**. წინას-წარმეტყველი ქალი ძველ რომსა და საბერძნეთში; **ა**. მთა, სადაც წარღვნის შემდეგ გაჩერდა ნოეს კიდობანი; **ო**. რა ერქვა ბალზაკს;

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

**პასუხები:** **გ**. გლაზგო; **ზ**. ზიპო; **ა**. ანანასი; **გ**. გიტარა; **ზ**. ზვიგენი; **ი**. იკებანა; **ს**. სოსელო; **თ**. თემიდა; **ვ**. ვოევოდა; **ი**. იალაღი; **ს**. სკალპი; **ა**. არსენა; **ო**. ონასისი; **მ**. მაორები; **კ**. კიმონო; **ი**. იპონი; **თ**. თხუნელა; **ხ**. ხიმინჯი; **ვ**. ვუალი; **ე**. ესტრადა; **ლ**. ლიახვი; **ი**. იაკუძა; **ს**. საბო; **თ**. თვე; **ვ**. ვენა; **ი**. იდალგო; **ს**. სესია; **ა**. ალაფი; **ო**. ოლოლო;

**გამუქებულ უჯრედებში იკითხება:**
**აპატიეს მელასაო, მოუმატა კბენასაო**

## იაპონური სენსაცია სუდოკუ

„გზის“ წინა ნომერში გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | 8 | 2 | 3 | 6 | 5 | 7 | 1 | 9 |
| 9 | 3 | 5 | 7 | 2 | 1 | 6 | 4 | 8 |
| 7 | 1 | 6 | 9 | 8 | 4 | 3 | 5 | 2 |
| 6 | 9 | 3 | 8 | 1 | 7 | 4 | 2 | 5 |
| 5 | 7 | 8 | 6 | 4 | 2 | 9 | 3 | 1 |
| 2 | 4 | 1 | 5 | 3 | 9 | 8 | 7 | 6 |
| 3 | 2 | 9 | 4 | 5 | 8 | 1 | 6 | 7 |
| 1 | 6 | 7 | 2 | 9 | 3 | 5 | 8 | 4 |
| 8 | 5 | 4 | 1 | 7 | 6 | 2 | 9 | 3 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | 9 | 1 | 3 | 5 | 7 | 6 | 2 | 8 |
| 2 | 8 | 7 | 6 | 1 | 4 | 3 | 9 | 5 |
| 5 | 3 | 6 | 8 | 2 | 9 | 7 | 1 | 4 |
| 9 | 2 | 8 | 4 | 7 | 3 | 5 | 6 | 1 |
| 1 | 4 | 3 | 5 | 6 | 2 | 8 | 7 | 9 |
| 7 | 6 | 5 | 9 | 8 | 1 | 4 | 3 | 2 |
| 3 | 5 | 4 | 2 | 9 | 6 | 1 | 8 | 7 |
| 8 | 7 | 2 | 1 | 3 | 5 | 9 | 4 | 6 |
| 6 | 1 | 9 | 7 | 4 | 8 | 2 | 5 | 3 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | 3 | 4 | 8 | 1 | 6 | 9 | 7 | 2 |
| 6 | 9 | 7 | 2 | 5 | 3 | 8 | 4 | 1 |
| 1 | 8 | 2 | 9 | 7 | 4 | 5 | 6 | 3 |
| 4 | 7 | 9 | 5 | 3 | 1 | 6 | 2 | 8 |
| 8 | 1 | 6 | 4 | 9 | 2 | 3 | 5 | 7 |
| 2 | 5 | 3 | 6 | 8 | 7 | 1 | 9 | 4 |
| 7 | 4 | 8 | 1 | 6 | 5 | 2 | 3 | 9 |
| 9 | 2 | 5 | 3 | 4 | 8 | 7 | 1 | 6 |
| 3 | 6 | 1 | 7 | 2 | 9 | 4 | 8 | 5 |

* მარტივი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | | | | 3 | | | 1 | |
| | 3 | | | | 7 | | 5 | |
| | | | | 1 | | | | 9 |
| | | 2 | | 5 | | | | 3 |
| | | 3 | | 8 | | 1 | | |
| 9 | | | 4 | | 3 | 8 | | |
| 8 | | | | 2 | | | | |
| | 5 | | 9 | | | | 2 | |
| | 2 | | | 6 | | | | 7 |

** საშუალო

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | | | | 3 | | | | 1 |
| 2 | | | 7 | | | | 4 | |
| 5 | | | | | 4 | | | |
| 8 | | | | 9 | | | 5 | |
| 9 | | 1 | | 4 | | 6 | | 3 |
| | 6 | | | | | | | 7 |
| | | | 4 | | | | | 5 |
| | 2 | | | | 1 | | | 9 |
| 4 | | | | 8 | | | | 6 |

*** რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 2 | | | | 9 | | | 7 |
| 3 | | 8 | | | 2 | | | 9 |
| | | 7 | | | | | 2 | |
| 7 | | | 2 | | | 3 | | |
| | | 3 | | | | 8 | | |
| | | 1 | 9 | | | | | 6 |
| | 7 | | | | | 4 | | |
| 9 | | | 7 | | | 2 | | 8 |
| 6 | | | 4 | | | | 7 | |

# ფოტოკურიოზები















ლალი
მოროშკინა



# მე, პრეზიდენტი და მსოფლიო ჩემპიონი

გამომცემლობა
„პალიტრა L"